3-82.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

05

პროლეტარული მწერლობა

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის
ყოველთვიური სალიტერატურო-ფილოსოფიური
და
მხატვრულ-ლიტერატურული
ორგანო

596

№ 6

ივნისი

1930

წელიწადი მეოთხე

სახელმწიფო გამომცემლობა

სახელგამის 1-ლი სტამბა.
პლეხანოვის გამზირი № 91
მთავლ. № 1169 შეკ. № 207.
ტირაჟი 2000

რედაქციის მისამართი:

ტფილისი. ი. მაჩაბლის ქუჩა № 13 ხელოვნების სასახლე — ტელ. 1 — 65.

პ. ჩხიკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართულები*)

XIV

ბნელი და ცივი იყო ოთახი, რომელშიაც ინჟინერი მელიქოვი „ცხოვრობდა“ ამ ბოლო ხანებში.

ნესტით გაჟღენთილი ჰაერი სუნთქვას ამძიმებდა, და ოთახის კუთხეში მიკუნტული მელიქოვი ზღარბივით იბურძგლებოდა.

მისი გუშინდელი სიამაყე, გულცივი ამპარტავნობა სადღაც გამქრალიყო... „შავი ხალხის“ ზიზღი და მუნჯი დაცინვა მის ტუჩებს შეკვდომოდა და არც ისე შორეული წარსულის, გულამაყობისა და პატივმოყვარეობის ნატამალიც კი აღარსად შერჩენოდა მის სახეს...

მოდრეკილი მელიქოვი იჯდა ბნელ საკანში და დღეებს ითვლიდა...

ხოლო, როდემდე უნდა ეთვალა, ჯერ ეს არ იცოდა.

იჯდა და...

თუ „როდემდე“?!. — მისი აზრით, ეს „ბედის“ საკითხი იყო.

დიდის გაჭირვებით შეეჩვია ის თავის უკანასკნელ ბინას, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა.

გამომძიებელთან რამდენჯერმე გამოუძახეს...

ყველაფერი დაჰკითხეს...

საკითხი ყოველნაირად შეატრიალეს, მაგრამ... მელიქოვი თავს დამნაშავედ როდი გრძნობს!

ის ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებს:

— მე განგებ მიშლიდენ ხელს ფაბრიკაში... იქ ჩემი დაღუპვა უნდოდათ და მეტი არაფერი!

მოსწყინდა მელიქოვს ასეთ პირობებში ყოფნა.

მოსწყინდა გამომძიებელსაც ერთი და იგივე ყალბი ჩვენება მელიქოვიდან.

---

*) დასაწყისი იხ. „პრ. მწერლობა“-ს 4 და 5 №-ში.

მელიქოვი ელოდება თავის დაძვრენას, გამომძიებელი კი უცდის მელიქოვის ცოდვათა აღსარებას...

შეჯიბრება უკვე გაჩაღებულია.

მელიქოვი ჩამოღრა მალული დარდისაგან.

თვალები ჩაუღრმავდა.

წვერი და თმა შეშლილივით გაებურძგნა...

ანთებიანი ხველა დასჩემდა და დახრინწიანდა.

მაგრამ ჯიუტობს მელიქოვი... მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს.

იმეორებს ერთხელ გაზეპირებულ აზრს და...

დღეს თუ ხვალ ელის განთავისუფლებასაც.

საკუთარი თავიც კი დაარწმუნა უდანაშაულობაში...

მაშასადამე... გამომძიებელმა მით უფრო უნდა ირწმუნოს მელიქოვის უდანაშაულობა. მელიქოვის აზრით, მას ჩქარა გაათავისუფლებენ, გაათავისუფლებენ, რადგან მისივე დასკვნით ის უდანაშაულოა და თანაც, როგორც მას გაუგონია, სერიოზულ დანაშაულში შემჩნეულებს პოლიტსამმართველოში ჯვარსაც კი აცვამენ, და მელიქოვი კი დაცულია ამ უბედურებიდან.

რაკი დაცულია, მაშასადამე, უდანაშაულოა.

— არა, რომ ჩქარა გავთავისუფლდები ეს ფაქტია. ჯერ მობყრობიდანაც აშკარად სჩანს, რომ სერიოზულ დამნაშავედ არ მთვლიან — ფიქრობს მელიქოვი და უკანასკნელ გამოძახილს მოუთმენლად ელოდება.

— გამანთავისუფლებენ თუ არა... გავემგზავრები აბასთუმანში... დავისვენებ და ახალ სამუშაო გეგმებსაც მოვისაზრებ ბუნების წიაღში...

თითქმის ყოველ საღამოობით აგარაკზე ფიქრში ჩაეძინება ინჟინერ მელიქოვს...

ჩაეძინება და ტკბილი სიზმრები თავს დასტრიალებს:

— რა მშვენიერი აგარაკია აბასთუმანი! სასწაულს ახდენს ფილტვების სისუსტეზე აქაური სანატორიუმები...

სანატორიუმებს, — ოცნებობს მელიქოვი სიზმარში, — ამჟამად „მუშათა სანატორიუმებს“ ეძახიან, მაგრამ ამით რა იცვლება?.. რა იცვლება? არაფერი.

მუშების იყო ის თანხები, რომელიც მელიქოვმა გაანიავა...

მუშების არის ის ფაბრიკები, რომელსაც მელიქოვი საძირკველს ურყევდა... მაგრამ...

შეიცვალა მდგომარეობა და...

მელიქოვი დღეს „ისვენებს“.

სანატორიუმში?

მელიქოვმა ხელი გაიქნია, ხელის ამოძრავებაზე უეცრად გამოეღვიძა და თავლწინ სინამდვილის სურათები გადაეშალა...

აღარც სანატორიუმი და არც მუშათა ნაოფლარზე თავისუფალი განავარდება!..

მელიქოვს გული შეეკუმშა...

— მელიქოვ!

მოისმა ყრუ, მაგრამ ბოხი ხმა საკანის დერეფნიდან და თოფიანი დარაჯი მოადგა კარს.

მელიქოვს ტაში ჭიანჭველები შეესია.

— გამომძიებელთან.

მელიქოვს ცივ-ცხელი ოფლი შეაშრა შუბლზე, როცა დარაჯმა „გამომძიებელი" ახსენა.

ფრთებ ჩამოძენძილ ყორანივით გამოფრატუნდა მელიქოვი დერეფანში, და თოფიანი დარაჯი მიჰყვა კვალდაკვალ.

— დაგვტოვეთ! — ოდნავ გასაგონი ხმით მიმართა გამომძიებელმა თოფიან დარაჯს და მელიქოვისაკენ შემოტრიალდა.

— ინებეთ პაპიროსი! — გამომძიებელმა „რიონჰესის" კოლოფი მელიქოვისკენ მისწია და ასანთი გაჰკრა.

— აღარ ვეწევი! — იუარა მელიქოვმა, — მაგრამ გამომძიებელს თითქოს არც კი გაუგონიაო, ღიმილით მოუბრუნდა:

— მე იმედი მაქვს, რომ დღეს საბოლოოდ მოვრჩებით თქვენ საქმეს.

— მეც მაგ იმედით ვცოცხლობ...

— მაშინ...—გამომძიებელმა ქაღალდებს გადახედა, ფანქარი ხელიდან გააგდო და სავარძელზე დაყრდნობილმა რბილად დაიწყო: — იყავით გულწრფელი, და სიტყვას გაძლევთ, რომ საქმეს სულ სხვა მიმართულებას მივცემთ...

— მე საკმაოზე მეტი ვთქვი ჩემს გულწრფელობაზე წარსული ჩვენების დროს... ასე რომ თქვენ...

— მოითმინეთ!.. მე მჯერა თქვენი, მაგრამ საკითხი, რომ უფრო ნათელი გახდეს თქვენთვისაც და ჩვენთვისაც, საჭიროა რამდენიმე უტყუარი ცნობის საქმეში ჩამატება... სანამ ამ ცნობებს თქვენთან ერთად გამოვარკვევდეთ, ნება მომეცით გკითხოთ: რას სთვლით თქვენ თქვენს ძირითად პროფესიად.

— ინჟინერ-ელექტრიკი არ შეიძლება თავისი პროფესიის ერთგული არ დარჩეს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, — სთქვა მელიქოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელი წლიდან?

— რევოლუციამდე... ვგონებ 1910 წლიდან.

— მას შემდეგ?...

— ე. ი. რევოლუციის შემდეგ, არა?

— დიახ, მას შემდეგ...

— ხან ცუდად... ხან მშენებლად... ხან კიდევ სამთომადნო საქმეებზე...

— წინად ხომ არ გქონიათ შემთხვევა გემუშავათ სამთომადნო საქმეებზე?

— შეთავსებით ვმუშაობდი რამდენიმე წელიწადს...

— ბაქოში, არა? — ღიმილით იკითხა გამომძიებელმა.

— დიახ, ბაქოში... — მელიქოვი გამოერკვა, მიხვდა თავის შეცდომას და უკანასკნელი ასო გადაყლაპა, თუმცა, როგორც გამომძიებლის სახის გამომეტყველება ამტკიცებდა, მას არავითარი მნიშვნელობა არ მიუცია უკანასკნელი კითხვა-პასუხისათვის...

მაგრამ...

მელიქოვმა იგრძნო საკუთარი დანაშაული...

— საზღვარგარეთ ყოფილხართ?

— ვიყავი მეცნიერულ მივლინებაში.

— რა უნდა შეგესწავლათ?

— სპეციალური საკითხები...

— ნავთის მრეწველობის?

მელიქოვი აცახცახდა მოულოდნელ შეკითხვებიდან...

— მე გეკითხებით — იჩქარა გამომძიებელმა.

— უკაცრავად... რაღაც ცუდად ვგრძნობ თავს და, თუ შეიძლება, შემდეგისათვის გადავდოთ დაკითხვა...

— მაშინ მე დასკვნას გავაკეთებ...

გამომძიებელმა ფანქარი აამოძრავა ხელში...

— არა თქვენი ჭირიმე! რა საჭიროა... ცოტას დავისვენებ და შემდეგ...

მელიქოვი შეარყია გამომძიებლის მოხდენილ შეკითხვებზე ცუდად მიცემულმა პასუხმა.

ის დაფიქრდა შეცდომის გამოსასწორებლად, მაგრამ...

— რაც ითქვა, იმას ხომ ვეღარ უარყოფ... ბაქოში... სამთომადნო საქმეებზე... ნავთის მრეწველობაში...

მელიქოვი დამგლოვიარდა...

— მერე რა, რომ ნავთის მრეწველობაში? — ეკითხება თავის თავს მელიქოვი, — ვინ რა იცის, თუ...

— განვაახლოთ საქმის მსვლელობა? რას იტყვით?

— ცოტა მადროვეთ... რამდენიმე საათი... ან თუ შეიძლება ხვალისათვის გადავდოთ ეგ საქმე სავსებით...

— გადავდოთ?.. გადავდოთ, მაგრამ... იცოდეთ, რომ რამდენსაც გააჭიანურებთ სინამდვილის გამომჟღავნებას, მით უარესი იქნება თქვენთვის. იცოდეთ, რომ ჩვენ ყოველგვარი ცნობა შეკრებილი გვაქვს, საქმე ისაა მხოლოდ და მხოლოდ, თუ რა დამოკიდებულება გაქვთ თქვენ საკითხებთან დღეს, ან კიდევ როგორ შეხვდებით ამგვარ საკითხებს მომავალში... ამის გადაჭრა თქვენზეა დამოკიდებული, რაც უფრო გვიან, — მით უარესი თქვენთვის...

წაიყვანეთ!

კარებში ნაცნობი დარაჯი შემოვიდა და მელიქოვს შორიახლო დაუდგა.

— ეცადეთ თავი დაახწიოთ ჯიუტობას...

გააყოლა გამომძიებელმა მიმავალ მელიქოვს და პაპიროსის ნისლი დააყენა პატარა ოთახში...

XV

პრესა აახმაურა ანტირელიგიურმა კამპანიამ...

იუმორისტულ ჟურნალებში აფერადდა კარიკატურები.

კომკავშირმა პიონერებთან ერთად ქუჩები დააყრუა სააგიტაციო კარნავალებით.

მაგრამ... ქალაქის ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი ბაზარი დაიტვირთა სალოცავი სურსათ-სანოვაგით.

გოჭების ჭყვირილი დაფრთხა ქუჩებში, და ინდაურების ჯოგმა ტრამვაი შეაჩერა.

რა ამბავია? — კითხულობენ ზოგიერთები...

— როგორ? სალოცავი სამზადისია.

— იჰ, ერთი, მამა უცხონდა „მაგათაც“! რა დროს ალოცვაა!

— ჩვენი ქარხნის მუშებმა უარი სთქვეს სალოცავი უქმეებზე...

— მაშ, კაცო! ხვალ მთელი ფაბრიკა-ქარხნები იმუშავებს და...

— ეს მუშაობა პარტიისა და პროფკავშირის ხაზით...

— გოჭ-ინდაურები კი მუშათა კოოპერატივების ხაზით, არა? შგონი ასე უნდა გეთქვა, ძია შაქრო! — ჩამოართვა სიტყვა სტალინის სახელობის ქარხნის მუშამ შინ მიმავალ ზეინკალს და სადგურიდან მომავალ ტრამვაის ვაგონს აბრაზე დააკვირდა.

— ძნელია ჩემო ვანო, სარწმუნოებასთან მარტო დეკრეტებით ბრძოლა!.. დეკრეტები ხალხის უვიცობას ვერ შეანელებს...

— კი, მაგრამ ეს ანტირელიგიური კამპანიები?

— კამპანიები? კამპანიები ზოგჯერ გაზეთებშია და შინ კი...

შაქრომ ხელი ჩაიქნია, ჩიბუხი კბილებს მოაცალა და ზიზღით გვერდზე გადააფურთხა...

— ხომ იცით, რომ ხვალ ბევრი ჩვენი „ამხანაგი" ცოლის ან დედის ხათრისთვის გოჭ-ინდოურით დაამშვენებს სასადილო სუფრას და, თუ მოახერხა, პასკასაც კი შეიძენს...

ვანო ჩაფიქრდა.

— პასკის გამოცხობა ხომ აკრძალა ვაჭრობის კომისარიატმა, სადღა იშოვნიან?

— სად? ყოველგან... პურის წიგნაკების შემოღება არ შველის. საქმეს... საჭიროა ყველაფერი ნორმით წესრიგდებოდეს... პირველი-მოთხოვნილების საგნები განსაკუთრებით და მაშინ...

აი, მაშინ მივაღწევთ მიზანს მომჭირნეობის საქმეში...

— ნორმა! ნორმა! ყველაფერზე ნორმაა საჭირო, ძია შაქრო! ყველაფერზე მომჭირნეობა გვესაჭიროება...

— გვესაჭიროება და მერე როგორ? თუ კი ათეული წლები ციხე ციმბირში გავატარეთ, თუ კი მე პირადად ათი წელიწადი ტურუხანის მხარეში გავძელი, ყინულიანი ოკეანეს მახლობლად, ნუთუ ახლა, აქ ჩვენსავე სახელმწიფოში სამი-ოთხი წლის მომჭირნეობას ვეღარ გავუძლებ?

— გავუძლებთ, მაგრამ... გეგმიანობა აქაც საჭიროა... რაც დღეს და გუშინ სპირტიანი სასმელი გასაღდა, რაც გოჭები, შაშხები და ინდოურები გაიყიდა, რა ვიცი, მე ასე მგონია, ორი კვირის საყოფი მარაგი მაინც იქნებოდა მთელი ქალაქისთვის.

— აი, იდღეგრძელე! მეც მაგას ვამბობ, რომ ორი კვირის მარაგი ორ დღეში უნდა განადგურდეს და...

ეჰ, ნახვამდე! ჩემო ვანო! აგერ, ჩემი ვაგონიც მოვიდა.

შაქრო ვანოს გამოემშვიდობა და მოწყენილი ვაგონში შევიდა....

ვაგონს მოასკდენ სურსათ-სანოვაგით დატვირთული კალათიანები.

ახმაურდა კონდუქტორი ვაგონში გოჭის ჭყვირილზე...

— დაგაჯარიმებ! — გადმოეკიდა სიტყვა ტუჩებზე.

არც ლუარას გამოპარვია საღდგომო დღესასწაულები.

ლუარას განკარგულებით, ფანიამ საგანგებოდ აალაგა ყველა ოთახი და ბინის მორთულობას სადღესასწაულო ელფერი მისცა.

ლუარამ ჩამოსწერა საჭირო სანოვაგე, სასმელები, ტკბილეული და გადასცა ფანიას...

ფანიას წელი გაუთრია სურსათ-სანოვაგის სიმძიმემ.

გრიგოლი მოგვიანებით დაბრუნდა ფაბრიკიდან.

არაჩვეულებრივ სამზადისს დააკვირდა.

ოთახების უცხო სახე ეუცნაურა.

— დედიკო, პასკები?

— ვიყიდი, დედიკო, აუცილებლად ვიყიდი... გრიშა! კაი დროს მოხვედი... როგორ მოგწონს?

ლუარა ღიმილით წაადგა თავზე მოღრუბლულ გიგაურს და თავზე ხელი გადუსვა...

— გრიშა! რატომ ხარ მოწყენილი?.. ხვალისთვის არავინ დაპატიჟე?

ლუარა ჩამოჯდა.

— არა!

— მერე რატომ, გრიშა? ამდენი სამზადისი?..

— დიახ! ამდენი სამზადისი და არც ერთი სიტყვა მისი საჭიროების, მისი აუცილებლად შეძენის შესახებ.

— მამილო! პასკას ლოდის მომიტან?

— ლუარა! რასა ჰგავს ეს?

— რა მოგვიდა, გრიშა, რა მოხდა?

— რად სწამლავ ბავშის გონებას რაღაც სისულელეებით?

— არაფერი მესმის?!.

— ლუარა! რად უნერგავ ბავშს საეკლესიო დღესასწაულების ცერემონიების მნიშვნელობას?.. რის პასკა?.. რა პასკა. ადამიანო, რად უნდა ბავშს მაინცადა მაინც პასკა?.. რა არის პასკა?.. რა იცის ბავშმა პასკა რა არის?

რად სწამლავ ბავშის გონებას, რად?

— გრიშა, შენ ავად ხარ?

— სცდები! მე ძალიან კარგად ვარ, მაგრამ ეს გამოთქმა, ეს მეშჩანური ზრდილობიანობა (თუ უზრდელობა) სწორედ ავადმყოფობის ერთი ფორმაა... მე ავად ვარ იმიტომ, რომ...

— გრიშა! გრიშა! შენ საშიშრად გამოიყურები...

— ლუარა!

— გრიშა. — გაფითრდა ლუარა გიგაურის შეყვირებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლუარა!

— დედიკო...

— დაწყნარდი გრიშა, ბავში შეშინდება... გრიშა, გენაცვალე!

— ლუარა რად სწამლავ გურამს?..

გიგაური ანთებული სახით წამოიჭრა ზეზე და გონება დაკარგულმა უაზროდ რამდენიმე წრე შემოხაზა მოზრდილ ოთახში... ბოლოს ფანჯარასთან მიდგა... ქუჩაში მოფუსფუსე ხალხს გადახედა და სასოწარკვეთით წამოიძახა:

— ნუთუ ყველაფერი ასე უნდა დამთავრებულიყო?!. ნუთუ ამისთვის ბრძოლა იყო საჭირო და უთვალავი მსხვერპლი?

ოთახში ლევანი შემოვიდა...

— რას იტყვი ახალს, გრიშა!

— გრიგოლს გაუკვირდა ლევანის ასეთი შეკითხვა...

— ხვალ, ვგონებ, სამუშაო დღე უნდა იყოს? — განაგრძო ლევანმა.

— ნუთუ? — იწყინა ლუარამ...

— გაზეთებში ასე სწერია და...

— კი, მაგრამ... ლუარას ხმა გაუწყდა მოუწესრიგებელი რადიო მიმღებივით და მუხლებ-მოკვეთილი ჩაიკეცა თავის საყვარელ შაგრენის სავარძელში...

ლევანი კი ხარბი თვალით შეჰყურებდა ბუფეტის თაროზე შემოწყობილ ძვირფას სასმელებს და მადააღძრული წამდაუწუმ ინერწყვებოდა...

XVI

დაინიშნა თუ არა ინჟინერი კარპოვი საქსოვი ფაბრიკის სამუშაოთა უფროსად, საგრძნობლად შეიცვალა მდგომარეობა ფაბრიკის სააღმშენებლო საქმეებში: გამოცოცხლდა ჩამკვდარი მუშაობა ფაბრიკის ყოველ კუნჭულში და დიდი ხნით მივიწყებული მუშათა სახლების სახურავებზე კვლავ ახმაურდა მეთუნუქეების ჩაქუჩი.

ყველგან დაეტყო საქმიანი აღმშენებლის დაუღალავი ხელი, და ფაბრიკა ახმაურდა, როგორც არასოდეს...

ურემის ჭრიალმაც იმატა ფაბრიკის ეზოში, და ხრეშის გამცრელთა რიგებში გაჩნდა ვილაც უცხო ახალგაზრდა მუშა...

სამუშაოზე ახლად მიღებული ახალგაზრდა მუშა, რომლის ვინაობა ჯერ ხეირიანად არავინ იცოდა, თავგამოდებით ასრულებდა მასზე დაკისრებულ შავი მუშის მოვალეობას...

დიდი ხნის გაუპარსავი წვერი, მუდამ ოფლიანი, ხარბად იკრავდა მტვერსა და სილას...

ახალგაზრდა მუშა კი თავაუღებლივ მუშაობდა და მალულად ხელისგულზე იყურებოდა... მას სტკიოდა მძიმე სამუშაოს შეუჩვეველი ხელები.

ახლადმიღებული მაინც ერთგულად განაგრძობდა მუშაობას და თავისი ვინაობის შესახებ სიტყვაძუნწობდა...

— მე აჭარელი ფუხარა ვარ... ბაკურიძე, — იტყოდა ის, როცა ხედავდა, რომ სიტყვას არსაიდან შემოევლებოდა...

მუშებს სჯეროდათ ბაკურიძის ვინაობა და...

— რამიზ! დაისვენე... თამბაქო მოსწიე! — შემოსძახებდენ ბაკურიძეს აქეთ-იქიდან, როცა ის სამუშაოზე თავგამოდებული დასვენებას გვერდს აუვლიდა...

რამიზ ბაკურიძე!

ზალიკო ბაკურიძე...

ბაკურიძე-ფუხარა და შავი მუშა...

ბაკურიძე?..

მაგრამ ჯერ რას ვჩქარობთ!..

რამიზ ხელმარდია საქმიანობაში, როგორც ინდოელი ფაკირი.

ზალიკო ფეხმარდია და ქართული სუფრის ამფსონი...

რამიზ ერთგული ამსრულებელია თავისი დღევანდელი მოვალეობის...

გასამრჯელო:

შვიდი თუმანი და...

რამიზი ამით კმაყოფილია...

ერთი საყვედურიც კი არ წამოცდება მთელი დღის განმავლობაში, მაშინ, როცა სხვები გაიძახიან:

— რა ცოტასა გვაძლევენ ე ვერანა ჯამაგირსა!..

— პურის ფულადაც აღარა გვყოფნის...

— თვე გადის კვარტი ღვინო არ დამილევია...

— რას ამბობ? კვარტი ღვინო ბევრს არაფერს ამბობს ხელფასის სიმცირეზე?

— მა რა, შენც ამბობ, რალა!

— ღვინო ჰო, რაც არი, არი, მაგრამა წელიწადნახევარია აქ ვმუშაობ, ამ ვერანა ფაბრიკაშია, და ერთი უღელი ხარკამეჩისა ვერ გადამინარჩუნებია.

— როგორ? შენ სოფლელი ხარ, ქიტო?

— მაშა!

— მერე, აქ რაღა გინდა?

როგორ თუ რა მინდა. ხარ-კამეჩი მინდა მეთქი, ვერ გაიგონე?

— ხარ-კამეჩი?

— ჰოდე!..

— კი, მაგრამ შენ ხომ ქალაქის მუშა ხარ?

— რა ვიცი ჯერ კი არაფერი მაბადია და...

— ქიტო! აგრე როდი ვარგა, ჩემო ძმაო, ან აქით უნდა იყვე, ან იქითკენა... ან სოფელში უნდა ირჩენდე თავსა და ცოლშვილსა, ან კიდენა ქალაქშია...

— რაას ამბობ? — გამოაზოგა სიტყვა ქიტომ და მუშებს გადახედა.

— მა, როგორ გინდა? შენ დღეს ცალ ხელში სახრე გიჭირავს, ცალ ხელში კიდენა ურო და ჩაქუჩი...

— მა რა ვქნა, ადამიანო? — დაიმორცხვა ცოტათი ქიტომ, — სანამ ფაბრიკაშია შტატნი გავხდებოდე, სოფელზე ხელი როგორღა უნდა ავიღო, ჰა?

— ქიტო! ან აქეთ, ან იქით... თორემა... სოფლადაც და ქალაქშიც შეუძლებელია... ჩქარა დეკრეტიც იქნება ამაზედა...

— მართლა?

— მართლა, მაშა?!

ქიტო დაფიქრდა. მასში ალაპარაკდა კერძო საკუთრების სიყვარული და მეცხრამეტე საუკუნის ადამიანი. როგორ? თუ ქალაქის მუშა ვარ, სოფელზე ხელი უნდა ავიღო?.. ჩემი მამაპაპისეული ეზომამული სხვას გადავცე? ჩემი, ჩემი ნაოფლარით შეძენილი მიწები საერთო გავხადო? როგორ? როგორ, ადამიანო! განა ასეთი დეკრეტიც დაიწერება? ასეთი უკანონობა დაკანონდება? მერე? მერე, რა ჩემ ფეხებად მინდა თქვენი ქალაქი და ქალაქური სოციალიზმი!..

ქიტო დანაღვლიანდა... მის მგლოვიარე სახეს ნისლი შემოაწვა ყოველი მხრიდან...

— მართლა დეკრეტი იქნება, ტატე! იკითხა მან შეშინებულმა.

— იქნება, მაშა!

— მერე და...

ქიტოს უნდოდა ეთქვა: რომ ქალაქი მივატოვო, სოფელში ხომ ხელს არ მახლებენო, მაგრამ დადუმდა, არაფერი აღარ დაუმატა უაზროდ გაწყვეტილ სიტყვას და თავი მოიქექა.

ბაკურიძე თავაუღებლივ მუშაობდა ხრეშის საცრელზე და ოფლს იწურავდა წვირიან ხელებით...

ქუდმოგლეჯილი კარპოვი მშობლიური სიყვარულით დატრიალებდა თავზე მატყლის სარეცხსა და საწყობის შენობის საძირკველს, ყოველი მხრიდან ზომავდა, საზომ იარაღებს სინჯავდა და ხელქვეით ინჟინრებსა და თუ ტექნიკოსებს ეთათბირებოდა...

— ბაკურიძე! ხვალიდან შენ ჩემთან იმუშავებ... ყოჩაღი ბიჭი ხარ, როგორც გეტყობა, და დამკვრელთა გუნდში სწორედ ყოჩაღები საჭიროა...

— ხვალიდან ჩვენი გუნდი დამკვრელ გუნდად უნდა გამოვაცხადო...

სულაკაურს მუშები შემოეხვიენ...

— როგორ თუ დამკვრელი? — ახმაურდენ აქეთ-იქიდან.

— გუშინ რომ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაზე მოვუწერეთ ხელი ბაქოელებს, შრომის ნაყოფიერებას გავზრდით, ალმშენებლობას გავაიაფებთ, როგორ გგონიათ, ამას დამკვრელი ზომები სჭირდება თუ არა?

და რომ დამკვრელი ზომები განახორციელო, რომ სოციალისტური შეჯიბრება საქმედ აქცეო, საჭიროა თვითონ ჩვენი გუნდების შეჯიბრება ფაბრიკის შიგნით. ამიტომ ხვალ მე ჩემი გუნდით ვეჯიბრები ამხ. ვანო საყვარელიძის გუნდს... ვანოს გუნდი ნონიკაშვილისას და ასე...

— მაშ დავკრავთ, რაღა? — ჩაილაპარაკეს მუშებმა ღიმილით...

— დავკრავთ და მერე როგორ?.. ასე... ხვალ ჩემთან გამოცხადდები, ამხ. ბაკურიძე...

— სიამოვნებით! — ნაწყენი კილოთი დაუდასტურა ბაკურიძემ სულაკაურს და ნიჩაბს დაეყრდნო დაფიქრებული...

— სულაკაურთან დაახლოვება?!. სულაკაურის დამკვრელ გუნდში?

სულაკაურთან?.. სულაკაური ფხიზელია და ყნოსვა გამახვილებული, მაგრამ... მეტი რა გზა არის?

განკარგულება ასეთია, და ყოველი განკარგულება უსიტყვოდ სრულდება ფაბრიკაში კარპოვის დანიშვნის შემდეგ.

— მაშ, ხვალიდან სულაკაურის გუნდში... — დაასრულა ყოყმანი ბაკურიძემ და სახე მოლრუბლულმა დაწკურულ თვალებში ჩაისვა ფაბრიკა.

ზალიკომ (უკაცრავად, რამიზმა) საგვარეულო ჩვეულების მიხედვით მაგრად გაჰჭირდა, თავისი თავი შავი მუშის თანამდებობაზე. მარცხენა საულვაშე ზიზღით მაღლა აიწია და წარბდაშვებულმა ფაბრიკის კანტორაში შეუხვია...

— თქვენ ამხ. ბაკურიძე ხვალიდან სულაკაურის დამკვრელ გუნდში იმუშავებთ.

ღიმილით შემოხვდა მეტაბელე რამიზ ბაკურიძეს.

— დიახ! — ღიმილითვე უპასუხა რამიზმა. — ამხ. სულაკაურმა მაცნობა წელან, რომ ხვალიდან მის გუნდში ვიმუშავებ...

— კარგი უფროსი გეყოლებათ ამიერიდან, ამხ. რამიზ!.. გიორგი სულაკაური იშვიათი ადამიანია...

— სასიამოვნოა...

მეტაბელე გაშორდა ბაკურიძეს, და რამიზმა ზიზღით სავსე მზერა გააყოლა უკან მას. — წადი, შენი...

„კარგი უფროსი"!.. კარგი უფროსი... ვნახოთ...

ვნახოთ, ვინ ვის!..

XVII

პაწია უსინათლო ოთახში თუთუნის კვამლის მყრალი სუნი იდგა და იატაკზე ეყარა ფეხქვეშ გაბრტყელებული ნამწვები.

ოთახს უწესრიგობა ეტყობოდა.

მტვრიანი ნივთები და ჭუჭყიანი იატაკი აშკარად მოწმობდა, რომ ოთახი დიდი ხნის აულაგებელი იყო...

— ზალიკო სად გაგზავნე, ლევან? იკითხა ბოლოს აბესალომმა.

— ზალიკო?

— ჰო... ეს ერთი ხანია ველარ ვხედავ ჩვენს რიგებში...

ლომჯარმა ლევანი ჩაათვალიერა.

— ზალიკო...

სიჩუმე ჩამოვარდა. ლევანს პასუხი დაუგვიანდა.

— რა ძალიან გეძნელებათ სიმართლის გამომჟღავნება? — აიმაღლა ხმა აბესალომმა და ბრაზით ადგილი მოინაცვლა, — ისე კი ძალიან ენაწყლიანობთ?

— არ გრცხვენია, აბესალომ? — ღიმილით შეეგება ლევანი აბესალომს, რომ საქმის ნამდვილი შინაარსი მიეჩქმალა და ლომჯარი არაფერში დაეჭვებულიყო.

— ზალიკო ერთ პატარა საქმეზე გავგზავნე და როცა დაბრუნდება, ხომ ყველა შეიტყობთ, თუ სად იყო ან რისთვის. მანამდე კი... ხომ მოგეხსენებათ ჩვენი სასტიკი კონსპირატიულობა... ვგონებ გასაგებია, მეგობრებო!

— გასაგებია, — დააქნია თავი ლომჯარმა, — მაგრამ გაუგებარი ის არის, რომ რაც ჩემთვის კონსპირატიულია, ადვილი ხელმისაწვდო-

მია სხვათათვის და, წარმოიდგინეთ, სრულიად გარეშე პირთათვისაც კი... რაც გულახდილად უნდა განვაცხადო, საბუთს მაძლევს ვიფიქრო.

— აბესალომ, არ გრცხვენია? — განგებ მიუალერსა ლევანმა ლომჯარს და ძმაბიჭობისა და ახლო მეგობრობის ნიშნად ხელი მხარზე დაჰკრა, დაბლა დაიხარა და რაღაც წასჩურჩულა.

— ეგ სიცრუეა, ამხანაგო ლევან! მე ეს არ მჯერა...

— გარწმუნებ, აბესალომ, ათასჯერ გარწმუნებ. თუ პატიოსნება გწამს.

ლომჯარი დაჩუმდა.

საერთო დუმილი მოიხაზა სივრცეში.

უხერხულობა ჩამოვარდა ისედაც, ვიწრო და სულშემხუთავ ოთახში.

აქა იქ ძალად ჩაახველეს.

თითქოს ყველას რაღაც უნდა ეთქვა, ყველას უნდოდა საუბრის სხვა გზით განახლება, მაგრამ...

ერთმანეთს ეჯიბრებოდენ თავდაჭერაში.

— არა, საინტერესოა ვიცოდეთ მაინც, ვისთვის არის ხელმისაწვდომი ჩვენი კონსპირატული საქმიანობა? — დაარღვია სიჩუმე ნოდარმა.

— ვისთვის? — მაშინდლურად ამოხდა ლომჯარს — ვისთვისაც გნებავთ, ხოლო არა ჩემთვის, — აიღერღა ისევ აბესალომი.

— მაინც?

— გეყოფა ნოდარ! ეს საკითხი არავითარ მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს და არც საჯაროდ გამოსათრევია... ლომჯარმა ეს იცის და შენ, ნოდარ, ისევ თავიდან იწყებ? — ლევანმა დაჩუმების ნიშნად ნოდარს თვალი ჩაუკრა, და ნოდარიც მიჩუმდა დატუქსულ ბავშვივით.

— მართალია, ლომჯარმა იცის, რომ მას იქვნეულად უყურებენ ამხანაგები და არცერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრის დროს არ ეკითხებიან, როგორც ამხანაგს; თუმცა... მე ამასწინად განვაცხადე, იმისი არ იყოს, დღეს კიდევ უფრო არ მესმის ჩვენი ახლანდელი მუშაობის შინაარსი და თუ გნებავთ მიზანიც, მაგრამ მაინც საინტერესოა ვიცოდე, სანამ საერთოდ გავრკვეულვართ ჩვენს სადღეისო საქმინობაში, რას ვაკეთებთ ან რისთვის?

შენ ასე გგონია, აბესალომ? ტყულაუბრალოდ, ვფიცავარ პატიოსნებას... შეცდომები ვის არ მოსვლია. წუთიერი გაფიცხების დროს საყვედური ვის არ წამოცდენია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ხელს ვიღებთ ჩვენს საშვილიშვილო საქმეზე... აბესალომი გა-

მოცდილი მებრძოლია, გამობრძმედილი, და მე ვფიქრობ, მას ეყოფა ძალა და ენერგია ყოველივე ეს უმტკივნეულოდ გადაიტანოს და იქვნეულ ნიადაგზე აღმოცენებულ გაუგებრობას ბოლო მოუღოს.

— მართალია, — დაუდასტურეს ლევანს ამხანაგებმა და ლომჯარს გადახედეს:

— თუ მართალია, მაშ რად მაყენებთ ასეთი გაუგებრობის წინაშე?

— სახელდობრ? — იკითხეს ეთხმად დანარჩენებმა.

— სახელდობრ... დაძეძგა სიტყვა აბესალომმა და მწარე ირონიით გაიღმა — კარგია, რომ ჩემი თვალის ახვევას ისე ფიქრობთ, თითქოს და მართლაც ჩემს საკუთარ ცხვირს იქით ვერ ვიხედებოდე, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თქვენ ტყუვდებით და მე კიდევ ჯიბრზე თავს არ ვიტყუებ.

— აბესალომ! საკვირველია, გეფიცები პატიოსნებას...

— საკვირველიც?..

— მაშ სხვანაირად როგორ გაიგოს კაცმა შენი უცნაური იქვიანობა და რაღაც უნდობლობაზე ლაპარაკი. თუ საქმე ისევ ზალიკოს გამგზავრებაშია და იმის გამოაშკარავებაში, ვიმეორებ, ჩვენი კონსპირატულობის დარღვევა საჭირო არ არის და სხვა...

— ახლახან ჩამოსული, ემისარი რას მოითხოვს ჩვენგან? როგორი დავალება ჩამოგიტანათ? — კატეგორიული მოთხოვნის ტონით განაცხადა აბესალომმა და ფეხზე წამომდგარი ლევანს პირისპირ დაუდგა.

— რომელი ემისარი? — გაოცდა ლევანი, მაგრამ განცვიფრება არ შეიმჩნია და ნაძალადევი ღიმილი სახელდახელოდ წამოიშველა.

— რომელსაც ჩვენ ორივე კარგად ვიცნობთ.

— მაინც? — არ მოეშვა ლევანი იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად მართალი იყო ლომჯარის შენიშვნა ემისარის ჩამოსვლის შესახებ.

— აი. ახლა დავალება რომ გადმოგცათ ორი დღის უკან.

— მე?.. დავალება?

— დიახ! თქვენ და არა სხვა ვინმეს... რა დავალება იყო?

ლევანისთვის ყველაფერი გასაგები შეიქნა.

— საიდან? როგორ? — ფიქრობდა გულში ლევან გიგაური, მაგრამ რაღა დროს ფიქრი იყო...

— არ იტყვი? კეთილი. ერთი ის მიბრძანეთ, ვისთვის აგროვებთ სამხედრო საიდუმლო ცნობებს?

— სამხედრო ცნობებიც?..

— დიახ, სამხედრო, და მეტი ლაპარაკი საჭიროც არ არის, — მოიბრუნა სული აბესალომმა.

— ეგ სიცრუეა... და ყოველ შემთხვევაში არამზადობას უდრის იქ ცხვირის ჩარგვა, სადაც არ გეკითხებიან...

— ზოგჯერ უხეირო სტუმრობაც აუცილებელია, — გადაუკრა სიტყვა აბესალომმა.

— აუცილებელი არა, მაგრამ არასასიამოვნო ყოველთვის.

— ნება მომეცით უკანასკნელად გკითხოთ ლევან გიგაურო, სანამდე აპირებთ ასე მუშაობას? ნუთუ საჭირო არ არის ერთხელ მაინც გადავათვალიეროთ ჩვენი წარსული მუშაობა და მომავალ საქმიანობას სათანადო დასკვნა გავუკეთოთ. ბოლოს და ბოლოს მე ამას მოვითხოვ, როგორც ერთ-ერთი აქტიური მომუშავე, დღემდე მაინც, და თუ თქვენ კიდევ განზე გადგომით უპასუხებთ ჩემს კანონიერ მოთხოვნას, თუ თქვენ ჩემს გარეშე — განაგრძობთ კიდევ შეუთანხმებელ საქმიანობას, — მაშინ ნურას უკაცრავად, თუ დასკვნა ცალკეულად გავაკეთოთ ზოგიერთებმა და მომავალი მუშაობის გზები თვითონვე დავსახოთ დამოუკიდებლად.

— გადავხედოთ, აბესალომ, გადავხედოთ! ვინ არის მაგის წინააღმდეგი. — იცრუა განგებ ლევანმა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა აბესალომსაც.

— გადავხედოთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ პრაქტიკულ საქმიანობაზე ხელი ავიღოთ და ამუშავებული ძლივს-ძლივობით ამოქმედებული აპარატი დავაყენოთ.

— თუ აქაც არ ცრუობთ, დანიშნეთ, ვადა. როდის ან სად?

— ვადა რა საჭიროა. როგორც კი მოსახერხებელი გახდება...

— მოსახერხებელი...

— მაშ, შე დალოცვილო, ხვალ ხომ არ მოვიწვევ ყრილობას და არ დავაყენებთ საკითხს მუშაობის გადასინჯვის შესახებ! — დაცინვით დაასკვნა ლევანმა.

— თუ ერთ თვეზე მეტს გაგრძელდება კიდევ ასეთი მდგომარეობა ჩემი გზით ვიმოქმედებ. აი ეს არის ჩემი უკანასკნელი გაფრთხილება.

ყველამ ერთმანეთს გადახედა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში.

ისევ მოწყენილობამ დაისადგურა.

ფიქრში წასული ლომჯარი და ლევან გიგაური კი ერთმანეთს ზომავდენ მომავალ მოსალოდნელ შეტაკებებში და თავის გულში ორივე ითვალისწინებდა ცალ-ცალკე თავდასხმის გეგმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII

რადიოს სისწრაფით გავრცელდა სამშენში ფაბრიკის გამოკვლევის შედეგები...

ბევრი დაამგლოვიარა მავნებელთა ბუნაგზე მოულოდნელმა თავდასხმამ.

ბევრი სიხარულით ცერებზე დააყენა.

პოლოსოვი სერიოზულად ჩაუკვირდა აქტებს და საერთოდ კრებაზე გამოსული ორატორების სამართლიან იქვიანობას პოლოსოვის მისამართით; დაფიქრდა მელიქოვისადმი გადაჭარბებულ ნათესაურ გამოქომაგებაზე... და...

„ნათესაური" გამოქომაგება ეს ისე, შინაურულად...

თორემ...

ბევრმა არც კი იცის, თუ მელიქოვი პოლოსოვის სიძეა და ახლო მეგობარი.

სიძე და ახლო მეგობარი.

რას იზამთ?

მეგობრობა განსაზღვრულ დროსა და პირობებში ჰო, მაგრამ...

როცა ამ მეგობრობას თვით პოლოსოვის პირადი საქმე და მისი მომავალი კარიერაც უნდა შეეწიროს, მაშინ...

პოლოსოვი როდი გაჰყვება ამ გზას!

ასე ფიქრობდა პოლოსოვი მთელი ერთი კვირის განმავლობაში გამოკვლევის ჩატარების შემდეგ.

და ბოლოს.

— შეიძლება? — მორცხვად შეაღო გიგაურის კაბინეთში კარი პოლოსვმა და საქმეში გართულ დირექტორს მდაბლად მიესალმა.

— დაბრძანდით! — მოიპატიჟა გიგაურმა თავისი მოადგილე ოფიციალური ზრდილობით და თავი ისე დაიჭირა, რომ პოლოსოვს უსიტყვოდ ეგრძნო: „მზად ვარ გისმინოთ".

— ამხ. გრიგოლ! — გაუბედავი ტონით დაიწყო პოლოსოვმა — ვწუხვარ ჩემს წარსულ შეცდომებზე, ჩემს უთავბოლობასა და ამ უთავბოლობით თუ უცოდინარობით გამოწვეულ არასასიამოვნო შედეგებზე; არასასიამოვნო შედეგები, რომელიც, ცხადია, ჩემს გატალახიანებასთან ერთად ჩირქს მოსცხებს ჩვენი ტრესტის წვითა დადაგვით მოპოებულ ავტორიტეტს, არ შეიძლება არ მაფიქრებდეს, და ჩემი დღევანდელი თქვენთან ამ თემაზე საუბარი სწორედ ამ საკითხის ჩემ მიერ იმთავითვე არასწორი დაყენების გამო-გამოწვეული გაუგებრობის ოდნავ შესუსტებას უნდა შეეწიროს.

— გისმენთ! — გულგრილად განაცხადა გიგაურმა.

— საქმე ისაა, ამხ. გრიგოლ, რომ ჩემს მელიქოვისადმი უსაფუძვლო გამოსარჩლებას სარჩულად ედო ჩვენი ნათესაური ურთიერთდამოკიდებულება, როგორც მოგეხსენებათ, მელიქოვი ჩემი სიძეა და ამ ნიადაგზე ერთგვარი მეგობრული განწყობილებაც კი გვქონდა ერთმანეთთან...

დღეს როგორც ჩანს, მელიქოვის მოქმედებას აშკარა მავნებლობისა და ერთგვარი კონტრრევოლიუციონური „საქმიანობის" სუნი უდის, ასე რომ ჩემი მისდამი ნათესაური გრძნობით გამოსარჩლების საკითხი აშკარა პოლიტიკური ხასიათის დანაშაულის სახეს იღებს და თავის ტრაგიკულ დასასრულს უახლოვდება...

— ეს ასე არის, სამწუხაროდ...—დაუდასტურა ცივად გიგაურმა...

— დიახ! საქმე იმზომ გართულებულია და ჩემი შეცდომა, უეჭველად პოლიტიკური შეცდომა, ისე ღრმა და სერიოზულია, რომ მე ოდნავაც არ ვფიქრობ მის თავიდან გადაძრობას, მაგრამ საქმის შინაარსის უფრო ნათელსაყოფად, ჩემი მელიქოვისადმი დამოკიდებულების გასაშუქებლად მიზნად მაქვს დავწერო შესაფერი ახსნა-განმარტება... მე ამ განცხადებით ოდნავ არ მსურს თავი ვიმართლო ორგანიზაციების წინაშე, მაგრამ ამ განცხადებას არ შეუძლია ერთგვარი სინათლე არ შეიტანოს ჩემი და მელიქოვის ურთიერთ დამოკიდებულების საქმეში...

— კარგი, დაწერეთ და... ჩამოაყალიბეთ თქვენი ინჟინერ მელიქოვისადმი დამოკიდებულება, როგორც წარსულში, ე. ი. მელიქოვის დაპატიმრებამდე, ისე აწმყოსა და მომავალშიაც.

განცხადება მიიტანეთ საკონტროლო კომისიაში, ამხ. ქერქაძესთან, მან იცის ფაბრიკელთა საქმე... ასე რომ თქვენი განცხადება იმ საერთო საქმეს დაერთვება...

საქმე ალბად ჩქარა გაირჩევა და... მაშინ იქ უფრო საფუძვლიანად მოვილაპარაკებთ... მე მგონი ასე აჯობებს... რას იტყვით?..

— მეც ასე ვფიქრობ.

პოლოსოვი წამოდგა, უაზროდ რამდენჯერმა შემოტრიალდა ერთსა და იმავე ადგილას, წყნარად ჩაახველა და კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ისევ დუმილი არჩია.

— ვეცდები საქმე დააჩქარონ, — გაუმეორა პოლოსოვს დირექტორმა და ქაღალდებს დაუწყო თვალიერება.

პოლოსოვი დაფიქრებული გამოვიდა გარეთ გიგაურის კაბინეთიდან საქმეთამმართველს სუფთა ქაღალდები სთხოვა, კაბინეთი

ჩაიკეტა და საკონტროლო კომისიის მისამართით განცხადების წერას შეუდგა...

XIX

იზრდებოდა დღეები მაისის ღამეებთან ბრძოლაში და მშრალ დედამიწას ხანგრძლივად ეხურა ზღვასავით ლურჯი ცა.

მუდმივად ქროდა ზენაქარი...

მზე აჭერდა სახურავებს.

ხანდახან ჭექაქუხილი ასკდებოდა მაღალ მეხთამრიდებს...

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მზე ისევ ბრჭყვიალებდა გარეცხილ სახურავებზე.

ქუჩებში იდგა მტვერით გაჟღენთილი მძიმე სუნი და პირდაბანილი ალვისხეები მთვრალებივით ირხეოდენ ჰაერის ყოველ მოძრაობაზე.

გუგუნებდა, გრგვინავდა მოძრაობით დატვირთული ქუჩები და რადიო-სადგურები ბოდავდენ ახალ-ახალ ცნობებს. ცნობებს ნამდვილსა თუ მოჭორილს, დასავლეთ კვარტალებში:

„პოლონეთის ხელისუფლებამ ნება დართო ქართველ ემიგრანტებს პოლონეთის მიწაწყალზე ედღესასწაულათ საქართველოს „დამოუკიდებლობის“ რ ო მ ე ლ ი ღ ა ც წლისთავი“.

„მექსიკაში მოხდა ზანგების აჯანყება“.

„გუვერმა ინახულა (და სადილი გაუმართა) ომის ინვალიდებს“.

„პან პილსუცკი საზაფხულო შვებულებას რუმინეთში გაატარებს“.

„ინგლისის საქმიანი წრეები ფიქრობენ: ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის უახლოეს დროში აღდგენას“.

ერთი სიტყვით:

ცნობები და ჭორები არ იძლეოდენ ერთ წუთ მოსვენებას.

ჟურნალ-გაზეთებში, კლუბებში, ბაღებში, ქუჩებში, ქუჩის მოსახვევებში და საკუთარ ბინებშიც კი ყველგან ხმაურობა, ყველგან მოძრაობა და რადიოხრიალი.

ლუარასაც გამოეღვიძა დილის ხმაურსა და ღრიანცელზე.

ტუმბოზე დაწყობილი დილის გაზეთები გადაათვალიერა.

წამოდგა.

ხალათი გადაიცვა და მაღალი სარკის წინ თმების სწორებით რამდენჯერმე შემოტრიალდა...

ფარდები გადასწია, აივანზე მჯდომი ლევანი დაინახა და გაზეთით ხელში მისკენ გაემართა.

— ლევან!

ჩვეულებრივი თავაზიანობით მიმართა ლუარამ თავის მაზლ ლევანს და საწოლი ოთახიდან თვალების ფშვნეტითა და ზმორებით გარედ გამოვიდა.

ლევანი რაღაც ფიქრებს მისცემოდა.

— რას იტყვი დამოუკიდებლობის შესახებ გამართულ დემონსტრაციაზე?

— სად? — მოუთმენლად იკითხა ლევანმა და თავისი უსაზღვრო მღელვარება ვეღარ შეიკავა, ისე უაზროდ დაიძრა ადგილიდან.

— პოლონეთში... პოლონეთის მიწაწყალზე.

ლუარამ ჯერ კიდევ საღებავშეუშრობი გაზეთი გადასცა ლევანს და თვითონ კი მოთენთილი მოძრაობითა და ზანტი ზმორებით (ამავე დროს ტანის გრაციოზული რხევით), სწორედ ისე, როგორც ყველა დედაკაცი გეჩვენებათ მოთენთილი და სასომიხდილი ვნებით გატეხილი ღამეებს შემდეგ, ოთახში დაბრუნდა და, როგორც ჩვეულება ჰქონდა, ტუალეტს მიუჯდა.

ლუარა დიდხანს იჯდა ტუალეტის წინ...

დიდხანს ელოლიავებოდა საკუთარ ორეულს...

მაგრამ...

— დედიკო, ნახვამდე! — შემოიტიტინა ოთახში გურამმა და ლუარას ყელზე ჩამოეკიდა...

ლუარამ მხურვალე გრძნობით დაუკოცნა შუბლი გურამს და...

— ფანია! ფრთხილად წაიყვანე გურამი... გზაში არაფერი შეემთხვეს...

ლუარა მოიღრუბლა...

გურამი ტიტინით გაშორდა დედის ოთახს და ფანიასთან ხელიხელ ჩაკიდებული ეზოში გავიდა...

გრიგოლის დაჟინებითი მოთხოვნით ლუარა დათანხმდა გურამის დღისით საბავშო სახლში გაბარებაზე და ეს ორი დღეა რაც გურამი ყოველ დილაობით ფანიასთან ერთად საბავშო სახლისაკენ მიბტუნაობდა...

— ჩემი გურამი! ჩემი ბიჭიკო! — ნაღვლიანად ამოიოხრა ლუარამ და სასტუმროში გამოვიდა...

— რა გამაძლებინებს ოთხ საათამდე?.. ღმერთო! ეს რა მიყო გრიგოლმა!?..

ლუარას უმძიმდა გურამის მთელი დღით მოცილება...

უმძიმდა სახლში მარტოდ-მარტო ყოფნა...

აღარც წიგნები ართობდა მას, აღარც უზრუნველი ცხოვრება, აღარც...

ლუარა მთელი დღე სულით ავადმყოფსავით დაბორიალობდა ოთახიდან-ოთახში და გურამის სათამაშოებში პოულობდა ოდნავ მოსვენებას...

აუტანელი შეიქნა მისთვის გურამის საბავშო სახლში გაბარება, მაგრამ... არჩევანის დროს ლუარა გურამის გაბარებას ადვილად დათანხმდა.

გრიგოლის ნებისყოფას ლუარა აღარ დაუპირისპირდა...

დასთმოს გურამი და...

სამაგიეროდ...

თვითონ დამწუხრდა და დანაღვლიანდა...

როიალთან მისვლაც შესძულდა ლუარას...

წიგნები ახლოსაც აღარ გაიკარა...

სასომიხდილი სავარძელში ჩაეფლა და ფიქრებში გადაიკარგა...

ლევანმა საჩქაროდ წაიკითხა მოკლე, მაგრამ მისთვის განუსაზღვრელი მნიშვნელობის რადიო-დეპეშა და გაზეთი არც კი დაუკეცია, ისე შევიდა თავის ოთახში...

მან საჩქაროდ გახსნა ტყავის ჩემოდანი და კანშემოცრეცილ დღიურის რვეულში რაღაც ხელნაწერს დააკვირდა.

ის ფიქრებში გაერთო...

ჩემოდანი დაკეტა და გასაღები ვერცხლის ქამრის ბალთაში შეინახა... სავარძლის ძგიდეზე ჩამოჯდა და საწერ მაგიდაზე წამომდგარ ნაპოლეონის ქანდაკებას თვალში შეატყდა.

შუბლშეკრული ნაპოლეონი სადღაც შორს, იყურებოდა...

„პარიზი", „სენას ნაპირები". — ფიქრობდა ლევანი და საფრანგეთის გენია — ნაპოლეონიც ალბათ ამასვე იმეორებდა გაყინულ გულში. „პარიზი, ვატერლო, ბოროდინო, მოსკოვი, — აუსტერლიცი... პარიზი საიდანაც დაიწყო ნაპოლეონის წინსვლა-აღმაფრენა და პარიზი, რომელმაც სასტიკი განაჩენი გამოუტანა საფრანგეთის ტახტზე მირონცხებულ ბონაპარტს...

პარიზი, საიდანაც იწყება ბევრთა გაქანება და პარიზი, სადაც ობდება და შმორის სუნი უდის ბევრთა ფუჭ ოცნებას...

პარიზი ხომ ყველა „გაქცეულის" თავშესაფარია?..

ყოველი ჯურის ბედის მაძიებელთა ღამის გასათევი!...

ლევანმაც კი პარიზიდან დაიწყო...

თუმცა, რა დაიწყო, ან რისთვის დაიწყო, — თვითონაც უჭირდა გადაჭრილი პასუხის გაცემა, მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო კი...
დაიწყო და საქართველოსაც ესტუმრა...
ესტუმრა საიდუმლო, საგანგებო დავალებებით...
უახლოესი ინსტრუქციებით...
აქ კი....
ლევანმა გააკეთა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა...
გააბა კავშირი...
გაიჩინა თანამშრომლები...
შეძვრა სააღმშენებლო საქმეების საიდუმლო ნაწილებში...
მაგრამ...
— მელიქოვის ჩავარდნა... მთელი ჩემი გეგმის ჩავარდნაა...
მელიქოვის დაღუპვა....
აგერ, თამაზიც მოვიდა ლევანთან წიგნებით ხელში...
და ორი განუყრელი მეგობარი საითკენღაც აჩქარდა...

ლუარამ არაფერი კითხა მიმავალ ლევანს და ხმამაღალ ზმორებას ამოაყოლა გურამის შინ არ ყოფნით მოწოლილი სევდა და დარდი...

ღია ფანჯრებიდან მოსჩანდა შეეერცხლული აკაციები. დღეს დილით ხარობდა ყოველი უსულგულოც კი და ირაოზე გამოსული ჰაეროპლანები მოხდენილად დასრიალებდენ მოკრიალებულ ჰაერში.

მეზობლის ბინიდან ისმოდა როიალზე მოვარჯიშე თითების ნერვების ამშლელი ჯაჯგუნი, ისეთი ტლანქი და მუსიკალურ გემოვნებას დაშორებული, რომ გეგონებოდათ, ეს არის რკინის ხიდზე საბარგო მატარებელმა გადაიარაო...

დაწინაურებული პასუხისმგებელი მომუშავის ცოლი სწავლობდა როიალზე დაკვრას, მაგრამ ხანში შესულს მუსიკალური ხელოვნების თვისებისათვის უკვე დროგადასულს, აღარც ტლანქი თითები ემორჩილებოდა და იმ თავითვე გაველურებულ მუსიკალურ სმენას ნოტებიც აღარას შველოდა...

XX

ორი დღის შემდეგ ხელახლა გამოუძახეს მელიქოვს გამომძიებელთან.

— მობრძანდით! — ციცი და მბრძანებელი კილოთი მიმართა მას საოპერაციო ნაწილის უფროსმა, პოლიტსამმართველოს მთავარგამომძიებელმა ერგემლიძემ. — თქვენა ხართ მელიქოვი?

მელიქოვს ენა გაუშრა...

ახალი გამომძიებლის დანახვაზე ისევ აირია და გაზეპირებული კითხვა-პასუხები გადაავიწყდა...

— აქ, როგორც ვხედავ, ჩემი არ გასჭრის, — გაიტარა გულში მელიქოვმა და აზრი შეიცვალა ჩვენების მიცემის შესახებ...

— დაჯექით!

მელიქოვი უსიტყვოდ დაჯდა... თითქოს ფეხები მოამტვრიესო, ისე მოწყვეტილად ჩაიკეცა სავარძელში...

— მაშ თქვენ ინჟინერ-ელექტრიკი ხართ... შეთავსებით გიმუშავნიათ სამთომადნო საქმეებზედაც... ყოფილხართ საზღვარგარეთ მეცნიერულ მივლინებაში... — ჩაიკითხა ოქმი ერგემლიძემ ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მელიქოვს მრისხანედ მიუბრუნდა...

— ცრუობა აღარ გაბედოთ, თორემ... ხომ იცით?!. — წინასწარ გააფრთხილა მელიქოვი გამომძიებელმა. მიპასუხეთ: ვინ გაგაგზავნათ საზღვარგარეთ მივლინებაში?

მელიქოვი აიმღვრა... სიტყვა შეეკრა და...

— მე გეკითხებით... პასუხის შეყოვნება საკითხის გვერდის ავლას უდრის!

— ნეტა რად იჩენს მთავარი გამომძიებელი ასეთ სისასტიკეს? — დაფიქრდა მელიქოვი...

— მაშ არ იძლევით პასუხს, არა?

— ჩ-ჩე-მი სიმამრის მიერ... — დაიბლუკუნა მელიქოვმა.

— მრეწველი მანთაშევის, არა?

მელიქოვის გაკვირვებას საზღვარი აღარ ჰქონდა...

— დიახ, მანთაშევის... — წათამამდა უფრო მელიქოვი და გადასწყვიტა ყოველ შეკითხვაზე სწორი და ამომწურავი პასუხი მიეცა...

— სულ ერთია, სიცრუე არ გასჭრის და ბარემ... — დააბოლოვა ფიქრი მელიქოვმა.

— რა დამოკიდებულება გქონდათ თქვენ სიმამრთან?...

მელიქოვი შეყოყმანდა... ამ წუთში მიღებულ გარდაწყვეტილებას „ყველაფერზე პირდაპირ ეპასუხნა" გვერდი აუხვია...

— ისე... მეგობრული... დაღეჭა სიტყვა მელიქოვმა და ოფლი მოიწმინდა.

— ნივთიერი? სამრეწველო ხასიათის?..

— ა-არაფერი... არაფერი!

ერგემლიძემ რაღაც წიგნაკი ამოიღო უჯრიდან და გადაშლილი მელიქოვს წინ დაუდო:

„ნავთის მრეწველნი:

ა. ვ. მ ა ნ თ ა შ ე ვ ი, ტ. ტ. მ ე ლ ი ქ ო ვ ი დ ა კ-ო
ბაქო, სავაჭროს ქუჩა, № 13“

— რას იტყვით?...

— ფაქტი თავის თავზე ნათლად ლაპარაკობს...

— მაშ თქვენ ნავთის მრეწველი ხართ... და...ინჟინერ-ელექტრიკიც, — დასცინა ერგემლიძემ მელიქოვს შეუმჩნეველად...

— ჩემი ინჟინრობის შესახებ ოფიციალური დიპლომი უფრო მეტს იტყვის, — მოსჭრა მელიქოვმა შეუმჩნეველ დაცინვის საპასუხოდ.

— იღებდით თუ არა მონაწილეობას მუშათა მოძრაობის ჩახშობაში?...

— ვიღებდი, — წათამამდა მელიქოვი.

— რით?

— ვეხმარებოდი მთავრობას ფულით...

— რევოლუციის შემდეგ?

— შემდეგაც...

— ისევ ფულით თუ?...

— ფულითაც და ჩემი პირადი აქტიური მუშაობითაც...

— აჰა. მაშ, თქვენ საზღვარგარელი ემიგრაციის შესახებ გვეტყვით რამეს?

— მავნებელთა კომიტეტის ერთი აქტიური წევრთაგანი დგას თქვენს წინაშე...

მელიქოვს თვითონ აკვირვებდა თავისი ასეთი გამბედავი ტონი, მაგრამ... როცა ყველაფერი გამორკვეული იყო და შესწავლილი, მელიქოვის ჯიუტობა რაღას გააწყობდა?... ამიტომ...

— როდის ჩამოდით საბჭოთა კავშირში საზღვარგარეთიდან?

— 1924 წლის დასაწყისში.

— პირველად თქვენ მოეწყვეთ სარატოვის რომელიღაც ქარხანაში, არა?

— მართალია!

— შემდეგ?

— შემდეგ ბაქოში... იქიდან ქუთაისში... ქუთაისიდან კი საქსოვ ფაბრიკაში, ტფილისში.

— თქვენი მიზანი საქსოვ-ფაბრიკაში?

— საქმის დაყოვნება... ფაბრიკის ყალბად აშენება და ყოველ-

გვარი არათვალსაჩინო მავნებლობა, ზიანს მიაყენებდა საბჭოთა აღმშენებლობას.

— მაშ თქვენ შეგნებულად მოქმედობდით?

— შეგნებულად.

— დღეს რას ფიქრობთ?

— რომ მოვახერხებდე, კიდევ ერთ რომელიმე დიდ ქარხანას ძირს გამოუთხრიდი...

— მიზანი?

— ხელისუფლების დამხობა იქნებოდა, ცხადია...

— ხალხი... მოსახლეობა?

— ბრძოლა მსხვერპლს რომ არ უნდა ერიდებოდეს, ეს თქვენგან ვისწავლეთ ჩვენც... ასე რომ ხალხი...

მელიქოვმა ხელები შეათამაშა ჰაერში...

— კი, მაგრამ... ის მითხარით, ფაბრიკის მანქანათდადგმულობის საძირკველის გაბზარვაში ურევია თუ არა თქვენი ხელი?

ერთი წელიწადი ვიბრძოდი ყოველგვარი საშუალებით, რომ ყალბი პროექტი დამემტკიცებია... დანარჩენი ვგონებ გასაგებია...

ელზარი აწკრიალდა...

ოთახში შემოვიდა მცველი...

— დილეგში! — იყო განკარგულება...

მელიქოვს ფეხებზე ბორკილი დაადვეს.

— უუხ! რა ვიწროა ეს მუდრეგი?! — გაიფიქრა გულში მელიქოვმა და ღღევანდელი „რაინდული" ჩვენების მიცემის შემდეგ ტკბილად ჩაეძინა...

პოლიტსამმართველოს კოლეგიამ მოისმინა ამხ. მიშა ერგემლიძის მოხსენება მავნებელ მელიქოვის საქმის შესახებ და მასალები გადაუგზავნა რესპუბლიკის პროკურორს და უზენაეს სასამართლოს საჩვენებელ პროცესის ჩასატარებლად მუშათა რაიონებში...

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

პ. მ. საყვარელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღენი და წლები

წიგნი პირველი

I

ჩვენი სახლი სერზე სდგას.

სამი კედარო ხისა აქვს, ერთი „სანიავოსაკენ" — ქვიტკირის.

— ჭკუა დაატანა იმ კაცმა, თორემ უსათუოთ ამოვწყდებოდით; დასავლეთის თელხი ქარი რომ ამოვადება, იმას ეს ჩვენი სახლის კედელი ვერ შეიმაგრებდაო — იტყვის ხოლმე დედა-ჩემი.

— მაინც ამ ოხერ სახლში რომ სითბო არ მოიცდის, მუდამ გამოულევლათ უნდა გენთოს ცეცხლი, ამბობს მამა-ჩემი.

ჩვენ ერთი „ჩუგუნის ფეჩი" გვაქვს. ოთხკუთხია, მოგძო, მაღალ ფეხებზე შედგმული.

ფანჯარასთან გვიდგია.

ბავშები წიწილებივით ვართ შემოხურხლული მის გარშემო.

ბავშები ბევრი ვართ; ფეჩის გარშემო ადგილი კი არც ისე ბევრია.

დიდი ოსტატობა და სიმარჯვეა საჭირო, რომ დილიდანვე უკეთესი ადგილი ჩაიგდო ხელში.

მამა-ჩემი ფეჩის კარებთან ზის.

გვერდზე შეშა უწყვია და ნელ-ნელა ურთავს, როცა გამოელევა სითბო.

— ბევრი მყავხართ, მაგრამ რა ხეირია თქვენში. ერთი რომ წაიქცეს, მეორე ვერ ააყენებს. ისევ მამა-თქვენზე ილოცეთ ღმერთი, იქნება იმას არაფერი გაუჭირდეს, თორემ ისე ამოვწყდებით, რომ კაკალი ადამიანი ჩვენი შემხედვარე არ იქნება, პუტუნობს დედა-ჩემი.

იმის დაჯდომა და დასვენება არ იქნება.

დილიდან ტრიალობს კედელ-ყურეში.

— გოგო, გ ო გ ო, შე გაჩენა დამწვარო, შენხელა ქალიშვილი სხვისას თავისათ მარტო მოუვლის მთელს ოჯახს. რა გიჭირს, ერთ-

ხელ რომ მაინც შეეფარო საწყალ დედაშენს. ამას ჩემი უფროსი დის გასაგონათ ლაპარაკობს, მაგრამ ის ჩუმათ ზის ხმას არ იღებს და დედას სიტყვებს ყურს არ უგდებს.

— შენ გელაპარაკება, ვერ გაიგონე? დადგომია მას თავზე ჩემი საშვალო ძმა. ადექი, გააგონე რაცხა უნდა, დედას არ უნდა მოეხმარო?

— შენ არავინ გკითხავს მის მოხმარებას.

— ადი ზევით, რომ გეუბნებიან!

— შენთვის გაჩერდი, თორემ მე ვიცი, წაგიბინიკო მაგ კოკორახში.

— მამა, კიკოლა არ მაყენებს, უთხარი რამე!

ქრიშობისთვის მარხვა მიწურულშია.

რამოდენიმე დღის შემდეგ შობა გათენდება.

ხვალ, თუ არა ზეგ დილაზე მამა-ჩემმა ის ბურაკი უნდა დაკლას, სასუქათ რომ ჰყავს დედას ბოსელში დამწყვდეული.

მოველით ამ დღეს, ამ სანახაობას.

ყველაფერზე უფრო სწორეთ ამ ბურაკის დაკვლას შევხარით.

დედა გარეთ არის, ეზოში რაღაც საქმის მოსარილებლათ წავიდა.

მამა-ჩემი დუქნისაკენ გაუდგა.

— შუადღე როგორც მოატანს, უსათუოთ იმ დუქნებისაკენ, თუ არ წავიდა სული ამოუვა, მიაყოლებს ხოლმე დედაჩემი.

— ვაი, შენ ამოგივიდა სული, მე დუქნებში არ მიმეჩქარებოდეს. დაბარებული ვარ მოწმეთ სუდში. მიწის თაობაზე საჩივარი აქვს აბაშიძეებსა და გეწაძეებს. აღარ გახსოვს, ამასწინათ არ ჩამაბარეს უწყება.

— ქე კი ვეღარ გათავდა მაგ უწყების ჩაბარების შემდეგ სუდში სიარული. მერე ახლა, რაღა დროის სუდი და სამართალია, შობა კარზეა მომდგარი.

— იჰ, ნეტავი უთავბოლო ლაპარაკი არ იცოდე? რა გესმის, რა გაგეგება შენ მაგისთანა საქმეებში. ის გირჩევნია, ბავშებს ყური უგდო, შეშა შემოტანილია, საღამომდე გეყოფათ. სულ ერთბაშათ ნუკი შეაყრით შიგ.

— რავა, თვარამ-და შენ საღამომდე აღარ აპირობ სახლში შეიმოხედვას?

— შენ ის გეიგონე, რაც გითხარი, სხვას შენ არავინ გეკითხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა-ჩემი წავიდა.

მარტო დავრჩით სახლში.

მე ყველაზე უფროსი ვარ ბავშებში.

ჩემ უმცროს ძმებს ჩემი კიდეც ეშინიათ, თუ რომ არ გამაგონა რომელიმემ, წავუტყაპუნებ ხოლმე კისერში.

საქმე მორევაშია!

მამა-ჩემი ბავშებს ყველას გვერევა და ყველას გვირტყამს.

მისი ყველას გვეშინია.

მხოლოდ ჩემი დაა განებივრებული. იმას ამაღლებულათ სიტყვას ვერავინ გააგონებს.

და ერთი გვყავს, ძმები სამი ვართ ვალიკო, კიკოლა და მე.

ჩვენი დამოკიდებულება ერთმანეთში ასეთია: კიკოლა და ვალიკო ერთი-მეორის მომტანოები არიან. მათ ერთმანეთში კარგი მეგობრობა აქვთ.

ჩემი და თინა ჩემი მომტანოა, მაგრამ ვერ გვაქვს ჩვენ ერთმანეთში დიდი სიამტკბილობა. ის გრძნობს თავის განსაკუთრებულს მდგომარეობას. ვაგლახათ როდი კადრულობს ბავშებში გარევას.

მე და ჩემი უმცროსი ძმებიც ვერ ვართ ერთმანეთში მეგობრულად: რტყმევა და მეგობრობა, სად გაგონილა?

— ბოვშებო, იცით, რა გითხრათ, ვეუბნები მე ბავშებს, დედა-ჩემი მელანასთან გადავიდა — მელანა ჩვენი მეზობელია — მამა საღამომდი არ მოვა. წამოდი წავიდეთ ეზოში, ვითოვლათ!

ეს მეორე დღეა თოვს.

გადათეთრებულია არე-მარე. სანახევროთ თითქმის დამალულია ეზოში და ორლობეებში გალესილი ტალახის მორევი.

— ჰო, აგრე ქენით, აგრე. მოვიდეს საღამოზე მამა, ყველაფერს ვეტყვი, ცხარობს თინა.

— კი, მაგრამ შენ, ვინ გამოგაწვია მთქმელად და მახარობლად შეუტია ვალიკომ.

— ის მე ვიცი, ვილაცამ გამომაწვია, იმასაც ვეტყვი, რომ შენ ბეიტყუილე ბოვშები. ეს ჩემი დის ოინები მე კარგათ მაქვს გამოცდილი.

ვიცი, მართლაც ეტყვის და მწარეთ დამახევს ყურებს მამა-ჩემი.

სჯობს ისევ დაუტკბე, თორემ მასთან გულდიდობა არ გამიკა.

— თინიკო, არა გრცხვენია, გოგო? შენ რა დაგაკლდება, რომ ჩვენ პატარა წავითამაშოთ ეზოში? ეზოს გადაღმა არ გადავალთ. შენ

აგერ დადექი ფეჩის გვერდით აკოშკიდან ქე დაგვინახავ: არც შეგ-ცივდება, არც არაფერი...

— შენ აგრე იცი ყოველთვის, როგორც დამიმარტვახელებთ თუ არა, მაშინვე გარეთ გაცვინდებით და მიმატოვებთ მე მარტო კაკალას.

ბოლოს, როგორც იქნა მოვრიგდით.

მე ახალი ნაყიდი წუღები მაცვია: წყალი არ შედის შიგ, ამი-ტომ საგულდაგულოთ სადაც ჭენჭყოსა და ტალახს შევაგულებ, იქით-კენ მივეშურები. რა მენაღვლება, წყალი, მაინც არ შევა. ვალიკოს წუღები გვარიანათ შელანძღული აქვს. სანამ გარეთ გამოვიდოდეს, ტყავის ტყლაპს გაუგდებს ხოლმე შიგნიდან იმ ადგილის სისწორეზე, სადაც კარგი აბაზიანის სიმრგვალეზე არის გამოხვრეტილი მისი წუ-ღის ძირი.

კიკოლას წუღები მთლათ აღარ აქვს.

მიაბარეს ხარაზს „ზაკაზათ", მაგრამ ჯერ არ დაუმზადებიათ. ის დიდი გულის ფანცქალით მოელის ახალი წუღების მიღებასა და ჩაცმას. მაგრამ სადღეისოთ მას სულ არაფერი აცვია ფეხზე.

— მე რომ არაფერი მაცვია ფეხზე? გულდაწყვეტილი მოგვდევს კიკოლა.

— მეიცა, მე გასწავლი. შკაფში დედა-ჩემის კალოშები აწყვია, ის ჩეიცვი, მაგრამ არ გაგიწყრეს ღმერთი, არ შემოგესწროს, თვარა იმდენი მოგხვდება, როგორც რუსის დარაბანდს, — ურჩევს თინა.

— გოგო, თინია, რაღაი სიკეთე ჰქენი, ნუკილა დამამწარებ. შენ დადექი ბალკონზე და როგორც გამოადგას ღობეზე დედა-ჩემმა ფეხი, მაშინვე მანიშნე, ეხვეწება კიკოლა.

— ბოვშებო, იცით, რა ვქნათ? — წევიდეთ და ჩვენი ბურაკი გამოუშვათ; სულ-ერთია ხვალ, თუ ზეგ მისი ასასრული დამდგარია, გეიაროს ერთი ეზოში, რა გვენაღვლება?

ეს ჩემი წინადადებაა!

— კი არ გვენაღვლება, მაგრამ, რომ გეიქცეს, შენ გამოეკი-დები? მაგ კი არა მე ცოცხს მოვიტან, თქვენ ნიჩაბი მოიტანეთ და ერთი თოვლის კაცი გავაკეთოთ. კიკოლიას წინადადება ჩემზე უკე-თესი გამოდგა.

შეუდექი თოვლის კაცის კეთებას.

ბახურებულ მუშაობაში, რომ ვიყავით, უცბათ და სრულებით მოულოდნელათ წამოგვადგა თავზე დედა.

— თქვე ჩემი ცოდვით სავსე ეს რა გიქნიათ? მოგვატატანა მან ღობიდანვე. ჩვენ ყველამ მივატოვეთ იქაურობა და მოვკურცხლეთ სახლისაკენ.

— თინიკო, გოგო, შენი ჭირიმე, ეს კალოშები გადამალე სადმე, შენ გენაცვალე, თორემ რალა გადაურჩება დედა-ჩემის ყვირილს?!

— გეიხადე, გეიხადე ჩქარა და აგერ მიაწყვე კუთხეში. მე ჭინჭებს გადავაფარებ თავზე.

შეიქნა ცოდვა-მადლის გაკითხვა.

დედა-ჩემი ჩქარა წაადგა თავზე კალოშებს.

ჩვენ დედის მაინც და მაინც არაფრათ გვეშინია.

ვიცით, რომ თვითონ ვერ გაგვლახავს, მამას კი ის ათასში ერთხელაც არ ეტყვის, არ დაგვასმენს.

— ხვალ კორკოტობა დღეა, იქნება ცოტა პურის მარცვალი იყიდო და მოიტანო; წესის გულისათვის მაინც გააკეთებდა ადამიანი ცოტაოდენს, მიაძახა დედამ მამაჩემს, როდესაც ის ჩვეულებისამებრ კვლავ გაუდგა გზას „სუდში წასასვლელად“.

— კორკოტობა და ჯანდაბა არ მოგიშალა შენ ღმერთმა, სადა მაქვს ეხლა ეს საკორკოტო ფული?

— რა ფული უნდა, ორიოდე მარცვალს იყიდი? ნაკლები ჩაასხი მაგ მუცელში და რაც მოიტოვო, ის ეყოფა მაგის ყიდვას. სულ შენ მუცელზე კი არ უნდა იფიქრო ადამიანმა.

— კარგი, კარგი, ნუ წეიღე თავის ტვინი!

დილიდან დედამ ყველას ჩამოგვირიგა თითო პეშვი პურის მარცვალი სარჩევათ.

საკორკოტო მარცვალის რჩევა ვერ არის მაინცა და მაინც სახალისო საქმე.

მე გული ვერ დავუდევი.

არც სხვებს მოსწონთ ეს საქმე.

ფეჩის გარშემო ვზივართ არცერთს არ გვეხალისება ეს მუშაობა.

ყველა საბაბს ვეძებთ, რომ თავი დავანებოთ. განგებ დავუწყეთ ერთი-მეორეს ჯიკავი. კიკოლამ თეფში გააგდო ხელიდან, მარცვალი დაიბნა.

— აი, მაგრე ბარაქით გეშველა შენ, ბარაქიანა შენ მაგ გაარჩიე. მოიცადე გიყურებ ერთი, როგორ დააღებ ხახას, როცა გავაკეთებ. მეტი შენ არ ჭამე. შენ ის არ გაჭამო, მიაძახა დედამ და ჩამოართვა კიკოლას კორკოტის სარჩევი თეფში.

— ახლა ამას თუ ბლომათ ნიგოზი არ უქენი, არაფრათ არ ივარგებს, ჩაილაპარაკა დედა-ჩემმა, როდესაც, როგორც იყო მოვრჩით რჩევას.

ნიგვზის საყიდლათ მე გამაგზავნეს ბოგვერაძის დუქანში.

ამ დუქანში დასანახავათ არაფერი აწყვია.

მთელ დუქანს იმწემისი დარაბა აქვს დატანებული.

დღე კარი მუდამ ღიაა.

ეს კარი კარს კი არა ჰგავს, წინა კედელი თითქმის მთლად გამოღებულია. ერთ კედაროზე კედელზე მიჭედილია რამოდენიმე სიგძის ფიტონა. აქ აწყვია რამოდენიმე ცარიელი ბოთლი. ცარიელი კოლოფები, ზედ შუა-გულ ალაგას ლურსმანზე ჩამოკიდებულია ჩოხა და ქუდი. წინ ფიტონის გასწვრივ გავლებულია მოაჯირი, ამას დახლს ეძახიან.

დახლსა და ფიტონას შუა სდგას ხან თვითონ ხაზეინი, ხან მისი „პრიკაშჩიკი".

წამოსვლისას დედამ დამაბარა.

— მაინც დაგვიანებულია, დროით არ გვალირსა მამაშენმა ფული; ბარემღა ჩქარა გადაირბინე და, იცოდე, კარგი კაკალი გამოართვი. მძაღე და ჭიანი არ შემოგატყუოს.

— ახლავე მოვალ, დავარწმუნე დედა და მოვკურცხლე დუქნისაკენ.

მივდივარ და ვფიქრობ:

— „კაკალი კაკალია, მაგრამ ერთი ფოჩიანი კამფეტი უნდა ვიყიდო უსათუოთ, რამენაირად უნდა ჩამოვრჩე.

დავითვალე ფული. აბაზი გამოუტანებიათ. გადავითვალე, ცალ ხელში სამი შაური დავიკავე, ცალ ხელში შაურიანი მოვიტოვე.

— მამა-ჩემმა შემოგითვალა სამი შაურის კარგი ნიგვზის კაკალი გამოატანე ამ ბოვშსთქვა.

— რამდენი, ბოშო?

— სამი შაურის კაკალი, გაუმეორე მე ხელმეორეთ.

— ტყვილს ამბობ, სამ შაურისას არ დაგაბარებდენ...

არ მეჭაშნიკა ამგვარი ლაპარაკი, მაგრამ მე მაინც ჩემსას მივაწევი.

— მე რას დავეძებ, ბიძია, სამი შაურის კი არა, მე თუ გინდა სამი კაპიკისას აგიწონი.

მომცა სამი შაურის ნიგოზი.

ამიწონა თეფშებიან სასწორზე. ერთ თეფშზე ცოტა მოზრდილი გირა დადვა, მეორეზე ორი პატარა გირა დააგდო და აქვე დაყარა ნიგოზიც.

მე დახლს დავჩერებივარ.

დახლზე გრძელი ყუთი სძევს, ყუთს თავი შუშაბანდით აქვს გადაკრული.

ამ შუშა-ბანდის ქვეშ აწყვია, მაგრამ რა აწყვია.

ფოჩიანი კამფეტები!!!

მაგრამ ისეთი, რომ მისი დანახვა ერთ რამეთ ღირს.

— წეიღე ბოშო.

აუწია თეფშს თავი, მე დედაჩემის გამოტანებული თავსაფარი გაუშალე ქვეშ, შევკარი.

მინდა წამოვიდე.

მოვდივარ, მაგრამ ფეხები უკან მრჩება.

ერთი ფოჩიანი კამფეტი მაინც უნდა ვიყიდო.

ვიცი, შაურათ ორს თუ არა, ერთს მაინც მომცემს.

მოვდივარ, მაგრამ სულ უკან-უკან ვიხედები.

შუა-გზა გამოვლილი მქონდა, როცა გადავწყვიტე უკან დაბრუნება.

ვფიქრობ:

„— იქნებ, დათიკო პრიკაშიკი იდგეს დახლში, მაშინ მივალ და პირდაპირ კამფეტს ვიყიდი, მეთქი.

ფრთხილად მოვდივარ, შორიდანვე მოვკარი თვალი, რომ იქ ისევ ხაზეინი ზის და ყვინთავს.

ფეხაკრეფით და გაჩქარებით გავიარე იმ დუქნის წინ, თითქოს სხვაგან მიმეჩქარება.

შევედი გვარამიას დუქანში.

კამფეტები ამასაც ჰქონია, მაგრამ ის ოხერი ბოგვერაძის კამფეტი ქე სჯობია ამას. რას ვიზამდი? რაც იყო, ის გამოვართვი და გამოვუდექი გზას.

— ასე წალმა გარონიოს დედა-შვილობის გამჩენმა ღმერთმა, როგორც შენ წალმა შეისმინე დედა-შენის ნათქვამი, შემომეგება დედა-ჩემი კარებში, მაგ იყო რომ შეგეხვეწე, ჭირი მოგჭამე დროით მოდითქვა?!

დარცხვენილი ავიტუზე კარებთან.

დანაშაულად ვგრძნობდი თავს, იხტიბარი წამიხდა. მართლაც, ძალიან დავაგვიანე, ამ წალმა უკუღმა სიარულში ცოტა დრო როდი გასულა.

— რას ატუზულხარ მაგ კარებთან ასასივით? გადმოადგი ლაჯი, მომეცი რაღაცა მოიტანე.

დახედა თუ არა ჩემს ნავაჭრს, მაშინათვე ეცოტავა.

— ბიჭო, ამის მეტი რა უყავი? გზაში ხომ არ დაგებნა?

— რავა დამებნა, დედა-ჩემო? რაც მომცეს, ის მევიტანე.

ამ ლაპარაკზე მამა-ჩემიც წამოგვესწრო.

— მან გადაავლო თვალი ჩემს ნავაჭრს.

— რამდენისაა, ბიჭო, ეს?

— რამდენის იქნება, რაც გამატანეს იმისია, ერთი აბაზის.

— ვისთან იყიდე?

— ბოგვერაძესთან!

— კარგი, მე გევივლი იქ და ვკითხავ და ვაი შენს ტყავს, თუ ტყუილს ამბობ. დაგამწარებ მე მაშინ შობა-ახალ-წელიწადს.

შიშის ქარები მივლის, მაგრამ ვარჩიე, თავის მოკატუნება; აუშვი სტვირი.

— რა გატირებს, თუ არაფერი გიეშმაკია?

— მე?.... ღმერთმანი..... არაფერი, რაც მოშცეს.....

— დაანებე თავი, რა გაწუწუნებს? თუ მართალი ხარ, ვინ რას გეტყვის?

ამ ლაპარაკში კიკოლა თურმე მომბარვია უკანიდან, დაუნახავს ჯიბიდან თავ-ამოყოფილი ფოჩიანი კამფეტი, ამოსწია ნელ-ნელა და გავარდა ისარივით მეორე ოთახში:

მას სხვები დაედევნენ.

შეიქნა ერთი ვაი-უშველებელი.

ჩემი საშველი და გამოსავალი აღარსადაა.

დამიჭირეს პირდაპირ მთხლეზე.

— აი, ბატონო, ჩემი მტყუანი თავი. აი, ეს არის აბაზის კაკალი ვიყიდეო, თუ აბაზის კაკალი იყიდე, ამის საყიდელი ფული ვინ-ღა მოგცა?

სათქმელი აღარაფერი მაქვს. გავშრი, გავჩუმდი; ტირილიც კი ვედარ მოვახერხე.

მართლაც რომ არ ჩამაწარეს შობა.

სიცოცხლე გაქვსთ მე ყურები დამისრისა მამა-ჩემმა.

ბურაკის დაკვლას აღარ დავსწრებივარ.

ერთავათ სახლში ვიჯექი გაბუტული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობა დილას მამა-ჩემი ადრე ადგა.

ცეცხლი დაანთო. შემდეგ დედაც წამოეშველა.

ფეჩის ახლოს დადგეს პატარა სტოლი.

მამამ დოქით ღვინო მოიმარაგა.

ამასობაში, ჩვენც წამოვდექით.

ყველა მხიარულია, მე კი გაჩუმებული და გაბუტული განზე ვდგევარ.

საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ ვიღებ.

— შე უბედურო, სულ არ გეჭამა კამფეტი, ის არ გერჩია, თითქოს სასაცილად მიგდებს; ვინ იცის, იქნებ, კიდევაც ვეცოდები თინიკოს.

— ჩააცივდით ყველა ეხლა მაგ საწყალ ბავშს. რა დაგემართათ? რა მოხდა ამის ფასი. საწყალ დედა-ჩემს გული უწუხს, რომ ასეთ მდგომარეობაში მხედავს.

— არაფერია, ჭკუას ისწავლის, მეორეთ აღარ შეცდება. ამბობს მამა-ჩემი.

კილოზე ეტყობა, რომ ის გულ-მოსული აღარ არის, თითქოს უნდა შემირიგოს, მოფერების სიტყვა მითხრას.

მამა-ჩემს ახირებული ხასიათი აქვს. თუ ფხიზელია, მას ტკბილს სიტყვას ვერ დააცდენიებ პირიდან.

ჩვენი აღდგომა მაშინ გათენდება ხოლმე, როდესაც მას ცოტა ნაღვინებს შევამჩნევთ.

ღვინოში მისი ხასიათი სულ სხვანაირია.

ყველას გვეფერება.

ყველას გვეალერსება; თავზე რომ გადაახტე, ხმას არ გაგცემს.

დედა-ჩემმა ცხელ-ცხელი კოკრები გამოაცხო ფეჩის თავზე. გახურებული ფეჩის თავზე აკრავდა ხოლმე ჭადის ცომს, როგორც კეცზე.

მოუსხდენ სუფრას.

მე გამგუნებულივით კუთხეში ვზივარ, ფეხს არ ვიცვლი.

— როდემდი უნდა იჯდე მაგრე? ჭამა-სმა უნდა აკმინდო, თუ როგორაა შენი საქმე? არ მიწყრება მამა-ჩემი, მაგრამ სხვანაირათ თქმას ვერ ახერხებს.

ერთ ხანს მე მაინც გაბუტული ვზივარ. ისიც გაჩუმებული ზის.

— ოჰ, მოდი, დაჯექი-მეტს ნულარ იზამ მაგისთანა საქმეს! თითქმის დაყვავებით მეუბნება მამა. მეც გული ამიჩუყდა.

ესესაა ცრემლები წამომივა თვალებიდან.

ბოლოს მამა-ჩემმა მომკიდა ხელი, მიმიყვანა სტოლთან და გვერდში მომისვა.

— აქნამდი გექნა, შე ურჯულო მაგრე, ჩაამწარე მაგ ბოვშს ყველაფერი. მეტი არაფერი არ ვარგა. ამდენი საწყენი რომ ბოვშობისას შეხვდება ადამიანს, ხომ იცი, გულჩახვეული დარჩება მთელს სიცოცხლეში — ეს მაინც რატომ არ იცი?

— მოყევი შენც შენებურს... ვინ გკითხავს ეხლა შენ მაგას? რაც იყო-იყო: — მორჩა და გათავდა. გამოუდექი დღეს გუშინდელ წირვა-ლოცვას...

— ნუ იცი აგრე ადამიანის გაქირიკავება. მე მართალს გეუბნები, შენ კი ღმერთმა არ იცის, რას ამბობ.

— გევიგეთ, ბატონო, გევიგეთ. გვესმის თქვენი მაღალი ბანი.

— თუ გეიგე და დაუკვირდი შენ საქციელს. დატუქსვა თუ იცი, მოფერებაც უნდა იცოდე. არ ვარგა ბოვშის დაჩაგვრა, არა — ათასჯერ მითქვამს მე ეს შენთვის. გახსენი ცოტა გული და მოიშალე მაგ უკმური ხასიათი რომ გაქვს.

— დამანებე დედა-კაცო თავი, შენ რაღას შემომიჩდი ამ დილა-ადრიანად.

მამა-ჩემი გვითლის ხორცს.

დღეს ხორცი სამყოფათ გვაქვს.

— რა გემრიელი ხორცი გამოყვა ამ ჩვენ ბურაკს, ამბობს მამა-ჩემი და გემოიანათ აგზავნის დიდ-დიდ ლუკმას პირისაკენ.

— ექნებოდა შენ მომიკვდე, რაც მე იმას სასუქი შევაჭამე. მაგისთანა პატივში მე არ ვყოფილვარ, მაგ რომ მყავდა...

— აბა, ეს შენი და შენი ბავშების სადღენგძელო იყოს აზნაურშვილის ქალო. იცოცხლე ჭყლინტი ლობიოს მოსვლამდე, ხუმრობს მამა-ჩემი.

— ცოლიკოურის ღვინოა, მართლა, რომ გემრიელი სასმელია, მაგრამ მაგარია თქვენ არ დაგელევნებათ. მომეცი თუნგულაში წყალია, ცოტას გაურევ, თორემ ერთბაშათ მოგეკიდებათ.

— შენ, რაც გემატება მაგრე შუმათ დამალევიე. წყალის სმა მაინც არ აკლია შენ ცოლს, შობასაც რომ წყალი და წყალ-ნარევი ღვინო არ ვსვა.

— კი ბატონო, ვინ გიკავებს, მაგრამ მერე შენი კრუსუნი არ გამაგონო.

— ჩემს კრუსუნს რა გაკითხვებს. აქნამდი არ მიგიქცევია ყურადღება და ეხლა შეწუხდი ჩემი კრუსუნით?

— იცოცხლეთ ჩემო შვილებო, გეიზარდეთ, დედ-მამა არ დაგვიწყებოდეთ, ხომ უყურებთ, რა ტანჯვითა და წვალებით გზდით მე და მამა-თქვენი. საწყალი კაცის გაჩენაში ღმერთი რავა ურევია, თორემ ამდენი წვალებას და უბედურებას რატომ უნდა ითმენდეს ადამიანი. აღარაფერი გაგვაჩნია შვილებო. კარგათ დააჭყიტეთ თვალები, თორემ სიმშილით სული ამოგვძვრება. დრო შეტრიალდა: უწინ თავადისა და აზნაურის იყო ყველაფერი, ეხლა, შვილებო, ვინც ფულის პატრონია, თავადიც ის არის და აზნაუშვილიც. შემოსავალი გამოგველია, ყანის მუშაობა მამა-თქვენს არ შეუძლია. ვაჭრობა მაგან არ იცის, გასაყიდელი აღარაფერი გვაქვს. ორი წვადი მიწა გვაქვს და იმის შემჩერე ვართ მთელი ოჯახი, იმასაც რომ გავყიდით, მერე რაღა გვეშველება, ღმერთმა იცის. თქვენ წამოზრდამდი და დავაჟკაცებამდე კიდევ რამდენი დროა.....

— შენ რას გაყევი ქალო, ამ მთისას-იმ მთისას? გამოცალე რაღაცა გიკავია ხელში, ბოვშებსაც დავალევიო.

ჩამოგვირიგა მამამ თითო ჭიქა წყალ-ნარევი ღვინო.

პირველი სტაქანი, როგორც უფროსს მე მერგო.

— პირჯვარი გამოისახე შვილო, ისე ნუ დალევ, დედა, — არ შეგერგება.

ამასობაში მე ჭიქა უკვე გამოვცალე და რიგი დანარჩენებზე მიდგა.

ფეჩი გახურებულია.

გარეთ თოვს.

პაწაწინა ბამბის ქულასავით სცვივა ძირს თოვლი. ჩვენ სამყოფს და საცხოვრებელს ოთახს ერთად ერთი ფანჯარა აქვს დატანებული სანიავოსკენ.

ჩვენს ეზოს გადაღმა გაშლილი სერია.

სერს გადაღმა ხრამია.

აქედან ის არ მოსჩანს, თოვლით ყველაფერი გადალესილია, თითქოს მთელი სივრცე ცის კიდურებამდე თოვლით დაფარულს ხელის-გულივით ვაკეთ გადაქცეულა.

ხრამის ერთ ნაპირას ტბაა.

ტბა პატარაა.

ზაფხულობით იქ ბაყაყის მეტი არაფერი ბუდობს.

„დევის ტბას“ ეძახიან.

ამბობენ, იქ ერთ დროს დიდი უძირო მორევი იყო, იქ მდევები ბანაობდენო.

გარეთ ქარი ქრის და სთოვს.

ფანჯრიდან გარეთ ისეთი სურათი იშლება, თითქოს იმ სერის ნაპირებზე, ხრამის თავზე მართლაც რაღაც ვეება არსება დაბაჯბაჯებს.

მოსჩანს მისი ხან ვეებერთელა ფეხი, ხან ხელი, ხან თავი. ქარი ისე შეახვევს ხოლმე თოვლს, ისე გაშლის, ზოგან ჩამობნელდება, ზოგან სინათლე გამოჩნდება, რომ ეს ბნელი და ნათელი ფერების ერთმანეთში არევა ათასნაირ საოცნებო სურათებს შლის ჩემს წინაშე.

რომ გამომეღვიძა, უკვე საღამო იყო.

— ასე იცი შენ ყოველთვის, დააძალე ბავშს ღვინო. კიდევ კარგი თუ არ აწყინა.

— გამოიძინებს და ადგება. შენ მაგის დარდი ნუ გაქვს.

— გამოიგონე კიდევ ახალი ამბავი.

მესმის ეს ხმები და ვერ გამოვრკვეულვარ.

სკამ-ლოგინზე ჩამძინებია.

სახლში ბავშების ხმა არ ისმის.

დედა და მამა დამჯდარან ერთად და ხმა დაბლა მუსაიფობენ.

იშვიათად მინახავს მე ასეთი რამ.

ხმა გაკმენდილი ვწევარ, არ მინდა გავინძრე, არ მინდა შევუშალო ხელი მათს მუსაიფს.

II

იმ სერზე სამი სახლი იდგა.

სამი მოსახლე ვიყავით.

მამა-ჩემი, ვითარცა აზნაური, მიწის მუშაობას თაკილობდა. ხანდახან ეზოში აიღებდა ხოლმე მორჩილა თოხს და ბოსტნის პირას ბალახს გამოთოხნიდა ხოლმე.

არაფრად ემარჯვებოდა ეს საქმე.

სხვა საქმე და სხვა ხელობა მას არაფერი ჰქონდა.

ჩვენს გადაღმა სოფლიდან ბაზრის ალაგას ჩამოსახლებული გლეხი ცხოვრობდა.

ხელობით მეპურე იყო.

სახლი ჩვენზე კარგი ედგა, ფულიც მეტი ჰქონდა, მაგრამ ტოლათა და სწორათ ჩვენები მას მაინც არ სთვლიდენ.

ამ მეპურეს სახელათ მალაქია ერქვა, ცოლი ერთი მეტად პილწი დედაკაცი ჰყავდა.

მეტის-მეტად მოჭირნე, მეტად ანჩხლი და კაპასი ადამიანი.

დედა-ჩემსა და მას წელიწადში ერთ ნახევარს რომ კარგი მეზობლობა ჰქონოდათ მეორე ნახევარზე, უსათუოთ გამოუჩნდებოდათ ხოლმე რაღაც სადაო და საკორტნი.

ჯერ კანტი-კუნტად გააგონებდენ ხოლმე ერთმანეთს „სასიამოვნო" სიტყვებს, შემდეგ „გამოვიდოდენ ალაიაში" და შეუდგებოდენ ერთმანეთის „ქება-დიდებას".

მალაქია მეპურეს ერთი შვილი ჰყავდა ჩემი კბილა.

როცა ჩვენი მშობლები ერთმანეთში მეზობლობდენ, ჩვენც: მე და კირილეს კარგი მეგობრობა გვქონდა, წაიკიდებოდენ დიდები და ბავშებიც ერთი მეორეს გვერდს ვუვლიდით.

ჩვენი მესამე მეზობელიც გლეხი იყო, ოსტატი კაცი, ხის ხელობა იცოდა. ბაზარში მას სახელოსნო ჰქონდა გამართული.

აბრაზე დუქნის კარებთან ლურჯ ფერათ დახატული კუბო იყო გამოყვანილი და რუსულათ ეწერა „გ რ ა ბ ო ვ ო ი მ ა ს ტ ე რ".

დუქანი ბნელი იყო.

ფანჯრები სანახევროთ მიწის ქვედა სართულში იყო მოქცეული, შიგნი მართლაც ბლომათ ეწყო ზოგი სრულად, ზოგი სანახევროთ დამზადებული კუბოები.

მეშინოდა და მეზარებოდა მე ამ დუქნის სიახლოვეს გავლა.

იმის სახლსა და ჩვენს სახლს შუა მალაქია მეპურის სახლი იდგა და, შეიძლება ამიტომაც 'იყო, რომ დედა-ჩემსა და მესამე მეზობლის ცოლს ერთმანეთში უფრო მეტი თანხმობა ჰქონდათ.

— საწყალი თეონია სულ სხვა გუნების ადამიანია. აბა, ვინ იტყვის, რომ ის გლეხკაცის ოჯახში გაზრდილი ქალიაო, არ ჰგავს მე შენ გეტყვი ამ როკაპს ამ მალაქიას ცოლს მელანას. უქმური დედაკაცია, უქმურათ დაილიოს მისი წუთისოფელი, იტყოდა ხოლმე დედა-ჩემი.

დედა-ჩემს რამოდენიმე ძმა ჰყავდა; სოფლად ცხოვრობდენ. დედა არ იყო მაინცა და მაინც მათი მადლიერი. გული წყდებოდა:

— წელიწადი ისე შემოტრიალდება, რომ ერთს არავინ იკითხავს, ეს ჩემი დედ-მამის შვილი ცოცხალია, მკვდარია, დალხინებაშია, თუ გაჭირვებაში. იტყოდა ხოლმე დედა.

მამა-ჩემი გულჩათხრობილი კაცი იყო.

ადრე დაობლებულს უფროსი ძმის კარზე გაზრდილს, სიამოვნება და ბედნიერება ბევრი არაფერი უნახავს ცხოვრებაში.

წერა კითხვა ქართული გვარიანი გამართული იცოდა. ჩინებულათ წერდა ხოლმე საშინაო გაყიდულობის ქაღალდს.

რუსულიც იცოდა, მაგრამ გამოსაჩენი არ იყო მისი რუსული.

საქმე არაფერი ემარჯვებოდა. ათასი რამე წამოიწყო, მაგრამ ხეირი ვერაფერში ვერ ნახა.

ჩვენში იმ ხანებში მადანის ძებნა იყო. ბრუნდი და მართალი ყველა მადანს ეძებდა. მამა-ჩემიც ჩხიკინობდა რაღაცას. გააბამდა გზას ქუთაისისკენ, დიდი იმედებით ჩამოვიდოდა ხოლმე.

— ვაი, იქნება შემოგვხედოს მამა-ზეციერმა ღმერთმა, ვენაცვალე მის მუხლსა და მის სახელს. იქნება გაგვეხსნეს ცა და ჩვენც გვერგოს რამე. შეიქნებოდა დედა-ჩემის ხელ-აპყრობილი ღაღადი.

გაივლიდა დრო, მადანის ნიმუში სადღაც იკარგებოდა.

საქმეს არც თავი უჩანდა და არც ბოლო.

— შე კაცო, რა იმედი გვახარე, არაფერი გამოვიდა მაგ შენი ახალი საქმიდან? შეახსენებდა ხოლმე დედა.

— წაგივიდეს ეხლა სული, ყველაფერში რომ შენ სულ-წასული ხარ, ეტყოდა მამა. მოიცა პატარა, ასე ადვილათ საქმე როდი კეთდება. დრო უნდა მისვლა-მოსვლა, მიდგომ-მოდგომა.

— რა ვიცი, რა, რამდენი გაკეთდა მაგ მადნებით. იქნება ამ სიცოცხლეში გვლირსებოდა რამე, თვარა, რომ დავბერდები და ფარჩხზე გადასაკიდებელი შევიქნები, მერე აღარც მადანი მინდა და აღარც ოქრო-ვერცხლი.

მახსოვს, ჩვენში დიდი მითქმა-მოთქმა და მისვლა-მოსვლა შეიქნა ბარიტის მადნის გამო. მამა-ჩემი ამ საქმეშიაც ჩაერია.

ჩავიდა ქუთაისში.

ვიღაც ერთი ხანში შესული კაცი ამოჰყვა.

ჩვენსას მას დიდებულად გაუმასპინძლდენ.

ცხენებით წავიდენ სადღაც მახლობელ სოფელში.

მამა-ჩემმა ფული ივალა და პირობით შეეკრა იმ ადგილის პატრონს, სადაც ეს მადანი აღმოჩნდა.

შემდეგ ურმებით დაუწყეს მადანს ზიდვა.

რამოდენიმე ვაგონი ჩამოიტანეს.

მამა-ჩემი ფულს იღებდა ვალათ, შემდეგ ნავალები ფულით რომ ველარაფერს გახდა, საყანე ადგილი ჰქონდა, იმას ჩამოჭრა ქცევა-ნახევარი, ის გაყიდა და საქმეს მოახმარა.

ჩამოტანილი მადანი კარგა ხანს ეყარა ბაქანზე რკინის გზის შორეულს ჩიხში; არ იქნა და არაფერი ეშველა მის გაგზავნას.

მამა-ჩემმა მოუხშირა ქუთაისში სიარულს.

კიდევ ამოიყვანა ის ხანში შესული კაცი.

— პირველი ვაჭარი კაცია ქუთაისში, მაგ აკეთებს მაგ საქმესო — ამბობდა მამა.

შეიქნა კიდევ მასპინძლობა და სადღეგრძელოები.

ამ კაცს ძველებური ქართული ტანისამოსი ეცვა, „კაბას“ რომ ეტყვიან-ის.

სახეზე ჭარხალივით იყო წამოჭიხებული და უზარმაზარი ცხვირი ჰქონდა. ჩვეულებრივ ცხვირზე კიდევ ერთი სართული ჰქონდა ზედ დადგმული. აფრა ცხვირის ჩვეულებრივი იყო, მაგრამ სწორეთ ნესტოებს ზევიდან კარგა მოზრდილა ბავშის მუშტის ოდენა ხორცი იყო ზედ მიმატებული.

ლაპარაკი ზემოური იცოდა.

თვალები მეტის-მეტად პატარა ქონდა, ხმა ერთობ წვრილი.

ღვინის სმაზე უარს არ ამბობდა.

— ნუ გეშინია, დედი, ისეთი საქმე იმასვქნათ, რომა, რომა — ეუბნებოდა და ანუგეშებდა ის დედა-ჩემს.

— თქვენ იცით, ჩემო ბატონო. თქვენი იმედით დეიწყო ამ საწყალმა ჩემმა ქმარმა მაგ საქმე, თორემ სად გაგვაჩნდა მაგაში ჩასაყრელი ფული.

— ამაში დახარჯული ფული დაკარგული არ არის. ისეთი საქმე მოვრთათ, რომა, რომა.

როგორც არ უნდა დაეწყო სიტყვა, რითაც არ უნდა დაეწყო, როცა ამ „რომა“-ს მიადგებოდა, სიტყვას გაწყვეტდა, და უბიდან დიდს წაბლის ფერ დარაიას ბალდადს გადაისვამდა ხოლმე შუბლზე.

— თქვენ იმედათ გახლავართ, ჩემო ბატონო, ჩვენ აქ გვიმსახურე და არაფერში არ დაგაღალატებთ.

— ნე ობრაშჩაიტე ემუ ვნიმანია, სოლომონ ზახარიჩ, ეს ღვინო მიირთვით. ქალო, ნუ იცი ადამიანის ჩამოკიდება. ვინ გკითხავს, რა შენი საქმეა. შენ, თუ კი გაქვს, ის ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, იმას ნუ მოგვაკლებ. დანარჩენი ჩვენ ვიცოდეთ.

— ოჰ, და. მე და ჩემმა ღმერთმა, ისეთი რამ გამოგვივიდეს, რომა.....

— კი ბატონო, კი შენი ჭირიმე. გავარდა დედა სამზარეულოსაკენ.

ამის შემდეგ კიდევ ზიდეს ერთს ხანას ბარიტი ურმებით. რაც უწინ იყო ჩამოტანილი, იმას ახალიც მიემატა.

— ცეცხლათა და არამათ შეერგოს იმას ჩემი პატივისცემა. წამოიკრუსუნებდა ხოლმე დედა-ჩემი, როცა აშკარათ დაეტყო, რომ ეს ბარიტი არაფერი სახეირო საქმე იყო.

— მე უბედური, რავა გადავყევი თავზე, რავა მოვიკალი თავი.

— ქალის ჭკუა იკითხოს ეხლა ადამიანმა; ბოშო, შენ იმას წუხარ, რომ ორიოდე ხაჭაპური გამოაცხვე, მე მთელი საცხოვრებელი მაგ საქმეს გადავატანე. და შენ ხაჭაპურების ძებნას გამოუდექი? შეუტოვებდა ხოლმე მამა-ჩემი.

იმედს მაინც არ ჰკარგავდა.

მაინც დაკრული იყო გზაზე. კვირაში ორჯელ მაინც ჩავიდოდა ქუთაისში.

ბოლოს მანაც დაწმინდა იმედი.

ნავალებ ფულს გადახდა უნდოდა, მოვალეებს გასტუმრება. გაჰყიდა მამა-ჩემმა იმ უკანასკნელი საყანე მიწის მეორე ნახევარიც.

ამ მარცხმა კიდევ უფრო დაანაღვლიანა მამა. მთელი დღე იჯდა ხოლმე ჩუმად, ხმას არ ამოიღებდა.

შიში და რისხვა ტრიალებდა ამ დროს ჩვენსას.

ვაი მისი ბრალი, ვისაც მაშინ მამა-ჩემის ხელი მოხვდებოდა.

დედა-ჩემიც ველარ უბედავდა სიტყვის თქმას. უთქმელად მაინც ვერ ჩერდებოდა და გულის მოსაფხანათ მამა-ჩემისათვის გასაგონარს სიტყვებს ჩვენ გვეუბნებოდა.

— ამ ოხრებს, ერთს მაინც გამოყოლოდა ჩემისთანა საწყალი გული და ჩემი ხასიათი, ყველა მამა-თქვენსავით, რომ ხართ ანჩხლი და მიუკარებელი, წამოიწყებდა ხოლმე ის. ხომ უყურებთ, რავა არის გაჩუმებული, ჩვენ გვიწყრება თავის გაფუჭებულ საქმეს. ჩვენ რა დაუშავეთ, რა წავუხდინეთ. ჩააყარა ვიღაცა ვიგინდარა გადამთიელს იმდენი ქონება და ფულები. ის ფული ჩვენ მოგვეხმარა ის არ ჯობდა?

მამა მაინც არ იღებდა ხმას.

ჩუმათ ადგებოდა ხოლმე და გავიდოდა გარეთ.

ღამე გვიან ბრუნდებოდა ხოლმე, თითქმის ყოველთვის ნაღვინები და მხიარულ გუნებაზე.

ჩვენ საწოლი და სადგომი ოთახი ერთი გვქონდა. შემოვიდოდა თუ არა, მაშინათვე დაგვივლიდა ყველას სათითაოდ გ'ამოგვაღვიძებდა.

— გამოსულელდი ადამიანო, ამ ბოვშებს რას აღვიძებ ამ შუა-ღამისას?

— შენ რას დაეძებ, სიცილით და მხიარული სახით ამბობდა ხოლმე მამა, რავა, არა მაქვს უფლება, რომ ჩემი შვილები გამოვაღვიძო? ადექით შვილებო, ადექით ნუ გეშინიათ, ისეთს საქმეს დავიწყებ ამ გადაღმა კვირეში, რომ სულ ფარჩა-ატლასში გამოგხვევთ

ყველას. თქვენ დედა-თქვენის ფშუტურს ყურს ნუ უგდებთ. ქალია, ქალს რა გაეგება საქმის?

— ჰო, შენ გაგეგება, აპა, კარგათ. მიაფშვენი იმდენი ფული...

— არა, შვილებო, მე თქვენთვის გლახას არაფერს გავაკეთებ; მე ვიცი რავარც ჯობია. დედა-თქვენმა ლაპარაკი იცის, წუწუნი და მიქარვა. თქვენ იმას ყურს ნუ უგდებთ.

მამა-ჩემის გამხიარულება ჩვენთვის აღდგომის გათენება იყო.

წამოვარდებოდით ზეზე, შემოვეხვევოდით ყველა გარშემო. ზოგი ჯიბეებს უსინჯავდა.

ზოგი მუხლზე შემოუჯდებოდა და გაფაციცებით მისჩერებოდა პირში.

ამისთანა შემთხვევაში მამა ხელცარიელი არასოდეს არ მოდიოდა ხოლმე. ჯიბეში უსათუოთ ექნებოდა, ან ქიშმიში, ან კამფეტი, ან ვაშლი, ან კიდევ სხვა რამე ხილი.

ერთხელ ასეთ შემთხვევის დროს კიკოლამ ჯიბიდან ხუთ-მანეთიანი ამოიღო. საკეკარს ეძებდა და ფულს წაადგა თავს.

— ვაი, ბეჩა, რა ვნახე, რა ვნახე?

— რა ნახე ბიჭო? შეეკითხა მამა-ჩემი.

— რა ვნახე და ფულები!

— მოიტა აქ, რავა გაბედე ფულის ამოღება?

სხვა დროს იყოს, თქმა კი არა, შემოხედვა კმარა, რომ მამის სიტყვა და სურვილი დაუყონებლივ შესრულებული იქნეს, მაგრამ ეხლა ის შექეიფიანებულია, ვის ეშინია მისი?

კიკოლამ ფული გაიტაცა და დედას მიურბენია.

— აგრე ქენი შვილო, აგრე. მაგას ფულები რათ უნდა, თუ მაგრე კოლბოხებივით უყრია ჯიბეში.

ახალი წელიწადი თენდება.

ზალაში წუხელი ფეჩი დადგეს.

ბუხარი იყო და კარგახანია, რაც ავიღეთ, ეხლა იქ საშინელი სიცივეა და უფეჩოთ, იქ გაძლება არ შეიძლება.

კედლის სარკის ქვეშ გაშლილია დიდი გასაწევი სტოლი.

სტოლზე აწყვია სხვა და სხვა შემწვარი და მოხრაკული.

დედა-ჩემმა ნასუქი ინდოური დაკლა.

მამამ გუშინ პატარა ბატკანი იყიდა. გუშინ ხალისიანად დარბოდა ეზოში; ეხლა ის შემწვარი ფართე თეფშზე სდევს.

ცალკე პატარა სტოლზე აწყვია კამფეტები და მაგარი სასმელები.

არის კიდევ რამოდენიმე ბოთლი, ფერადი რაღაც ასხია შიგ. მამა-ჩემი ამბობს მჩატე სასმელებია — ქალებისათვისო.

არაყსა და კონიაკს ისინი ხომ ვერ დალევენ?

მე იმ პატარა სტოლისკენ მაქვს მთელი ყურადღება მიტანილი.

— ნეტავი, რა ამინდი იქნება დღეს?

— რა კარგია, რომ კარგი დარიანი დღე იქნებოდეს? კვიწიალობს კიკოლა ლოგინში.

მას ახალი წულები აქვს.

ენატრება მისი ჩაცმა და გავლა-გამოვლა.

— ჩუმათ იყავით, ასე უმთენია ადგომა არ გამიგონია, გვარიგებს დედა, მაგრამ ჩვენ სული აღარ გვიდგება ლოგინში.

— მე წავალ მამა-ჩემს მევეხმარები, შეშას შემოვატანიებ, ვაცხადებ მე.

მე უფროსი ვარ ბავშებში. ზოგიერთი რამე, რაც სხვისათვის აღკრძალულია — ჩემთვის ნებადართულია.

დილიდანვე ისმის ზურნის ჭიჭყინი.

მეზურნეები დადიან სახლიდან სახლში ულოცავენ ახალ წელიწადს და ფულებს აგროვებენ.

— მობრძანდით, მობრძანდით. თითო სტაქანი, აბა ერთი კიდევ.

— ორი სახარება შეგეწიოთ, ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ზალიდან.

იქ მამა-ჩემი მეზურნეებს უმასპინძლდება.

დილიდანვე იწყება მეზობლების ერთი მეორეში სიარული.

ყველაზე ადრე მალაქია მეპურე მრგვადგა კარზე.

პატარა ხანს იქეთ ხახულა მეკუბოვეც შემოგვემატა.

ჩაუსხდენ.

დაიწყეს სმა და საღღეგრძელოები.

— ჩვენ ყურის მეზობლები ვართ, სიამტკბილობით უნდა ვიყოთ ერთმანეთში ქაქანობს მალაქია.

მალაქია მორჩილა ტანის კაცია. თორნეში პურის ცხობით პირის კანი წამოწითლებული აქვს. როცა პურს აკრავს ხოლმე თორნეში პირზე შავი თავსაფარი აქვს შემოხვეული, რომ წვერი და ულვაში არ შეტრუსოს ცეცხლმა.

ბაზარში მას ჩოჩოს უძახიან.

მოყვანილობას არ უწონებენ.

ენა მოქნილი და მარჯვე აქვს. საწყენს არაფერს შეგახვედრებს. მაგრამ სასიამოვნოსაც არაფერს გაგიკეთებს.

— ჩვენი უფროსი, მეზობელი ბრძანდებით, პირველად თქვენთან გიახელით. იმედია ჩვენთანაც გადმობრძანდებით, არ დაგვიწუნებთ

პურ-მარილს. შეეგება მალაქია დედა-ჩემს, როცა ის საახალწლოთ გამოწყობილი ქართულ კაბაში გაეგება სტუმრებს.

— მრავალს ახალწელიწადს დაესწარით ცოლითა და შვილით, ყოველის თქვენი მოკეთით და კეთილის მსურველით. ჯერ ჩვენსას მოილხინეთ, რაღაი მობრძანდით, მერე ჩვენც გიახლებით.

— ქალების უქმე ხვალიდან დაიწყება, დღეს სახლში უნდა ბრძანდებოდენ, თუ უკაცრავათ არ ვიქნებით მაგათთან, ჩაურთო მამა-ჩემმა.

საახალწლო წვეულებაზე დიდი ხნის ჯდომა და სმა არ იციან.

ერთი წყება მიდის, მეორე მოდის.

მამა-ჩემიც ჩქარა შემოსულ სტუმრებს გაჰყვა და ერთად წავიდენ სასტუმროთ და მისალოცავათ.

შუა-დღისას შემობარბაცდა მღვდელი და დიაკონი.

ასეთი წესი ქონდათ: დადიოდენ, დაჰქონდათ „ნაკურთხი წყალი", ასხურებდენ ამ წყალს, ფულებს კრეფდენ და არც ღვინის სმაზე ამბობდენ უარს.

ჩვენი მრევლი მახლობელ სოფელში იყო, მაგრამ ჩვენ ბაზარში ვცხოვრობდით. ბაზარს თავისი ეკლესია ჰქონდა და თავისი მღვდელი ჰყავდა. ამიტომ ჩვენ არც სოფლიდან გვაკლებდენ ყურადღებას და არც ბაზრის ღვდელი გვანებებდა თავს.

— ძუკნა ძაღლივით დადიან, საკასპოზე რომ ძაღლი შეეჩვევა. ისე, ამბობს დედა-ჩემი. დედა ღვთის მორწმუნე ადამიანია, მაგრამ მღვდლის არაფერი სწამს, მით უმეტეს, როდესაც ფულის მიცემა არის საჭირო.

— დრამის ფული თქვენ არ გხდებათ, ჩემო რძალო, და ამ კარგ დღეებში მაინც არ უნდა დაგვივიწყოთ, თორემ ჩვენც ხორციელი არსება ვართ, ჭამა-სმა ჩვენც გვესაჭიროება, ამბობს ჩვენი სოფლის ბლაღოჩინი, რომელსაც არაქათი აღარ აქვს, ცალკე ნასვამია და ცალკე ამ ორლობეებში თრევითა და ღობეებზე ხტომით დაღალული.

— აჰ, ბოშო, გამამართვი ოლარი, არ დაგეკარგოს, აბგაში ჩადევი, მეტი აღარ დაგვჭირდება. აწი ქე გაუდგეთ გზას, ეუბნება ბლაღოჩინი თავის მედავითნეს.

— დაბრძანდით სტოლთან ბატონო, მიირთვით, რაც გესიამოვნებათ, ეპატიჟება დედა, მაგრამ მღვდელს პატიჟი არც კი სჭირდება.

გემოიანათ ითლის ბურაკის ხორცს.

როგორც იქნა გავისტუმრეთ.

— რა მუცელში ჩაუვიდა იმ ჩემი ცოდვით სავსეს ამდენი ხორცი, ამბობს დედა-ჩემი.

გულდაწყვეტილია, დღეს, თუ არა ხვალ კიდევ ვინმე შემოვა სტუმარი და მთელი სტოლი ააოხრა ამ ოჯახ-ქორმაო.

— ნეტავი, ეს მამათქვენი სად დაიკარგა ასე უნიშნოთ. მთელი დღე დილას აქეთ სახლში არ შამოუხედავს. ამდენი სტუმრების მიღება და გასტუმრება მარტო ჩემზე მოადენა. ასე იციან წესიან ოჯახში? სჩივის საწყალი დედა.

ის, მართლაც, რომ ძალიან დაღალულია.

მთელ დღეს ფეხზე ტრიალობს.

მე გამოტენილი მაქვს ჯიბეები კამფეტებით.

ყველაზე მეტი კამფეტი მე მერგო; ზოგი სტუმრებმა მომცა, ზოგი საინებიდან ავაცოცე.

— კიკოლა მოდი კამფეტობია ვითამაშოთ.

— ვითამაშოთ.

— შენ დააჯენ, თუ მე?

— წილი ვყაროთ.

ვყარეთ წილი, მე შემხვდა.

სამ ნაბიჯზე დავდეგი პტყლათ ფოჩიანი კამფეტი, კიკოლამ უნდა ესროლს, თუ მოახვედრა მაშინ ორივე მისია, თუ არა და ჩემია მისი ნასროლი კამფეტი.

— იცოდე, არ მიჭინჭყლო მერე, თორემ ვერ გადამირჩები ცოცხალი.

— შენ თვითონ არ მიჭინჭყლო, მე ჭინჭყლი არ ვიცი.

ვალიკო ჩვენს თამაშში არ ერევა.

ის საზოგადოთ მომჭინე ადამიანია; თუ რამე იშოვა, იმას ვაგლახათ ხელიდან არ გაუშვებს.

მოუგე კიკოლას თითქმის ნახევარი იმის, რაც მას გააჩნდა.

სიხარულით ცას ვეწევი.

კიკოლა დაღვრემილი დაიარება.

ვალიკო, კმაყოფილია.

— ხომ გეუბნებოდი, ნუ ეთამაშებითქვა, რატომ არ დამიჯერე?

— შენც ერთი, მომცილდი, თვარა შენზე ამოვიყარო გულის ჯავრი, მე და ჩემმა ღმერთმა. შენ სულ მაგისთანა ხარ, ტყუილა კი არ გეძახიან ბიჭია ციბაძეს.

ეს ბიჭია ციბაძე ბაზრის იმ თავში ცხოვრობდა, მეტად შეძლებულს კაცს ამბობდენ, მაგრამ მეტის-მეტათ ხელმოჭერილათ ცხოვრობს. ისეთი სახელი აქვს გავარდნილი, რომ ჩვენში ყოველ კრიჟანგ კაცს ბიჭია ციბაძეს ეძახიან მეტ-სახელათ.

მამა-ჩემი მხოლოდ კარგი შებინდების შემდეგ მოგვადგა კარზე კარგათ დალეული.

თან რამოდენიმე სტუმარიც შემოჰყვა.

ყველა ნასვამი იყო.

დედა-ჩემმა ზალაში ლამფა დააქრო, სამყოფ ოთახში გაუშალა სტუმრებს მოლკე სუფრა.

სტუმრები ჩვენი სახლი-კაცები იყვენ, ახლო ნათესავები.

— ჩვენ, ჩემო დაო საყვარელო, დაიწყო შერმანდინმა, აღარაფერი არ გვინდა. მთელი დღე სმისა და ჭამის მეტი არაფერი გაგვიკეთებია. ვალი მოვიხადეთ. გიახელით, მოგვილოცავს, კარგი შობა-ახალი წელიწადი გაგითენდეთ! მრავალს დაესწარი შენი კარგი ქმარ-შვილით.

— აბა, ჩემი, ხელიანი დოქი მომიდგი გვერდში. შეეხმაურა მამა სტუმრების გამასპინძლების თავდარიგში მყოფს დედა-ჩემს.

— ქალო, ელიბო, ნურაფერი ნუ გინდა, თუ გიყვარდე. აღარაფერი არ გვესმება და არც გვეჭმება. ჩვენ ეხლა ყველაფრით კმაყოფილი ვართ.

ღვინოზე უარი მაინც არავის უთქვამს.

შეიქნა სადღეგრძელოები.

— შერმანდინ ჩემო, შენ რავა გლეხი კაცივით სვამ მაგ ღვინოს სადღინგრძელო იმას ქვია, რომ უნდა თქვა რამე, რამ შეგიკრა შე კაი კაცო ღრანჭი? ედავება გიგო, მამ-ჩემის გარეშე ბიძაშვილი.

— შენთან უკაცრავათ გიგო ბატონო. სადღინგრძელო თქვენი წამოწყებული იყო, შენ უნდა გეთქვა, მერე ჩემთვის მოგეთხოვა.

— აგრემც კარგი დაგემართოს. თუ ჩემი იყო, ჩემთვის უნდა მოგეცადა. ჩემო რძალო, შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა. გლახა დრო მობრუნდა ჩვენი აზნაურშვილებისათვის. გაგვასწორეს ყველაფერში გლეხებთან. ერთი ისაა, რომ დრამის ფული არ გვხვდება და გზაში არ გავყავართ სამუშაოზე, მაგრამ სამაგიეროთ, ღვდელს მაინც თავისი მიაქვს. ყოველ აღდგომა-ახალ წელიწადს მოგადგება კარზე და კარგი ერთი მანეთი და თუ მაინც არ გამოუტანე, ისე შემოგხედავს რომ პირდაპირ თვალით აგიყვანს ნიყვივით. გზაში არ გვიწვევენ, მაგრამ ბოგირის ფულს ქე გვახდევინებენ. ეს არის, რომ მამასახლისს არა აქვს ჩვენზე უფლება, მაგრამ გინდა მამასახლისს უბრძანებია. გინდა პრისტავს, სულ ერთი არაა?

— გლახა საქმე გვიქნა იმ დალოცვილმა ხელმწიფემ, თორემ ჩვენი ყმები ასე ვერ დაგვაჯდებოდენ თავზე. შეაწია სიტყვა გიგოს შერმანდინმა.

— სიმარჯვე გვმართებს, სიმარჯვე, ჩემო რძალო, სიმარჯვე, თორემ კიდევ უარესს დროს შევესწრებით. ამ ჩოხას რომ უყურებ, თქვენთან რა დასამალავი და რა დასაფიცავი მაქვს, რომ ჩემ ნაყმევს, შარშან წინ დაიხსნა ჩემგან თავი, დროებით ვალდებული გლეხი მყავდა, იმისგან რომ ფული არ მესესხებია, ამ ჩოხის საყიდელი ფული არ გამაჩნდა.

— მაგ ყველაფერი მართალია, მაგრამ გლეხი კაცი მაინც ვერ გამოჩნდება ჩვენთან; არა აქვს იმისი შნო და ყუათი. აგერ გაფრინდა-შვილები რომ ცხოვრობენ ჩვენ გაღმა. ხომ იცი შეძლებული გლეხი რომაა ივანე, ზავოდი აქვს ქუთაისში, შვილი გამოზარდა, აკადემია გაათავებია, ჩამოუვიდა სახლში, სამღვდლოთ წარდგენილია ეფისკობოსთან. გახურებული დეეძებენ მაშვალები მისთვის საცოლოს. ჩვენი დათას გიორგი რომაა, იმისათვის მიუგზავნიათ მაშვალები, ცაცა იქნებ მომათხოვოსო — მაგრამ უარით გაუსტუმრებიათ. რაც არ უნდა იყოს გლეხი კაცია. გლეხი კაცის მოყვრათ მოკიდება, აგრე ადვილათ გასაბედავი საქმე ნუ გგონია...

— შენ მაგ ღვინო ნუ შეირჩინე ხელში, გამოცალე და დადგი, თორემ შენი სადღენგძელო რაღაცა ნამეტანი გაგძელდა. შეუტია მამა-ჩემმა.

— ვსვამ, იცოცხლეთ, იმხიარულეთ!..

შუა-ღამე გადასული იყო, როცა სტუმრები გზას გაუდგენ.

ჩვენ — ბავშებს — უკვე ერთი ძილი გამოძინებული გვქონდა როცა სტუმრები აიშალენ.

III

კარგი ხანი ღამე იყო გასული, როდესაც ეზოში ჩვენმა მურიამ შორთო საშინელი ყეფა.

მურიამ ვაგლახათ ყეფა არ იცის, თუ ეზოში შემომსვლელს არ შეამჩნია, ისე თავს არ შეიწუხებს; სამაგიეროთ ეზოში შემომსვლელს ღდინში ჩაყვება, სანამ ვინმე არ გამოეგებება სახლიდან და არ მოაშორებს ისე საშველს არ მისცემს.

ვიღაცა ეზოში შემოვიდა, ძაღლი ყეფს რაღაც გამწარებული, შეეხმაურა დედა-ჩემი მამას, რომელიც ის-ის იყო საწოლში ჩაწოლას აპირობდა.

— ვინ უნდა იყოს, ასეთს უდროო-დროს, რომ არ ვიცი, ჩაილაპარაკა მამა-ჩემმა, საშინაო წუღებში ჩაჰყო ფეხი და კარებისაკენ გაეშურა.

— რომელი ხარ? მიაძახა მამამ კარებიდან.

— მე ვარ, მე ირაკლი. ეს ძაღლი მომაშორეთ, თორემ შემომახია ტანისამოსი.

მამა გაეგება ეზოში და ჩქარა შემობრუნდა უკან მოსულ სტუმართან ერთათ.

ირაკლი დედა-ჩემის დისწულია. ერთი გაჭირვებული და ხელმოკლე სოფლის აზნაური. ჩვენ თვითონ არაფრის მქონე ვიყავით. მაგრამ ირაკლისთან შედარებით მამა-ჩემს თავი მდიდრად მოჰქონდა.

— იმათ სახლში კვირა ისე გაივლის, რომ კეცი არ გათბებაო, იტყოდა ხოლმე დედა-ჩემი ირაკლის შესახებ.

ირაკლი ნამეტანი ღარიბი იყო, მაგრამ მხიარული გული ჰქონდა. ხუმრობა და ოხუნჯობა არ მოეწყინებოდა არასოდეს.

თავის სიღარიბის შესახებ ოხუნჯობით იტყოდა ხოლმე:

„ — იმან იკითხოს, ვისაც ბევრი აქვს შენსავით ჩემო ბიძია, თორემ მე რა მადარდებს. დღეს რომ მთელ ამ ბაზარს ცეცხლი წაეკიდოს და ამ თავიდან იმ თავამდე გადაიწვას პირწმინდათ, ჩემი ერთი შაურის არაფერი დაიწვის და არ დაიღუპება. რაც მაქვს, ღვთის მოცემული და ცხონებული მამი-ჩემის დანატოვარი, გუნებიერათ შევექცევი, რომ გამომელევა და მერე, ღმერთი მოწყალეა.....

დედა-ჩემს არ უყვარდა ასეთი ლაპარაკი და ხშირათ უთქვამს ხოლმე ირაკლისათვის.

„ — არა ჩემო დის-წულო, შენ მარტო ღმერთის იმედათ თუ იქნა, და ხელი არ გაანძრიე, კარგი არაფერი დაგემართება. სიმარჯვე გმართებს, ხელმოშვებული როდი უდა იყოს ამ დროში ადამიანიო.

— არა, დეიდაჩემო, კი არაფერს ვთაკილობ, მაგრამ თავს ზევით ძალა არა მაქვს. რაც გამეწყობა — თავს არ ვზოგავ, მაგრამ რასაც ხელი არ შემიწვდება, აპა, ერთი შენ მითხარი, რა ვქნა, რა წყალს მივცე თავი.

ამას რომ იტყოდა სახეზე მწუხარება და უილაჯობა გამოაჩნდებოდა, მაგრამ ასეთი განწყობილება დიდხანს არ შეაწევდა. ერთს მიიხედავ-მოიხედავდა, თითქოს, შავი ფიქრების მოშორებას აპირებსო, და ისევ შეუდგებოდა ოხუნჯობას.

— სად ყოფილხარ ბოშო ამ შუალამეს გადასულს?

— გალმა ვიყავი ნახუდარაში ბიძა-ჩემებში. საქმე მქონდა...

— მერე ამ უდროო-დროს როგორ ენდე გზას? რომ მოგწეოდა რამე შეეკითხა დედა.

— ვინ რა უნდა მომწიოს, მე შენ გეტყვი ფულით სავსე ხურჯინი არ მქონდეს შემოკიდებული ლაფშა ცხენზე.

— რა ვუყოთ მერე, რამდენი ნაძრახი ღელე და ხრამებია გამოსავლელი, რატომ არ იცი, შე უბედურო, თავის მოფრთხილება?

— რომ არაფერი სოულებიანი გასათხოვარი ქალი ვარ. რა გითხრა დეიდა ჩემო იცი, შეძლებულსა და მდიდარს ემტოვება ყველა, თორემ ხელმოკლე, მშიერი და გაჭირვებული არავის არაფრათ ესაჭიროება, არც კაცს უნდა და არც ეშმაკს.

— კი, მაგრამ, რა გაჭამო ეხლა ამ შუაღამეზე, შე უბედურო, ეხლა შენ მომშეული იქნები, ამდენი გზის გამოვლილი.

— არც იმდენათ, რომ თქვას კაცმა. წამოსვლისას ისეთი შენი მოწონებული სამხარი გიახელი, კარგი ორ კეცსა და კეცს შუა გამოცხობილი ჭადი მივახვიე, ორი დიდი ღრმა საინი ლობიო მოვგნაწე; ღვინოზე, ცოტა უკაცრავათ არიან ის ჩვენი ნათესავები, თორემ ჭადი და ლობიო გამოულეველი აქვთ.

— ღვინო, ჩემო შვილო, ქე ვისლა აქვს ამ დროში. რაღაც ორიოდე ცვარი ღვინო მოდიოდა ამ ჩვენს კუთხეში, იმით მოიბრუნებდა ხოლმე საწყალი ადამიანი სულს, მაგრამ ეს რაღაც ღვთის რისხვა მოევლინა ჩემს მტერსა და ავს, ფილაქსერა, თუ რაღაც შავი წყალი, მთლად დაგვლუპა და ამოგვაგდო.

— იცი, დეიდა, რას ამბობენ — მაგაზე? სოფელში მოვკარი ყური. ასე ამბობენ, ფილაქსერა, თურმე ჭია ყოფილა, ისეთი ჟიჟმატი, ისეთი რომ თვალით კი ვერ დაინახავს ადამიანი. ახლა რომ ფილაქსერის პარტია დეიარება სოფელში, ვენახებს რომ თხრიან მიწიდან, მივლიან ხოლმე სოფელში, რომელიც ფილაქსერით გაფუჭებული ვენახია იქ, ამოთხრიან ხოლმე რამოდენიმე ძირეულ ვაზს. გამოიღებენ რაღაცა დურბინდივით გრძელი ტრუბა აქვთ, უკირკიმალებენ რაღაცას, მერე რაღაცას დეიწერენ, შეახვევენ ამ ძიროულ ვაზს და მერე მეორე ვენახში გადავლიან. ასე მოივლიან თითქმის მთელს სოფელს. ახლა, არ იკითხავ რა ამბავია სოფელში, დაკვირებიან და შეუმჩნევიათ, რომ, თურმე, ამ მიდივილ-მოდივილის შემდეგ, თურმე სადაც არ იყო ეს ფილაქსერა იქ გამოჩნდა ხოლმე. კვირას ეხლა იქ ვიყავი, ნახუნდარაში, ეკლესიაზე ხალხმა თავი მოიყარა ეკლესიის გალავანში, კინალამ წია-წია წაიღეს ის ვიღაცა ფილაქსერის პარტია ხალხი იყო. პირდაპირ ისინი ავრცელებენ, თურმე ამ ფილაქსერას.

— ბეჩა, ბეჩა, აგრე რავა იქნება, ის ხალხი, პირიქით, აქ არ იყვენ, ჩვენ სახლს ქირაობდენ, რამდენჯერ უთქვამთ: „ — ფილაქსერა უნდა. მოვსპოთ, ისინი რავა გაავრცელებენ“?

— ქე უნდა დაიჯერო დეიდა ჩემო, ამდენი ხალხი რომ იტყვის. ის კი არა მე რამდენი საყვედური შემახვედრეს — ბიძა შენმა ჩამოა-

თესლა ისენი ამ ჩვენს კუთხეში, თორემ აქ ისინი ფეხს ვერ მოიკიდებდენო.

— ნუ იცი, ერთი შენც, თუ კაცი ხარ, უთავბოლო ლაპარაკი. ბიძა შენმა რა ჩამოათესლა. მთავრობის გამოგზავნილი ხალხი მაგენია მე რავა, მე შემიძლია წინ დაუდგე, თუ როგორ ფიქრობენ? გამოილო ხმა მამა-ჩემმა.

— მაგდენათ კი ვერავინ ერკვევა მაგ საქმეებში, ბეჩა ბიძა-ჩემო. გული წყდებათ, ჩვენებური მოყვარეა, ჩვენი კუთხისათვის ასეთი გლახა საქმე არ უნდა ექნაო, ამას ლაპარაკობენ.

— მიქარვაა, მეტი არაფერი მაგისთანა ლაპარაკი, მე და ჩემმა ღმერთმა. მაგრამ ჩვენ ამას რას გავყევით, ქალო, ერთი რამენაირათ ცოტა ჭადი გაგვიცხელე, ღორის ხორცი ქე გვაქვს კიდევ იმას გიახლებით. ღვინო, მადლობა ღმერთს, ქე მოგვრჩა დოქში, გვეყოფა კიდევ გამოსაბრუშებლად.

წამოდგა დედა-ჩემი.

შეიქნა ფუსფუსი.

შემოგვიანებულ სტუმარს იქვე გაუშალეს ცეცხლის პირას დაბალი სუფრა.

— რას ამბობენ, რომ იცოდეთ, თურმე კირიაკე-გადახჩუებული მოხუცებული, რომ ყავთ იმ ჭყივანაშვილებში, იმას სიზმარი უნახავს, დაიწყო ირაკლიმ.

— მოყვები ერთი შენც ოცობოდიოს, გააწყვეტია მამა-ჩემმა. ეს ღვინო დალიე, შენ ის გირჩევნია, თორემ კოკბერაშვილებში ნასტუმრებს ეხლა იქაური ხაშმიანი წყალის სმით, ეხლა ბაყაყები გეყოლება მუცელში გაჩენილი.

— მაგას, რავა გაწყენიებ, ბიძა-ჩემო, ღმერთმა თქვენი თავი გვიცოცხლოს, ჩვენი თავი გამსახუროს.

გადაკრა ირაკლიმ ღვინო და კვლავ შეუდგა:

— არა, საგულისხმო სიზმარი უნახავს იმ ბერ-კაცს. მათქმევიეთ ერთი. თურმე და, უნახავს ამ დაურწყების კვირეში ამ კირიაკეს სიზმარი, მაგრამ რა სიზმარი, გაკვირვებაშია მთელი ხალხი.

„ — იმ ხანებში ის მოხუცებული ავათ იყო, მისი მორჩენა აღარავის ეგონა, ისე იყო. ჰო, და ამ დროს ესიზმრა, თურმე კირიაკეს ეს საოცარი ამბავი.

— თქვი, ბარემლა, რაღაცა ეზმანა, აღარ იტყვი?!

„ — თურმეო, ამბობს, კირიაკე ვნახე სასწაული და სანახაობაო. წავედიო, ამბობს, ჩვენი სოფლის გადაღმა რომ სერია იმ სერებზე და მივყვები საცალ-ფეხო გზასო — ქე არის მართლა იმ სოფლის გადაღმა

მაგისთანა გზა — ზურგით ფიჩხი მოაქვთ ხოლმე ტყიდან, ხარი და ურემი იმას ვერ მიუდგება — მივდივარო და შემომეყარა წინ დათვი.

„შემეშინდა და პიჯვარის გამოსახვა მოვასწარი და დავწყევლე. სამას სამოცდა ხუთმა წმინდა გიორგიმ დაგწყევლოს და შეგაჩვენოს თუ რამე მავნე და ბოროტი სული იყო მეთქი.

„გევიხედეო, ლაპარაკობს კირიაკე, მეორეჯერო და ეს დათვი უკანა თათებზე ეიმართა ზეზე და დამიწყო ლაპარაკი.

— დაგელოცა ღმერთო დიდება და სამართალი, ჩაიპუტუნა დედა-ჩემმა ლოგინში, მართლა სასწაული გამოცხადებია იმ უბედურს.

— დაუგდე ყური დეიდა-ჩემო.

„ეს დათვი დადგა უკანა თათებზე და მითხრაო;

— რას ბეუტურობ შენც ერთი;-მითხარი და გამაგებიე, როდის იყო დათვი რომ ლაპარაკობდა? შემოუტოვა მამა-ჩემმა.

ასეთი ამბები მას, საზოგადოთ არ სჯეროდა ხოლმე და, სხვათა შორის, ამის გამო ხშირათ მოსვლიათ ხოლმე უსიამოვნება მას და დედა-ჩემს.

— ნუ იცი, ადამიანო, შენ მაგისთანა ღვთის წინააღმდეგი ლაპარაკი, შეება პირში დედა-ჩემი. ღმერთო ნუ უწყენ შენი მუხლის ჭირიმე.

— აბა აატოტინე კიდევ ხელები ზევით, როგორც ვიცოდე შენი ამბავი...

— მეიცა, დააცალე იმ ადამიანს ამბავის მოყოლა.

„ — მითხრა დათვმაო: ჩემო, კირიაკე, ნუ გეშინია, მე ყველაფერში დაგეხმარები. მაგრამ შენც ერთი დახმარება და სამსახური უნდა გამიწიოო.

„ — ამ მთის გადაღმა ერთი სერია,

„იმ სერს გადაღმა კიდევ ერთი მთა,

„იმ მთის ძირში ერთი წყაროა,

„იმ წყაროს თავზე ერთი ალვის ხე დგას.

„იმ ალვის-ხეზე წელიწადში ერთხელ ერთი საუცხოო ჩიტი შემოჯდება ხოლმე.

„არც შაშვია, არც ბულბული, არც გუგული — სულ სხვა და სულ უცნაური რამ ფრინველია.

„ნიკარტში მას ოქროს ბეჭედი უკავია.

„ამ ბეჭედს ალვის-ხის შტოზე ჩამოაცვამს, თვითონ დაბლა დაეშვება და ამ წყაროდან წყალს დალევს ხოლმე.

„თუ შენ იმდენს იმარჯვებ, რომ სანამ ის ამ წყალს დალევდეს, შენ ამ ხეზე ახვალ და იმ ბეჭედს ხელზე წამოიცვამ, მაშინ ის ვერაფერს დაგაკლებსო.

„ — კიო, ვუთხარიო, ამბობს კირიაკე, მაგრამ ჩემი ხნის ადამიანს. სად შეუძლია ან ამდენი სიარული, ან და ხეზე აპოტინებაო.

„ — მაგისი ნუ გეშინია უთხრა თურმე დათვმა.

„ — მე აგერ ერთ ჭადის კვერს მოგცემ. ის შეჭამე და რამდენ ლუკმას შეჭამ იმდენი ათი წლის სიბერე მოგაკლდება, მაგრამ ბევრი არ მოგივიდეს თორემ ნამეტანი რომ შეჭამო ან მთლათ ბავშის მდგომარეობაში ჩავარდები, ან მთლათ მოკვდებიო.

„გამომკითხა რამდენი წლის ხარო, სამოცდა თვრამეტის ვარო, ვუთხარიო. — აბა, ხუთი ლუკმა შეჭამე და ოცდა რვა წლის ვაჟკაცათ შეიქნები, მაშინ ღონეც სხვა გექნება და ხალისიცო.

„მერე ერთი პატარა ბუჩქის ძირიდან ერთი ტუჩ-ჩამოტეხილი თუნგული გამოიღო და მითხრა, მოიყუდე ტუჩზე, ნუ გეშინია, რამდენიც გინდოდეს, იმდენი დალიე, ოღონდ პირს ნუ მოაშორებ და როცა პირი მოაშორო მაშინათვე მოიხსენი ტუჩიდან, რომ მეტი აღარ დალიო, თორემ რასაც ამის შემდეგ დალევ, საწამლავი იქნებაო.

„დავლიეო, ამბობს, ეს კირიაკე, ამ თუნგულიდან, რაღაცა მოჭვანგული ღვინო რომ იქნება იმის გემოსი იყოო.

„არ მიამა, მაგრამ როგორც გადავაცილე ყელს ისეთი რაღაცა ვიგრძენი, თითქოს მთლათ მომეხსნა, რაც სიმძიმე მქონდა ტანზეო.

„გავათავე სმა, კიდევ მინდოდა ერთხელ კიდევ მომეყუდებია ტუჩზეო, მაგრამ დათვმა აღარ დამანებაო.

„გამისტუმრა და თან დამაბარა,

„ — თუ რამე გაგიჭირდეს, წმინდა ვასილის სახელი ახსენე და მაშინათვე ყველაფერს დაბრკოლებას ჩამოგაცილებო, თანაც ერთი კენჭი აიღო და უბეში ჩამიდვა.

„ — ეს კენჭი არ დაგეკარგოს და გული მაგრათ გექნება, არაფრის შიში არ შეგივა გულშიო.

„ვიარეო, ამბობს, კირიაკე, და, მართლაც, მივადექი იმ მთის ძირსო.

„მივადექი, მაგრამ ამ წყაროს გარშემო უთვალავი უნასი სრიალებს და ენას ასისინებენ. ერთი შემეშინდა და ვაპირებდი უკან გამობრუნებას, მაგრამ იმ დათვის სიტყვები გამახსენდა, ვახსენე წმინდა ვასილის სახელი და უცბათ ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ყველა, რაც რამე უწმინდური იყო იმ წამში სოროებში მიიმალა. მეც წყაროსთან ერთი დიდი გათლილი ქვის საჯდომი იყო იმაზე ჩამოვჯექი.

„ — გევიხედე გარშემო, არე-მარეს თვალი გადავავლე, მაგრამ იმის უმშვენიერეს ადამიანის თვალი ვერ ნახავს, ისეთი სანახაობა იყო.

„ამ დროს — დილა ადრიანი იყო—გევიხედე და, მართლაც, მოფრინდა ერთი ფრინველი, უფრო ფარშავანგს ჰგავდა, მაგრამ გრძელი ნიკარტი ჰქონდა და ამ ნიკარტში ყვითელი ოქროს რგვალი ჯვარისწერის ბეჭედი ეჭირა. მეც მოვემზადე, რომ ალვის ხეზე ავსულიყავი, როგორც კი ეს ფრინველი წყაროს წყალის დასალევათ დაეშვებოდა ძირსო.

„გევიხედე, მართლაც, ჩამოაცვა ეს ბეჭედი ალვის-ხის ერთ გამხმარ როკზე, მაგრამ, სადაც ეს ბეჭედი ჩამოაცვა, იმ ადგილას თითქოს ცეცხლი უკიდია, ისე გაბრწყინდა.

„დაეშვა ეს ფრინველი ძირს, ჩამოჯდა წყაროს პირას, მივჩერებივარ, მაგრამ რა დაინახა ჩემმა თვალებმა, ფრინველია, ფრინველია ფრთებიც აქვს და ბუმბულიც ასხია, მაგრამ თავი ნამდვილი ადამიანის აქვს. სახეზე ნიკარტი აქვს. წყლის დალევას, რომ შეუდგა ეს ნიკარტი მოიძრო და გვერდზე გადადვა. დავინახე სახე ადამიანის გამოსახულება, სახე ქალის აქვს, მარა ლამაზია, ლამაზია ისეთი, რომ ადამიანის თვალს უკეთესი არ დაენახვება.

„თავზე გიშერივით შავი თმა აყრია. ერთი მწარეთ ამოიოხრა და წასკდა თვალებიდან ცრემლები, ტირის და ტირის მოთქვამს:

„ — ჩემი ცოდვა მიეცა იმ ჩემ ძმას, რომ მე ამ ყოფაში ჩამაგდოო. მივჩერებივარ ამ ამბავს და სრულებით გადამავიწყდა დაბარებული საქმე.

„ერთიც ვნახოთ, ერთი შეინძრა და შეირხა ეს ფრინველი და უცბად დაცვინდა ფთები და ბუმბული და წყაროს თავზე გამოჩნდა ისეთი ლამაზი სუროს ტანი ჰქონდა ახალგაზრდა ქალს, ტიტველი დედაშობილად დგას და წყაროს აუზში ჩასასვლელათ ემზადება.

„დევინახე, რომ ტანზე მარჯვენა ძუძუს ქვეშ ერთი ხელისგულის სიფართეზე ჭრილობა აქვს ამ ქალს და იქიდან სისხლი მოფრთხიალებს.

„როგორც იქნა თვალი მოვაშორე, ავცოცდი ხის კენწეროზე და ბეჭედს წავავლე ხელი. ჩემი ხელის წავლება და იმ ქალის საშინელი კივილი ერთი იყო.

„ასე მეგონა მთლად შეინძრა მთა და ბარი თქვა.

„მე მაინც ალარ შეევეპუე და დავეშვი თავდალმა.

„გევიხედე ის ქალი წყაროს აუზში ჩამჯდარა და სისხლი რაც არ მოდიოდა ორი იმდენი მოდის.

„მომაძახა,

„ — ვიღაცა ხარ ადამიანის შვილი, ბეჭედს ხელს ნუ მომიკიდებ, ვიცი ჩემი უწმინდური-ძმის გამოგზავნილი იქნები. სიკეთე არ დაგადგება არც შენ და არც შენ კუთხე-ქვეყანას ჩემი შეწუხების გულისთვისო.

„მოვდივარ, გულში არ ვუშვებ მის ნალაპარაკებს. გევიხედე ამოვარდა ის ქალი წყალიდან, უკან მომდევს და მომტირის, თან ამ სისხლს აქცევს იმდენს, რომ მის კვალზე პირდაპირ სისხლის ღელე მიდის. დამეწია, დაიჩოქა ჩემ წინ და შემეხვეწა.

„ — ისედაც გაჭირვებაში და უბედურებაში ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე და ნუღარ ჩეიდგამ ჩემს საცოდაობაში ფეხსო.

„ — არ შემიძლიაო, ჩემო დაოთქვა, ვუთხარი პირობა მაქვს მიცემული, უნდა მივიტანო თავის ადგილას ეს ბეჭედი-მეთქი...

„ — რათ გინდა რომ ის მოიმადლიერო, იმას არც ჩემთვის და არც თქვენთვის არასოდეს კეთილი საქმე არ დაუთესია. ვიცი, ვისაც შებირდი: — ჩემი ძმა არის ის, მისი წყალობით ვარ მე ამ დღეში ჩავარდნილიო.....

ალარ მახსოვს რითი დაათავა ირაკლიმ ამ სიზმრის ამბავი. ჩამეძინა და ალარაფერი გამიგონია.

დილაზე მე რომ გამომეღვიძა, ირაკლი უკვე წასულიყო; მე იმის წასვლა არ გამიგია.

დედა-ჩემს ნამტირალები თვალები ჰქონდა.

— ბაბუა მალანჩი, დედას ბიძია მომკვდარა, ირაკლიმ გაუმცხადა ამ დილაზე, მითხრა ჩუმათ თინიკამ.

მამა-ჩემს ერთი ყუთი ჰქონდა, ყველაფერი საბუთის ქალალდი იმაში ეწყო.

„ — მალანჩი კოკბერაშვილი, ამოიკითხა მამა-ჩემმა, გადმოუხურავს სამი აბაზი. ხვავით ეშველა მის მკვდარსა და ცოცხალს, ბარაქით იმას გადმოუხურავს, ჩაილაპარაკა მამა-ჩემმა.

— შე უბედურო, რა უნდა გადმოეხურა აბა მამი-შენის სატირალზე იმ საწყალ ბიძა-ჩემს, სახლი იმ წელიწადში დაეწვათ, საქონელი იმ წელიწადში გაეხოცა — ალარ გახოვს, რა უბედური წელიწადი იყო, ის წელიწადი? — მაგ რომ მოახერხა იმ საწყალმა, ის არ გიკვირს.

— რა ვიცი, შე კაი ქალო, თათრის პოხოდში ის იყო ნამყოფი, ზახრაბოსტის მენდალი იმას ქონდა, მილიციის პრაპორჩიკი ის იყო.

— რაც იყო, იყო. შენი და შენი შვილების ჭირი წაუღია. ეხლა იმაზე ვიფიქროთ, რომ, როგორმე სხვებში გამოსხლეტილი არ დავრჩეთ. ხელცარიელი არ მივიდეთ. მერე მეც ერთი შავი კაბა, თუ არ შევიკერე, ისე ხომ ვერ წამოვალ?

— კი, შე ურჯულო, მაგრამ, მეც მკითხე შემიძლია, თუ არა ყველაფრის შოვა!

— გაჭირვება ნუ მოგადგება კარზე, თორემ შეძლება და ქესატობა, ყველაფერი უნდა დეივიწყო. ასე ტრიალობს ეს წუთისოფელი. ამაზე დგას ეს ქვეყანა. მოკეთეს დალხინებაშიაც უნდა გამოადგე და გაჭირვებაშიაც, სატირალშიაცა და საცინარშიაც.

— მე მაგას კი არ ვამბობ, მაგრამ, საიდან გავაჩინო მე ეს ფული? დაქფული საყიდველი გვაქვს, ორი იჯრის მეტი აღარც ქე გამოვა. ბათმანი ქბილი შვიდი აბაზი ღირს, ხომ უყურებ, რავა ყველაფერს ცეცხლი ეკიდება? ერთი ორი საპანე ყავარე თუ არ ვიყიდე და არ შევაფარე, ეს თავგადახდილი სახლი თავზე გადაგვენგრევა. სხვა რომ არაფერი იყოს, წვიმა დაალპობს. შეშაც საყიდელია, მერე ის ნივთი რომ გვაქვს დაგირავებული, იმის სარგებელი გადასახდელია. ვინ იცის, რამდენი რამე გვჭირდება და ამ უბედურებაში შენი სამგლოვიარო კაბის საყიდელი ფული, საიდან გამოვაძრო?

— ურიის ვალი რომ აიღო, მაინც უნდა რამე ღონისძიებას გახდე. მეტი საშველი არ არის.

— კი ეიღე, შენ მომიკვდე, მაგრამ რომელი სულელი ნახე ახლა ჩვენ ფული გვანდოს?

— რატომ, შე კაი კაცო, აგერ მალაქიას, რომ შევესესხულოთ, რავა დევიჯერო, ისე წეისვას პირზე ტალახი, რომ ორიოდე თუმანი არ გვავალოს რამოდენიმე თვით. ტყვილა შლის ხოლმე ენას, რომ მოვა ჩვენსას და ათასნაირათ გვიჩლექავს ენას?

— მალაქიას, აპა, სწორეთ შენი დარდი აქვს ეხლა. ის ქორივით გვიტრიალებს თავზე, იქნება ის სადუქნე ადგილი მიწა რომ გვაქვს, ის მომყიდოსო.

მიაშავე ბარემლა და ის იქნება, მაინც არ გვაქვს გამოსავალი.

— კი მივაშავებ, მაგრამ ასე ოხრის ფასად როგორ შეველიო. უწინ რომ თვითონ ფასს იძლეოდა, ეხლა იმის ნახევარსაც აღარ იძლევა, თორემ ვინ მამა-ძაღლი, მივცემდი ბარემლა და ის იქნებოდა.

— ხარბის გულს რა გააძღებს? ასე იცის მაგ ჩემი ცოდვით სავსემ, ყველაფერი მაგრე მუქთად და ოხრათ უნდა რომ გადაყლაპოს.

ირაკლის დაებარებია, დამავალეს რომ ჩვენიანები ვინც გეგულებოდეთ, წერილები თქვენ დაუგზავნეთ მადედგანო. ირაკლის გასაგზავნი კაცები უნდა ეშოვნა, მამა-ჩემს წერილები უნდა დაეწერა.

დილიდანვე შეუდგა წერილების წერას.

„მწუხარებასა შინა მყოფი ქვრივი..... რა ჰქვია ადამიანო იმ შეხბიცოლას?

მზეხა, რავა დაგავიწყდა, შე კაცო?

— „მზეხათუნ, ასე იქნება ნამდვილი სახელი, და შვილები...“ წერილების წერას კარგა ხანს მოუნდა მამა-ჩემი. ბოლოს ჩამოვიდა სოფლიდან ირაკლი, ორი ვილაც კაცი ეშოვა წერილების დასატარებლად და დაწერილი წერილები დააგზავნეს ახლო-მახლო სოფლებში.

— შე კაცო, სვირის სანაოზე ბიძა ჩემის მამიდაშვილია გათხოვილი, იქაურ აზნაურშვილს ყავს ნეფისწვერიძეს, იმას არ დაგავიწყდეს. უსათუოთ მიწერე წერილი.

— რა ქვია იმ ნეფისწვერიძეს? სახელი არ იცი?

— რავა არ ვიცი, აგერ მაგდია ენაზე, კაცს ჭადის სახელი დაავიწყდაო, რომ იტყვიან, ისე დამემართა. მერე ისეთი კარგი შეძლებული ადგილ-მამულის პატრონი კაცია. ის ჩემი ნათესავი ქალი, მშვენიერათ ჰყავს შენახული, ნიავის სიოს არ აკარებს.

გათენდა სატირალში წასასვლელი დღე.

ავეკვიატე დედას, უსათუოთ უნდა წამიყვანო სატირალშითქო.

დავიყოლიე, როგორც იყო ნებას. მამა-ჩემმა სამი ნაქირავები ცხენი მოიყვანა იმ დილით. შევკაზმეთ და გაუდექით გზას.

სახლი თინიკას-ამარა დარჩა.

ცხენზე ჯდომა მე, ჩემის გუნებით, ნასწავლი მქონდა, მაგრამ ცხენი რაღაც უჟუმრი შემხვდა. ხან სულ არ გაადგამდა ფეხს, ხან, როცა მათრახს გადაუჭირებდი, ისე აძუნძულდებოდა, რომ მთლად ჩამომაგლეჯდა ხოლმე გულსა და ფილტვებს.

ზამთრის მიწურული იყო.

— ნახუნდარისაკენ მიმავალი გზა ისეა სავსე მოზელილი ტალახით, რომ ცხენს ფეხის მომაგრება და გავლა უჭირს.

იმ დღეს სატირალში სხვებიც მიდიოდენ და ამიტომ ერთმა ათმა-თორმეტამა ცხენოსანმა მოიყარა თავი. წინ ირაკლი მიდის თავის ჭაკი ცხენით.

საარაკო და საკვირველი არსება იყო ეს ჭაკი. შესახედავათ, ასე იფიქრებდი, სული რომ წაუბერო წაიქცევაო.

გვერდის ნეკნებს სათითაოდ დაითვლიდი. აწოწილი, გამხდარი, რაღაც გამოურკვეველი ფერის. ერთი შეხედვით, თითქოს, ნაცრის ფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ იცის კაცმა, ეს ფერი იყო, თუ მტვერი. ალაგ-ალაგ ქლალი წერტილები ჰქონდა გაბნეული მუცელზე და ზურგზე.

— აქეთ, აქეთ ბიძა-ჩემო, მადეთკენ ფეხი არ გადაუცდეს ცხენს თორემ ჩაეფლობით — მორეკია.

ქალები უკანა რიგში მოდიან.

მე სულ უკან მივაჩანჩალებ ჩემს ბედაურს.

— ეს ბოვში რაზე წამოგიყვანია შე ქალო, ჰკითხა დედა-ჩემს ერთმა ჩვენმა შორებელმა ნათესავმა, რომელიც ახლა ჩვენთან ერთად შედიოდა სატირალში.

— არ მომეშვა. ბეჩა თებრონია, არ მომეშვა. ბაბუა ძალიან უყვარდა და სატირალში უნდა წამიყვანოო.

ეს ბაბუა მე, მართლაც, ძალიან მომწონდა.

მახსოვს, ერთხელ როდესაც დედა-ჩემთან ერთად „დედულს" ვიყავით, ამ ბაბუასთან მიმიყვანეს.

— ბაბუა, მკითხა მაშინ მოხუცმა, სკოლაში არ დაიარები?

— არა, ბატონო, ჯერ არ დავდივარ.

— იარე ბაბუა, ისწავლე, თორემ ჩვენს დროში უსწავლელი ადამიანი და უენო ერთი და იგივეა.

„სწავლა მუდამ შენთან არს,
„მუდამ შენთანა მყოფელი;
„მას გეცილების არავინ
„არ არის გასაყოფელი"

ასე თქვა ბაბუა დავით გურამიშვილმა. ჭკუანი კაცი იყო. რომ გაიზრდები, წაიკითხავ მის ნაწერებს. მერე დედა-ჩემს მიუბრუნდა და უთხრა:

— ელიბო, ჩემო ძმის წულო, კარგი ვაჟი გყოლია, ღმერთმა გაგიზარდოს, მაგრამ ეცადე უსწავლელი არ დატოვო.

IV

— გზა ნამეტანი ცუდი შეგვხვდა.

— შუა-წირვამდე ვერც ქე გადავაწევთ სთქვა აზნაუშვილმა ნეფისწვერიძემ, რომელიც შესამჩნევათ ერჩეოდა დანარჩენ ცხენოსნებში. მას შედარებით უფრო უკეთესი ცხენი ჰყავდა და ჩაცმულ-დახურულიც სხვებზე უკეთესად იყო.

— დარდი ნუ გექნებათ, ბატონო ივლიანე, გადმოაწვდინა ხმა ირაკლიმ წინიდან. ჩვენმა ლაფშა ცხენებმა თუ ვერ მიადწიეს, თქვენ ორლას მაინც არაფერი დაუდგება წინ.

— შე კაი-კაცო, საჯირითოში კი არ მივდივარ, მისასწრები რა მაქვს? მე იმას ვამბობ, რომ ნამეტანი ტალახი ჩამდგარა ამ დაწყევლილ გზებში.

— მართალი ბრძანებაა, ბატონო; ჩვენ აზნაუშვილობას როგორ ეკადრება. თორემ ამისთანა ტალახში და ლაფში ისევ ორლობეებზე სიარული ჯობია ფეხით. შეაწია ვილამაც შუაგულიდან.

საზოგადოთ ნეფისწვერიძეს — არც იმდენათ წარჩინებულ აზნაურს, ამ კრებულში მეტი პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდენ.

„ — პოდრაჩიკია, ბატონო, ქუთაისში საპოდრაჩიკო საქმე აუჩენია, თურმე შეშას უზიდავს სალდათებს კაზარმაში. იმდენი ფული აქვს მაგ ჩემი ცოდვით სავსეს, ჩეჩქივით უყრია ჯიბეში.

„ — ჯიბეში კი არა, ბანკში ჰქონია შეტანილი. ყაჩაღები რომ დაეცეს თავზე, თურმე ერთ ყურგახვრეტილ შაურიანს ვერავინ უნახავს.

— ბანკში აქვს, თუ ჯიბეში კარგათ ქე ცხოვრობს, დანარჩენი. როგორც გინდა, ისე იანგარიშე.

მესმის უკანა რიგში მიმავალი ორი მოხუცებული აზნაურის პუტუნი ერთმანეთში.

— სწორეთ დაგვაგვიანდა, ბეჩა ირაკლი, რავა დაგვემართა ეს საქმე, გულდაწყვეტილი სთქვა დედა-ჩემმა, როდესაც მზე შუადღის იქით გადავიდა.

— მართალია, დეიდა ჩემო, დაგვაგვიანდა, მაგრამ, ხომ იცი, მიგველიან და სანამდი ჩვენ არ მივალთ, ისე მიცვალებულს არ გაანძრევენ ადგილიდან.

— ისემც კარგი დაგემართოთ, მაგრამ ჭირისუფალიც შეწუხდება და ამდენი თავმოყრილი ხალხი. საწყალი ბიძა-ჩემი თავის ქვეყანაში გამოსხლეტილი და გაუკანასკნელებული კაცი როდი იყო, ამ სიბერის დროს წამოეწია მხოლოდ საწყალს სიღარიბე და გაჭირვება. მთელი სამი ოთხი სოფელი მაინც იქნება თავმოყრილი.

— მივდივართ და ეს არის, ამაზე მეტი რა ვქნათ; გზის ბრალია. რომ ცოდნებოდა ადამიანს ცოტა უფრო ადრიანათ დაიკავებდა თავდარიგს.

სოფელი ნახუნდარა არც ვაკეა, არც მთა-გორიანი ადგილი. სანახევროთ ერთიც არის, მეორეც.

ვაკეს მაინც მაღლობი სჭარბობს.

საყანე და სავენახე არ აკლია ნახუნდარელებს.

სიმინდი ისეთი იცის, რომ ცხენიანი კაცი დაიმალება შიგ, მაგრამ ხშირია აქეთკენ გვალვიანი წელიწადი.

მაშინ ისე გადახმება ყველაფერი, რომ ყანაში სათესლე სიმინდსაც ველარ გამოიბრუნებს ხოლმე მიწის მუშა.

მთელ სოფელს ერთი წყარო აქვს.

ზაფხულში წყარო ხშირად ამოშრება ხოლმე და მაშინ მთელი სოფელი შეწუხებულია.

საქონელის სასმელ წყალს სულ ველარ შოულობენ; სადღაც ძალიან შორს მირეკავენ ხოლმე საქონელს. იქ ჭენჭყო-ჭაობი დგას და წყურვილისაგან შეწუხებული საქონელი აქ იბრუნებს ხოლმე სულს..

ეკლესია ხისა აქვთ ნახუნდარელებს.

ძველია ეკლესია.

წყალი ჩამოდის შიგ.

მღვდელი ყოველ წირვა-ლოცვის დროს მუდამ იმას ქადაგობს:

„ — მართლმადიდებელო ქრისტიანებო, სულ ნუ აიღებთ ასე ხელიერთპირად ღმერთზე ხელს. მოიკელით ცოტაოდენი სასმელიდან, საჭმელიდან, გაიხსენეთ მამა-ზეციერი ღმერთი და შეეწიეთ თქვენ სულიერ მამას, რომ საკადრისათ დაამშვენოს და მორთოს ეს ღვთის სახლი.

„რას გავს ჩვენი ეკლესია? კაცს არ შემოესვლება შიგ. საქალებო მთლათ მოიშალა, გუმბათი სამრეკლოს გადახდილი აქვს. ტრაპეზში წვიმა ჩამოდის. რომ ისე გაგვიდიდდეს ღვთის რისხვა და წყალი ჩამოვიდეს იმ ალაგას, სადაც წმინდა ბარბალეს ნაწილი გვაქვს დაცული, ხომ დატრიალდა საცოდაობა. ხომ დავიღუპეთ ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე?

სოფელი არ არის ღარიბი.

გლეხები აქედან „საშოვარზე“ დადიან.

ჭიათურაში მიდიან: ხარი და კაცი სულ უკანასკნელი ექვს აბაზზე გამოვა ღლეში. ქვას ზიდავენ მაღაროდან სადგურამდე.

ზაფხულის თვეებში, კარგ ათ-თუთხმეტ მანეთს შემოიტანს ოჯახში.

მოსახლეების მეტი ნაწილი აზნაურებია.

ნახუნდარის აზნაურშვილები განთქმული არიან თავიანთი ბედ-დოვლათიანობით. ვითომ არ თაკილობენ „შავ მუშაობას", მაგრამ მათს მუშაობას არც ხეირი აქვს, არც ბარაქა.

— ივანეს კარგი გამარჯვება, მიაძახებს ხოლმე თედორე თავის კარის მეზობელს, როცა კარგა დაგვიანებულ საუზმის დროს დაინახავს ყანისაკენ მიმავალს.

ხან ერთი მოასწრებს ყანაში წასვლას, ხან მეორე.

არც ერთი არ ჩქარობს.

ყანაში მუშაობა და თოხის ტრიალი მათ არ ეხალისებათ.

მათი ყანები ერთი მეორეზეა მიკერებული.

სამანით არის გაყოფილი.

სამანი უბრალო რიყის ქვაა, ერთი თავშია ჩაფლული სანახევროთ მიწაში,

მეორე ბოლოზე.

ქვამ სიარული არ უნდა იცოდეს, მაგრამ მათი სამანის ქვები ხშირათ ინაცვლებენ ხოლმე ადგილს.

ხან იქეთ გადაიწევენ, ხან აქეთ.

ამის გამო მუდამ ჩხუბი და დავიდარაბა აქვთ საზღვრების თაობაზე ივანესა თედორეს.

ყოფილა შემთხვევა, რომ შუაგულ ყანის მუშაობის დროს, ორთავეს მიუნებებია ხოლმე თავი მუშაობისათვის და ორთავე დაბაში გაქანებულა ერთი მეორზე საჩივარის დასაწყებათ.

— აზნაურშვილის ხეირი რომ არაფერში არ უქნია ღმერთს, თორემ რას ეხჩობიან ერთმანეთს ერთი მითხარით ეს კვდარ-ძაღლები. ყანა ან ერთს რათ უნდა ან მეორეს. მუშაობა და მოვლა არც ერთს არ ეხალისება, დასცინიან მათ ნახუნდარელი გლეხები.

— მიზეზს შოულობენ, რომ სუდში იარონ. ტყვილა ყოფნასა და ხეტიალს რომ არიან მიჩვეული; მამა-პაპისეული მოდგამთ. ამბობენ და უდასტურებენ ერთმანეთს გლეხები.

— ეხლა კიდევ გამოიხედა მოწყალე ღმერთმა ჩვენსკენ, თორემ მე მაგათ ამბავს მოვსწრებივარ, იტყვის ხოლმე ვახუშტი ხინთიბიძე — ღრმათ მოხუცებული გლეხი. დასწყევლოს და დალახვროს ღმერთმა მათი გვარი და ჯილაგი, მე მაგათგან სიმწარე მახსოვს. ეხლა ცოტა ხელები დაიმოკლეს, თორემ ბატონ-ყმობის დროს მაგენი ჩვენ დღეს გვაყენებდენ, მტრისას, მტრისას!

როცა ვახუშტის ვინმე სიტყვას შეუბრუნებს, როცა ეტყვიან ხოლმე:

— გადავარდა ბატონ-ყმობა. ეხლა აღარ არის ბატონი და ყმაო, ვახუშტი მაინც თავისას ამბობს:

— გადავარდა, შვილებო, მაგრამ ვერ გადავარდა ისე, როგორც საჭირო იყო. რამდენია დღესაც თავდაუხსნელი გლეხები ჩვენში. ადგილ-მამულიც მაგათ ჩარჩათ. ისაა მხოლოდ, რომ დაგვიხსნეს ბატონის ბჭყალებიდან, ხელით ველარავინ შეგვეხება მაინც, დეილოცა ღვთის სამართალი. ეხლა ქე მაინც შვილს ვერავინ მოგტაცებს, ქალიშვილს გასათხოვარს ვერავინ გაგიწბილებს, ვერ მოხდის ლეჩაქს. სახლს ვერ გადაგანგრევს თავზე. ესეც დიდი შელავათი და შეფარებაა.

მოსწრებული კაცია ვახუშტი, ახსოვს ძველი ამბები.

როგორც იქნა გადავადექით იმ სერს, რომლის ძირას მოსჩანდა ნახუნდარა.

— აბა, ვინც მახლობელი ვართ, თმა გავიშალოთ, — სთქვა ვიღაცამ ქალებში.

— ჯერ, ბეჩა შორსაა, რა გაგვაძლებიებს ამ სიშორიდან ამ ყიამათ ქარსა და სიცივეში, იუარეს ზოგიერთებმა.

შეიქნა დავა და ჩოჩქოლი.

— ბეჩა, ამდენი სალაპარაკო და სადაო რა გვაქვს, ვისაც ეტირებოდეს და ულირდეს იმ საწყალი ბიძა-ჩემის ნახსოვრობა, იმან თმაც გეიშალოს და ვისაც არა, დაძალება რავა შეიძლება ამისთანა საქმეში, გააშველა დედა-ჩემმა მოკამათეები.

— ჭინჭყლიანი დარია.

ჰაერში ბურია გამდგარი.

ცრის წვრილ ქიქმატა წვიმას.

— ამ ჩემმა ცხენმა, ამ ოხერმა ნალი წეიძრო ფეხზე. ამ თავდალმართზე, თუ არ ჩამოვხტენი, ისე მე აქ კისერს მომატეხიებს ეს ოჯახ-ქორის გამოცემული, ჩაილაპარაკა ირაკლიმ და იკადრა ფეხით სიარული თავდალმართზე.

— შენმა მზემ, წეიძრო კი არა, მაგ შენ თოხარიკს თავის დღეში არ ღირსებია ნალი, ჩუმათ გადაულაპარაკა მამა-ჩემმა.

— არ გამომაჭენო ამ ხალხში, ბიძა ჩემო. სად მაქვს ახლა მჭედლისათვის ნალებში მისაცემი ფული? ვაკეზე უნალოთაც ჩინებულად გაივლის და ამ დალმართში მეც კარგათ გიახლებით ფეხით. ის კი არა, ნეტავი სულ ფეხითაც წამოვსულიყავი, ამდენს არ გევილახებოდი.

ბოლოს ქალებმა თმა გაიშალეს შეიქნა წივილ-კივილი.

— მაგ ცხენს ლაგამს ნუ შეუშვებ, თორემ კივილი არ გიშველის შენ, გულმოსულად წაულაპარაკა მამა-ჩემმა დედას. უყურე ფეხი

არ დაუსხლტეს, თორემ ზიარებას ვერ მოგასწრებს შეკაზმული ღვდელი.

— ნეტაი ზარით თუ ასვენებენ?

— აბა, რავა იქნება! უზარო ტირილი, ვინ გეიგონა!

— ის კი არა, სამი ეკლესიის ღვდელია დაპატიჟებულიო, ასე მითხრეს, ტირილსა და მოთქმას შუა გამოურია დედა-ჩემმა.

ეზოში მართლაც აუარებელი ხარი და ურემი დაგვხვდა.

ლობეზე ცხენებია მიბმული.

ჭიშკარი მოფელილია.

სახლიდან ყრუ გაბმული ღმუილი ისმის.

„ — ჩემო საყვარელო ბიძია, ჩემო გვარის დამამშვენებელო ბიძია, ჩემო ბიძია, ჩემო ბატონო, რავა მიგვატოვე, რატომ მოგვიძულე, ვინ-ღა არის ეხლა ჩვენი შემხედვარე, ჩვენი შემბრალებელი, ჩვენი პატრონი?

„ — ბიძია, ბ ი ძ ი ა!

„ — მოვდივარ შენი გაუბედურებული ძმისწული, შენი დაობლებული, შენი ურგები და გამოუსადეგარი ძმის შვილი!

„ — შენებურათ შემხვდი, ბიძა ჩემო, გამომეგებე, შეკრული წარბი არ მაჩვენო!

„ — დამანახვე შენი გახსნილი შუბლი, შემახედვე შენ ჭალარა წვერებს, შენ აპელატებით დამშვენებულ ბეჭებს!

„ — ბიძია, ბ ი ძ ი ა!... მოთქვამს დედა-ჩემი.

— ირაკლი, ნუ კი დეიბნევი ეხლა, ეს ცხენი ჩამომართვი დისწულობას, თხოვა დედამ ირაკლის, როცა ჭიშკარს მიუახლოვდენ.

— შენ აქ დარჩი, სახლში ნუ შემოხვალ; ვინ იცის, მიცვალებულის დანახვა შეგეშინდეს იქნება, დამარიგა დედამ და თვითონ სხვა ქალებთან და კაცებთან ერთათ მიაშურა სახლის დერეფანს.

მე იქავე გავერიე ხალხში.

— ძალიან განათლებული გასვენება აქვს ცხონებულს, სამ პირ ზარი არის აშვებული, ლაპარაკობენ ხალხში.

— თურმე საწყალს, ვასასვენებელი ფული ცალკე ჰქონია გადამალული, სანამდი აღსასრულის საათი არ მოუახლოვდა, თურმე, არავის არ გაუმხილა.

— თუ კი რამე გააჩნდა, რა ამ დღისათვის ინახავდა? მერე ის საცოდავი, ვერ მოიხმარა სიცოცხლეში, იქნებ კიდევ ეცოცხლა ორიოდე დღე.

— ეჰ, ჩემო კეთილო, მაგან რაც იცოცხლა, ნეტავი მე და შენ გავძლებდეთ იმდენს ხანს. კარგი ხნის იყო. თათრის პახოდობაში ნამ-

ყოფი მაგ იყო და, ვინ იცის კიდევ, სად არ ყოფილა და რას მოსწრებია.

— მეც მაგას არ ვამბობ, ეხლა ჩვენ ვიკითხოთ, თორემ მაგენი კიდევ მოესწრენ გემრიელ ცხოვრებას. ბატონ-ყმობა მაშინ კიდევ გადაუვარდნელი იყო, ყმები მაგათ არ აკლდათ, პატივში მაგენი იყვენ და მოწონებაში. ასე კი არ იყო მაშინ, ეხლა ბაბუა-ჩემის ნაყმები რომ ჩემი თავის დაკვრას აღარ კადრულობს.

ძელულ საჯალაბო სახლში გძლათ იყო გაწყობილი სუფრა.

— აბა, შორებელი ვინც იყოთ, მობრძანდით, მიირთვით მიცვალებულის შესანდობელი, იძახოდენ ჭირისუფლების მახლობლები, რომელნიც მოსული ხალხის მასპინძლობის თავდარიგს ეწეოდენ.

— ბოშო, შეწიე ეს ურემი ფარდულში, ვერ უყურებ წვიმა აფუჭებს პურს.

ფჩხილა ურემზე დიდი ძარი იდგა პირამდე თორნის პურით სავსე.

— აბა ეხლა დაძღებიან სოფლის გოგო-ბიჭები ამ პურით, მარტო მაგათი მადლი არ წაწყმინდავს მიცვალებულს.

სუფრას თავს დასტრიალებენ:

მერიქიფეები,

საჭმელების მიმტანები,

საინების გამომცვლელები,

მეპურეები — პურის დამრიგებლები.

— აბა, სისონა, ღვდლის ულუფა, რაც გქონდეს, კარგათ შეინახე, არ შემარცხვინო კაცი, მიაწია სამზარეულოსაკენ მიმავალ ჩოხის კალთებს ამოკაპიწებულ შუახნის კაცს, ჭირისუფლის ოთახიდან გამოსულმა ნამტირალევმა მიცვალებულის უფროსმა ვაჟმა.

— როგორ გეკადრება, ბატონო, თავის ადგილას მაქვს ყველაფერი დამარაგებული, მაგის დარდი ნუ გექნება, დააწყნარა ჩოხის კალთებ ამოკაპიწებულმა.

ბოლოს მიცვალებული გამოასვენეს, ეკლესიის გალავანში დასასაფლავებლათ.

წინ მოზარეები მიდიან. შემდეგ ეკლესიის ბაირაღები მოაქვთ.

კუბოს უკან მისდევს ჭირისუფლები და მახლობელი დამტირებლები.

ეკლესია გორაკზეა.

დაასვენეს საფლავის პირას; მღვდელი წესის აგებას შეუდგა.

— შეხედე, ეს ვინ მოსულა, ვინ მოსულა შეხედე?

— ვინ არის, ვინ?

— ვინ არის და სოფიო ჭულუხოური.

ხალხში პუტუნი შეიქნა.

„ — მაგის ცოდვა არ მოასვენებს ცხონებულს საფლავში;

„ — მაგის ცოდვა საფლავშიც უყეფებს.

ვერ მიმხვდარვარ, რას ნიშნავს ეს ლაპარაკი.

სოფიო ჭულუხოური მეც ხშირათ მინახავს.

გადარეულს ეძახოდენ.

სოფელში კარიდან კარზე დაიარებოდა. მოხუცი იყო, ტანისა-მოს-შემოხეული, ზამთარ ზაფხულ ფეხშიშველა დაწრიალობდა.

— რა ქალი იყო თავის დროზე, მაგ საცოდავის შვილი, ამბობს ვახუშტი ხინთიბიძე.

მის გარშემო რამდენიმე ადგილობრივი გლეხია გაჩერებული.

გლეხები თუმცა დაესწრენ სატირალში, მაგრამ მათ ცალკე უჭირიათ თავი, თავადი და აზნაური გლეხებს არ ეკარებიან და არც გლეხები ეტანებიან „კეთილშობილთა" კრებულისაკენ.

— მე ბავშობისას მოვესწარი, შვილებო, მაგ საცოდაობას. მაგ სოფიო, მაგ უბედურის შვილი, ისეთი ლამაზი იყო, რომ ავის თვალით არ დაინახვებოდა. მაგრამ დედ-მამა ისეთი ღარიბი ჰყავდა, რომ მათზე უღარიბესი და უსაწყლესი ჩვენ ახლო-მახლო არავინ იყო. მამამისი მართალია ღარიბი კაცი იყო, მაგრამ ძალიან პირიანი და პატიოსანი კაცი, ჩუმი-უწყინარი, ბუზს ვერ ააფრენსო, რომ იტყვიან — ისეთი.

ვახუშტი შეჩერდა, შუბლზე ხელი გადაისვა და, თითქოს აღარ აპირებდა დაწყებული ამბავის გაგრძელებას.

— რას გაჩერდი, მერე, მერე? შეეკითხენ მას აქეთ-იქედან.

— აღარ ღირს ეხლა ძველი ამბავის გახსენება, რაც მოხდა-მოხდა, მისმა სულმა იცოდეს, ვისაც დღეს ვასვენებთ.

— თქვი, თქვი ვახუშტი. აქნამდი არავის არ გაგვიგონია ხეირიანად მაგ ამბავი.

— ან კი, რა გასაგონარი და, რა სასიამოვნო ამბავი მაგ არის?...

— გვითხარი მაინც ვიცოდეთ!

— იცოდეთ და იცოდეთ! ახალგაზრდობისას, დაიწყო ვახუშტიმ, მაგ სოფიო მამა-მისმა ბატონის ხაბაზს მიათხოვა. ხაბაზი ჩვენებური ბიჭი როდი იყო, ბგონია ქართლიდან ჰყავდა მოყვანილი მამა-მაგისს. მიცვალებულისაკენ ანიშნა ხელით.

დეიწერა ჯვარი და მიიყვანა ბიჭმა ახალი ნათხოვი პატარძალი ბატონის კარზე.

მაშინ მაგ სულ წაწყმენდილი ახალგაზრდა არამზადა ყოფ. ქორ-
სა და მიმინოს წრუპუნის მეტი არაფერი გამოდიოდა მაგის ხელიდან.
ეს გოგო თურმე თვალში არ მოუვიდა!

რითი შეაცდინა ღმერთმა არ იცის, მაგრამ შეაცდინა კი, რო-
გორც ჰგავს, გოგოსაც მოუვიდა თვალში ბატონის შვილი.

ეს ამბავი, თურმე ბოლოს ქმარს ჩეეწვეთა ყურში.

ეს ამბავი იმ დროს მოხდა, რომ სოფიო მაშინ ახალი ალოგინე-
ბულია და პატარა თოთო ბიჭი აკვანში უწევს.

მოვიდა, თურმე, ქმარი, სახე აშლილი, ხმას არ იღებს. დაჯდა
და არის ქვასავით გარინდებული.

იმ ღამეს ის სადღაც ჰყავდა ბატონს გაგზავნილი; იქ უნდა წა-
სულიყო. თურმე სოფიოც ამის იმედათ არის და თავისი კურო დაბა-
რებული ჰყავს.

შეპირებული ჰყოლია — შუალამე რომ გადავიდეს, მოდიო.

უყურებს ქალი, ეს კაცი არსად მიდის, უნდა გაახსენოს,
გეისტუმროს, მაგრამ შიშითა და დარდით ნერწყვი უშრება პირში,
ხმის ამოღებას ველარ ახერხებს.

ადგა ეს კაცი, დადის თურმე, ხმას არ იღებს, დანა კბილს
არ უხსნის.

მერე მიუჯდა ბავშის აკვანს, უყურა, უყურა, თურმე, თვალებში
ცრემლი მოერია.

მერე ერთი უცბათ ქაჯივით წამოვარდა ზეზე დაავლო ხელი
ხანჯალს, კედელზე ჰქონებოდა მიკიდებული, იშიშვლა და ლოგინში
მწოლარე ბავშს ჩასცა.

მერე ერთი კიდევ შემოტრიალდა და გაექანა ქალისაკენ, მაგრამ
ფეხი წამოკრა რაღაცას და ამ შემართულ ხანჯალზე თვითონ
წამოეგო.

ქალმა წივილი მორთო, შემოცვინდა ხალხი. ამასობაში ის ბიჭიც
წამოვარდა ზეზე და ის ის იყო, რომ ქალიც უნდა გაეპო ხანჯლით
შუაზე, ხალხმა ალარ დაანება.

ქალი იპატივეს, სიკვდილს გადაარჩინეს;

ბიჭი კი თან დაჭრილი იყო და მეორე დღეს გაბაწრული გააგ-
ზავნეს ნაობახში.

იქ ჩაკვდა, მისი ასავალ-დასავალი კაცს არ გაუგია.

ამ ამბავის შემდეგ მაგ ყმაწვილიც ერთ ხანს სადღაც გადაკარ-
გული იყო, მამამისმა გაგზავნა სადღაც, სახლს ალარ ეკარებოდა.

სოფიომ იჯავრა იჯავრა საწყალმა, მერე ჭკუაზე შეირყა და ასე
სოფელ-სოფელ დაიწყო ხეტიალი

გამოვბრუნდი.

სოფიო ჭულუხოური საფლავის ქვაზე წამომჯდარიყო.

ღლიაში თორნის პური ჰქონდა გამოჩრილი; მიწას დაჩერებოდა, წვირიანი თავსაფრიდან თეთრი თმა გამოიყურებოდა, შიშველი ფეხები კანჭებამდე ტალახში ამოსვრილი დაწითლებოდა.

— სოფიო, სოფიო, წამოადგა თავზე ვილაც სოფლის ახალგაზრდა, ამ ქვაზე რომ დამჯდარხარ, გაცივდები; არ გეშინია?

— კი, როგორ არა, ძალიან მეშინია. მ ე შ ი ნ ი ა. ჩუმათ იყავი, ვერ უყურებ, მოკვლას მიპირობს? მომკლავს? მ ო მ კ ლ ა ვ ს!!!

— ვინ გკლავს, ვინ მოგკლავს?

— შენ ვისი ხარ, ბიძია?

— ვისი ვარ და პატრონის!

— ვისი ხარ ბოშო შენ?

— ველარ მიცანი, ჩვენსას რამდენჯერ ყოფილხარ, ალარ გახსოვს?

— მახსოვს, მახსოვს, მახსოვს მე უბედურს. მ ა ხ ს ო ვ ს, უცბად წამოიჭრა ზეზე, დაეშვა ეკლესიის გალავანს გადაღმა სერზე წივილ-კივილით.

ჩვენ იმ დღეს უკან ალარ დავბრუნებულვართ.

დედა-ჩემს ნახუნდარაში ძმა ჰყავდა, იმისას მივედით.

— ბეჩა, ივანე, აგრე უნდა, ალარ გაგვიხსენე! რამდენი ხანია შენი .ლანდი ალარავის უნახავს ამ ჩვენს რიადაგეზე? შემოგვეგება წინ ბიძა ჩემი.

მამა-ჩემს, მართლაც, არაფრათ უყვარდა სოფლად სიარული სტუმრათ ყოფნა, ეს საყვედურიც ამის თაობაზე გააგონა ბიძა ჩემმა.

— სად მაქვს, ესტატე ჩემო, სიარულის თავი. ამ უკუღმართ დროსა და ამბავში სტუმრობა ვისლა ახსოვს?

— ეს უბედურობა რომ არ დაგვმართოდა, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვერ ვეღირსებოდით თქვენ აქ მოსვლას, მოგვაგება იქვე კარებში ბიცოლა — ჯუფარამ.

სიღარიბე იმას ეთქმის, კოკბერაშვილები რომ ცხოვრობდენ. ხოლო ესტატე ამ ღარიბებშიაც განსაკუთრებული ღარიბი იყო.

ზარმაცი და ხელმოშვებული ადამიანი არ იყო ესტატე კოკბერაშვილი, მაგრამ არაფერი საქმე არ ემარჯვებოდა ხელში.

— ულიმლამო კაცია, ის საწყალი, იტყოდა ხოლმე დედა-ჩემი თავის ძმის შესახებ. სხვის ყანაში რომ საუცხოო მოსავალი იყოს,

მას ორი გოდორი არ მოუვა. საცოდავი, შრომას არ აკლებს, მაგრამ არ აქვს ხვავი და ბარაქა მის მუშაობას.

— ან კი სად უნდა მივიღოთ ასეთი ძვირფასი სტუმრები რომ მოგვივიდა, გულნატკენი ამბობდა ჯუფარა. საჯალაბო სახლში და სრხანეზე ხომ ვერ დავაჯენთ იმ პატარა ოთახში პოლი ქე დავაგეთ, მაგრამ აკოშკა არ ჩაგვიჯენია, არ ვიცი როგორ იქნება.....

— ჯუფარა, ჩემო რძალო, ნურაფერს წუხარ, ჩვენ ერთი ღამე გვაქვს გასათევი და ხვალ დილა-ადრიანათ უნდა გავუდგეთ გზას. ნურაფერს შეწუხდებით. სასმელი ჩვენ არ გვინდა და საჭმელი.

— რას მელაპარაკები, შე ქალო, ჩემი ბატონი ივანეს მოსვლას მოვესწარი და ასე ადვილათ გაგიშვებთ, ეხლა.

„ოთახში" შეგვიყვანეს.

ეს ოთახი საჯალაბო შუა-ცეცხლიან საჯალაბოზე იყო მოდგმული. კედლებში სინათლე პირდაპირ შემოდიოდა გარედან.

— ვერ მოვათფუნეთ ჩვენ საწყლებმა, ხან ფული არ გვქონდა ხელში, ხან დრო ვერ შევურჩიეთ. რა მეგონა მე-უბედურს, რომ ასეთი ძვირფასი სტუმრები მომივიდოდა, თორემ მთლად ურიის ვალში რომ ჩავარდნილიყავი, მაინც მოვაწყობდი ამ ერთ თვალ ოთახს.

საშინელი სიცივე იყო ამ ოთახში.

გარედან ქარი ჰქროდა.

ფანჯრის ჩარჩოებში არსად შუშა არ იყო ჩასმული.

ჯუფარა დატრიალდა.

მოიშველია თავისი სამი ქალიშვილი — ყველა გასათხოვარი ქალები. ფანჯრის ჩარჩოებში ბალიშები გაამაგრეს.

ქარი ცოტა მოვიგერიეთ. მაგრამ სინათლეც აღარ შემოდიოდა გარედან.

— აბა, ბოშო, ჭრაქში ნამთი ჩაასხი, ფითილი გაუსწორე და შემოიტანე, თორემ მთლად ჩამობნელდა ამ ოხერში.

ქალიშვილმა რაღაც გადაუპუტუნა დედა-მისს ყურში.

— რა ვუყოთ, დედა მერე, გადაირბინე შვილო კონსტანტინესას და ერთი ჭრაქში ჩასასხმელი ნამთი გვასესხეთქვა, დედამ შემოგითვალა, დაბიდან სტუმრები ამომივიდენ თქვა.

— კი დედა-ჩემო, მაგრამ რომ არ ექნეს?

— არა, შვილო, ვიცი, რომ აქვს, მთელი ერთი გირმაქა ეყიდა აგერ გუშინაწინ კოსტანტინეს უფროსს ბიჭს პლატონას, ჭიათურა მოიარა, ქვა ჩამოეტანა და აღებული ფულით რაღაც-რაღაცეები ეყიდა, ნამთიც გამოეყოლებინა თან.

— კარგი, კარგი, მივდივარ.

— ბარემლა ეს კრუჭკაც ქე წაიმძღვანიე თან, შიგ ჩაგისხამს ბარემლა და ის იქნება.

შეიქნა ვახშმის მზადება.

— მგლოვიარეთ რომ არ ვიყოთ, მე ვიცი როგორც გაგიმასპინძლდები, ისეთი ნასუქი დედალი მყავს, რომ კარგ ბურაკს სჯობია. მაგრამ ამ შემთხვევაში რა გამეწყობა?

— ნუ დეიჩემებ ადამიანო, არაფერი არ გვინდა, ცოტა ვილაპარაკოთ, ვიმუსაიფოთ, მერე ცოტაოდენს თვალს წავატყუებთ. დილაუმთენია უნდა წავიდეთ, სახლი პატარა გოგოს ამარა მაქვს მიტოვებული, შიშის ქარები მივლის სანამ უკან დავბრუნდებოდე, მეშინია ან სახლს ცეცხლი არ წაუკიდონ, ან თითონ არაფერი მოიწიონ, ეუბნება დედა.

მოიტანეს ბოლოს ნასესხები ნავთით ნახევარზე გავსილი ჭრაქი, რომელიც იმდენ სინათლეს კი არ იძლევა, რამდენსაც ჭვარტლსა და აყროლებულ სუნს.

— ნიგვზიანი ლობიო მაქვს ისეთი თქვენთვის, რომ ვაგლახ ხორცს სჯობია, შემოგვთავაზა ვახშამზე თხლათ ამოქნილი ლობიო ბიცოლა ჩემმა.

— ღვინოზე ვართ ხელმოკლეთ. ჩვენი ღვინოების მოსავალი ის რალაც ფილოქსერა გაუჩნდა ვენახებს, იმან გადაიტანა თან, თორემ ასე ხელცარიელი როგორ დაგხვდებოდით. წყალ-მაჭარა, რავა შემოგკადროთ, თორემ ისეთი წყალ-მაჭარა გვიდია, რომ სამხევი სასმელი უკეთესი არ იქნება.

ვახშამი ჩქარა გავათავეთ.

როგორც იქნა დაგვიგეს და დავიძინეთ.

დილა-ადრიანათ უკან გამოუდექით გზას.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

კ. ლ ო ბ ა ნ ი ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

·ს ა პ ა ს უ ხ ო ს ი ტ ყ ვ ა

„ის (მოთხრობა) აშკარა ანტიფსიხოლოგიური
გზით ვითარდება და მისი მიღწევაც ამაშია“.
გ. ნატროშვილის წერილიდან

ამხ. ნატროშვილო,
კამათის წესით:
მე მოგისმინე,
ჩემიც გაიგე...

შენი მეთოდით
ფოსტალიონი
მხოლოდ წერილებს თუ დაარიგებს.

ისიც თქვენსავით უვლის შენობებს
და ესმის მხოლოდ კარის ჭრიალი,
მაგრამ მითხარით კარების იქით
როგორ შენდება ადამიანი.

ხედავ, დაიძრა მთელი ქვეყანა,
გუშინდელ ტემპებს იცვლის და ასწრებს;
რომელი გეგმა
არის რომ ყოფნის
დღეს რესპუბლიკის ენტუზიასტებს!

გესმის! დაიწყო როგორც არასდროს,
ყველა გრძნობების გაწვევის წელი,
შენ კი
ცოცხალი კაცი ggონია
ოქმიდან მშრალი ამონაწერი.

მჩატე ხელი გაქვთ... და პოემებიც
მოდის წყალივით, ალარ თავდება;
ჩქარა ჯებირი!
ამდენი წყალით
ათი სადგური ამუშავდება.

ე ლ. პ ო ლ უ მ ო რ დ ვ ი ნ ო ვ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭ ი ა თ უ რ ა *)

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ო რ ი ქ ა რ ხ ა ნ ა

თითქოს მთები იზრდებიან, თითქოს მთები იმართებიან ზევით და მზეს ჩრდილავენ.

ცხენს მივაჭენებ; ჩემს ზურგიდან კი ეს გაზრდილი მთები უკან მომდევენ, ბრუნავენ მწვერვალებით ზევით და წინ ჩრდილებს შლიან.

წყნარდება გარემო.

სადაცაა ამ ხევში ქარხნის შავი კვამლივით გაიშლება და დაინთხევა შავბნელი ღამე.

აღარავინ ჩნდება; თითქოს ყველა მთებსა და კლდეებს შეეხიზნა. ურმები აღარ ჩანს, არც ადამიანი. ჩხრიალებს პატარა მდინარე,—თვით შავი უერთდება თავისფერ ბინდს.

კილომეტრი გადავჭერ.

ვხედავ ქარხანას, რომელიც ქშინავს ჩქარი და მძლავრი ხმით. ის როგორც რკინის ყულაბა ისე დგას ამ სალკლდოვან მთებში, მაგრამ ეს პატარა ღრღნის ამ უზარმაზარი მთის გულს.

თვითეული წუთის შემდეგ გამოგრიალდება ხოლმე რამდენიმე პატარა რონოდა და გარეცხილი მარგანეცი გამოაქვს გარეთ.

აქა-იქ მოსჩანან მუშები, რომელნიც ამ რონოდებს მოაგორებენ და მარგანეცის გორაკებს აშენებენ.

შიგ ქარხანაში სუნთქვაა, ძლიერი, ქარივით ძლიერი. — გარედან გულისცემას ჰგავს, შიგნიდან ძარღვებში სისხლის ბრუნვას.

შევედი.

— გამარჯვება!.. სმენაგაბრუებული მივმართავ ქარხნის გამგეს.

---

*) იხ. „პროლეტარული მწერლობა“ № 9, 10.

ისიც მუშაა. მუშაობს დაზგასთან. გაღიმებულ სახეზე შავმტვერნარევი ოფლის ღარები დაეტყო.

— მოგვისწარით. სადაცაა მუშაობა შესწყდება. — მეუბნება ის და ხელს მართმევს. — დავიწყოთ მაღლიდან. — განაგრძობს ის და ავდივართ ხის ვიწრო კიბეზე ზევით, შენობის ჭერთან.

მურიანი წყალი ხის ოთხკუთხედი ღარით მოაგორებს კოშტოვას ქვას. ინჯღრევა ცხავი და სცრის მარგანეცს. მსხვილი ქვა პირდაპირ ქვედა სართულისკენ მიექანება, გაცრილი კი შემდეგი სართულის ცხავისკენ, გაივლის ოთხ სართულს და გაწმენდილი, გამდიდრებული მარგანეცით იტვირთება ქვედა სართულის დაზგები.

სართულებს მივყვები ძირს.

ყველგან ერთი და იგივე ხმაური, ერთი და იგივე სახის მუშაობა. ყველანი თავს დასტრიალებენ თავ-თავიანთ დაზგებს და სიტყვაამოუღებლივ მუშაობენ. პირდაპირ კი, ერთ-ერთი კედლის სიგრძეზე ტრიალებს ღერძი, ის შემობოჭილია ტყავის ღვედებით და ეს მოძრავი ღერძი ატრიალებს ღვედებს, ღვედები დაზგებს ამოქმედებენ და მთელი ქარხანა ერთ მთლიან, შეწყობილ და უცვლელ გუგუნშია.

კედელზე დიდი ძველებური საათი ჰკიდია. ალბათ მძინარეს გააღვიძებს მისი ცემის ხმა, ეხლა კი ქარხნის გუგუნში იკარგება, ქრება. მისი ისრები რვა საათს უჩვენებენ.

გარეთ, სპილენძნარევ ფოლადზე რკინა ეცემა და ქარხნის შენობაში, კედლების შიგნით, თუჯის ფრინველებივით მოგორავენ ხმები.

ეს ხმები ეცემიან, წვებიან კედლებზე, დაზგებზე; მისრიალებენ ღარებით ქვევით და ზევით და ქარხანას სპილენძში ახვევენ.

ერთხელ კიდევ შემოტრიალდა დიზელის მქნევარა და მძიმედ შეჩერდა. შეჩერდა ქარხანაც. შესდგა დაზგები.

განუწყვეტელი, შეუჩერებელი, თავბრუდამხვევი ხმაური მოსწყდა ჰაერს, მაგრამ თითქოს ინერციის ძალით ბგერები მაინც ბრუნავენ, ბგერები მაინც გაისმიან, ბგერები მაინც ვერ ჩერდებიან.

ნელი-ნელ შეეპარა ჰაერს საათის ჯახუნი. ის თითქოს ეხლა გამოჩნდაო, თითქოს აქამდე თვალი ვერ ხედავდაო.

წუთი და აიშალა ქარხანა. ეხლა ადამიანების სახეებიც გამოჩნდა. გარკვევით მოჩანს თვითეული ნაკვთი მათი სახისა.

და მუშები სახლში წასვლის წინ თავს ევლებიან დაზგებს. ისინი თითქოს დაღლილები არიან, გაოფლიანებული არიან და ძლივს დასუნებით ამოისუნთქეს. მუშები კი ოფლს სწმენდენ, თავს დასტრიალებენ. ასუფთავებენ; მერე კი წინსაფრებს იხსნიან, სამუშაო ტანსაცმელს იხდიან, ხელპირს იბანენ.

და შეჩერდა ქარხანა კმაყოფილი შრომით, ნაყოფით.

მძიმე ბოქლომის ქვეშ დადუმდა მკერდი.

დილაზე კი, განთიადისას, ჯერ არც მზე იქნება ამოსული, არც მთვარე ჩასული; — შრომა ამოვა ჯანსაღი ნაბიჯით და ქარხანას სისხლის ძარღვებს აუმოქმედებს.

მე და უფროსი მუშა ერთად მივდივართ.

წამდაუწუმ ირგვლივ ვიხედებით. ერთი კენჭის დაგორებაც კი ჩვენს ყურადღებას იპყრობს.

ხევში უზარმაზარი მანქანის შავი ღვედი სისინებს, მაღლა კი ცა იწურება და ქრება.

სიბნელემ იცის ადამიანების გულის თქმათა შეერთება, შეკავშირება. ალბათ ისიც იმას ფიქრობს, რასაც მე.

— როგორ მოგწონთ, ურმებით რომ ეზიდებიან შავ ქვას. — ვეკითხები. ჩემი ხმა ისე გაისმის როგორც გატეხილი ფინჯნის ხმა, რომელიც ნამსხვრევებთან ერთად ძირს ეცემა.

ამ სიცალიერეში ძირს დაეცა ჩემი სიტყვები გაბზარული და მისუსტებული.

— ამ ვერანას ვერ დავაღწიეთ თავი. თითქმის ყველა მაღაროებთან საჰაერო გზა არის გაყვანილი, მაგრამ ამ რგანის ხეობას ვერაფერი ეშველა. ხარები ცალკე იხოცებიან, ადამიანები ცალკე.

— გეგმები და ხარჯთაღრიცხვა უკვე განხილული და დამტკიცებულია. ამ ხუთწლიან მთელი გეგმით ჭიათურის მიდამოები საჰაერო გზებით იქნება დაქსელილი. — განაგრძო ისევ მან და ამ ყრუ ღამეში რამდენჯერმე ყრუთ ჩაახველა.

— ხუთწლიანი გეგმა!.. რასაკვირველია ჭიათურასაც ააყვავებს, გარდაჰქმნის...

— თქვენ არ გეგონოთ ადვილი იყოს ამ გეგმის შესრულება. იცით რამდენი მტრები გვყავს. ჩვენი მტრები ზოგჯერ სხედან სამმართველოშიც, ქარხნებშიც, მაღაროებშიც. ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრს ვაცხადებთ, მუშებს ვახალისებთ, ჩვენი მტრები კი გვირაბებს გვინგრევენ, მერე გაუფრთხილებლობას აბრალებენ, ჩვენ მარგანეცის თვითღირებულების დაწევა გვინდა, ისინი კი ხარისხს სწევენ.

სიტყვა მტრებს გარკვეულად ხაზი გაუსვა. მე არ ვიცი რა გამოჰხატა ამ დროს მისმა სახემ, მის სიტყვებიდან კი ბრაზი და ბოღმა იღვრებოდა.

უზარმაზარ, უმაღლეს მთის კიდეს გამოვცდით. თითქოს ქვეყანაში შევდგით ფეხი. აქ ცაც განათდა, მიწაც და გარემო გორებიც.

ერთი მთის ფერდობზე ქოხია აგებული. მის ერთად ერთ ფანჯრიდან უფერული სინათლე გამოკრთის.

თვალს გაჰყვები პირდაპირ, გორაკებს შუა და ხევის შიგნით, შორს ელნათურებს დაინახავ ციცინათელებივით მოციმციმეებს.

მარჯვნივ კლდის ძირში და სილრმეში ორ სართულიანი შენობა სდგას. ავლისასაც შევამჩნიე ეს.

ძირს ეზოში უთავბოლოთ ჰყრია ვაგონეტკების ბორბლები, დაგრეხილი რონები, დამპალი, გამოფიტული დედაკოჭები და ლოდიანები.

შიგ კი, შენობაში, რომელსაც წინა კედლები ჩამონგრეულ-ჩამოხსნილი აქვს, მოსჩანს ბოძები წაქცეული, ნახევრად კედლებში ჩამჯდარი. უზარმაზარ რკინის ბორბალს იატაკი ჩაუჭეჭყია და ნახევრად შიგ ჩამჯდარი გადაყირავებული დგას. ჩანგრეულია კიბეების საფეხურები. ქვითკირით ნაგები სწორკუთხედები, რომლებსაც მხოლოდ ლითონის დაჟანგებული ბადეები შერჩენია, ისიც უვარგისი და უხმარებელი ობლად გამოიცქირება, მიგდებულია ეს ოდესღაც დაზგები მომქმედი, მოძრავი და ხმაურიანი.

შენობა მიგდებულია. უყურადღებო. მკვდარია და უპატრონო, როგორც ზღვაში ჩაძირული გემი.

— ეს რა არის?..

— ქარხანა იყო!..

— მერე, დაიწვა?!.

— არა!..

— მაშ?!.

ის გაშტერებული უცქეროდა შენობას, თვალს არ აშორებდა და თითქოს მასზე ლაპარაკი არ უნდოდა. ეხლა მის ძარღვებს თოკებივით სძიძგნიდა ეს ხანახობა. სახე ქვასავით ჩამოეკვეთა, ნაკვთები დაეჭიმა და რამოდენიმე ხნით უმოქმედობაში ჩავარდა; მერე კი ეს სიკაჟე ზეჟ ჩამოადნა. დაეღვენთა, დაუნაღვლიანდა. რა დიდი ტკივილი განიცადა ამ წამებში, რა ბოლმა, რა ნაღველი?!.

— ქარხანა დგას!..—წაილუღლუღა მან. ცოტა გაჩუმების შემდეგ ისევ განაგრძო. — ხუთმეტ წელიწადს ვმუშაობდი ამ ქარხანაში, ყმაწვილი ბიჭი ვიყავი აქ რომ დავდექი. იცით, რამდენი ღამე გამითენებია ამ კედლებში?!.

მას მოაგონდა მთელი თავისი ახალგაზრდობა და ალბათ ქარხნის სიცოცხლეც, რადგან ისინი ერთმანეთზე გადანასკვულნი იყვნენ.

ლაპარაკი უმძიმდა. სწყინდა ქარხნის უმოქმედობა. გადავწყვიტე სხვა საგანზე დამეწყო ლაპარაკი, მაგრამ მანვე არ დამაცადა.

— იცით, ეს ქარხანა მხოლოდ სამი წელიწადია რაც შეჩერდა. კარგად მოწყობილი იყო, მაგრამ ამერიკელმა კონცესიონერებმა გაანადგურეს. ისინი თანდათანობით ამცირებდენ წარმოებას, ითხოვდენ მუშებს, გვირაბებში მუშაობა სწყდებოდა და ქარხნებიც ჩერდებოდა. გაჩერებულ ქარხნებს, როგორც სამარაგო ნაწილების საწყობს, ისე უცქეროდენ. ჩვენ ვხედავდით თუ ჩვენ თვალის წინ, როგორ აცლიდენ ქარხნებს სხვადასხვა ნაწილებს და იხმარდენ რჩეულ ქარხნებისათვის. გაუმჯობესების მაგიერ მთლად დაგვინგრიეს წარმოება. ყველა ქარხანა შეჩერდა და უპატრონოდ ეგდო რამდენიმე წლის განმავლობაში.

მე ვუსმენდი მის ლაპარაკს. სიტყვების გარდა მესმოდა მისი გულისთქმაც და სინანულიც. თითქოს მის ღვიძლ, მის სიხარულთან და ჭირთან შეზრდილ დალუპულზე მოსთქვამდაო.

— რათ ჩაიდინეს ასე?..

— შესცდა, ჩემო ძმაო, შესცდა. ისე ვერ გაინავარდა, როგორც სურდა. მუშების ექსპლოატაციას ვერ ახარხებდა. სხვის ზურგზე უნდოდა გაეთამაშა, მაგრამ პროფკავშირები ყველაფერში ჩვენს წესებზე მიუთითებდენ. თავიანთ ნებაზე ვერც ვინმეს ითხოვდენ, ვერც ამუშავებდენ. ხელფასიც კავშირთან შეთანხმებით იყო დაწესებული და ტყავის გაძრობა რომ ვერ მოახერხა, დანგრევით წასვლა არჩია.

თვითეული ჩემი სიტყვა მის გაღიზიანებას გამოიწვევდა. მე შემეძლო, ჩემი რომელიმე შეკითხვით მისი უსაზღვრო ბოღმა წამომეშალა, გამეასკეცებინა და გამოეხატა ქარხნებისადმი ის სიყვარული, რომელიც პატარა ხრახნმაც კი თავის წილად ჩაუნერგა. მე გაჩუმება ვარჩიე. არ ვარგა გრძნობებთან თამაში.

ის კი მაინც განაგრძობდა:

— შარშან ზამთარი მეტისმეტი ცივი დადგა. ამ ქარხნის წყალსადენ მილებიდან წყალი არ გამოეშვათ და ყინვისაგან დამსკდარიყო წყალტუმბოები, ცილინდრის სამოსები, მილები. ბევრმა კი ხე და ფიცრები გაზიდა. თვითეული გამვლელი მეურმე თავს ვალდებულად სთვლიდა თითო ბოძი მაინც ჩამოეძრო და წაეღო. ასე გაზიდეს ქარხანა, გაანადგურეს.

— ჩვენმა ტრესტმა რაღათ მიატოვა ასე, რატომ არ აღადგენს?..

— წარმოება ჩვენს ხელში გადმოვიდა თუ არა, მაშინვე შეუდექით მაღაროებისა და ქარხნების აღდგენას. ავამუშავეთ ოცდახუთი ქარხანა, მაგრამ ეს იმდენად დაზიანებული იყო, რომ ახლის აგება უფრო ნაკლები დაჯდებოდა, ვიდრე ამის ამუშავება.

ძლივს მოსწყვიტა თვალი თავის კუნთებისა და შრომის სამშობლოს.

მივდივართ ისევ. უკან ფეხების ბაკუნით და კისრის ქნევით მოგვყვება ცხენი ჩუმი, წყნარი და ჭკვიანი.

იზრდება ქალაქი ჭიათურა, მოდის გვიახლოვდება და თვალის გუბებში გვივარდება.

დაღლილობა ეხლა ვიგრძენი.

საროიონის მოთხრობები:

სასტუმროს ოთახი, რომელშიც ჩამომხტარი ვარ, ახლად შეთეთრებული კედლების გაჯის სუნით არის გაჟღენთილი. ფანჯრის რამდენიმე შუშა ჩამტვრეულია და ზაფხულის გამთბარი, დაღშული ჰაერი ოდნავ მაინც სცვლის ოთახის ჰაერს.

შუაღამისკენ მივდივარ.

ხელში ქაღალდის გრძელი ფურცლები მიჭირავს. ფურცლები გაყვითლებულია და თამბაქოს სუნი უდის.

პირველ მოთხრობას, რომელსაც სათაური არა აქვს, თავში სამი ვარსკვლავის მაგიერ ჯვრები უზის:

+

+ +

ივანე გვირაბიდან გამურული გამოვიდა. ოფლი ახლად შეშრობოდა და სახე უპრიალებდა. ის ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ მაინც მხიარული ელფერი ეკრა.

რისთვის უხაროდა ასე?..

დღეს შაბათი იყო.

იქვე კანტორასთან მუშების რიგი იდგა. გაისმოდა ჟივილ-ხივილი, კინკლაობდენ ერთმანეთში და ხანდახან გემრიელი გინებაც ზარის ხმასავით გამოვარდებოდა ხოლმე.

ივანეს უხაროდა შაბათი დღე. უხარია ყველა მუშაკაცს ეს დღე, რადგან ფულს აიღებს, ცოლშვილში წავა, ცოტასაც წაიქეიფებს და დაივიწყებს შავ ბედს.

ისიც რიგში ჩადგა.

— შენ, ძმიავ ერთი დღისა რისთვის დამაკელი?! — დინჯათ ეუბნება ახალგაზრდა მუშა კანტორის მოხელეს.

— გახსოვს სამშაბათს სამუშაოზე რომ არ მოხვედი, — უპასუხა მან და თითქოს ძაღლი ჰყეფდესო მეტი ყურადღება აღარ მიაქცია, დაიძახა:

— შემდეგი?!.

— შემდეგი კი არა, ძამიავ, — წამოიყვირა ახალგაზრდა მუშამ, — ერთი დღის ფული მომეცი, მე ხომ სამშაბათს ოცი ნიმუტით დამიგვიანდა!..

— ხოო და სულ ერთი არ არის!.. — ნიშნის მოგებით მიაყვირა კანტორის მოხელემ, — „პრავილა“ წაიკითხე, აგერ!..

მოჩხუბარი ვერაფერს გახდა. „პრავილა“ „კანტორჩიკის“ დაწერილი იყო და გამარჯვებულიც თვითონ დარჩა.

ლანძღვითა და ბუტბუტით გამოვიდა ჯგუფიდან. სახე გაწითლებული ჰქონდა, თვალები კი ისე ამღვრეული თითქოს შიგ ღვინო ჩაღვრილაო.

ივანემაც მიიღო მთელი კვირის ნამუშევარი. იმასაც დააკლეს ფული. მან მხოლოდ ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია და ხმის ამოუღებლივ ჩაითვალა მიღებული ფული.

ეხლა არ იცის საით წავიდეს; სოფელში თუ ჭიათურაში?.. იმას უნდა ბავშებს რამე უყიდოს, ხვალ კვირაა, გაახაროს საჩუქრით.

ჭიათურისკენ გასწია.

გზაში სხვა მუშებიც მოემართებიან და ლაპარაკობენ, რომ მაღაროების პატრონი გაუმაძღარი და უსვინდისო კაცია.

ბევრი იარეს. რამდენი მთა გამოიარეს, რამდენი გზა, რამდენი ბილიკი და ბოლოს ჭიათურაში შევიდან.

ღია დარაბიან დუქანთან გაჩერდა. კანაფებზე მწკრივად ეკიდა წითელი, შავი და მწვანე წულები. იქვე ჭრელ-ჭრელი წინდებიც ელაგა.

იდგა და ფიქრობდა: „ერთს ნინუცას ვუყიდი, მეორეს მიხაკოს და წავალ შინ“...

მიუახლოვდა, დააფასებინა. ეძვირა მაგრამ ვერცხლის აბაზიანები დაუთვალა.

გარეთ რომ გამოვიდა გვერდზე დუქნიდან ღვინის სუნი ეცა. თითქოს დაიბნიდაო. რომ ღვინოზე ფიქრი არ დაეწყო თვალი დახუჭა.

ამ დროს შემოესმა:

— მობრძანდით, მობრძანდით, შაქარივით ღვინო გვაქვს, შაქარივით!..

სარდაფის კარებთან მსუქანი, თვალებგაწითლებული მეღვინე იდგა. იმათ იციან რომ შაბათ დღეს მაღაროს მუშები ფულიანები არიან. და კარებში დგანან რომ შეიპატიჟონ.

„შევიდე თუ არა“?.. წამოეჭრა კითხვა ივანეს. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ერთ ადგილზე უძრავად გაჩერდა და ვერაფერი

ვერ გადაეწყვიტა. ყელში კი ნერწყვი მოადგა. ძარღვებში სისხლი აუჩქროლდა.

— მხოლოდ ერთ ჭიქას დავლევ, — გაიფიქრა და შევიდა კიდეც.

სარდაფში ერიამული იდგა.

მღეროდენ, ყაყანებდენ, ილანძღებოდენ; ისეთი სიტყვებით იგინებოდენ, რომელიც ჯერ არსად არ დაბეჭდილა.

თამბაქოს კვამლი და ღვინის სუნი აღრჩობდა ოთახს.

ერთი ჭიქა დალია. მერე მეორეც მოითხოვა. წამოსვლას აპირებდა, მაგრამ მესამეც გადაჰკრა და ჯიბეში ხელი ჩაიყო, რომ დანახარჯი გაესწორებინა.

— ესეც ჩემ ხარჯზე დალიე, — მიაძახა დახლიდარმა და ერთი ჩაის ჭიქაც ღვინით აუვსო, თანაც თავის გვერდზე მდგომ მიკიტანს მამაძაღლურათ თვალი ჩაუკრა.

ესიამოვნა ივანეს დაპატიჟება. გადაჰკრა.

წამოსვლას აპირებს, მაგრამ ვერ ახერხებს, მუხლები აუთრთოლდა, ღვინო უფრო მოსწყურდა. ერთი ჩარექიც მოითხოვა და იქვე მაგიდას შემოუჯდა.

შემოიპატიჟა ვილაც. დალიეს ერთად. შემოსძახეს კიდეც და ქეიფი გააჩაღეს.

წუღები და წინდები ნეკზე მაგრად მიიბა. მერე ხშირ-ხშირად დახედავდა ხოლმე რომ არ დაჰკარგოდა.

საღამო მოვიდა. ყველგან ქუჩებში და ეზოებში დაბნელდა.

მაშინ ადგა ივანე, გადაიხადა დანახარჯი და გაცალიერებული ქისით გზას გაუდგა.

სოფელში მისვლამდე შემოაღამდა.

ცოლი კი ამ დროს ტახტზე იჯდა და ქმარს ელოდებოდა.

ფიქრობდა: „ივანე ნამუშევარს მოიტანს, ბავშებს ჩითსა და წიგნებს ვუყიდი, ცოტა სიმინდსაც ვიყიდი“.

ბავშებს კი დახეული საბნების ქვეშ ეძინათ.

შემოესმა ცოლს სიმღერის ხმა:

„ისევ და ისევ ღვინითა
ჰარი-ჰარალე“....

ოთახის კარს წიხლი შემოარტყა, შემოაღო და სიმღერით შემოვიდა.

დახვდა ცოლი ტირილითა და ბუტბუტით, მაგრამ ივანეს მისი არაფერი ესმოდა.

ის მიიწევდა ცოლისკენ წინ, მარცხენა ხელის ნეკს იშვერდა მისკენ და გაიძახოდა:

— აი, ნინუცას რა მოვუტანე, აი, ხედავ?!.

„ხომ არ გაგიჟდა ივანე, რა მოუვიდა ამ ნეკს რომ მიჩვენებს“, გაიფიქრა გაბოროტებულმა ცოლმა.

— ხედავ, ხედავ, — ის მაინც გაიძახოდა. მერე თვითონაც დახედა თავის ნეკს და წუთით გაშტერდა. თვალები გადმოუტრიალდა, ნეკზე არაფერი არ იყო. პატარა ხანს გაშტერებული იდგა და დასცქეროდა თავის ცარიელ ხელს, მერე იგივე ხელი ბრაზით ჩაიქნია და სიმღერა განაგრძო:

„დროც გავატაროთ ლხინითა,
ჰარი-ჰარალე“!..

. . . . . .

ამ დროს სროლის ხმა გაისმა.

ფანჯრის გატეხილი მინები შეინძრა და აკანკალდა.

წამოვდექი, გადავიხედე და ვხედავ ქვედა სართულის აივანზე ხალხი აჩოჩქოლდა.

გავედი. სასტუმროს პატრონი კარებთან მხვდება და სხაპასხუპით შეუბნება:

— ბატონო, აქ ქმარმა ცოლს ტყვია ესროლა. მთვრალი იყო ის შეჩვენებული და ღალატს უგონებდა.

— მოკვდა?..

— არა, სუბუქად დასჭრა. კლავში დაჭრა, კლავში!..

„სიყვარული, ღალატი, მკვლელობა!.. რა მომაბეზრებელია ეს განუსაზღვრელად უთვალავი, მრავალჯერ განმეორებული და განუსხვავებლად ერთი და იგივე ამბავი“!..

ბრაზით ამოვდივარ კიბეებზე. მწყინს კითხვის შეწყვეტა. მეგონა სარდიონის მოთხრობაში ისროლეს მეთქი, ნამდვილად კი დღეს, ისევე ლოთი იარაღს ამოქმედებს.

ფურცლებს დავუბრუნდი. თვალები სტრიქონებს დავაყრდნე, გონებაში კი პატარა ჩაქუჩებივით მირტყავენ სიტყვები:

— იარაღი დააგდებინეთ!.. წაიყვანეთ... დაჭრილს უშველეთ!..

სიყვარულით დაჭრილი არ მოკვდება...

ვარდი ხომ არ არის დაჭკნეს!..

მე განვაგრძობ:

. . . . . .

დაიძინა ივანემ. ის ტახტზე მიწვა ტანსაცმელ გაუხდელი და ტუ-ჩებზე გინებაშერჩენილი.

სოფლის ლამაზი დილა გათენდა. მზემ ყველგან შეანათა: ქოხ-შიც, ბოსელშიც და ბალჩა-ბაღებშიც.

ნიავმა გრილად დაჰბერა და ფოთლები შეაშრიალა.

ადგა ივანე, დარცხვენილი, გაჩუმებული.

ქისა გაისინჯა. შიგ მხოლოდ რამოდენიმე გროში ღა ეგდო. არც ახსოვს სად დაკარგა წუღები, არც ის ახსოვს რამდენი ფული გადა-ხადა ღვინოში.

კვირა დღე სოფელს აცოცხლებს. ივანესთვის კი მუდამ ასეთი თენდებოდა. ისიც გაჯავრებული დარჩენილ ფულით კვირა დღესაც ქეიფში ატარებდა და ვითომ ბოღმას იკლავდა, ნამდვილად სიმშილ-კარზე ედგა. ცოლშვილი შიშველი დაუდიოდა.

არც სოფელს ჰქონდა მეტი გასართობი.

ახალგაზრდები ლხინსა მართავდენ; უკრავდენ დოლზე და ცეკვა-ვდენ, არშიყობდენ. ხანში შესულები ხელადებს უსხდენ; ბაასობდენ ვის რამდენი საპალნე ღვინო მოუვა, ვის რამდენი ბათმანი სიმინდი და სიმთვრალეც შეეპარებოდათ.

ორშაბათი დილა არც კი გათენებულიყო, რომ ივანე ისევ სამუ-შაოდ მიდიოდა.

ეწყობოდა ისევ დამქანცველი მუშაობა დილიდან ღამემდე. ეწ-ყობოდა ისევ ტანჯვა წერაქვსა და უსწორმასწოროდ გათხრილ გვირა-ბებს შორის.

მოვიდოდა შაბათი. მიიღებდა ფულს. ისევ სარდაფში ჩაყრიდა და წავიდოდა სახლში ხელცარიელი, მთვრალი, გალეშილი.

ოჯახი ფეხზე ვერ დააყენა. ცხოვრება უფრო გაუჭირდა. ცოლ-შვილს საჭმელი შემოაკლდა, თვითონაც ჯანში გატყდა.

ერთ დილას ივანემ ცხრა წლის მიხაკო წაიყვანა მაღაროებში სა-მუშაოდ.

მიხაკო სიხარულით მიდიოდა, მას ეგონა გვირაბებშიც მწვანე ბა-ლახია. ჭრელი ყვავილებია და სინათლიანი ცა, მაგრამ ყველაფერი შავი დაუხვდა.

მას შემდეგ მამაშვილი ყოველ დილას მაღაროებში დადიოდენ და თავიანთ ჯანს იქა სტოვებდენ.

ყოველ შაბათს მიხაკო მამას სახლისაკენ ეწეოდა, მაგრამ ის მაინც სარდაფს ვერ სთმობდა მაინც თვრებოდა.

ოჯახი სიღატაკეში დარჩა.

ივანესთანა მუშები ბევრი იყო.

. . . . . .

პირველი მოთხრობა გავათავე. კალამი ავიღე, რუსული სიტყვები ქართულით შევცვალე, ზოგიერთი გამოთქმებიც ამოვშალე და გვერდზე გადავდე.

ქვედა სართულიდან ხმაური აღარ მომესმის.

იქ ყველაფერი მისწყდა, მიყუჩდა...

მათი რომანი: ერთისთვის საავადმყოფოში დამთავრდა, მეორესთვის ციხის ტიტველ კედლებში.

დერეფანში დროდადროით გასაღების ჩხრიალი და კარების ჯახუნი გაისმის.

ჩემი ოთახის სანათს უამრავი პეპლები დახვევია. ფუსფუსებენ. ფრენენ სანათის ირგვლივ და მერე ფრთებდამწვარნი ეცემიან ძირს.

„ნუთუ ესენიც ეკალნასობი ბულბულები არიან?!.“.

მეორე მოთხრობის კითხვას შეუდექი.

როგორც ეტყობა ეს პირდაპირი გაგრძელებაა პირველის.

კიდევ სამი ჯვარია.

+

+ +

მიხაკო მაღაროებში წამოიზარდა. ამხანაგები ბევრი გაუჩნდა. ყველა მუშები იყვნენ. ისინი სულ ერთად მუშაობდენ და როდესაც მიხაკოს ტუჩს ზევით ულვაშები დაეტყო მას ვერც ლონით სჯობდენ, ვერც ჭკუით, ვერც გაბედულებით.

ერთხელ მაღაროებში ვილაცამ გაზეთი მოიტანა და მუშებში ერთმა ხმამაღლა კითხვა დაიწყო.

ბევრი რამ გაიგეს გაზეთით.

მიხაკოსთვის გაზეთის დანახვა მეტად უცნაური და საკვირველი ამბავი იყო. მაშინ მიხვდა რომ წერა-კითხვის სწავლა საჭირო იყო.

ერთ მოხუც უფროს მუშას შეეხვეწა და ის ყოველ საღამოს მარგანეცის გროვილზე ასოებს უხატავდა.

ასე ისწავლა წერა-კითხვა.

ერთ დღეს მუშები გვირაბებში რომ შედიოდენ შესავალთან ნაბეჭდი ფურცლები დაინახეს. აკრიფეს. კითხვა დაიწყეს. მიხაკომ წაიკითხა და იგრძნო რომ მასაც და მის ამხანაგებსაც ვილაცები მათრახითა და იარაღით თავს ადგენ.

ფურცელი გულის ჯიბეში ჩაიკრა.

შემდეგ უცხო ამხანაგები გაიცნო და ისიც შეიგნო, რომ ის მუშა იყო.

ერთხელ მუშაობის დროს მიხაკო შუადღისას გამოვიდა გვირაბიდან და სამუშაოს შეწყვეტის ზარი დარეკა. ეს მას ახალ ამხანაგებისგან ჰქონდა დავალებული და აასრულა კიდეც.

აჩოჩქოლდა მუშები. გამოცვივდენ გარეთ. ბევრმა იცოდა, რომ ეს გაფიცვის დაწყება იყო. ბევრმა კი არაფერი არ იცოდა. მუშები გამოდიოდენ გვირაბიდან, ჰყრიდენ წერაქვებს, ნიჩბებს, ცალთვალებს. მუშაობას თავს ანებებდენ.

დაიძრა ეს ადამიანების ტალღა და ქალაქ ჭიათურისკენ გასწია. გზაში სხვა უბნის მაღაროელებიც შეუერთდენ და მოხდა დიდი, ხანგრძლივი გაფიცვა. ისინი მღეროდენ მარსელიოზას და ბრძოლის სულვილს უღვივებდენ ერთმანეთს.

გამოჩნდა ბოქაული, რომელსაც ზურგში ყაზახები მოსდევდენ და აღ ყდა სროლა, თოფების საკეტების ჩხრიალი.

მწარმოებლები შორიდან უცქეროდენ და ბრაზით ულვაშებს იკვნეტდენ. მერე კი, როცა მუშები დამარცხდენ და თავ-ჩაღუნულნი გვირაბებს დაუბრუნდენ, მწარმოებელნი იასაულებივით იდგენ და ყაზახებს ეუბნებოდენ:

— ეს დასაჭერია!..

— ეს კატორღაში!..

— ამას სამუშაოზე აღარ დაუშვებ!..

არავის არ უნდოდა მაშინ მუშაობა, მაგრამ რა ექნათ, როცა სახლში მოდიოდენ ხედავენ რომ თაროზე გამხმარი პურიც კი არ ეგდო, რომ წყალში ჩაესველებინათ და ეჭამათ.

ყოველ მუშის ოჯახში ბავშები ტირილით გაიძახოდენ:

— სიკოს მამამ შოთი პურები და საზამთრო მოიტანა, ჩვენ, მამა, ჩვენ არ გვინდა?..

და როცა მამა ამას გაიგონებდა დამნაშავესავით გაჩერდებოდა, მივიდოდა სიტყვაამოუღებლივ, თავზე ხელს გადაუსვამდა და დაძაგრულ თითებს ლოყაზე აუთამაშებდა. თანაც ფიქრობდა. მწარედ ფიქრობდა. ფიქრობდა ცოლშვილის ტანჯვაზე და ლუკმა პურზე.

უბრუნდებოდენ სამუშაოს და ისევ იკაკვებოდენ მაღაროს გვირაბებში.

ასე შეურიგდენ ბედს. გულში კი ბოღმა და შურისძიების სურვილი უგროვდებოდათ.

ერთხელ კიდევ მოხდა რევოლიუცია. ეხლა სხვანაირი. უფრო კარგი. არც სროლა იყო, არც სისხლის ღვრა.

მუშებმა რომ თოფ-იარაღი აისხეს, ბაირაღები გამოიტანეს, გეგონებოდათ წითელი ზღვა გაჩენილაო.

ეს თებერვალში იყო. მოდიოდა გაზაფხულის გრილი წვიმა.

მუშებმა პრისტავი დაიჭირეს. პაგონები ჩამოაგლიჯეს და ქალაქიდან გააძევეს. ჩაფრებიც დაიჭირეს. იმათაც იარაღი აჰყარეს და ყველაფერი მუშებმა ჩაიბარეს.

მწარმოებლები გარეთ ვერ გამოდიოდენ, ეშინოდათ.

მუშები იძახდენ:

— მაღაროები ქვეყნისაა. მთავრობას ჩავაბარებთ.

— კაპიტალისტები ძირს!..

და მუშაობდენ მუშები რვა საათს. მიხაკოც მათში იყო. მასაც უხაროდა ეს გამარჯვება, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა.

კანონი გამოვიდა. მაღაროები თავიანთ პატრონებს რჩებათო.

ცოტა ხანიც გავიდა და ვნახოთ მილიციაში ახალი უფროსი დანიშნეს. ის ისევ ის ძველი პრისტავი იყო, მხოლოდ პაგონები არა ჰქონდა და ტანსაცმელიც სხვანაირი ეცვა.

უკვირდათ მუშებს. ისინი ამბობდენ:

— ჩვენ რევოლიუცია გავაკეთეთ. სისხლი დავღვარეთ, რომ ეს ხალხი დაგვემხო, ჩვენ კი ისევ ისინი დაგვადგენ თავზე.

ის კი გაიძახოდა:

— მთავრობისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, რიგზე იმუშავეთო,—გვერდზე ორ ტკაცლიანი რევოლვერი ეკიდა და თვალებს მგელივით აბრიალებდა.

მწარმოებლები გამაგრდენ. ზურგში გაიმართენ და ისევ ბატონობა დაიწყეს.

გაფუჭდა რევოლიუცია!..

მუშა კაცი ისევ უმოწყალოდ შრომობდა. შაბათ-კვირას ქეიფში და ღვინის სმაში ატარებდა.

ასე მოდიოდა თვეები, წლები...

ბოლოს ჩუმი მუშაობა შეიქნა. გააჩაღა მიხაკომ ჭერქვეშ მუშაობა, სწორედ ისე, როგორც მეფის დროს იყო...

მერე, როცა დრო მოვიდა, კიდევ ერთი რევოლიუცია მოხდა.

მწარმოებლები წინდაწინვე გაიქცენ. მიატოვეს ყველაფერი.

მიხაკო უკვე ოცდაორი წლის ვაჟკაცი იყო. მას ყველაზე ძლიერ გაეხარდა ეს ამბავი და ციხიდან გამოუშვეს თუ არა, მაშინვე ძველი ამხანაგები მოძებნა, მაღაროების სიკეთეზე დაიწყო ფიქრი.

მიხაკო კომკავშირის უჯრედის მდივნად არის არჩეული. ის მუშაობს კლუბში, უჯრედში, მუშაობს გვირაბებშიც. საღამოობით კი

თუ მაღაროებში საქმე არა აქვს სოფლისაკენ მიდის, სადაც დედა ჰყავს მოხუცი, ავადმყოფი მამა და უმცროსი და.

მიდის მიხაკო სახლისკენ. ისევე როგორც ხუთმეტი წლის წინათ მამა მისი მიდიოდა დაღლილი და დაქანცული. გზაში გადიარს გორაკებსაც, ფერდოებსაც, მინდვრებსაც და ყანებსაც. მის ფეხთ ქვეშ ჭრიალებს გადატრუსული ბალახი და აქა-იქ ბალახებიდან მწყრების ჟივილი გაისმის.

მას თან მიჰყვება მზეც, რომელიც აგრეთვე დასასვენებლად წვება ქედის ფერდობზე.

ფიქრობს: რამდენი საქმე აქვს გასაკეთებელი.

ხელში გაზეთი და ერთიც ჟურნალი უჭირავს.

მამასავით მთვრალ ფეხებს კი არ მოათრევს, სიხარულით მიდის, მიისწრაფის.

სახლში კი პირალმა წევს ივანე და ელოდება შვილის მოსვლას. როდესაც მიხაკო კარს შეაღებს და ოთახში მისი ღიმილნარევი სახე აენთება, ივანე შეხედავს მას და ერთ წუთში მთელი თავისი სიცოცხლე გადაურბენს თვალწინ.

მაშინ მიხაკო ტახტთან სამფეხას მიიდგამს და მამას ჩაულაპარაკებს:

— დღევანდელი გაზეთიც წავიკითხოთ.

და კითხულობს:

უსმენს ივანე, უსმენს ჩუმად, უსიტყვოდ.

მერე საუბარს დაუწყებს და ეკითხება:

— მაღაროებში როგორ მიდის მუშაობა, შვილო?.. თავს ძალას ატანს და სახეზე ასამდე ნაოჭი გადაურბენს, რადგან ლაპარაკის ძალაც კი არა აქვს.

— მაღაროებში?.. კარგად!.. ვმუშაობთ სამი ცვლა. დღეში შვიდს საათს. ღამის ცვლა კი ექვს საათს მუშაობს. ჩვენს მაღაროს ლენინის სახელობისა ვუწოდეთ. იმას კი, შენ რომ მუშაობდი კომინტერნისა დავარქვით.

ივანე თანხმობის ნიშნად დუმილით უცქერის. მან არ იცის რას ნიშნავს „კომინტერნი". იმას კი დაუკვირდა, რომ დღეში სამ ცვლას მუშაობენ. ძველად ერთი კაცი მუშაობდა სამისოდენას. ის ამ ფიქრში ეხვევა, ბურანშია. მას აგონდება მაღარო სადაც დღეში ათასჯერ მაინც მოუქნევია წერაქვი.

— მერე, იცი კიდევ რა, ჩვენი მაღაროს მუშები, თქვენსას ეჯიბრებიან თუ ვინ უფრო მეტ მარგანეცს მოსთხრის. იცი, ჩვენი სჯობნის. თქვენი მარცხდება.

ივანეს ესეც გულს უკლავს. თვალები უწითლდება და ნერწყვის ჩაყლაპვით იკავებს ცრემლებს. შვილს თვალებში აშტერდება და ელის კიდევ მოუყვეს რამე.

— ღვინის სმა კი აკრძალულია. შავს დაფაზე ვაკრავთ, ვინც ღვინოს დალევს. თითო მუშაზე ნახევარი ბოთლია დაკანონებული.

ივანეს საწოლში მუხლები რომ უთრთის და უკანკალებს სწორედ ღვინის ბრალია. ღვინის ბრალია ისიც ფილტვები რომ შეკუმშული აქვს და სუნთქვის დროს გულფილტვი რომ ეწვის. ესეც ელვასავით გადუხვრეტს გონებას და უფრო მეტი მწუხარება იპყრობს.

მიხაკო ზეზე წამოდგება. გრძნობს წარსულის მოგონებით მამას რომ აწყენინა. ის გარეთ გადის, გაზეთი გააქვს და როგორც ყოველთვის სანახევროზე შეგროვილ სოფლის გლეხკაცობას ხმა მაღლა გაზეთს უკითხავს.

მთელ სოფელს უყვარს მიხაკო.

თუ ვისმეს რამე უჭირს, მიხაკოს მიმართავენ. ის არის მათი მრჩეველიც და მშველელიც.

ივანე კი მწარე ნაღვლით წევს. სახე პირპილივით ენთება. თვალებზე ცრემლები მოადგება და ლოყიდან ყურის ძირისკენ მიგორავს. საწოლში ტანჯვითა და წვალებთ შეტრიალდება და რომ ცოლშვილმა მისი ცრემლები არ შენიშნოს გაყვითლებულ ბალიშში სახეს ჩაფლავს.

ასე მიდის დრო.

გონებაში თითქოს წუთები შესულან და დადიანო. ისინი როგორც შავი წერტილები ისე ირევიან ტვინში და თავის ქალას აგანიერებენ, აფართოვებენ.

იზრდება თავის ქალა.

უცბათ ივანეს ყრუ ხველება აუტყდება. ხველების ხმა ჯერ ბალიშში იფლება, შემდეგ კი მთელს ოთახში ვრცელდება.

საწოლიდან წამოიწევა, რამდენჯერმე ღონივრად დაახველებს და ამ ხველებას როგორც ნაკადული, ისე გადმოჰყვება სქელი მოშავო სისხლი.

ემხობა პირქვე და სახე წითლად ეღებება...

. . . . . .

კარზე კაკუნი მესმის.

თვალი გავახილე, ვხედავ ფურცლებში ჩაფლული ვარ.

ფანჯრიდან გადვიხედე და შევამჩნიე რომ მზეს ელექტრონი გაეფითრებინა, თვითონ კი ჭალივით ბრწყინავდა.

კარი გავაღე. შემოდის სარდიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაბრძანდი... — ვეუბნები თავაზიანად.

— გარეთ გიცდიდით, მაგრამ ვერ იქნა თქვენი გაღვიძება.

— ჩამძინებია, სარდიონ, მთელი ღამე შენს მოთხრობებს ვკითხულობდი.

— თქვენი აზრი როგორია, ივარგებს თუ არა?..

— როგორ არა, მე ამას შევასწორებ და უსათუოდ გამოვაქვეყნებ. მხოლოდ ეს მითხარი, ივანე ჭლექით მოკვდა?!.

— არა, ივანე ჯერ არ მომკვდარა. ცოცხალია, შვილი აცხოვრებს.

ჩავფიქრდი. წუხანდელი ღამის მოგონება მინდოდა. მე როგორღაც ისე მახსოვს თითქოს ივანემ სისხლი გადმოანთხია და მოკვდა. მგონი ასე წავიკითხე. იმ წუთშივე ფურცლები გადავსინჯე, სტრიქონებს თვალი ავადევნე და იქ სადაც მიხაკო გლეხებს გაზეთს უკითხავდა, შევჩერდი. აქედან სულ სხვა იწყება.. სჩანს სწორედ მაშინ ჩამძინებია და... ალბათ...

ვფიქრობ, ამოვშალო თუ არა?..

გადავწყვიტე დარჩეს ასე; — სულ ერთია ლოთობის შედეგი ხომ მაინც სიდამბლეა და ჭლექით სიკვდილი!!.

— ამხანაგო, მალე შუა დღე დადგება, პერევისაში აღარ მოდიხართ?..

— როგორ არა, სარდიონ, ხუთ წუთში მზათ ვიქნები, — ვუპასუხე და საჩქაროდ ტანთ ჩავიცვი.

ერთად გამოვედით. პერევისისკენ გავსწიე.

„ოქტომბრის ათი წლის თავის“ მაღაროები

ძველად პერევისა ერქვა. ეხლა უწოდებენ „ოქტომბრის ათი წლის თავისას“. ეს მაღაროები მაღალ მთაშია შეჭრილი. მთა ჭიათურას დასცქერის და ალამაზებს ქალაქს მწვანით შემოსილი ფერდობებით და ტიტველი დაქანებული ქიმებითაც. ეს ის უბანია, რომელიც კონცესიონერებმა საუკეთესოდ მოაწყვეს და რომლის გულისთვისაც ყველა ქარხანა და მაღარო გაანადგურეს.

მთის ბეჭზე შევდექი. ასეული ნაბიჯიც და გვირაბები დაიწყება. უკვე მომესმის ვაგონეტკების გრიალი, ჯგუფებად თავმოყრილ მუშების ლაპარაკის ხმები.

მიუახლოვდი ერთ-ერთ მუშას. ვკითხულობ სამუშაოების უფროსს.

—აგერ, სწორედ აქეთ მოემართება. — გაიშვირა ხელი მარჯვნივ ოდნავ დაქანებულ მაღლობისაკენ.

ძირს ჩამოდიოდა რუსულ ჩექმებში და ფრენჩში გამოწყობილი განიერ მხარბეჭიანი კაცი. ვიდრე ის მოგვიახლოვდებოდა მე ვეკითხები მის ღირსებაზე. მუშა მიპასუხებს მერყეევად, ლაპარაკის სურვილის გბრეშე.

— საქმის კარგი მცოდნეა, მაგრამ... რა ვიცი, რა ვთქვა...

მიუახლოვდი, გამოვემცნაურე. შემხვდა გულგრილად და სხვათა შორის.

ამ დროს გვიახლოვდება ერთი მუშათაგანი და ინჟინერს მიმართავს:

— Господин, Кравченко, двадцать новых рабочих, куда их пустить?...

— Часть по шторням на подмогу лопаточникам, а часть на выгрузку вагонеток. — უპასუხებს ინჟინერი. Подожди, возьми его с собой и проводи по шторням. — დაუმატა ესეც და ხელი ჩამომართვა. დავემშვიდობე.

აღარავის არ შევეკითხე. მომაგონდა მხოლოდ ქარხნის უფროსი მუშის სიტყვები, რომელმაც სთქვა რომ მტრები ყველგანა გვყავსო. ეს ინჟინერი, შეიძლება საქმის კარგი მცოდნეა, მაგრამ... მას უსათუოდ ბატონო უნდა უთხრა, ამხანაგოს ითაკილებს.

გავყევი.

გზის მარცხნივ ღრმა ხეობაა. ამ ხეობის ძირში ქარხანაა აგებული. მის ცოტა მარცხნივ ხევის ძირიდან მაღაროებამდე ბრენსბერგია აგებული. ეს ვაგონეტკების მიმოსვლის გზაა. მისი საშუალებით შეიძლება მაღლა აიზიდოს ყოველგვარი მასალა და ჩამოიზიდოს მარგანეცი.

ლაპარაკში გვირაბებს მიუახლოვდით.

გადმოუციათ ჩემთვის რომ ეს გვირაბები საუკეთესოდ არის მოწყობილი და ყველა სხვა მაღაროებისაგან განირჩევა.

მართლაც პირველ თვალის გადავლებისთანავე შევნიშნე, რომ აქ ვაგონეტკები მექანიკურად მუშაობენ. ისინი გუგუნებენ, როგორც ოცტკავლიანი ორთქმავლები. ეზიდებოდენ გვირაბებიდან ამონათხარ მარგანეცს და მიჰქონდათ ფერდობისაკენ, სადაც ჰყრიდენ ქარხნის მიმართულებით. იქ კიდევ წყალს ჩაჰქონდა ქარხანაში და ირეცხებოდა.

გვირაბები უზარმაზარია. ადამიანი თავისუფლად შედის შიგ. არც დახრა სჭირდება და არც ფრთხილად სიარული. ჭერს არ აარტყავს

თავს. ძირს, მთელი გვირაბის სიგრძეზე მიიმართება რეზინის მილები, რომელიც ჩემს ყურადღებას იპყრობს, მაგრამ შეკითხვისაგან თავს ვიკავებ. ეს მთავარი გვირაბი რამდენიმე ვერსის სიგრძისაა, მას მარცხნივ და მარჯვნივ შტოებით უერთდება უამრავი პატარა გვირაბები, საიდანაც ჩხრიალი და გუგუნი მოისმის.

ერთ-ერთ შტოს გავყევი.

შემომესმა ძლიერი გუგუნი.

მივდივარ და ვფიქრობ: რაღაც უზარმაზარი და საზარი მანქანა დამხვდება, რომელიც ალბათ მისდგომია მარგანეცის ფენებს და უმოწყალოდ ღრღნის.

რეზინის მილები ისევე მოიმართება.

სილრმეში გამოჩნდა ხუთი ექვსი მაღაროელის ჯგუფი. აქ სინათლეც მეტია. ელექტრონის რამდენიმე სანათური ანთია.

ორ მუშას ბოთლისებური ბურღები უჭირავთ. ერთი კედლის ფენას მისდგომია და აცლის შავი ქვის შრეს. მეორე ძირს, იატაკზე ბურღივით ასობს ამ პატარა ხელის მანქანას და სთხრის მარგანეცს. ეს ბუდობი მეტად მდიდარია. მთლად მარგანეცის შრეებია, შიგადაშიგ თუ გამოჩნდება თხელი მიწის ფენები. ეს პატარა მანქანები, რომელთაც ტემფერატორები ჰქვია შეკუმშული ჰაერით მუშაობს, რომელიც რეზინის მილებით განუწყვეტლად მოემართება ბუდობებში. შეკუმშულ ჰაერს გარეთ დინამო მანქანა ამუშავებს.

„ოქტომბრის ათი წლის თავის“ მაღაროებში ეს მთავარი გვირაბია. მთლად ელექტრონით განათებულია. გვირაბი მეორე მხარეს გადის.

ვუახლოვდები ამ მეორე გასავალს. იქიდან, როგორც ფანჯრიდან ისე იჭრება ბუნებრივი სინათლე. უფრო ახლოს და ეს ფანჯარა იზრდება, დიდ უზარმაზარ ხვრელისებურ კარად, რომლის გადაღმაც თითქოს მეორე ქვეყანა გამოჩნდაო.

გავედი. დავცქერი სოფელს.

ვხედავ: საბალახოებია და საქონელი ძოვს.

ქვეითაც მზრუნველობს და ფუსფუსობს ხალხი. საზრდოს აცლიან მიწას.

ამ მაღაროებში მუშაობის პირობები საუცხოოა. მუშაობენ გამართულად, მექანიკური იარაღებით, სინათლეში და მარცხის გარეშე.

შეიძლება მთელ მსოფლიოში არც ერთ მაღაროებში ასეთი კარგი პირობები არ იყვეს. მე ვიცი რომ ოქროს კუნძულის და ინდოეთის ზოგიერთ მაღაროებში მადნის სიმცირის გამო მუშებს სილრმეში უხდებათ თხრა, გვირაბები ვერტიკალურია. გარდა ამისა მუშაობენ წელში მოხრილნი და მიწისა და შავი ქვის შერევის გამო წვალობენ. მთელ

მსოფლიოში ჭიათურის მარგანეცი პრველ ადგილს იკავებს თავის ხარისხითაც და რაოდენობითაც. 250.000 მილიონ ტონს უდრის მისი რაოდენობა და ორმოცდაათი წლის განმავლობაში ინტენსიური დამუშავებითაც კი არ გამოილევა.

ერთ დროს, მარგანეცის აღმოჩენის პირველ ხანებში, როდესაც კერძო და შემთხვევითი მწარმოებლები ამუშავებდენ შავ ქვას, მისი მოპოება მტაცებლური წესით ხდებოდა. გვირაბები ითხრებოდა უგეგმოთ და როგორც წერაქვს ეხერხებოდა თხრა, გვირაბიც იმ მიმართულებას იღებდა. ამის გამო ბევრი უბედური შემთხვევა ხდებოდა. ჩამოინგრეოდა ხოლმე გვირაბი, მთელი მთა ჩამოწვებოდა შიგ და ამწყვდევდა და მოიყოლებდა მუშებს. იმარხებოდენ ცოცხლად. კერძო მწარმოებელნი ყურსაც არ იბერტყავდენ მათ დასახსნელად. მუშა ხელის დროის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ახლა სხვა ადგილას მიაყენებდენ მუშებს და იქ დაიწყებდენ თხრას.

დღეს დამუშავება გეგმიანია. ყოველი გვირაბი და შტო განზომილია და რამდენიც თხრით წინ მიიწევენ, იმდენივე ხის ბოძებს უდგავენ ჭერს, ამაგრებენ, დასაყრდნობს უკეთებენ, რომ მთა არ ჩამოინგრეს.

ზაფხულობით გვირაბებში გრილა, ზამთარში სითბოა.

ეხლა ზაფხულია და ისეთი სასიამოვნო სიგრილეა, რომ გარეთ გასვლა არც კი მინდა.

პირველი საათი კი სრულდება. პირველი ცვლა მუშაობას ათავებს და კმაყოფილნი მიემართებიან გარეთ.

მეც გარეთ გამოვდივარ. მხიარული, ცოცხალი და ხალისიანი ლაპარაკი მომყვება ირგვლივ.

თანდათანობით იზრდება და ნათდება შემოსავალი კარი, რომელიც შორიდან მხოლოდ თეთრ წერტილივით მოჩანდა.

გ ი გ ი ა ს ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი

აქ საერთო საცხოვრებელი სულ რამდენიმე წლის აგებულია. თუმცა საესებით მოწყობილი არ არის, მაგრამ ერთგვარი, პირველ საჭიროების პირობები მაინც არის.

ვიდრე შიგ შევიდოდე აივანზე ვჩერდები. სამი-ოთხი მუშა დაჯგუფულა და ნარდის ფიცარზე ორი მათგანი „დამკას“ თამაშობს. დანარჩენნი დასცქერიან. ერთი მოთამაშეთაგანი მოხუცია. წვერები ოდნავ შეთეთრებული აქვს. რომლის ფართე, დაბერილი ქუთუთოები ვერ ფარავენ თვალის ირგვლივ შემოყოლებულ წითელ ზოლს. ის მალიმალ შუბლზე იტაცებდა ხოლმე ხელს და ისე ამოძრავებდა ქვებს.

სალამით დამიხვდენ. ეუცქეროდი. გაიმარჯვა მოხუცმა მუშამ. მერე საცხოვრებელში შემომყვენ. ეს მოხუცი ისე გახარებული იყო რომ პატარა ბავშვივით მიმყვებოდა წინ.

თვითეულ ოთახში ხუთმეტამდე ლოგინია ჩამომწკრივებული. ზოგ საბანს აშკარად ეტყობა შავი ქვის ფერი და ჭუჭყი.

ოთახის შუაში სდგას დიდი გრძელი მაგიდა დოქით და თიხის ჭიქით. კედლებზე ბელადების სურათებია.

ერთ ოთახში ლოგინზე ტანსაცმელ გაუხდელი პირალმა წამოწოლილიყო გვირაბიდან ახლად დაბრუნებული მაღაროელი. ისვენებდა.

— აი, ამხანაგო, ხედავთ, ზოგიერთი მუშები ასეთი დაუდევრები არიან. არც ხელპირს დაიბანენ, არც ფეხთ გაიხდიან და ისევე მიეგდებიან, საწოლი კი ისვრება. — წყრომით და მომჩივანივით წარმოსთქვა მოხუცმა.

დუმილით დავეთანხმე.

— არ აფასებენ ახალგაზრდა მუშები თავიანთ მდგომარეობას. რა სიმწარე უნახიათ მაგათ, — განაგრძო ისევ მან, როცა ნახა რომ შე არ ვუპასუხე, — ჩვენი ახალგაზრდა მუშები არ აფასებენ მუშაობის პირობებსა. მოიზანტებენ კიდევაც. მე რომ აქ მუშაობა დავიწყე ჯერ საულვაშე ბუსუსებიც კი არა მქონდა ამოსული. დღეში თვრამეტ საათსა ვმუშავობდით. არც ბინა გვქონდა და არც საწოლი. ცის ქვეშ გვეძინა. მაღაროები ხომ სოროებსა ჰგავდა. შევძვრებოდით ხოლმე წერაქვებით და ვაი-ვაგლახით ვთხრიდით შავ ქვას. მუხლის თავები გადატყავული გვქონდა. მოხრილობის გამო წელი არავის გვივარგოდა.

მუშები ყველა სოფლებიდან ვიყავით წამოსული. ორშაბათ დილით წამოვიდოდით სოფლიდან, თან თითო კონა ჩალას წამოვიღებდით და ალიონზე მუშაობას ვიწყებდით. ჩვენ ერთი მწარმოებელი გვყავდა, გიგია ერქვა, იმას ერთი ვარსკვლავი დანიშნული ჰქონდი, როცა ის ვარსკვლავი ცაზე ამოვიდოდა მუშაობას მაშინ შეგვაწყვეტინებდა. თხრას რომ მივატოვებდით ლაპარაკის თავიც აღარა გვქონდა, გავშლიდით ხოლმე თან წამოღებულ კონა ჩალასა და მივწვებოდით, მივიძინებდით. გაქრებოდა თუ არა ეს გიგიას ვარსკვლავი ისევ მუშაობას შეუდგებოდით და მთელი დღე თვალი გვიწყალდებოდა ამ გიგიას ვარსკვლავის ამოსვლის ლოდინში. დღეს მუშები შვიდ საათს მუშაობენ და ზოგს ფეხსაცმელების გახდაც კი ეზარება.

ვუსმენ ჩუმად. რატომღაც გაჯავრებულია ახალგაზრდობაზე.

გარეთ რომ გამოვედი ახალგაზრდა მუშას ვეკითხები, რატომ არის თქვენზე ასე უკმაყოფილო.

ის ჩურჩულით მიპასუხებს:

— მაგან ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრში ერთი კომ-კავშირელი გამოიწვია, იკვეხოდა მუშაობა არ შეგიძლიათო და თვი-თონ კი დამარცხდა, მას შემდეგ გულმოსულია.

მეღიმება. ისიც საქებია რომ მოხუცი ახალგაზრდას ეჯიბრება. მარჯვენა კიდევ მტკიცე ჰქონია.

კლუბში მივდივარ. მოხუცი მუშა დამპირდა ამ საღამოს უცნაუ-რი „გიგიას ვარსკვლავი“ დამანახვოს.

თვითმოქმედების საღამო

სადღაც ამ შორეულ და მაღალ მთებშიც სიცოცხლე სუნთქავს. აქაც გატაცებაა, მისწრაფება, ინტერესი და სიხარულის უდიდესი გან-ცდა. ბევრს ქალაქის „ობივატელს“ ჰგონია, თითქოს ცხოვრება მხო-ლოდ დიდ ქალაქებშია, მივარდნილ კუთხეებში კი ერთი დღეც არ შეიძლება დარჩენა.

აი, მაგალითად დღეს სულ სხვაგვარ ახმაურებულია მაღარო. დღეს აქ საღამოა. და ეს მარტო მუშებმა კი არ იციან, ახლო-მახლო სოფლებშიც კი მისულა ამბავი.

საღამო დგება. ბინდში გახვეული თეთრი ღრუბლები დასტრია-ლებს ამ მთებს და უფრო ალამაზებს.

მეორე ცვლის მუშებიც გამოვიდენ.

ყველამ სამუშაო ტანსაცმელი შეიცვალა და სადღესასწაულო სახით გამოვიდენ კლუბისა და სამკითხველოს წინ.

სინათლე იცრიცება. მუქდება ცა. აქა-იქ ვარსკვლავები ამოტივ-ტივდება, როგორც ზღვაში მედუზები და იყინებიან სილურჯეში.

ჯგუფი მღერის. ჯგუფი ბაასობს. ჯგუფი კიდევ ხმა მაღლა ოხუნ-ჯობს.

სოფლებიდან გლეხები მოდიან: ქალები, კაცები, ბავშები. აცვიათ სუფთად. უბრწყინავთ სახე.

— აბა, ჯერ არ ამოსულა „გიგიას ვარსკვლავი“?.. — ვეკითხები მოხუც მუშას და მაღლა ვიცქირები.

— იმას ასე ადრე რა ამოიყვანს!.. — წაიბუტბუტა პასუხად.

უკვე კარგა დაბნელდა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმის მანდალინაზე დაკვრა და სიმღერის ხმები.

დარეკეს ზარი და ზღვასავით ხალხმა სახილველ დარბაზისაკენ გასწია. ყველა წინ მიისწრაფვის.. სდგას სიხარულის და აღტაცების ჟრიამული.

გლეხები და მაღაროელები ერთად არიან.

— ჩვენი სერგიაც თამაშობს ამალამ, — ამბობს ერთი გლეხთაგანი და მოუთმენლად აქეთ-იქით იხედება.

მესამე ცვლაც გამოვიდა.

დარბაზი გაიქედა.

გარეთ კი უკვე ღამეა.

პატარა გაცრეცილი ვარსკვლავი გამოჩნდა და როგორც ღილი ისე დაებნა ცას.

— აი, ეს არის „გიგიას ვარსკვლავი", — მეუბნებიან და მითითებენ მილეულ, თითქმის უჩინარისაკენ.

დარბაზში შევედი.

მუსიკალურმა წრემ სიმები ააწკრიალა და მთელი დარბაზი დაჰფარა სასიამოვნო ბგერებით.

თითქოს მაყურებელთა სიხარული ამ სიმების წკრიალში იღვრებოდა. ის ხელები, რომელნიც დღისით იარაღით მარგანეცის ფენებს ანგრევდა, ეხლა სასიამოვნო მუსიკას გვაგონებდა.

ფარდა აიწია.

ყურადღება დაიჭიმა. უცქეროდენ გატაცებით.

დასდგეს ადგილობრივი ორ მოქმედებიანი პიესა სოფლის ცხოვრებიდან.

პიესის შემდეგ მომღერალთა გუნდმა სიმღერები მოაწყო. მერე ლექსების თქმა გაჩაღდა და დასასრულ სცენაზე ცეკვა გაიმართა.

ამ ცეკვაში მთელი დარბაზი იღებდა მონაწილეობას. უკრავდენ ტაშს და გულით და სულით სცენაზე იყვნენ.

აღფრთოვანებით ჩატარდა ეს თვითმოქმედების საღამო. გათავდა ძლიერ გვიან, მაგრამ რადგან კვირა გათენდებოდა დაგვიანებას არავინ დარდობდა.

დაიშალა ხალხი. მაღაროელებმა მთელი თავიანთი უნარი და ცოდნა გამოიჩინეს. ასე მართავენ ყოველ შაბათს და თავიანთი შრომით ღამაზ ცხოვრებას, უფრო ალამაზებენ...

იმ ღამეს იქ დავრჩი.

დილაზე გიგიას ვარსკვლავი ჩასული დამიხვდა.

გამოვემართე ქვევით.

საჰაერო გზები

მეოცდახუთე ქარხანას ჩავუარე. ესეც „ოქტომბრის ათი წლის თავის" სახელობის მაღაროებს ეკუთვნის. ისიც საუკეთესოდ მოწყობილია და გარეცხვის უნარიანობით ყველა ქარხანას სჯობნის. ამ ქარ-

ხნიდან გარეცხილ მარგანეცს ურმებით არ ეზიდებიან. არ იტანჯება ხარები და მეურმე უსწორმასწორო, მიმონგრეულ, აღმართოვან გზებით.

ქარხნიდან რკინის გზის ლიანდაგამდე გაყვანილია საჰაერო გზები, რომელიც ეზიდება მარგანეცს.

მივდივარ — ვიწრო ბილიკებზე.

ჩემს ზევით მავთულის ბაგირებია გადავლებული და ზედ განუწყვეტლივ მიმოდიან რკინის ყუთები. ბაგირი ბრუნვაშია. მოგორავს სავსე ყუთები რკინის გზის ბაქანისაკენ, იქ ავტომატიურად გადმოყრავდება და ცარიელი ბრუნდება უკან, რომ ხელახლა გაივსოს, დაიტვირთოს.

გვერდზე ჩაუარე დამწვარ ქარხანას. როგორც მერე გავიგე, ეს „კარუტოს" *) ეკუთვნოდა. საუცხოოთ აგებული ქარხანა იყო. ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით, მაგრამ ამუშავების დღეს გამოურკვეველი მიზეზის გამო ცეცხლი წაჰკიდებია. ვერ გადაარჩინეს. გადაიწვა.

ხეობიდან რომ გავედი რკინის გზის ლიანდაგზე რონოდები იდგა და ექსკავატორით მარგანეცი იტვირთებოდა.

გავიხედე ხეობის გასწვრივ, საითაც თაბაგრების და შუქრუთის მაღაროებია, მთებსა და მთებს შორის საჰაერო გზები გამოჩნდა, მოძრავი მომქმედი. აქეთ ტეხნიკის სახე შეჭრილიყო და რგანის ხეობასავით ურმების ჭრიალში და შავი ქვის მტვერში არ იხრჩობოდა ადამიანი.

გადავათვალიერე ხუთწლიანი ტრესტის გეგმა და თვალწინ წარმომიდგა მთელი სურათი, რომელიც მისი შესრულების შემდეგ იქნებოდა.

ჭიათურის მთელი მიდამოები დაქსელილი იქნება საჰაერო გზებით, რომელიც ერთ უზარმაზარ და უდიდეს ქარხანაში გადმოზიდავს გასარეცხ მარგანეცს, საიდანაც ისეთივე გზებით რკინის გზის რონოდები დაიტვირთება.

ყველა მაღაროებში იწარმოებს მექანიკური თხრა, რითაც ნაყოფიერებაც გაიზრდება და მუშის ენერგიაც ნაკლები დაიხარჯება.

აგებული იქნება საცხოვრებელი ბინები კლუბებით, სამკითხველოებით, ტანსავარჯიშო მოედნებით და მაღაროების ყოველი უბანი პატარა ქალაქებივით გაშენდება.

თვით ჭიათურის შავი ქვა მსოფლიოს პირველი ფალავანი შეიქმნება.

---

*) Кавказское рудничное товарищество.

მიხეილ ჩიქოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი თვე სოფლისაკენ

დუშეთის რაიონის კოლმეურნეებს
ვუძღვნი ამ ჩემს ნაშრომს.
ავტორი

თებერვლის 15 რიცხვში, თბილისის მიდამოებს თოვლის თეთრი ჯანტელები ბუმბულივით ეფინებოდა. ჩამობნელებული ცა იფერფლებოდა.

დილის 8 საათზე ჩემოდანით ხელში, უკვე პოლიგრაფწარმოების მე-4 სტამბის სამანქანო განყოფილებაში ვიფერთხებოდი ნაწვიმარი ჩიტივით.

ბრიგადელები ხომ არ მოსულან ჯერ? — აჩქარებული ვეკითხები სტამბის მუშას, რომელიც ამ დილით ადრე მოსულა წარმოებაში. მას დღეს გამოსასვლელი დღე აქვს, მაგრამ მბეჭდავი ბრიგადის დასახმარებლად მოვიდა სტამბაში. ბრგე ტანის, კუნთოვანი მუშა სტვენით უვლის საბეჭდ მანქანებს, ჩამწკრივებული რატაციონები ბორბლებს მისჩერებიან. ბორბლები დინამოს უერთდება შავად გალესილი ღვედით და მთელი სხეული გადახლართულია შემაერთებელი ძარღვებით. მალე ელექტრონის ნაკადი დაიჩქეფს წამით მოდუნებულ სანაკადო მილებში და ამოძრავდება მთელი სხეული. მუშა მღიმარე სახით უვლის ქაღალდის მჭრელ მანქანას და ახლად დაჭრილ კიპებს ათვალიერებს.

ჩამწკრივებული მანქანები სმენაზე დგანან.

სისუფთავე აქრობს მანქანის გამურულ ხედვას და ათვალიერებ ყველაფერს.

— თქვენ ამხანაგო! სად მიდიხართ?

მეკითხება ის. თან მათვალიერებს. ვერ მცნობს. ეს არც გასაკვირია. ამ სტამბაში მე მეორეთ მოვედი ამ დილით.

— დუშეთის ბრიგადაში!

პასუხზე ახანაგმა მუშამ გაიღიმა. თავი შეაქანა. კმაყოფილ სახეზე ნაოჭები შეიკრა და ხუმრობით გადამკრა.

— ჰო! იქ ჩვენი მბეჭდავი მოდის ხეთაგური და არ მოგაწყენთ. კარგი ბიჭია!

ბრიგადელზე ასეთ რეკომენდაციას მე მივხვდი. — ეს ალბათ ხუმარა კაცი იქნება, უსაქმოს აქიდან არავის გამატანს. გავიფიქრე და წასაღებ მასალების დათვალიერებას შეუდექი. მანქანებში ავირიეთ.

— ეს ამერიკანკა. ეს ქაღალდი, ეს თქვენი საღებავი კრასკა ამხანაგო!.. შრიფტი მაღლა არის და...

მეუბნება ამხანაგი.

9 საათია. გასამგზავრებელი ამხანაგები მოგროვდენ. ზაკავტოპრომტორგის მაშინა ეზოში გრგვინავს. ფეთქთება გაზი. გვიჩქარის საყვირი. სტამბის მისავალში ბენზინის ბოლი სდგას.

— აბა მიშა! მოეწყვეთ. არაფერი დაგრჩეთ... გვეხმარებიან მუშები. წაღება თუ შეგიძლია წაიღე სტამბის მასალა. არავინ დაგიშლის. იქ სოფელში კოლექტივიზაციის ფრონტზე ბრძოლის დროს — ვინ მოგცემს ხელსაწყოებს. მაშასადამე თადარიგი აქედანვე იყო საჭირო.

— თქვენ იცით! როგორ...

დამშვიდებით გვეუბნება ამხანაგი გრიგორიევი. დაწინაურებული ასოთ-ამწყობი შრიფტს კრავს ჩვენი ბრიგადის გაზეთის „მბეჭდავი კოლექტივიზაციის ფრონტზე“-ს სათაურის აწყობაში ეხმარება ასოთ-ამწყობს.

— შრიფტი მორჩა! ყველაფერი ავტოზეა და მაშასადამე...

გამგზავრების წინ დამახასიათებელი იყო სტამბის მუშების ხედვა-ძახილი.

— ბიჭებო! არ შეგვარცხვინოთ...

ამხ-ბი გვაფრთხილებდენ წინდახედვით საპასუხისმგებლო საქმეზე.

ათასეული ბრიგადები გადაისროლა წარმოებამ სოფლად.

საუკეთესო მუშები წავიდენ კოლმეურნეობათა მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის. ამ დიადი საქმის მონაწილე ხდებოდა ჩვენი ბრიგადა.

ამას გრძნობდა მთელი არსებით ამხ-გი მუშები, ჩვენთან ერთად და მხიარული სიტყვებით გვემშვიდობებოდენ.

— ყოველთვის მოგვწერეთ!..

გვესმოდა უკანასკნელი სიტყვები.

აქშინებული „ამო“ შოლტავს ჰაერს. საქართველოს სამხედრო გზაზე, ასფალტით ნაგები კილომეტრები მოვთოკეთ და პირველ საათზე უკვე ნატახტარის ჭალაზე მივქრიოვართ.

ოღროჩოღრო გზაზე ავტო ხტის ზევით. საბეჭდი მანქანა ძალზე ინჯღრევა.

მანქანამ სვლას უკლო. ამერიკანკას უფრთხილდებით. ნელ სვლაში ავტოდან საუკეთესოთ მოსჩანს თბილისის ახალი წყალსადენი.

ნატახტარმა წყაროს წყლით უნდა ასაზრდოოს ქალაქის ნახევარმილიონიანი მცხოვრებნი.

მუცელ განიერი მილები მხართეძოზე წამოწოლილან. უკანასკნელი ჭაბურღილის ჩახჩახი შორს ისმის. ფოლადის ბურღი შორს ხვრეტს მიწის მკერდს და ყინულოვან წყაროს აჩქეფებს.

მანქანის ხრიალი ვიწრო მთებში შეიჭრა. ბაგის-ჭალიდან შეუდექით ალმართს. დაგრეხილი მთები ერთმანეთს გადაჭდობიან. გვერდით ვიწრო კარი გაუხსნიათ და გზას აძლევენ ადამიანს თავის თავის დაპყრობისათვის.

— ჩვენი იარაღი ყველა იარაღზე მჭრელია.

პურის ჯეჯილით ამწვანებულ ყანებში მივქრიოვართ. მარჯვნივ-მარცხნივ სოფელია. — ხევი ეშვება გორაკიდან.

ჭინჭარაანთის გორაკს ორივე მხრიდან მაღალი ხევი უვლის.

ჩვენ ხევი გადავჭერით და სოფელს გაუსწორდით.

მანქანაში

მე ვიცი მანქანის „ხასიათი“. ამიტომ მეშინიან. შიში უფრო მომემატა, როცა ბაგის ჭალიდან ხევის გასავალში, წისქვილების გასწვრივ „ამომ“ რამოდენიმე უკუსვლა გააკეთა.

— მესამეში ჩააგდე და ავა!.. ჩასძახის შოფერს ჩემი ბრიგადელი. მემანქანე მიშამ კარგათ იცის მანქანის ხმარება და „სკოროსტები“ (ამ სიტყვას მე უშვებ პირობით წერის დროს დიალოგისათვის, რადგანაც არც ერთი მემანქანე-შოფერი სხვა სიტყვას არ ხმარობს მუშაობის დროს მანქანის შესახებ „სიჩქარეზე“ გადაყვანის აღსანიშნავად. ალბათ ეს, იმიტომ რომ შოფერებს ბევრ „დანგრეულ“ ადგილებზე უხდებათ სიარული და ამ სიტყვას უფრო მიეჩვევნენ).

ბაზალეთიდან მომავალი ხევი მარცხნივ დავსტოვეთ. მანქანა მარჯვენა გორაკის კალთებს გაეკრა.

ცაზე ღრუბლები ირევიან. პირქარი გვცემს და თვალები ჯანღით გვევსება.

ხევის გაღმით მაღალი ტყეა. ჩანს ხავსიანი მუხები. ირგვლივ ბუჩქნარით. ეს ქორის ბუდესავით არის შენახული ამ მიდამოში.

— ალბათ აქ ძველი სალოცავია. გავივლე აზრი შორიდან. დავრწმუნდი, როდესაც აღმართი ავთოკეთ. ტყეს გავუსწორდით და საკრაული დავინახეთ.

აქ სამხედრო გზის მარჯვნივ სოფელი ჭინჭარაანთ-კარია.

მიწური სახლები აკბილიანებს გორაკს.

„ბალკონიანი" სახლი, როგორც აქ ეძახიან ცოტაა. ისიც მას აქვს ვინც კარგად შეძლებულია. ღარიბი და მოჯამაგირე გლეხები გომურებში ცხოვრობენ.

აღმართი წინ გვიდგას. თანდათან ილევა და ჩვენი ამერიკანკაც ყალყზე შემდგარი უბრუნდება თავის ადგილს.

წინ, მგზავრები კალთებ შემოფერთხულები ეგებებიან ძლიერ ქარს. სახე გათოშილი, ლოყებ აწითლებული ქალები მიჰყვებიან თეთრწვერიანს.

რულთან დამჯდარი ვადევნებ თვალს ჰაერის მოძრაობას და თან ხევს გავსცქერი. მიდამო იშლება. თვალი ეშვება მთებით შემორკალული დაბლობზე.

ეს ბაზალეთის ველია.

მგზავრი ხელს იშვერს. მარჯვენა ხელის გულს გვაჩვენებს. „ამო" ჩერდება.

— რამდენი მოგცე... დუშეთამდე ჩაგვსხი რაღა!.. ეუბნება შოფერს საშუალო ტანის ჩასკვნილი გლეხი. შავი, ჯინჯილებიანი ფაფახი სახეს ნახევრად მალავს. მძივები წინ გათხელებული—შემოკლებული აქვს. ყურები დათბუნული.

— რამდენი ხართ ძიაჯან!

სახე აკრულად ეუბნება შოფერი.

მგზავრები სხდებიან. მეც შევიმოკლე ადგილი. ნახევრად საბარგო ავტომობილის იმ კუნჭულში შევდექი სადაც გაზეთის ქაღალდი ეწყო. შემოუსხედით ამერიკანკას და სახე გაწითლებულ მგზავრებთან ერთად გავსწიეთ.

— ქალაქიდან მოსდიხართ?

გვეკითხება ახალი თანამგზავრი. მისი გამომეტყველება გაკვირვებით არის შეცვლილი. მანქანაში მყოფი საგნები მისთვის უჩვეულო რამეა.

— ქალაქიდან ძია! დუშეთში...

ვპასუხობ მე და თანაც მინდა სალაპარაკო ალლო გამოვნახო მასთან, რომ ერთიანად შევიტყო ჩემთვის საინტერესო ამბები. კოლმეურნეობათა შესახებ.

— „პაპაშა"! კოლექტივების საქმე, როგორ არის თქვენში?

დამასწრო მიშამ. მას ბევრი „გზებისათვის" არ მოუცდია. პირდაპირ მოჭრით დაუსვა საკითხი. ეს მას ჩემზე ნაკლებ არ აინტერესებს.

გლეხი შეყოყმანდა. უფრო დაკვირვებით აგვხედა. წარბები შეიკრა. ეტყობა მოუფიქრებელი პასუხი არ უნდა მოგვცეს. ალბათ ფიქრიც გაიტარა კიდევაც: — ეს ქალაქელებია. ყველაფერი არ ითქმის ისე.....

„კოლექტრიები!.. რა უჭირს. ყველგან ჩამოყალიბდა. დაარსეს. ხალხიც ბევრია.

— ძია! თქვენ სოფელში არის კოლექტივი!

— როგორ არა. არის მაშა!

— მაშ შენც კოლექტივის წევრი იქნები! შეეკითხე მე. კითხვაზე ქიტესა (ასე უთხრა იქვე გამყოლმა მას). შეირხა. უგუნებოთ შემობრუნდა. პირი ააწლაპუნა და გვერდულად შემხედა. ბოლო შემოხეული მაზარის კალთა მუხლზე დაიფარა. თვალი შორეულ სივრცეს შეუთამაშა.

— ნენა არა. არ მიმიღეს კოლექტრიაში. კულაკი ხარო...

სიტყვა „კულაკი" მაგრად წარმოსთქვა. ეტყობა ეჯავრება. შიშობს მის გაგონებაზე. ხმა მაღლა ამბობს მას, რომ მოიცილოს, მოიგლიჯოს და შორს გადააგდოს. თუმცა ამისაც ეშინია.

— ჰოო! ასე თუა კარგათ უქნიათ, რომ არ მიუღიხართ კოლექტივში. ასე სჯობია... ხელს შეუშლიდი მუშაობაში...

დაუტანა მემანქანემ.

„ამომ" დასტოვა ჭინჭარაანთ-კარი. გაშოლტა ბაზალეთის დაბლობის მარჯვენა ნახევარ მხარე და გორაკიდან თავქვე დაეშვა.

პირმისაანთ-კარიდან იკეცება სამხედრო შოსე. უვლის ქვეშ ვარსიმაანთ-კარს და ამილახვრიანთს შუაზე კვეთს.

სამხედრო გზატკეცილიდან გაღმით, არაგვის მარჯვნივ ხევის კალთაზე მოჩანს წითელი, აგურით ნაშენები ყაზარმები. ეს შენობები შორიდან უფრო შესამჩნევია ვინემ, თვით ქალაქი.

— ეს დუშეთია! გლეხები მოდიან ბაზრიდან. დღეს კვირაა და მარილს, თევზს იყიდდენ...

ამბობს ამხანაგი.

თებერვლის საღამომ თოვლნარევი წვიმა გამოუშვა. ცივი ქარი ზუზუნობს. მას უეროდება ტელეგრაფის ბოძების ზრიალი. გზის მხრი-

ვებზე დაწოლილი თოვლი ტალახით არის გათხუპნული, ეს მანქანის შხეფებია.

— ეს რაიალმასკომი!

საღამოს ბინდი შემოეპარა, როცა ჩვენი მაშინა გადაიტვირთა ქალთა ჭრა-კერვის სკოლასთან.

სკოლაში დაგვითმეს პატარა ოთახი. „ამერიკანკა" კარებში გაგვიძალიანდა. კომკავშირული იერიშით შევაგდეთ შიგ. მხიარული ახალგაზრდობა გროვდება.

მბეჭდავმა თავისი საბეჭდი მანქანა შეაყენა ბოკნებზე. გაამზადა. ასოთ-ამწყობი შრიფტს იმარჯვებს სახელდახელოთ გაკეთებულ დაზგაზე.

მეორე დღეს, ოთახის შესასვლელ კარებზე ნახევარკვადრატიანი ასოებით, მუყაოს ქაღალდი ეკრა წარწერით: „საქართველოს მბეჭდავთა კავშირის ბრიგადის მოძრავი სტამბა". სტამბის სახელი რაიონისათვის უჩვეულო ამბავი იყო.

ჩასვლიდანვე სოფელმა-სოფელს გადასცა:

— დუშეთში გაზეთის მბეჭდავი ბრიგადა ჩამოვიდაო. წინადადება მიდიოდა სოფლიდან-სოფელში. ბარიდან მთაში.

ამ დროს ბრიგადა გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა.

დიდი მუშაობა

მუშაობის დაწყების შემდეგ ქალთა ჭრა-კერვის სკოლა უფრო პოპულიარული გახდა. სოფლებიდან მოსული კოლმეურნეები კითხულობენ ბრიგადას.

— მეგაზეთეები გვინდა. წერილი მაქვს დასაბეჭდი. უნდა გამოვაწერიო მაშ!

კითხვით მოდიან სოფლელები. პირველის შემდეგ გზას სოფელშივე იგებენ, ივსება ხალხით. არიან ქალები, კაცები. კოლექტივის წევრები, არა წევრები. ასოთ-ამწყობი თავისუფლად ვერ ბრუნავს. მით უმეტესი კვირა დღე.

სოფლიდან ჩამოსული გლეხი ქალები პირველად სტამბაში მოდიან. გაზეთს კითხულობენ.

— გაზეთი არაა! სოფლიდან მოვედით და მოგვეცით... წაუღებთ...

მიაქვთ ნაბეჭდი ფურცლები. ბრუნდებიან ბაზარში სავაჭროთ.

— ხალხმა გაიგო და ყველა აქ აწყდება. აღარ ვეტევით ამ პატარა ოთახში. დიდ ოთახში მაინც გადაგვიყვანონ, რომ ყველამ თავი-

სუფლად ნახოს ჩვენი მუშაობა: გაზეთის აწყობა, კორექტურა, შეკვრა და ბეჭდვა.

მეუბნება ასოთ-ამწყობი. ვანო ხალისიანი კაცია. უყვარს მოსულებთან მასლაათი. ამიტომ ხშირად დღე ისე გაეპარებოდა ხელიდან, რომ ნახევარი გვერდის ორი კალონა თუ ქონდა აწყობილი. სამაგიეროთ ღამის 12 საათამდე თავჩაკიდებული სანსლავდა ასოებს „ვერსტატკაში“.

— ჩემალალა! დაუჩქარე. დროზე მოვრჩეთ და კოლექტივი ვნახოთ.

შეუტევდა მემანქანე.

წასვლის გახსენებაზე ვანო აჩქარდებოდა. ხვალის გაზეთი დღეს 4 საათზე უკვე მზად გვქონდა.

— რედაქტორი რომელია?

იკითხავენ კოლმეურნეები აღმასკომში. მოდიან, ან მოყავთ ამხანაგებს. გაზეთის მოსამსახურეებს კიდევაც ეშინოდათ. „ეხათრებოდენ“. თავაზიანობა, საქმისადმი გულისყური, დროზე გამოცხადება დაწესებულებებში წესრიგში მოვიდა. პირველი თხოვნისთანავე საქმე კეთდება და მოსული გლეხი ხელებში აღარ შეჰყურებს ამა თუ იმ „მდივანს“ თუ ქალალდს როდის გაატარებს რესტრში. „მსუბუქმა კავალერიამ“ მძიმე იერიშები დაიწყო და კონტრშეტევაზე გადავიდა.

მოსული გლეხები უმეტესათ წ/კითხვის უცოდინარები არიან. წერილის დაწერას მე მანდობდენ.

— დაგვიწერე! გეტყვით. მენა წერა არ ვიცი. თუ კაცი ხარ ერთი ის გამოგვიწერე. მან აგვირია კოლექტივის საქმე და...

კოლექტიური აზრი გადადის ქალალდზე. როცა კორესპონდენციას უკითხავ, გლეხკორები გახარებულები, თვალებ-გაფართოებული ხედვით იძახიან:

— მართალია მაშა! ახლა ნახავს, როგორ უნდა აგიტაცია...

ხელის მოწერის ნაცვლათ, დასტურისათვის აკანკალებული ხელებით ჯვრის ანბანს უკეთებენ და მღიმარე მაზარებში, ტყავის ქურქებში გახვეულები სცილდებიან მაგიდას.

გლეხების ასეთ მოქცევაში გასაკვირი არაფერია. კოლექტივების ჩამოყალიბების წინააღმდეგ ასისინდენ კულაკური და ანტი-საბჭოთა ელემენტები. გაავრცელეს ათასგვარი ჭორები.

ამ გამწვავებულ კლასიურ ბრძოლაში ღარიბი და საშვალო გლეხები მედგრათ იბრძვიან. კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის მოქმედებენ და ხელის შემშლელებს, კლასიურ მტრებს აძევებენ კოლექტივებიდან.

კულაკურ პროვოკაციას ღარიბმა და საშვალო გლეხობამ პოლიტიკური აგიტაცია დაუპირდაპირა წითელი პრესის და ბრიგადის გაზეთი გამოიყენა მამხილებელ იარაღად კულაკების ბნელი ზრახვების გამოსააშკარავებლად, მათ „გასაშავებლად" მასაში. უცოდინარი გლეხები უდგებიან სათავეში ახალ ყოფას.

წ/კითხვის უცოდინარეობა დუშეთის რაიონში მასიური მოვლენაა. აქ 10.000 უცოდინარია. 1929/30 წ.წ. სამოსწავლო წელში 107 ლიკვსკოლა იყო გახსნილი. მაგრამ რაიონი იმდენად ღარიბია კულტურული ძალებით, რომ წ/კ უცოდინარობის ლიკვიდატორებათ ხშირად ნახევრად და მცირე მცოდნენი არიან. ტერიტორიით რაიონი დიდია. ის აერთიანებს 16 სას. საბჭოს და შეიცავს საქართველოს მთიანეთის ცენტრალურ ადგილებს: მთიულეთი, ფშავი, ხევსურეთი.

ფშავ-ხევსურეთში მგზავრობა არც ისე ადვილია. სექტემბერ-ოქტომბრიდან მარტ-აპრილამდე მთები დათოვლილია. თოვლის ნამქერი ავსებს მთის ვიწრო ბილიკებს და გადასასვლელი კარი იხურება.

სტამბაში გავსწიე კოლმეურნე-ენტუზიასტ გიგო ხაჩირაშვილთან ერთად. ხაჩირაშვილის წითური წვერები თხლად დგანან ფერმენტოვან სახეზე. გამოცდილი თვალები სინჯავენ გარემოს. მაზე ნაკლებათ არც მე ვსინჯავ კოლმეურნეთა ფსიქოლოგიას, მოძრაობას, გამომეტყველებას და ყოველ დღიურ საქმიანობას, რომ თვითეულ მათგანში ვიპოვო ახალი ადამიანის ხასიათები, და ვიქონიო გარკვეული სახე თანამედროვე ეპოქის ახალი ადამიანისა. ეს საინტერესო საკითხი წინ მიდგას მუდამ.

ამბობენ:

— ახალი ადამიანები არ გვყავს.

— ახალი ადამიანები გვყავს, მაგრამ ცოტა და არა სრულ სახოვანი-ო.

ამათ საწინააღმდეგოთ ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთი არ არის მართალი. თანამედროვე ეპოქის ახალი ადამიანები არსებობენ, უმისოთ არც შეიძლებოდა იმ უდიდესი მუშაობის წარმოება, რომელსაც აწარმოებს გარდამავალ ხანაში მუშათა კლასი. მაგრამ „ახალი ადამიანის" ისე წარმოდგენა, რომელიც დარჩება „ახალ ადამიანის" ტიპათ კომუნიზმის დროს შემცდარია. სოციალისტური მშენებლობის ენტუზიაზისტები არიან გარდამავალი პერიოდის ახალი ადამიანები.

ხაჩირაშვილი ასეთი ახალი ადამიანია დღევანდელ სოფელში, რომელიც პირველ რიგში შევიდა კოლექტივში, აიღო ინიციატივა და სათავეში ჩაუდგა სოფლს კოლმეურნეობას.

— ჩვენი კოლექტივი მეორე წელია, რომ არსებობს—ამბობს კოლექტივისტი. მაგიდას ახლოს მოუჯდა და იდაყვზე დაყრდნობილი სახით ალალი გული მაჩვენა. გლეხის დაკუნთულ მკლავებში სჩქეფს დაუღალავი შრომა-ენერგია. მისთვის აირჩიეს ამხანაგმა კოლმეურნეებმა ის ხელმძღვანელად.

დაკვირვებული თვალებით წითელ ასოებით *) ნაბეჭდ გაზეთს ათვალიერებს. თანაც გონება გამახვილებული მიყვება კოლექტივის შუშაობაზე.

— ნატახტარში ვიქირავეთ დროებით ტრაქტორი, საქირაო ფული კოოპერატივმა გვასესხა. თესლი შევაგროვეთ. გაწმენდაზე ქალაქიდან მოსული შეფი დაგვეხმარა. ახლა ტრიერი მეზობელ კოლექტივს ვათხოვეთ.

— გაზეთი მოგდით?

ვკითხულობ მე.

— მოგვდის, მაგრამ ცოტა. მეტი გამოგვიგზავნეთ. ძალიან გვეხმარება.

— გამოგიგზავნით, ხოლო წერილები დაგვიწერე.

— დავსწერთ! — მოკლე პასუხის შემდეგ კოლმეურნეობისათვის მებრძოლმა ჩამოათავა ერთი სვეტის კითხვა და არტელში წასაღები „მბეჭდავი"-ს შეხვევა დაიწყო.

ხაჩირაშვილმა დამაწერია წერილი და აღმასკომის აგრონომთან წავიდა გუთნების საქმეზე.

დუშეთის რაიაღმასკომში მოსულთა სურათები ყოველ წამში იცვლება. ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს. ბარიდან, მთიდან, მთიულეთიდან, ფშავიდან, ხევსურეთიდან.

ტყავის ქურქებში გახვეული მთიულები მიწის მზომელს თხოულობენ. ამისათვის დღიურად 30 მთხოვნელი მაინც მოვა სხვადასხვა კოლექტივებიდან.

ყველა კოლმეურნეობებზე ლაპარაკობს.

— ჩვენი კოლექტრია!

— ჩვენა კოლექტრიაში შევედით!

— კოლექტივი სამუშაოთ წავიდა?

— კოლექტივმა საქონელი გააერთიანა!

— კოლექტიამ გუთანი შეიძინა!

— კოლეხტრიამ საზღვრები აყარა?

---

*) წითელი ფერით დაიბეჭდა „მბეჭდავის" № 5 25 თებერვლის დღის აღსანიშნავად. მ. ჩ.

— ჩვენ კოლექტრიაში მთელი სოფელი შევიდა!
— კოლექტრიაში!..
— კოლექტივია!..

გაიგონებ ყოველი მხრიდან სადაც მიბრუნდები. ისმენ ყოველივეს და არ შეიძლება არ დარწმუნდე იმაში, რომ მიმდინარე საგაზაფხულო მუშაობა დიდი ნაბიჯია წინ. ამის ფაქტები ციფრები

— მენა! ბევრს ვერას ვიტყვი ამხანაგებო! უსწავლელი ბიჭი ვარ. მარა ჩვენ ალმასკომს ბევრი არაფერი გაუკეთებია კოლექტრიების სასარგებლოთ. მოსული ხალხი, რომ არ ყოფილიყო ეს ვერაფერს გაკეთებდა. ეს შეუტანიათ ნაკაზში.

დაასკვნა გლუტომ კამათში. მომხსენებელი ბეჟაშვილი შეირხა. თავი მოიფხანა და საპასუხოთ მოემზადა. ეტყობა უბრალო, მოუმზადებელი პასუხი არ უნდა აგოს ამომრჩეველთა წინაშე.

— დაიცათ ხალხო! გლუტაი რომა რატრატებს ისა, ყვითელი ინტერნაციონალია!

— ჰაი! შე ყვითელო!

დაატანა ბოლოს კიკამ და მზის სხივებისაგან გატრუსულ შუბლზე ოფლის წვეთები გადმოუგორდა.

— ვახ! მენა ვარ ყვითელი. შეხე მენა შავი. შავი ვარ.

„ყვითელი ინტერნაციონალის“ სახელზე დამფრთხალი გლუტო შეკრთა. ვერ გაეგო რას ნიშნავდა ი ყვითელი“. რაკი მისი ფერი ყვითელზე განსხვავებულია. შავია. ამიტომ პასუხი გულის სიმართლით გასცა. უსწორო მოპირდაპირეს.

— მაშა! შავი თუ ხარ, შავრაზმელი ყოფილხარ.

მიახალა ვიღაცამ გლუტოს გვერდით. ხედავს ეს კარიაულია. შავსიელი.

ის კრებიდან გააძევეს.

კრების საქმეში ახლად მოსული მუშათა ბრიგადა ჩაერია. კამათი გაგრძელდა. ღარიბმა გლეხებმა ამხილა საბჭოს უმოქმედო წევრები. მასის აქტიური მონაწილეობით შეარჩიეს გამოწვეულთა სამაგიეროთ გამრჯე, ღარიბი კოლმეურნეები.

საბჭოს ანგარიშგების შემდეგ კიკამ დასტოვა თემალმასკომი. ის შესცვალა დაწინაურებულმა მოჯამაგირემ. მშრომელთა რკინისებურ ნებაში იჭედება ახალი სოფელი. ამას გრძნობ ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

ნაგლიანი

კოლმეურნეობებმა მუშაობა დაიწყეს. კოლმეურნეები შეუდგნენ სათესი მიწების გაწმენდას. შემოფარგვლას. საზღვრებ აყრილი ყანები ახლა კარგი სანახავია. გაშლილი მკერდებით იხედებიან. აღარ არის დახაზული და მაღალი ქვებით ამოვსებული ორმოები. გაერთიანებული ნაკვეთებიც ზეიმობენ შეკავშირებას.

ხევებში დაწოლილი ძეძვები იწვის. ცეცხლი ანთავისუფლებს დობილოდან დობილოში გადასასვლელ ზღუდეებს. მთის წვეროზე ირხევა ნახშიროჟანგით დამძიმებული კვამლი.

სოფლებში შესწყდა დავა საზღვრებზე. კრიჭაში აღარ უდგანან კეტებ აღებულნი ერთმანეთს.

მიწებზე დავა ახლა კოლმეურნეობათა შორის დაიწყო. დაობენ მიწად მოწყობის ჩატარებამდე. ერთი კოლექტივის წევრის მიწის ნაკვეთი შეჭრილია მეზობლის საერთო ნაკვეთში და გაცვლაზე ვერ თანხმდებიან.

ასეთ შემთხვევას დუშეთის რაიონში ხშირად შეხვდებოდით. ყოველ დღე ითხოვდენ მზომელს.

რაიალმასკომს ერთი მომწყობი ყავს და ყველას ვერ აკმაყოფილებდა.

მიწების დავაზე მაინტერესებს გლეხის აზრი. როგორ უყურებენ მიწას გაერთიანების შემდეგ? სურვილი მალე ამისრულდა.

ერთ მზიან დღეს რაიალმასკომის მოტოციკლეტით მივეშურებით დუშეთიდან. მანქანა აპობს მოხეთქილ ქარს. ამხ. ვანოს ხშირად ვეხუმრებით.

— ვანოჯან! ტელეგრაფის ბოძები არ მოთხარო!

— ვანო! არ აგვაყირაო! ხშირად ჩაუკრავს ირაკლიც. ამის საბაბი ჩვენ გვქონდა. ორდანიშვილმა გასულ კვირას რაიკომის მაშინას თავის მდივნიანად მოგვერდი უქნა და მეც დაშინებული უფრთხილდები.

ბაზალეთიდან პირქარი გვცემს.

სამხედრო გზაზე გვხვდება მეურმეები. მძიმედ დატვირთული ურმები ჭრიჭინით ეზიდებიან სათესლეს: ქერს, სიმინდს, კართოფილს.

— ეს ჩვენი ელექტრო სადგურის დიზელის ნაწილებია.

გვეუბნება ვანო. თანაც ხარლეის გვერდზე აგეზებს. ვსცილდებით ურმებს და მივქრით ბაზალეთის ჭალაზე.

სწორი გზა პერსპექტივაში გვიჩვენებს წინ, შორს დაშორებას. ტელეგრაფის მავთულები ობობას ქსელივით იხლართებიან ცის თაღზე.

თვალწინ იშლება სარკესავით მოელვარე ტბა. განიერი მუცელი მწვანით არის შემოფარგლული. ტაფობი ღელავს და სხივებს უკუაფრქვევს.

— ბაზალეთისა ტბის ძირას!..

იგონებს ამხანაგ ალექსიძე ილიას სიტყვებს. რომელსაც იზეპირებდა ერთ დროს მოწაფეები.

ტბის ირგვლივ გაშლილ ველზე საქონელი სძოვს. ეს კოლექტივის ხარ-კამეჩია. ტბაზე დასცურავს შავი წერტები.

— აქ იხვები თუა! ვკითხულობ.

— ბევრი! გედიც ნახეს შარშან. ის შავები ნავებია. თევზებს იჭერენ ტბაზე. ზამთრობით ტბის თევზი მსუქანი და გემრიელია.

გვიმარტავს ტბის ეკონომიურ მნიშვნელობას ვანო.

— უცხო წალკოტი ყვავსო! — არის ლექსში. ტბის ძირის ამბავი მიუწვდომელი როდია. ტბას ირგვლივ წყალმცენარეები ფარავს ზაფხულობით. კაცზე მეტი მაღალი იზრდება ჭილი. ეს კარგია საქსოვათ.

— ამ ზაფხულზე ჩვენი კოლექტივი ჭილოფების ქსოვას იწყებს. ქალების შრომა აქ საუკეთესოთ იქნება გამოყენებული: მათთვის ეს შრომა მოსახერხებელია, ხოლო არტელს დიდ შემოსავალს მისცემს.

მაგონდება სოფ. ბაზალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ილო ლალიაშვილის სიტყვები. კოლმეურნეობები რაციონალურად იყენებენ ბუნების სიმდიდრეს. ილიას „ოქროს აკვანის“ ღაღადი, მის გვერდით ახლა გლეხებს აღარ იზიდავს. მშრომელი გლეხები აშენებენ ახალ ცხოვრებას „ბანოვნების“ გარეშე.

ჭინჭარაანთ-კარს გავსცდით. მანქანა თავქვე ეშვება. „კალიასკა“ მიბმული ხარლეი გვერდზე იწევა. გადასავარდნათ გვამზადებს. ალბათ აგერ პატარა ბოგირზე გვისვრის.

— სად მიხვალ ირაკლი!

სიცილით იძახის ვანო. როდესაც ჩემ გვერდით მჯდომმა ირაკლიმ ისკუპა და გაქანებულ მოტოციკლეტიდან შებილზე გაიშალა.

— ე... ე ბრუნდება კაცო!..

გვეძახის ის და თანაც ხელის გულებს იწმენდს. სიცილი გვსკდება, მაგრამ უშიშრად არც მე ვარ. დაცემის დროს მარჯვენა ხელის ტერფზე კანი გადაიტყავა. ეს უფრო ამწვავებდა მის მოულოდნელ სიფრთხილეს.

ვანო თავს იმართლებს.

— განა მე კაცი არ ვიყავ?

ირაკლი შეწითლებული ჩამოჯდა. მქშინავმა მანქანამ დაკბილულ გორაკზე შეუხვია. გორაკი ფხვიერია. პურის ყანებით შემოზღუდული.

— ეს ნაგლიანთ-კარია!

— ძია! ზევით წამოდით! ხალისით გვეუბნება ვაჟი, რომელიც წინ მოგვეგება, კოლექტივის გომურისაკენ გაგვიძღვა. მიწური ქოხების გვერდით მივდივართ. მსხვილი ჯოხები ვიხილეთ მე და ირაკლიმ. ძაღლებთან შესახვედრათ ვემზადებით. აქ სოფელში გავლისას უკან უნდა იხედებოდე — ძაღლი არ მეპარებოდეს. უნდა ფიქრობდე სულ. აქ თეთრმა მეეზოვემ ასტეხა თავი. მასპინძელმა წინ გაგვიძღოლა.

კოლმეურნეობის გაერთიანებულ საქონლის საბამს მივადექით.

გორაკი პირგამოკვეთილია. გამოჭრილ ორმოში სახლია ამოშენებული. სახლის ბანიდან კვამლი ამოდის ვიწრო მილით. ეს ანსხვავებს სახლის სახურავს ირგვლივ მყოფ მიწისაგან. ბანზე კალოა. ბავშვებს თამაშით მიწა მოუტკეციათ. თეთრად ხედება. აქ მზეზე სხდებიან.

სახლის წინ ექვსი კოლექტივისტი მუშაობს. შიგაც ისმის ნაჯახების ხმა.

— ზღვეებს ვამზადებთ საქონლის დასაბამად. არტელმა ხარკამეჩი შეაერთა, მარა დასაბამი არ გვყოფნის, სამ ადგილზე უნდა დავაბათ ჯერ. ახლის აშენებას ჯერ ვერ შევსძლებთ. აქ გომურს ვაკეთებთ. ეს ზღვეებია ბაგის წინ დასაგები.

გვეუბნება ახალგაზრდა კოლმეურნე ღვთისო ყარსიმაშვილი. ლითონისფერ, განიერ შუბლზე ოფლი ჩამოდის. ოფლს შალის სახელოთი იწმენდს. ცულს სცემს და ლარს მიყვება.

— ვანუა! მოვიდა, ვანუა... მხიარულმა ხმებმა შემოიარა გრძელი გომური. ჩვენ გომურში ვართ. ვიწრო ორმო ღრმათ შეჭრილია მიწაში. გვერდები ალიზითაა ამოლესილი. წინ სარკმლის გვერდების ბუჭრუტანები ფუნაში გარეული ბზითაა გამოვსებული.

შუქს პატარა სარკმელი იძლევა. მისი სიგრძე-სიგანე ერთი კვადრატული არშინი თუ იქნება. სინათლეს შიგა და შიგ სიბნელე სჯობნის.

გომურში 10-დე გლეხი მუშაობს. ყველა თავის დანიშნულებას ასრულებს. შრომა განაწილებულია და შეთანხმებულ საქმიანობაში ბარაქა იზრდება.

ჩვენ მისვლაზე არავინ შეჩერებულა. ისევ მუშაობენ. მოხუცი გლეხი მოგვიჯდა გვერდით. სხვებიც ისე გველაპარაკებიან.

„მბეჭდავის“ მე-9 №-რი დაურიგეთ. გაზეთის დარიგების შემდეგ უფრო მაკვირდებიან. ჩაწერას, რომ შეხედეს ირგვლივ მისხდება რამოდენიმე და აინტერესებთ რას ვინიშნავ.

— კოლექტივი ახალი ჩამოყალიბებულია!

— ჩვენ არტელში 25 კომლია შაერთებული. საბჭომ სამუშაოები გაანაწილა. დღეს ერთი ჯგუფი ბაღში მუშაობს. მეორე ხარ-კამეჩს აჯდია. ქირას იღებს და ჩვენც საქონლის ბინას ვაკეთებთ 32 უღელი ღა გვყავს.

გულდასმით გვიამბობენ. ერთის სიტყვას მეორე ავსებს. ხოლო საერთო აზრში იხატება არტელის ენერგია.

— წყალი არ გაქვთ!

კითხულობს ვანო. ხარლეის მართვაში დაღლა შეპარვია.

— აბა ბიჭო! გაიქე ქერთლით *) წყალი მოარბენიე.

ღვთისოს ძახილზე ბიჭიკო გარბის.

— თქვენი სადაო საკითხი!

მოაგონათ ვანომ.

— მამულზე გვედავებიან ჭინჭარაანთი. უმისოთ ჩვენი ცხოვრება არ იქნების. სარწყავი მეტი არ გაგვაჩნია. წვანილი ხომა უნდა მოვიყვანოთ... უმისოთ რა იქნება...

დაიწყო ერთმა. მას სხვებიც აყვა. ყველა ალაპარაკდა. მუშაობა შესწყდა და საუბარი სადაო მიწის ნაკვეთზე გადავიდა.

ამასობაში ჭინჭარაანთ-კარის კოლექტივის ხელმძღვანელი ლადო ბუჩაშვილიც მოვიდა. მის მოსვლაზე კამათი გამწვავდა. საკითხის ასე მოგვარება არ იქნებოდა.

კრებაზე ქალები კარებში იდგნენ. კარიდან იხედებოდენ.

— სად არის თქვენი ერთობა, თქვენ ბოსტნის ყურეში ნაჭერსაც არ გვაძლევთ.

გაიძახიან გაცხარებული დედები. თავშალ გაკრული ქალები ხელებ გადაჭდობილი დგანან და კაცების ნათქვამს კილავს ზოგი მათგანი.

ამხანაგებო! თქვენ მიწის მზომელი შეგარიგებთ.

ასკენის ვანო. მეორე დღისათვის მიწადმომწყობს შევპირდით.

წამოსვლის წინ ირაკლის თავისი აგრონომია არ ავიწყდება. სპეციფიურობა საქმეში ანვითარებს ნორმალობას. გამოკითხა აგრომინიმუმის საქმე.

— ტრიერი მუშაობს?

— ტრიერი ზევით უნდა წაიღონ. თესლი სულ გავწმინდეთ.

იყო გარკვეული პასუხი კოლმეურნისაგან.

— გეგმა!

— გეგმა აგრონომმა შეგვიდგინა. კოლექტივი „მედგარი" გვგმიანათ მუშაობს. ის არ დაიშლება.

— ვანუა! კოოპერატივის საქმე ვერ გვაქ კარგათ. ბაზალეთი შორაა. ვინ ივლის იქ. საჭიროებაზე ბოვში ვერ მიდის და ქალი.

— დაგვიახლოეთ!

ამბობს ხანში შესრული ნიკო.

— გამოიტანეთ დადგენილება მეზობელ კოლექტივებთან ერთად და ახლოს მიგამაგრებთ.

---

*) ქერთლს პატარა ჩაიდანს ეძახიან აქ. მ. ჩ.

პასუხზე მოპირდაპირე შეირხა. მის გრძელ სახეზე კმაყოფილების ნაოჭები გრძლად გაიხლართა.

— ისე შეთანხმებული თუ ხართ? ხელს ხომ არავინ გიშლით მუშაობაში.

გამოვკითხე დაბოლოს მე.

— არა! ჩვენა ჯერ კარგათ ვმუშაობთ. ღარიბებია უმრავლესობა. არც ერთი ჩვენგანი არ იორგულებს, კოლექტივში ზარალი ყველას საზარალოა.

ამბობს ღარიბი გლეხი კარიაული.

— თუ რამეს დაგვეხმარებით თქვენ იცით, თუ არა ჩვენ მარტო რაი შეგვიძლია. კოქლი ადგილები გვაქვს, ურწყავი მიწა.

ღვთისოს პასუხში ყველაფერი რიგზე არ იყო. კოლექტივში არც შეიძლება თავიდანვე ყველაფერი უნაკლოთ გაკეთდეს. პრაქტიკული მუშაობა სწავლაა ყოველ ნაბიჯზე.

აქ მე შევამჩნიე ზოგი უხერხულობა — შეუთავსებლობა. არიან ზოგიერთები, რომლებიც მაინცდამაინც არ იწუხებენ თავს მუშაობით. გულით არ არიან კოლექტივში, მაგრამ სოფელს არ გამოეთიშენ ან კიდევ „ხათრი" არ გაუტეხეს.

ზოგან კოლექტივში ყოფილი აზნაურებიც შეპარულან. ზოგი მათგანი განზე უდგია მუშაობას. აი მაგალითად: აგერ ნიკო! რომელიც ჩვენთან საუბრობდა წელან. ის ძველი აზნაურია. კარგ ფუფუნებაში გაზრდილი და დღეს ბევრი არაფერი გაუკეთებია. სხვები მუდამ მუშაობენ. მას ოფლი არ მოუწმენდია.

ასეთ ხალხისაგან უნდა გაიწმინდოს თავიდანვე კოლექტივი. შრომის ხალხი კოლექტივში ჩვევათ უნდა გადაიქცეს, რომ ყველა ეზიდებოდეს საერთო საქმეს.

ფერდობზე გადმოსულები გამოგვაცილა ამხანაგმა კოლმეურნეებმა.

სტამბაში

მზემ სხივები სვეტებათ გადმოუშვა ღრუბლებიდან. ათას ფერებით შემოსა დუშეთის არე. მთის წვეროები შუბლშეკრულად გამოიყურებიან.

ოთახიდან მოვდივართ. ჩვენი ბინა ქალაქის ბაღის ზემოთ არის მოთავსებული.

მიშას დილით ადგომას ვერავინ ვასწრებდით. ღამეც გვიან იძინებდა.

წუხელის სასადილოდან გვიან დავბრუნდით. ვერ ვიყავით კმაყოფილი მაინცადამაინც: საჭმელი ვერ ვიშოვეთ. სტამბიდან დავიგვიანეთ და ღამის 10 საათზე უკვე გამოლეულიყო სურსათი. მოსვლის შემდეგ ვანოს მალე დაეძინა.

ბაღში ჩვენ ადგომამდე გაეღოთ კარი!

მზის მცინარე სხივებმა გაალამაზა ზენ დუშეთის გორაკი. თანიანთ-კარის ფერდობზე მწვანდება ჯეჯილი.

სტამბაში სიცივეა და ცეცხლი შეუკეთეთ.

— გაზეთი არ არის ახალი?

კითხულობს სოფლიდან მოსული ქალი. მას ცალ ხელში კალათა უჭერია. შიგ: რძით სავსე ბოთლები და კვერცხები აწყვია. ღლიაში ქათამი ყავს. მას მისდევს კიდევ ქალები. სტამბაში გროვდებიან.

ყველანი ბაზარში მოდიან სავაჭროთ. მიაქვთ: რძე, კვერცხი, ერბო, კარაქი... მიყავთ: ქათამი, ბატი, ინდაური, გოჭი, ხბოები გასაყიდათ. ასეთი რამე ახლა ბაზარზე ბევრია. თანაც იაფი.

— დედი! წაიღე წაიკითხე კარგი ამბებია შიგ დაწერილი.

ეუბნება მიშა და გაზეთს აწოდებს.

— კოლექტრიაზე სწერია?

კითხულობს გლეხი ქალი. ეს მას აინტერესებს ყოველ ნაბიჯზე.

— სულ კოლექტივების ამბებია. ისიც სწერია, რომ თქვენი სოფლელები ჩუმათ კლავენ შინაურ ფრინველებს, ღორებს, ცხვრებს, ძროხებს ყიდიან იმიტომ, რომ კოლექტივში წაგვართმევენო. ეს სისულელეა. თქვენ არავინ რამეს გართმევთ. ნუ შვრებით ამას თუ არა შემდეგ ინანებთ. ამაზე სწერია გაზეთში. წაიკითხეთ და დაუჯერეთ ამას. ის ჭორები კულაკების პროვაკაციაა. ნუ აყვებიან კოლექტივის წევრები. წვრილფეხა საქონელი არ ერთიანდება და შემდეგ როგორც გინდათ ისე მოიხმარეთ.

— არ წაგვართმევენ?

გაკვირვებით იკითხა ქალმა. მისი სახე ათასმა ზოლებმა დაფარა. ცოტათი დაიბნა. შეყოყმანდა. ბოლოს გაწითლდა. ალბათ იმიტომ, რომ თვითონაც ასე იქცეოდა. მან გვერდით მყოფ ქალებს გადახედა. ქათამს ხელი მოუჭირა. ბებერი დედაკაცი შეძრწუნდა.

— მენა რა ვიცი ასე ამბობენ და...

— ასე ამბობენ და ტყვილს ამბობენ. ამას ისეთი ხალხი ლაპარაკობს, რომელთაც კოლექტივის დაშლა უნდათ. ღარიბების ჯავრი აქვთ, ისინი ჩვენი კლასიური მტრებია.

ვარწმუნებდი შემდეგ მათ.

— რა ვიცი! პირმისაანთ კოლა გვეებნებოდა და!..

იჭვნეულად ჩაურთო გვერდში მდგომმა. შავი თავსაფარი პირზე გაისწორა და ყელი გაინთავისუფლა.

— მენა ერთი სათხოვარი მაქვს თუ!..

დაიწყო კარებში მდგომმა.

— ჩვენ თხოვნა არ გვჭირდება. ისეც გაგიკეთებთ რასაც შეგიძლებთ.

ვანომ ტექსტის აწყობას თავი მიანება. ჩვენსკენ მობრუნდა.

— ერთი ვერანა ბიჭია. ქალს მიუხტა და მთელი სოფელი აიკლო მთვრალმა... აღარ ასვენებს ხალხს. გვემუქრება... დაგვიწერეთ გაზეთში. ის გამოგვიწერეთ და...

იხვეწება ქალი. მე დავთანხმდი. წერილიც დავსწერეთ. წასვლისას კიდევ იკითხეს.

— მაშა! არავინ წაგვართმევს?

— არა!

— მაშა! რათა ამბობენ ასე?

— ამას კულაკები ავრცელებს. ისინი ჩვენი შეურიგებელი მტრებია. ხალხის დაფრთხობა უნდათ. მაგათ ნუ დაუჯერებთ. ჩვენ მათ ვებრძვით და მტერს რაიმე დაეჯერება?

— ჰაი! რომ არ დაეჯერება.

— პატარა მიშა რომელია აქა? (მე იქ მიშას მიძახდნენ. ჩვენ მემანქანესაც მიშა ქვია. ამიტომ მას „პატარა მიშა“ შეარქვეს, რადგანაც ის ჩემზე დაბალია). კითხულობს ახლად მოსული. მემანქანე იცინის.

— მე ვარ! რა გინდათ?

— მაშინა გვაქ გაფუჭებული და გვითხრეს ის აკეთებსო!

— საკერავი?

— ჰო!

— მოიტანეთ!

— რას აიღებთ?

— არაფერს. ჩვენ ფული არ გვინდა. ქალაქიდან მისთვის მოვედით, რომ ღარიბ გლეხობას დავეხმაროთ.

— მაინც!

— მაინც მოიტანე და გაგიკეთებთ.

ქალი გახარებული შებრუნდა. ჩვენ სტამბაში, სტამბის მასალების გარდა ბევრი იყო საკერავი მაშინები და საათები. მართლაც მშვენიერი ოსტატები გამოდგენ ბრიგადელები თავიანთ სპეციალობის გარეშეც.

სოფლებიდან განუწყვეტლივ მოქონდათ „პატარა მიშას“ სახელზე მაშინები. დამტვრეული საათები.

— ამხანაგო მიშა! დაიცა რა გითხრათ. მეუბნება მეორე დილით ამხანაგი.

— მაინც რა არის ახალი!

— თქვენმა გაზეთმა გასჭრა!

— რაში!

გახარებული შევეკითხე.

— გუშინ სოფლიდან მოვდიოდი. წინ ქალები შემომხვდნენ. ქათმები მიყავდათ უკან. მე შევევაჭრე, მაგრამ არ მომყიდეს.

— მიზეზი!

— მიზეზი ასე ამიხსნეს. სტამბაში გვითხრეს მუშებმა ნუ ყიდით, არავინ გართმევთო. ახლა რომ დახოცავთ მერე ნავთი და მარილი რით უნდა იყიდოთო.

— ნამდვილი წამალი შეიქნა გაზეთი. ნამდვილი.

მეუბნება განმეორებით. მეც მიხარია თუ მიზანში მოხვდა გაზეთის თითოეული ნომერი.

აღმასკომის წინ ადრიანათ ხევსურები მოგროვილან. ფულს თხოულობენ.

ფულთან ერთად სათესლე დახმარებაც გამოუწერეს.

— ჩვენა მარტო წილი არ გვინდების. ყველა ჩამოვალთ, ვისაც გვერგების და ერთად წავიღებთ. ჩვენ ხალხს არ ეღალატების.

ახალუხ მოქარგული ხევსურები ერთმანეთს ეცვლებიან.

— ვანო! ჩვენ მარტო არ გვინდების. ერთად წავიღებდით. ჩამოვალთ და მოგვცემდის... ამბობენ ისინი.

მთის ადათის შედეგი ატყვია თითეულს.

— ეს ნაკეჭნავებია!

მეუბნება სიკო და მიხსნის ხევსურების ერთ ადათს ხმალში გამოწვევაზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

გ ე ნ ი ტ ო ბ უ ა ჩ ი ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარულ ლიტერატურის რიგების გადახალისებისათვის *)

პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო გაერთიანების მნიშვნელობის შესახებ ამჟამად არაფერს ვიტყვი. აქ შეკრებილია პროლეტარული ლიტერატურის ყველა რესპუბლიკანური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც მშვენივრად იციან, თუ რისთვის არის მოწოდებული აღნიშნული ორგანიზაცია, როგორც პროლეტარულ მწერალთა საკავშირო გაერთიანება. ჩვენ გაკვრით დავახასიათებთ პრ. მწ. სრ. საკ. გაერთიანების („ვოაპპ") მუშაობას პირველი ყრილობიდან უკანასკნელ სამდივნოს სხდომამდის. „ვოაპპ"-ის, როგორც საკავშირო გაერთიანების, მუშაობა ნაკლებად საგრძნობი იყო რესპუბლიკანურ ორგანიზაციებისათვის. ამხ. სუტირინი შეეცადა თავის მოხსენებაში დაესაბუთებია მუშაობის სისუსტე, მაგრამ მისი დასაბუთება სრულებით არ იყო დამაჯერებელი. მე არ ვიცი ჩვენში რომელ ორგანიზაციას ეშინოდა ცენტრალიზირებულ სისტემის. „ვოაპპ"-ის მუშაობის სისუსტე არ შეიძლება გავამართლოთ იმით, რომ ვითომცდა ამ სუსტმა მუშაობამ, გამოაცალა ნიადაგი რესპუბლიკანურ ორგანიზაციების შიშს.

უნდა ვაღიაროთ პირდაპირ, რომ „ვოაპპ"-ის მუშაობის სისუსტე დიდ ნაკლს წარმოადგენს. „На литературном посту"-ს მოწინავეში ნათქვამი იყო, რომ „ვოაპპ"-ი ფოსტის ყუთს წარმოადგენდა, მე კი ჩემის მხრით დავუმატებ, რომ ამ ყუთს ფსკერი არ ჰქონებია. იგი იყო მეტად ცუდი დამაკავშირებელი ცენტრი. ეს მდგომარეობა ნათლად უნდა გამოირკვეს ახლანდელ სამდივნოს სხდომაზე. აგრეთვე უნდა შეეცადოთ გამოვნახოთ რაიმე კონკრეტული გამოსავალი, რომ „ვოაპპ"-მა იარსებოს, როგორც ძლიერმა, მომქმედმა ორგანი-

*) სიტყვა, წარმოთქმული პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო გაერთიანების („ვოაპპ") სამდივნოს გაფართოებულ პლენუმზე ამხ. ვ. სუტირინის პოლიტიკური ანგარიშის გარშემო, 1930 წ. 28 მაისს.

ზაციამ, როგორც ყველა ჩვენი რესპუბლიკანურ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების მუშაობის შემაკავშირებელმა ცენტრმა, ეს აუცილებელად უნდა განხორციელდეს.

„ვოაპპ"-ის საბჭოს პირველი პლენუმი შესდგა წლინახევრის წინათ. მას შემდეგ ჩვენ ნაკლებათ წავიწიეთ წინ. რა თქმა უნდა, „ვოაპპ"-ის მუშაობის სისუსტეზე მითითებით ჩვენ არ გვინდა უარვყოთ, რომ რესპუბლიკანური პროლეტ. მწ. ასოციაციები დიდ მუშაობას ეწევიან. ამ შემთხვევაში ამხ. სუტირინი მართალია. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ „ვოაპპ"-ის მუშაობა რესპუბლიკანურ ორგანიზაციების მხრებზე გადავიტანოთ. ცხადია, რესპუბლიკანურ ორგანიზაციების მუშაობა ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს მთელი „ვოაპპ"-ის მუშაობას, მაგრამ „ვოაპპ"-საც აქვს აგრეთვე თავისი განსაკუთრებული სამუშაო.

ჩვენს მიერ მოსმენილ მოხსენებაში რეკონსტრუქტიულ პერიოდის ლიტერატურის ამოცანები და სპეციფიური მდგომარეობა საერთოდ რელიეფურად და თვალსაჩინოდ იქნა გაშუქებული. უკანასკნელ ხანებში ჩვენი ასოციაციები მჭიდროთ დაუახლოვდენ რეკონსტრუქტიული პერიოდის ამოცანებს. რა თქმა უნდა, ამას ვერ ვიტყვით მთელი „ვოაპპ"-ის მასშტაბით.

თანამედროვე პერიოდის ლიტერატურისათვის მთავარია—ძალთა გადაჯგუფება და მემარჯვენე ფრონტის ლიტერატურაზე მძლავრი იერიშის მიტანა. როგორც რუსეთსა და უკრაინაში ისე ამიერკავკასიაშიც ჩვენი ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებიან იმ ფენებად დაყოფას, ძალთა გადაჯგუფებას, რომელიც ამჟამად სწარმოებს ჩვენში. რეაქციონური ლიტერატურის მემარჯვენე ფრონტის აქტიობის გამოცოცხლებამ საკადრისი პასუხი მიიღო. ამიერკავკასიაში მემარჯვენე ლიტეტრატურასთან ბრძოლა ჩატარებულია საგრძნობლად. საქართველოში ახლა სწარმოებს მეტად საინტერესო მუშაობა საბჭოთა მწერლების ფედერაციის რეორგანიზაციის გარშემო. ჩვენში მიმდინარეობს ერთგვარი გადაჯგუფება, ძალთა გადანაცვლება. მუშაობა სწარმოებს იმ მიმართულებით, რომ უფრო მტკიცედ და ნათლად ჩამოყალიბდეს საბჭოთა მწერლის სახელწოდება, რომ ყველა არ ატარებდეს მას, რომ საბჭოთა მწერლების ფედერაცია არ წარმოადგენდეს განურჩევლად ყველა მწერლების შემკრებ ორგანოს. ფედერაციის რიგებში ჩვენ ძალიან ბევრი გვყავს აშკარა რეაქციონერი-მებრძოლი მწერლები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო საბჭოთა მწერლების სახელწოდებასთან. ამის გარშემო ჩვენ ვაწარმოებთ

ბრძოლას, გვინდა ასეთ მოვლენას ბოლო მოუღოთ. დარწმუნებული ვარ ჩვენ ბოლომდის მივიყვანთ ძალთა ამ მეტად საჭირო და ნორმალურ გადაჯგუფებას, საბჭოთა მწერლების ფედერაციის შიგნით.

ამჟამად ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის პროცესები, რომლებიც სწარმოებს პროლეტარული ლიტერატურის შიგნით, რეკონსტრუქტიულ პერიოდთან დაკავშირებით.

უკანასკნელ ხანებში ყოველივე ის, რაც იყო უცხო, შემოტანილი ელემენტი, უკვე თანდათან ილექება და თავს იჩენს პროლეტარულ ლიტერატურის შიგნით მემარჯვენე საშიშროების სახით.

მომხსენებელმა სწორად აღნიშნა, რომ საჭიროა ჩვენმა ასოციაციებმა კონკრეტულად გაუსვან ხაზი იმ გარემოებას, რომ პროლეტარულ ლიტერატურულ ორგანიზაციებისათვის მთავარ საშიშროებას წარმოადგენს მემარჯვენე საფრთხე, რომლის წინააღმდეგ საჭიროა მედგარი დარტყმა, სისტემატიური ბრძოლა. საჭიროა მემარჯვენე საფრთხე ყველგან გამოვიყვანოთ სააშკარაოზე.

უკანასკნელ ხანებში საქართველოში გააფთრებული კლასიური ბრძოლის დროს ლიტერატურულ ფრონტზე მემარჯვენე გადახრამ აშკარად იჩინა თავი არა მარტო შემოქმედებაში, არამედ არსებულ ლიტერატურულ პოლიტიკის უნიჭო კომენტარიებში, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ატარებენ ზოგიერთი „ოპოზიციონური" ამხანაგები. რა თქმა უნდა, საქართველოს პროლეტარულ მწერლობის ხელმძღვანელ ბირთვს არ გაუჭირდება ბოლშევიკური სისასტიკით დაარტყას მემარჯვენე საშიშროებას, საქ. პროლ. მწერლობის ასოციაციის შიგნით.

აქ აგრეთვე ლაპარაკობდენ იმის შესახებ რომ შეიძლება თუ არა პარტიული ტერმინოლოგია (მემარჯვენე საშიშროება) გადავიტანოთ პროლეტარულ ლიტერატურაში. ამხ. სუტირინს ეს შეუძლებლად მიჩნია. ეს საკითხის ზედმეტად დაბნელებაა, აქ უთუოდ შეცდომაა. სცდებოდა აგრეთვე ამხ. ტატულოვი, როცა ამასვე სწერდა. მე არ ვემხრობი პარტიული ტერმინოლოგიის მექანიკურ გადმოტანას. არც იმას ვუჭერ მხარს, რომ პროლეტარულ ლიტერატურის ესა თუ ის მოვლენა მექანიკურად მივუყენოთ მემარჯვენე და მემარცხენე საშიშროების ტერმინებს. მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი სიბრძნე არ არის საჭირო და მოვლენებს აუცილებლად თავისი ნამდვილი სახელი უნდა დავარქვათ. აღიარება იმის, რომ „ვოაპპ"-ის ორგანიზაციაში ამჟამად უმთავრეს საფრთხეს

სწორედ მემარჯვენე გადახრა, წარმოადგენს, მე აუცილებლად მიმაჩნია. ახლა „ვოაპპ"-ის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს თავის რიგებისა და მუშაობის მეთოდის გარდაქმნაში. იგი მიდის და კიდევაც უნდა წავიდეს სხვადასხვა კალაპოტით. შევჩერდეთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე, რომელსაც განსაკუთრებით მწვავედ გრძნობენ რუს. პროლ. მწერ. ასოციაციაში („რაპპ") ეს არის დისკუსია შემოქმედების საკითხების გარშემო, რომელსაც ამასთანავე საკავშირო მნიშვნელობა აქვს. „ვოაპპ"-ის ყველა ორგანიზაციაზე იგი დიდ გავლენას მოახდენს. სამდივნოს ახლანდელ სხდომაზე აღნიშნულმა დისკუსიამ ყველა საკითხები დაჩრდილა და თვითონ დაიჭირა ცენტრალური ადგილი. ეს საესებით ბუნებრივია. შეგვიძლია თუ არა დისკუსიაში მონაწილეთა აზრები გავყოთ მემარჯვენეთ და მემარცხენეთ? მე ვეთანხმები ამხ. სუტირინს იმაში, რომ მექანიკური დაყოფა დისკუსიის მონაწილეთა მემარჯვენეებათ და მემარცხენეებათ შეუძლებელია. საჭიროა გავითვალისწინოთ, როგორც ამ დისკუსიის თავისებურებანი, ისე ის გარემოებაც, რომ უთანხმოება ზოგიერთ მნიშვნელოვან მომენტებში ხანდახან გადაიზრდება ხოლმე ლიტერატურულ-პოლიტიკურ უთანხმოებად. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ამას წინად შემდგარი ბლოკი „რაპპ"-ის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. მას ჩვენ უნდა შევხედოთ არა როგორც შემოქმედების გარშემო დისკუსიის მატარებელ ბლოკს, არამედ როგორც ბლოკს, რომელმაც წამოაყენა „რაპპ"-ის პოლიტიკის მიმართ დაპირდაპირებული ლიტერატურულ-პოლიტიკური მომენტები და ეს მიუხედავათ იმისა, რომ იგი ეთანხმება „რაპპ"ის საერთო ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზს და სთვლის მას სწორად.

ბლოკის არსებით მხარეს აქ არ შევეხები, ვინაიდან მასზე უკვე საკმაოდ ილაპარაკეს. ბლოკი აშკარად შეიცავს როგორც „მემარცხენე" მიკიბმოკიბვას, ისე მემარჯვენე ტენდენციებს. მაგრამ მე სრულებით არ ვეთანხმები ამხ. შჩუკინს, როცა ის ამბობს, რომ „რაპპ"-ში შექმნილი ბლოკი აერთიანებს მემარჯვენეებსაც და მემარცხენეებსაც. გამოდის ისე თითქოს ჩვენ ამ ბლოკის სახით გვქონდეს საესებით გაერთიანებული ფრონტი „მემარცხენე"-თა და მემარჯვენეთა და რომ თითქოს ჩვენს ამოცანას მხოლოდ ამ ბლოკთან ბრძოლა წარმოადგენდეს. და მემარჯვენეები კი ამ ბლოკის გარეშე, თითქოს აღარსად არსებობდეს.

ბლოკი იტევს თავის არეში როგორც მემარჯვენე ისე „მემარცხენე" საშიშროებას, მაგრამ მან ვერ ამოსწურა მაინც „რაპპ"-ში

არსებული მემარჯვენეობა. ჩვენ მარტო ამ ბლოკში არ უნდა დავინახოთ მემარჯვენე საშიშროება. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ „რაპპ"-ში ისე, როგორც პროლ. მწ. ასოციაციის ყველა დანარჩენ ორგანიზაციებშიაც მთავარ საფრთხეს მემარჯვენე გადახრა წარმოადგენს და იგი იმყოფება როგორც ბლოკში ისე ბლოკის გარეთ. ამას ხაზი უნდა გავუსვათ დაბეჯითებით. საქმე შემდეგშია: ნაპოსტოველობამ, რომელიც მეთაურობს როგორც „რაპპ"-ის ისე „ვოაპპ"-ის ორგანიზაციებს, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის მთელი კავშირის პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის წინაშე, უნდა აწარმოოს გაშლილი ბრძოლა მემარჯვენე საშიშროების წინააღმდეგ „ვოაპპ"-ის ორგანიზაციის შიგნით. როგორ შეგვიძლია მივაღწიოთ ამას რეკონსტრუქტიულ პერიოდში? ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, თვით ნაპოსტოველობა უნდა გადახალისდეს. რიგების გარდაქმნა საჭიროა არა მარტო ასოციაციათა ორგანიზაციებში, არამედ იგი უნდა შეეხოს აგრეთვე ჩვენს ხელმძღვანელს ნაპოსტოველობის ბირთვსაც. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამჟამად, როცა „ვოაპპ"-ის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ილაშქრებს ბლოკი და ყველა ამ ბლოკის მომხრე. მე მინდა განვაცხადო აქ, რომ ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკების ყველა მომუშავეები არც ერთ პერიოდში არავის დავანებებთ ჩაყლაპონ ნაპოსტოველობა. ბლოკის მხრით კი სწორედ ასეთ ტენდენციებს ვამჩნევთ ჩვენ მაგრამ ამას ისინი ვერ შესძლებენ. ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ნაპოსტოველობა, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის, ხელმძღვანელ პოზიციებზე დარჩეს. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ იგი უნდა გადახალისდეს მისთვის, რომ შესძლოს როგორც ამჟამად, ისე მომავალშიაც პროლეტლიტერატურულ მოძრაობის ხელმძღვანელობა. ნაპოსტოველობამ მტკიცედ უნდა შეინარჩუნოს ავანგარდის ადგილი ლიტერატურულ მოძრაობაში. ამჟამად კი მას უჭირავს მოგერიებითი პოზიცია.

ამხ. ავერბახი თავის უკანასკნელ სტატიაში სწერს: „ნაპოსტოველებს მოწინააღმდეგზე თავდასხმის პოლიტიკა არ გააჩნიათო". ეს მეტად უარყოფითი მოვლენაა. ამას ჩვენ ბოლო უნდა მოუღოთ.

მისთვის რომ ნაპოსტოველობა დარჩეს მეთაურ რაზმად, რომ ის სადაც საჭიროა, მოგერიებით მდგომარეობიდან გადავიდეს იერიშზე, მან აუცილებლად უნდა გარდაქმნას თავისი რიგები.

საჭიროა აქა იქ დიდის ყურადღებით შევათვალიეროთ ჩვენი მოკავშირეები. მე ამჟამად მინდა მივუთითო მხოლოდ რომ გროსმანროშჩინს არ შეუძლია იყოს ნაპოსტოველობისა და „ვოაპპ"-ის ძირითადი თეორეტიკოსი. არ შეიძლება წამოვაყენოთ იგი როგორც უდა-

ვო ავტორიტეტი. ამ საქმეს გადათვალიერება სჭირდება. შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი ანალოგიური მაგალითების. ასეთი რევიზია ნაპოსტოველობამ უნდა ჩაატაროს. საჭიროა მოიხსნას აგრეთვე უკვე დრომოჭმული, შემცდარი, შემოქმედების ლოზუნგების მთელი რიგი. როგორიცაა, მაგალითად, უბადაღებული „ცოცხალი ადამიანი"-ს ლოზუნგი, რომელზედაც ყველა უარს ამბობს, მაგრამ რომელსაც ყველგან გრძნობენ. საჭიროა როგორც ამის, ისე ზოგიერთ სხვა ლოზუნგების გადაფასებაც. საზოგადოთ საჭიროა არა მარტო გადათვალიერება, არამედ გამომუშავება, შევსება და ნათლად გარკვევა „ვოაპპ"-ისა და „რაპპ"ის მოძრაობის მთელი შემოქმედებითი პლატფორმის. ზოგიერთები მოითხოვენ რომ ჩვენ, ვინც ვაკრიტიკებთ არსებულ პლატფორმას, ერთბაშად წარმოვადგინოთ მთელი პროგრამა. ამიერკავკასიის ასოციაციას შემოქმედებითი პლატფორმა არ გამოუმუშავებია და არც მთლიანი პლატფორმა წამოუყენებია. ჩვენ ალბად ამ პლატფორმის გამომუშავება მოგვიხდება „რაპპ"-ის მთელ გამოცდილებასა და ამიერკავკასიის სპეციფიკის ნიადაგზე. ამჟამად კი ზოგიერთ მთავარ საკითხებში ჩვენ მოგვეპოება ცოტაოდენი უთანხმოება „რაპპ"-ის პლატფორმის გარშემო. ჩვენ ვაღიარებთ რომ საჭიროა შემოქმედების პლატფორმის გარდაქმნა, რომ გაიფანტოს ის ბუნდოვანობა, რომელსაც უკვე ვამჩნევთ. ჩემის აზრით დროა ნ ა პ ო ს ტ ო ვ ე ლ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ე ბ ს მ ტ კ ი ც ე დ დ ა ა შ კ ა რ ა დ დ ა უ ს ვ ა თ ს ა კ ი თ ხ ი ი მ ი ს შ ე ს ა ხ ებ, თ უ რ ო გ ო რ მ ო ძ რ ა ო ბ დ ა დ ღ ე მ დ ი ს დ ა ს ა ი თ კ ე ნ მ ი დ ი ს ა მ ჟ ა მ ა დ პ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი რ ე ა ლ ი ზ მ ი. ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება, ან მოვხსნათ, ანდა კატეგორიულად განვაცხადოთ რომ ყველა „უშუალო შთაბეჭდილებანი" და „ცოცხალი ადამიანები" შეცდომას წარმოადგენს.

არ იყო ნორმალური მოვლენა აგრეთვე ერთგვარი ქედის მოხრა ზოგიერთ კლასიკოსების წინაშე. ეს ეკუთვნის არა მარტო ამხანაგებს „რაპპ"-ის ხელმძღვანელობიდან, არამედ „მარცხნივ" გადაღუნვილებიდანაც და სხვ. დაუშვათ, რომ ფადეევი ერთგვარ ხარკს უხდის ტოლსტოის. მაგრამ აიღეთ ბეზიმენსკი. კითხულობ „Выстрел"-ს და ელი თითქოს რომელიმე შესაფერისი გმირთაგანი აგერ წამოიძახებს: „Карету мне, карету!"-ო.

არავისთვის საიდუმლობას არ წარმოადგენს აგრეთვე ის სიმპატიები, რომლებითაც „რაპპ"-ის მთელი რიგი ხელმძღვანელი ამხანაგები გამსჭვალული არიან „მხატ"-ის მეთოდის მიმართ. კირშონი

შაუმიანს ამღერებს ოპერაში (ხმა ადგილიდან: „მხატ"-ი ეს სხვა საქმეა). „მხატი"-სა და ოპერის სიმპატიებს შორის არსებობს შორეული ნათესაობა. ამ საკითხებზე საჭიროა გარკვეული პასუხი იქნეს გაცემული.

ხშირად პოლიტიკურ სიმახვილის უქონლობა წარმოადგენს ვეებერთელა ნაკლს, რომელიც აქა-იქ პუბლიცისტიურობის წინააღმდეგ იქცევა ხოლმე. ავიღოთ მაიაკოვსკის შემოქმედებით მეთოდის შეფასება. ამხ. სელივანოვსკიმ აქ განაცხადა, რომ მაიაკოვსკის თვითმკველობის ღრმა მიზეზი იყო ის, რომ იგი ვერ ჩასწვდა სავსებით პროლეტარიატის სულის საიდუმლოს. მე უკრიტიკოთ არ ვღებულობ მაიაკოვსკის და არც ვამბობ, რომ მისი შემოქმედებითი მეთოდი სავსებით პროლეტარული ლიტერატურის თვისებით იყოს გამსჭვალული. ცხადია, მაიაკოვსკის პოეზიის ერთგვარი სქემატიურობა, მაგრამ მაინც აშკარად შეიძლება ითქვას, რომ მისი მეთოდის მთელი რიგი ხერხები უთუოდ შევლენ პროლეტარულ ლიტერატურაში. ეს მე გარკვევით მჯერა. ამასვე ამტკიცებს მაიაკოვსკის პოეზიის გავლენა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სავსებით მივიღოთ მაიაკოვსკი.

პუბლიცისტიურობის შიში ძალიან შორს მიდის. ერთერთი ამხანაგი, რომელიც სელივანოვსკის მოხსენების გარშემო გამოვიდა, აცხადებდა, რომ ბეზიმენსკის „Выстрел"-ი — ეს პოლიტიკური მყვირალობაა (ხმა ადგილიდან: მეთოდის მხრივ). არ შეიძლება, ამხანაგებო, ამის თქმა. „Выстрел"-ს აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, იგი ერთგვარ სქემატიურობასაც შეიცავს, მაგრამ უდავოა ისიც, რომ მნიშვნელოვანი მხატვრული, დამკვრელი სასარგებლო ნაწარმოებია. თქმა იმისი, რომ იგი პოლიტიკური მყვირალობაა — ძალიან შემცდარი აზრია. „ვოაპპ"-ის უმრავლესობის შემოქმედებითი მეთოდი თავის არსში ატარებს მემარჯვენე საფრთხის საწყისსა და განვითარების შესაძლებლობას. ამას ამტკიცებს საინტერესო ნაწარმოების „Рождение героя"-ს მაგალითი, რომელიც სწორედ ასეთი მეთოდით არის დაწერილი. ავიღოთ მეორე სერიოზული ნაწარმოები უკრაინის პროლეტარული მწერლის ივან ლესი „Меж Гирря" სქესობრივი ურთიერთობის რეალისტურ ხაზებში წარმოდგენის სურვილმა იგი მიიყვანა ბიოლოგიამდის. უდიდესი ამოცანა ნაპოსტოველების, როგორც ლიტერატურული მოძრაობის მეთაურის მდგომარეობს იმაში, რომ მან მოცემულ პერიოდში, თავისი შემოქმედებითი პლატფორმის განხილვის შემდეგ, მოგვცეს ცოცხალი; მომქმედი დაყენება თავის შე-

მოქმედებით პლატფორმის და იბრძოლოს რაც შეიძლება მკაცრი ზომებით მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ „რაპპ„-ის შიგნით.

ამავე დროს, რასაკვირველია, არ უნდა იქნეს დავიწყებული „მემარცხენე“ გადახრაც.

საჭიროა ენერგიული მუშაობა დიალექტიური მეთოდის კონკრეტიზაციისთვის. უნდა დავანებოთ თავი ყოველივე ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწარმოების პროლეტარული ლიტერატურის მთავარ გზად გამოცხადებას. საჭიროა გაჩაღდეს მუშაობა დიალექტიურ-მატერიალიზმის მეთოდის მხატვრული შემოქმედების სფეროში კონკრეტულ გამოყენების ირგვლივ და აგრეთვე ხელი შეეწყოს ამ მეთოდის დაკავშირებას შემოქმედებით მუშაობასთან.

თვითკრიტიკა აღებულ პერიოდში ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული. თვითკრიტიკა ის კი არაა, როცა ესა თუ ის ამხანაგი უაზროდ აქნევს ხელებს მარჯვნით და მარცხნით. თვითკრიტიკა უნდა იქნეს საქმიანი, კონკრეტიული, მან უნდა მიუთითოს შეცდომებზე. „ვოაპპ“-ის არც ერთ ორგანიზაციას არ ეშინოდა თავისი შეცდომების გამომჟღავნების. ნაპოსტოველობა ვალდებულია ბოლშევიზაციის ლოზუნგით დაეხმაროს პროლეტარულ მწერლობას იმუშაოს სხვადასხვა ჟანრებზე და არ ჩაიკეტოს ყოფა-ცხოვრების წვრილმანებში. ვიღებთ რა აქტიურ მონაწილეობას ყოფა-ცხოვრების გარდაქმნაში, ჩვენ მუდამ უნდა მივუთითოთ პროლეტარულ მწერლებს, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა ხელოვნების მრავალმხრივ დარგების მუშაობაში, რომელნიც დიდ დახმარებას უნდა გვიწევდენ მასის გარდასაქმნელათ. როდესაც პროლეტმწერლები მიდიან წვრილმან, ინტელიგენტურ პსიქოლოგიზმამდის, როცა დუნდება პოლიტიკური სიმახვილე, როცა ივიწყებენ ძველი ტრადიციული ფორმების მოსპობის საჭიროებას, როცა საკმაოდ არ აფასებენ იმას, რომ პროლეტარულმა მწერლებმა უნდა შექმნან მომქმედი პოლიტიკით გაჟღენთილი ხელოვნება—ეს უკვე მავნებელია. ასეთი ამჟამად არსებული და მომავალში შესაძლებელი ტენდენციები უნდა მოისპოს და ლიტერატურა უნდა ჩადგეს სწორ კალაპოტში. ამაში მდგომარეობს კონკრეტული ბრძოლა ორ ფრონტზე და ჩვენც უნდა შეეცადოთ გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა, ჩვენი ნაპოსტოველობა, რომელიც დარჩება და კიდეც საჭიროა დარჩეს ხელმძღვანელად, რომელმაც უნდა მოახდინოს პროლეტმწერლობის ძალთა კონსოლიდაცია ყოველივე საღი, მტკიცე, ახალი, რაც კი ხელს უწყობს ჩვენს განვითარებას.

გამოვდივართ რა ამ მოსაზრებიდან ჩვენ ვამბობთ რომ სრულიად საკავშირო ორგანიზაციის მუშაობა დაყენებული უნდა იქნეს სათა-

ნადო სიმაღლეზე. ამხ. სუტირინმა ვერ მოგვცა „ვოაპპ"-ის შემდგომი მუშაობის გარკვეული და კონკრეტიული პერსპექტივა. შეიძლება იგი გატაცებულია იმ პრობლემათა დამუშავებით, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან. მაგრამ სამდივნოს დღევანდელ სხდომაზე საჭიროა გადავჭრათ საკითხი, რომ სრულიად საკავშირო ორგანიზაცია ნაპოსტოველების ჯგუფის ხელმძღვანელობით აქტიურად იბრძოლებს, იმუშავებს, მოსპობს თავის რიგებში „მემარცხენე" გადახრებს და მკაცრ იერიშს მიიტანს მემარჯვენეობის ყოველგვარ გამოვლინებაზე.

აი, ამ საფუძველზე უნდა წარვმართოთ „ვოაპპ"-ის მომავალი მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. რ ა დ ი ა ნ ი

ვ. პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების თეორია და მარქსიზმი

მეცნიერების თითოეული დარგი თავის პირველ ამოცანად ისახავს განსაზღვრული სფეროს ფაქტების და მოვლენების დაგროვებას, სისტემატიზაციას და შესწავლას. მაგრამ თითოეულ მეცნიერებას, თუ კი ის მართლაც მეცნიერებაა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, — ევალება არ დაკმაყოფილდეს დაგროვილი ფაქტების და მოვლენების მხოლოდ და მხოლოდ აღწერით. განსაზღვრული ჯგუფის მოვლენების და ფაქტების უფრო სრულად შესასწავლად, მათი ზუსტი სისტემატიზაციისათვის, აუცილებელია მეცნიერებამ გამოარკვიოს მათი ურთიერთ კავშირი, თითოეული მოვლენის ადგილი სხვა მოვლენათა შორის, ახსნას თითოეული ცალკეული ფაქტი სხვა ფაქტის დახმარებით. ამიტომ მეცნიერება არკვევს თვითოეული შესასწავლ მოვლენას შორის განსაზღვრულ მუდმივ კავშირს — კანონს, რომელიც გაბატონებულია ხსენებულ სფეროში. კანონ-შესაბამობათა შორის, რომელიც აღმოჩენილია ამა თუ იმ სფეროში, ზოგიერთს შეიძლება საერთო ხასიათი ჰქონდეს; თითოეული ცალკეული სფეროსათვის ამ უფრო საერთო, ძირითადი კანონისაგან გამომდინარე, ყოველი მეცნიერება აწესებს უფრო სპეციალ კანონს — მ ე თ ო დ ს, რომლის დახმარებითაც ხდება ფაქტების შემდგომი დაგროვება და შესწავლა. ასეთი სპეციალი მეთოდის დაწესება აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს მეცნიერების ყოველი დისციპლინისათვის.

მეთოდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ მუშაობაში: ხშირად მეცნიერული აღმოჩენა — მიღწევა (განსაკუთრებით სოციალურ მეცნიერებათა დარგში) არის შემდეგი კვლევა-ძიებითი მეთოდის სწორი გამოყენებისა (ეს, რასაკვირველია, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მეთოდი თავის თავად საკმარისია მეცნიერულ ჭეშმარიტების აღმოსაჩენად). „უმეთოდოდ არ არის სისტემა, უსისტემოდ არ არის მეცნიერება“ — ამბობდა ჯერ კიდევ ჰეგელი.

აქვე აღსანიშნავია, რომ მეთოდი გვიჩვენებს მკვლევარის, მეცნიერის მსოფლმხედველობის credo-საც. იდეები, რომელიც აქვს საერთოდ მკვლევარს, კვლევა-ძიების სფეროშიაც გადააქვს და ისე აშუქებს მოვლენებსა და ფაქტებს.

საერთოდ მეთოდთა განრიგება, განწესრიგება ხდება საკვლევი საგნის ხასიათისა და შინაარსის მიხედვით, ან, როგორც ლაპარაკობს პერევერზევი „ბოლოს და ბოლოს ყოველი მეთოდი ეყრდნობა თავისი საკვლევი საგნის განსაკუთრებულ გაგებას" (იხ. კრ. „Литературоведение" გვ. 9).

ლიტერატურათმეტყველება — საზოგადოებრივი მეცნიერებაა. რომელიც სწავლობს საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ მხარეს. მისი ძირითადი ამოცანაა, როგორც მეცნიერების ყოველი დარგის — ახსნას მოცემული მოვლენა და გაითვალისწინოს მისი შემდგომი განვითარება. ამიტომ ლიტერატურათმეტყველებასაც, ლიტერატურის მეცნიერებასაც ესაჭიროება თავისი კვლევა-ძიების მეთოდი.

თავისი არსებობის მანძილზე ლიტერატურის ისტორიას მრავალგვარი მეთოდით უდგებოდენ. როგორც ვიცით, არსებობდა მეთოდი: ესთეტიური, ეთიური, ისტორიული, ისტორიულ-ფსიქოლოგიური, კულტურულ-ისტორიული, შედარებით-ისტორიული, ევოლუციონური, ფილოლოგიური, ფორმალისტური, ფორმალისტურ-სოციოლოგიური და სხვ. თითოეული ამ მეთოდთაგანი დღეს უკვე განვლილ საფეხურს წარმოადგენს განვითარების უმაღლეს საფეხურზე ასულ ლიტერატურათმეტყველებისათვის. თანამედროვე პირობებში ყველა ამათ შემცვლელ მეთოდს წარმოადგენს მარქსისტული მეთოდი, რომელიც შენდება მარქს-ენგელსის და ლენინ-პლეხანოვის შეხედულებათა საფუძველზე.

მარქსისტული მეთოდის გამოყენება ლიტერატურის სფეროში ჯერ კიდევ ახალი საქმეა. უკვე სამი-მეოთხედი საუკუნეა, რაც მარქსიზმი არსებობს, მაგრამ მისი მოხმარა ლიტერატურის საქმეში მხოლოდ ამ ათეულ წლებში შეიქნა შესაძლებელი.

უკანასკნელ ხანამდე მარქსისტულ ლიტერატურათმეტყველებას უკავშირებდენ იმ თეორიას, რომლის წარმომადგენელიც არის ვ. პერევერზევი. ის მიაჩნდათ ერთად-ერთ მარქსისტულ მეთოდათ ლიტერატურათმეტყველებაში. ამ თეორიას დიდი გავლენა ჰქონდა და მრავალი მიმდევარი ჰყავდა, როგორც ლიტერატურის მკვლევართა შორის, ისე მოსწავლე ახალგაზრდობაში. ვ. პერევერზევმა შეჰქმნა მთელი სკოლა ლიტერეტურათმეტყველებაში.

გავეცნოთ პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების თეორიას, მის დებულებებს.

პერევერზევმა სიტყვიერების მასწავლებელთა კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება: „მარქსისტული ლიტერატურათმეტყველების საკითხების შესახებ“ (იხ. ჟურნ. „Родной язык и литература в трудовой школе“, № 1, — 1928 წ.) ამ მოხსენებაში ის შეეხო თავისი თეორიის ძირითად საკითხებს.

უპირველეს ყოვლისა, თავის მოხსენებაში პერევერზევმა დასვა კითხვა: „სწორია თუ არა, როდესაც მარქსისტულ მეთოდს ლიტერატურათმეტყველებაში სოციოლოგიურ მეთოდს უწოდებენ“?

„ჩვენ ლიტერატურას ვთვლით სოციალურ ფაქტად, — ამბობს პერევერზევი, — მარქსიზმი ლიტერატურას სთვლის სოციალური ცხოვრების ფუნქციად, რომელიც თავის ყოფაში და თავის განვითარებაში სოციალურ აუცილებლობას ემორჩილება. ეს მდგომარეობა ზოგიერთს აძლევს საბაბს მარქსისტულ მეთოდს ლიტერატურათმეტყველებაში სოციოლოგიური მეთოდი უწოდოს. რამოდენიმედ ეს სწორია. რამოდენადაც მარქსისტული მეთოდი ლიტერატურას სთვლის სოციალურ მოვლენად, იმდენად ის უნდა მიეკუთვნოს სოციოლოგიური მეთოდების რიგს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ტერმინი „სოციოლოგიური მეთოდი“ მეტის მეტად განუსაზღვრელია, რაც ხელს უწყობს მეთოდოლოგიურ დაბნეულობას, — ეს ისეთი ტერმინია, რომელიც შესაძლებელია სრულიად გამორიცხულ იქნას ხმარებიდან.

„არსებითად არავითარი სოციოლოგიური მეთოდი არ არსებობს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს იმდენი სოციოლოგიური მეთოდი, რამდენიც სოციოლოგიაა. ჩვენ ვიცით იდეალისტური სისტემები სოციოლოგიისა, რომლებიც, რასაკვირველია, არ შეიძლება დაედვას საფუძვლად იმ სოციოლოგიურ მეთოდს, რომელსაც ეწოდება მარქსისტული მეთოდი. ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებინა მთელი რიგი მეთოდოლოგიები ლიტერატურათმეტყველების სფეროში, რომლებიც სოციოლოგიურ საფუძვლებზე სდგანან, სოციოლოგიური თვალსაზრისით უდგებიან ლიტერატურის მოვლენებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დგანან მარქსიზმის ნიადაგზე, ვერ ხმარობენ მარქსისტულ მეთოდს და ძალიან არიან იმისაგან დაშორებული: სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ ტენი“ (იხ. დასახ. ჟურნ., გვ. 82-83).

მაშ, რა უნდა ეუწოდოთ, პერევერზევის აზრით, ლიტერატურათმეტყველების მარქსისტულ მეთოდს? მისი ფიქრით, არსებითად უფრო სწორი იქნება, რომ ლიტერატურათმეტყველების მარქსისტულ მეთოდს ვუწოდოთ ისტორიულ-მატერიალისტური მეთოდი. მეთოდი

ისტორიული მატერიალიზმისა, და არა მეთოდი სოციოლოგიზმისა საერთოდ...

რაში მდგომარეობს სოციალური პროცესის მარქსისტულ-მატერიალისტური გაგება? ამაზე პერევერზევი უპასუხებს: მარქსისტისათვის სოციალური ცხოვრება წარმოების პროცესებს ემყარება. წარმოების პროცესი და წარმოებითი ურთიერთობა, — აი ბაზა, საფუძველი მთელი სოციალური პროცესისა. ასეთი გაგება მატერიალისტურია, იმიტომ რომ წარმოების პროცესი თავის ყოფასა და განვითარებაში ადამიანთა პიროვნებისა, ადამიანთა ნება-სურვილისა და მისწრაფებისაგან სრულიად დამოუკიდებლად მიმდინარეობს. წარმოების პროცესი არის პროცესი სტიქიური, პროცესი მატერიის სტიქიური მოძრაობის. არა ადამიანი ჰქმნის წარმოებითს ურთიერთობას, არამედ ადამიანი იქმნება განსაზღვრულ წარმოებითს ურთიერთობაში და წარმოადგენს განსაზღვრული წარმოებითი ურთიერთობის პროდუქტს. მთელი თავისი შინაარსით, დაწყებული კიდურებით და კუნთებით, თვით უმაღლეს აზროვნებამდე, ემოციონალურ ცხოვრებამდე, ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ წარმოებითი ურთიერთობის პროდუქტს წარმოადგენს. წარმოებითს ურთიერთობაშია ადამიანთა განვითარების, ისტორიული განვითარების საიდუმლოება. წარმოების პროცესში ადამიანები ჰქმნიან თავის საზოგადოებრივ ცხოვრებას და წარმოების პროცესში, ამ წარმოების გულისათვის ასრულებენ თავის წარმოებითს ფუნქციებს. ისინი ჰქმნიან იმას, რასაც მარქსისტები უწოდებენ ზედნაშენს ეკონომიურ ბაზისზე.

„დგებიან რა თავისი ნებისა და შემეცნებისაგან დამოუკიდებლად ურთიერთობაში განსაზღვრულ წარმოებითს საფუძველზე, ადამიანები ამტკიცებენ ამ ურთიერთობას შესაფერის პოლიტიკურ ფორმებში, — იდეოლოგიის განსაზღვრულ ფორმებში და ა. შ., — რომლებიც წარმოადგენენ ამ წარმოებით ბაზისის ზედნაშენს, აღმოცენდებიან იმისაგან იმისათვის, რომ დაორგანიზონ და ემსახურონ მას.

„არცერთი ზედნაშენი არ ცხოვრობს დამოუკიდებელი ცხოვრებით, წარმოებითი პროცესის გარეშე. ზედნაშენის მთელი აზრი წარმოებითს პროცესშია, მთელი მისი ფუნქცია წარმოებითი პროცესის სამსახურია. წარმოებისაგან ჩამოშორებული, წარმოებითი ცხოვრებისაგან მოწყვეტილი ზედნაშენი მიუწვდომელი ხდება ადამიანის შემეცნებისათვის, არ შეიძლება შეცნობილ იქნას, არ შეიძლება დამორჩილებულ იქნას რაიმე კანონზომიერებისადმი.

„ასე იბადება ის, რასაც ლიტერატურას ვუწოდებთ. ლიტერატურაც ისეთსავე ზედნაშენს წარმოადგენს ეკონომიურ მშენებლობაში.

წარმოებითს პროცესში, როგორც სხვა ზედნაშენები. ის არ წარმოადგენს ერთად ერთ ზედნაშენს. ასეთი ზედნაშენი მრავალია. ლიტერატურა ერთ-ერთი სპეციფიური, განსაკუთრებული სახის ზედნაშენია" (იქვე, გვ. 84).

შემდეგ ამისა, პერევერზევი აყენებს საკითხს, რომ აუცილებელია განსაზღვრულ და გათვალისწინებულ იქნას ეს ზედნაშენი თავის სპეციფიურობაში. „რამდენიმედ ამ ზედნაშენის სპეციფიურობას განსაზღვრავს მარქსისტული ტერმინი — იდეოლოგიური ზედნაშენი. მაგრამ, როგორც ვიცით, იდეოლოგიური ზედნაშენი მრავალია, ხოლო ლიტერატურა ერთ-ერთ ზედნაშენს, განსაკუთრებული სახის იდეოლოგიურ ზედნაშენს წარმოადგენს. და, აი, ამ განსაკუთრებული სახის იდეოლოგიურ ზედნაშენს სწავლობს ლიტერატურათმეტყველი, ის შეადგენს მისი კვლევა-ძიების საგანს. ამასთანავე მან ეს ზედნაშენი უნდა შეისწავლოს თავის სპეციფიურ ყოფაში. ლიტერატურათმეტყველება ეს იდეოლოგიური ზედნაშენი ისე უნდა შეისწავლოს, რომ ის არის ზედნაშენი sui generis, რომ ის არის განსაკუთრებული წყების ზედნაშენი, ე. ი. უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული უნდა იქნას ამ იდეოლოგიური ზედნაშენის განსაკუთრებული ბუნება.

„აუცილებელია განვსაზღვროთ ჩვენი შესასწავლი ობიექტის სპეციფიურობა. ეს მეტად არსებითი მომენტია, რომელიც ხელს შეგვიწყობს ზუსტათ განვსაზღვროთ ჩვენი კვლევა-ძიების საზღვრები და ამოცანები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იდეოლოგიური ზედნაშენი მრავალია, მათ შორის არის ისეთი იდეოლოგიური ზედნაშენი, რომელსაც ლიტერატურას უწოდებენ. აუცილებელია განსაკუთრებით გამოვყოთ ეს ზედნაშენი სხვა ზედნაშენებიდან, აუცილებელია განვსაზღვროთ მისი სპეციფიურობა იმისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ რას ვსწავლობთ. ისე არ გვეცოდინება, თუ როგორ შევისწავლოთ ის.

„ჩვენს მარქსისტულ ლიტერატურათმეტყველებაში ეს პრობლემა აქამდე საკმაოდ მკაფიოდ არ იყო მოგვარებული (განსაკუთრებით პრაქტიკულ პლანში). ხშირად ამ იდეოლოგიურ ზედნაშენს ურევდენ სხვა იდეოლოგიურ ზედნაშენებში, ცდილობდენ შესასწავლი ზედნაშენის გადაყვანას ხელოვნების ენიდან ლოლიკის ან ფილოსოფიის ენაზე, ცდილობდენ ლიტერატურის მეოხებით ელაპარაკათ იდეებისა, მსოფლმხედველობისა, მსოფლათვისებისა და სხვათა შესახებ.

„თუ გავეცნობით ლიტერატურის ისტორიის ძველ სახელმძღვანელოებს, დავინახავთ, რომ ლიტერატურის ისტორიაში შეჰქონდათ ყველაფერი, რაც კი იდეოლოგიას შეეხებოდა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურის ისტორია არსებითად არასოდეს არ ყოფილა

ისტორია მხატვრული ლიტერატურისა თავისი სპეციფიურობით, არამედ ის ეხებოდა ადამინთა იდეოლოგიური შემოქმედების ყველა მოვლენას. ასე, მაგ. ჩვენი (ე. ი. რუსეთის. შ. რ.) ლიტერატურის ისტორიაში შეჰყავდათ: ჩადაევიც, ჰერცენიც, ბელინსკიც, ტურგენევიც და პუშკინიც. თითქმის ყველაფერი შედიოდა სიტყვიერი შემოქმედებიდან ლიტერატურის ისტორიაში.

„დღეს საკითხის მარქსისტული დაყენება აუცილებლად მოითხოვს იმ იდეოლოგიის სპეციფიკაციას, რომელსაც ლიტერატურას ვუწოდებთ. ეს სპეციფიკუმი მარქსისტული თვალსაზრისით იმაში მდგომარეობს, რომ ლიტერატურა, რომელიც სიტყვიერების ნაწარმოებია, არ წარმოადგენს იდეათა სისტემას, არ წარმოადგენს აზრთა სისტემას, არ წარმოადგენს ლოგიკურ სისტემას; *) ის ყოველთვის წარმოადგენდა სახეთა სისტემას და მხოლოდ სახეთა სისტემას. ამაშია ლიტერატურული სახის სპეციფიკა, რაც გვავალდებულებს შევისწავლოთ და ჩვენი კვლევა-ძიების ობიექტად გავხადოთ მხოლოდ სახე. **) ლიტერატურის ისტორიკოსების საქმე არ არის ილაპარაკონ ფილოსოფიაზე და ფილოსოფიურ მიმართულებათა შესახებ, ლიტერატურის ისტორიკოსის საქმე არ არის არკვიოს მიმართულებანი პუბლიცისტიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში, მისი საქმე არ არის იმსჯელოს კრიტიკისა და კრიტიკოსის შესახებ. ყველაფერი ეს ლიტერატურათმეტყველების გარეშე იმყოფება“ (იქვე, გვ. 85-86).

პერევერზევის გაგებით, სახეთა სისტემა სოციალურად განსაზღვრულია, დეტერმინიზაციაქმნილია. მაგრამ რას ნიშნავს რომ სახეთა სისტემა სოციალურად დეტერმინიზაციაქმნილია? „ეს ნიშნავს იმას, რომ ის დეტერმინიზაციაქმნილია წარმოების სისტემით. სახეთა სისტე-

---

*) არჩევს რა დოსტოევსკის შემოქმედებას, პერევერზევი აფრთხილებს მკითხველს: „მე არ ვფიქრობ დოსტოევსკის ნაწარმოებებში ვეძიო მისი მსოფლმხედველობა, მისი პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებანი, ვინაიდან ყოველივე ამის ძებნა მწერალში იგივეა, მეშაქარლამეს რომ ფეხსაცმელები მოვთხოვოთ. მწერალი ჰქმნის ცხოვრებას, და არა სისტემას, ის არ მსჯელობს და არ ასაბუთებს, არამედ ცხოვრობს, წარმოადგენს თავის თავს ამა თუ იმ ხასიათად, ამა თუ იმ მდგომარეობაში“. (იხ. „Творчество Достоевского“).

**) სხვა ადგილას პერევერზევი სწერს: „მხატვრული ნაწარმოების ძირითად სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს სახე. რომანი იქმნება ცოცხალ სახეთა შეჯამებისაგან. ლიტერატურული ანალიზის ამოცანა იმაში მდგომარეობს,—რომ გაიგოს სახის ბუნება და მისი შეჯამების კანონი“. (იხ. მისი წერილი „Социальный генезис обломовщины“ журн. „Печать и революция“ — 1925 г. წიგნი 2).

მის კანონზომიერება წარმოებითი პროცესის კანონზომიერებით განისაზღვრება (იქვე, გვ. 86).

ამ უკანასკნელი დებულებიდან (ე. ი. რომ სახეთა სისტემის კანონზომიერება განისაზღვრება წარმოებითი პროცესის კანონზომიერებით) პერეევერზევს გამოჰყავს ერთი დასკვნაც: „თუ სახეთა სისტემა დეტერმინიზაციაქმნილია სოციალ-ეკონომიურად, მაშინ ლიტერატურათმეტყველის კვლევა-ძიების ობიექტიდან სრულიად ირიცხება ავტორის, მწერლის პიროვნება“ (იქვე გვ. № 87). ამგვარად, აქ პერეევერზევი უარყოფს მწერლის ბიოგრაფიის მნიშვნელობას მისი ნაწარმოების გაგების საქმეში, ის უარყოფს ტრადიციულ ბიოგრაფიულ მეთოდს.

პერეევერზევის გაგების თანახმად, ბიოგრაფიებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მკვლევართათვის, რომლებიც ლიტერატურას, ლიტერატურულ ფაქტებს და მოვლენებს უდგებოდენ როგორც ერთი პიროვნების შემოქმედებითი მუშაობის პროდუქტს, რომლებიც ლიტერატურულ ფაქტში ხედავდენ ცალკეული მწერლის ყოფა-ცხოვრების ასახვას, ხოლო ისტორიულ მატერიალისტური მეთოდით მომუშავე ლიტერატურათმეტყველისათვის ბიოგრაფიას ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგული აქვს. „მეცნიერული აზროვნების თანამედროვე მიმართულებისათვის სრულიად ცხადია, რომ ყველაფერი ის, რასაც ვხვდებით ცალკეული ადამიანის ბიოგრაფიაში, არ წარმოადგენს მისი ინდივიდუალური ნების ფაქტს, მის ინდივიდუალურ სურვილს, არამედ ყველაფერი ეს სოციალურად დეტერმინიზაციაქმნილია. ყველაფერი ის, რაც ბიოგრაფიის სფეროში დევს, არაოდეს არ წარმოადგენს პირად საკუთრებას. ყველაფერი ის, რაც დევს ბიოგრაფიის სფეროში, ამ ბიოგრაფიაში გარეშე არსებული სოციალური ცხოვრებიდან შევიდა... არ ვიცი, რის უნდა გვეშინოდეს, როდესაც პუშკინის, ტოლსტოის, ტურგენევის მოშორების შემდეგ ლიტერატურათმეტყველებაში დაგვრჩება „ევგენი ონეგინი“, „ომი და ზავი“, „მამები და შვილები“. იმის მაგივრად, რომ განუწყვეტლივ ვიტრიალოთ უამრავ ფაქტს შორის, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ საკვლევი საგნის ობიექტთან, უმჯობესია ღრმად და დაკვირვებით მივუდგეთ მხატვრულ ტექსტებს... მარქსისტული მეთოდი ამტკიცებს, რომ ბიოგრაფიას არაფრის ახსნა არ შეუძლია, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ის არის ასახსნელი. მწერლის შემოქმედების ასახსნელად რომ ბიოგრაფიას მივუთითოთ ეს ნიშნავს, რომ პონტიდან გავეშუროთ პილატესაკენ, ტავტოლოგობანა ვითამაშოთ, ერთი გამოუცნობიდან გავეშუროთ მეორე გამუცნობისაკენ“ (იქვე გვ. 87-88).

კრებული „Литературоведение“-ს (გამ. ГАХ-ის), 1928 г.) შესავალ წერილში: „Необходимые предпосылки марксистского литературоведения“, პერევერზევი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმავე დებულებებს, რაც მან ზემოაღნიშნულ მოხსენებაში წამოაყენა:

„უპირველეს ყოვლისა, ხაზს ვუსვამთ მარქსიზმის მატერიალისტური ფორმულის ღრმა, უაღრეს ობიექტივიზმს. ამ ფორმულის თანახმად, მკვლევარის ყურადღება გარკვეულად გადატანილია სუბიექტიური აზროვნების პროცესებიდან ობიექტურ ყოფაზე, რომელიც განსაზღვრავს პოეტურ შემეცნებას. არა სუბექტურ მოძრაობაში, არამედ ობიექტურ ყოფაში, არა იდეების მოძრაობაში, არამედ მატერიალური სინამდვილის მოძრაობაში ვალდებულია ეძიოს პოეტურ მოვლენათა ახსნა — ლიტერატურათმეტყველმა, რომელიც მარქსისტული მეთოდით უდგება ლიტერატურას“ (იხ. დასახ. კრ. გვ. 10). ამის შემდეგ, პერევერზევის აზრით, „ლიტერატურათმეტყველის ამოცანაა ახსნას მხატვრულ ნაწარმოებში ის ობიექტური ყოფა, რომელმაც მისცა მხატვრულ ნაწარმოებს — მასალა და განსაზღვრა მისი სტრუქტურაც. ამ ყოფის ახსნა, განსაზღვრულ ყოფასთან მოცემული ნაწარმოების ორგანიული და აუცილებელი კავშირის განსაზღვრა, აი, რაში მდგომარეობს მარქსისტული კვლევა-ძიება“. (იქვე, გვ. 11).

მაგრამ ყოფა არ არის მარტო ჭვრეტის ობიექტი, მხატვრული ასახვის პასიური საგანი: „პოეზია განისაზღვრება ყოფით, რომელშიაც სინამდვილე აღებულია, როგორც ობიექტისა და სუბიექტის ერთიანობა“. (იქვე, გვ. 13)... „ყოფა იმიტომ ახდენს მხატვრული ნაწარმოების ორგანიზაციას, რომ ის წარმოადგენს არა მარტო გამომხატველ ობიექტს, არამედ გამოსახატავ სუბიექტსაც. მხოლოდ მაშინ, თუ განვიხილავთ ყოფას, როგორც ობიექტისა და სუბიექტის დიალექტიურ ერთიანობას, შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ ის განსაზღვრავს მხატვრულ ნაწარმოებს. პოეტური ქმნილების კანონზომიერი სათავე მდებარეობს იმ აუცილებელ და კანონზომიერ კავშირში სუბიექტისა ობიექტთან, რომელსაც ყოფა ეწოდება. მარქსისტული ლიტერატურათმეტყველების ანალიზის ამოცანაა — ახსნა ამ კანონიერი კავშირისა სუბიექტისა ობიექტთან მხატვრულ ნაწარმოებში. მხატვრული ნაწარმოების გაგება, როგორც კანონზომიერი და აუცილებელი კავშირისა სუბიექტისა ობიექტთან, სწორედ მის მარქსისტულ ახსნას ნიშნავს. სანამ მხატვრულ ნაწარმოებში ვხედავთ გამოხატულ ობიექტს და არ ვხედავთ მასში გამომხატველ სუბიექტს, სანამ გამოხატულში არ ვხედავთ გამომხატველს, ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ და ავხსნათ

ნაწარმოები. ვიხილავთ რა იმას, რაც გამოხატულია მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებში, მარქსისტი ლიტერატურათმეტყველი ვალდებულია უპირველეს ყოვლისა გადასწყვიტოს საკითხი — სად არის გამომხატველი"? (იქვე, გვ. 14). აქედან იხსნება გზა სტილის კვლევა-ძიებისა, მისი დაწვრილებითი და საფუძვლიანი შესწავლისა. ყოფიდან გამომდინარეობს მოცემული მხატვრული ნაწარმოები, ყოფა განსაზღვრავს მთელ მის სტრუქტურასაც, რომლის ანალიზშიაც მკვლევარი ეძებს გასაღებს მოცემული ლიტერატურული მოვლენის აუცილებლობისა და კანონზომიერების გასაგებად.

პერევერზევი ამ შესავალ წერილშიაც ერთხელ კიდევ უარყოფს ბიოგრაფიულ მეთოდს. იგი სწერს: „ძლიერ ხშირად „ყოფას", რომელიც განსაზღვრავს პოეტური შემოქმედების საერთო ხასიათს, ურევენ მწერლის „ცხოვრებაში". მწერლის ცხოვრება არის ის ყოფა, რომელიც საზღვრავს პოეტური შემოქმედების ხასიათს, რომლის შესწავლაშიაც უნდა ვეძიოთ ლიტერატურულ მოვლენათა ახსნა. რომ გავიგოთ მხატვრული ნაწარმოები, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ როდის, სად, როგორ და რით ცხოვრობდა მწერალი. ასე, მატერიალისტური კვლევა-ძიების მარქსისტული მეთოდი იფლობა იდეალისტებისაგან გაცვეთილ ბიოგრაფიულ კვლევის ჭაობში, ხდება მისი ვულგარიზაცია და დაწვრილმანება ამ უაზრო შეუღლებისაგან, იქცევა რაღაც გამოჭმულ კვერცხად" (იქვე, გვ. 11)... *).

თითოეულ მკვლევარს სხვა ამოცანებთან ერთად ევალება განსაზღვროს საკვლევი საგნის შინაარსი, მისი დამახასიათებელი ნიშნები ანუ მოცულობა.

როგორ განსაზღვრავს თავისი მეცნიერების საგანს პერევერზევი?

„ლიტერატურა, — ამბობს ის, — ეს არის თამაში, ცხოვრებაში, ხოლო სოციალური აზრი თამაშისა არის მომზადება, აღზრდა სასიცოცხლო ბრძოლისათვის.

„მხატვრული შემოქმედება არის თამაში ცხოვრებაში, მაგრამ რომ ითამაშო, ამისათვის საჭიროა ცხოვრებაში გამოსცადო ის, რითაც ჰფიქრობ ითამაშო ხელოვნებაში". (იხ. ჟურნ. „Литература и марксизм"-ში № 2 — 1929 г. წერილი: „Проблемы Марксистического литературоведения").

---

*) სხვა ადგილას პერევერზევი სწერს: „ავხსნათ შემოქმედების ბუნება ავტორის ბუნებით, — ეს ნიშნავს ვითამაშოთ უაზრო ტავტოლოგიებით, გადავასხათ ცალიერიდან ისევ ცალიერში, ვინაიდან ავტორი და შემოქმედება არის ერთიანობა, რომლის ახსნაც გვევალება, და არა მათი გამოყენება, როგორც ერთმანეთის ამხსნელის". (იხ. მისი „Творчество Гоголя", გვ. 4, გამ. 1926 წ.).

მეორე წერილში პერევერზევი აღრმავებს ამ მოსაზრებას. წერილში „გონჩაროვის მხატვრული შემოქმედების ტრაგედია", ის რაისკის შესახებ რომ ლაპარაკობს, სწერს: „ცხოვრება, რომელსაც კარგად იცნობს რაისკი და რომლის გამოყენებაც შეეძლო, როგორც მხატვრის, — ეს ბურჟუაზიული პრიმიტივია. ამ ცხოვრებით თამაში, მხატვრული წარმოსახვის საგნად მისი გადაქცევა მისთვის ძალიან ადვილი საქმე იქნებოდა... მაგრამ რაისკის არ სურს ცხოვრების თამაში მხატვრული მიზნებით. მას სურს იცხოვროს და ითამაშოს უფრო კულტურული და ლამაზი ცხოვრებანა. ის სინჯავს გაგიჟებული ვნების თამაშს, ე. ი. სურს ასახოს ის მხატვრულ ნაწარმოებში... როდესაც ის თავს იპოვნის, მაშინ თავისუფლებას (სხვისი ცხოვრების მიბაძვას) ის გადააქცევს თამაშის და მხატვრული შემოქმედების საგნად... ის უარს არ იტყვის იმაზე, რომ მიჰყოს ხელი ამ მძინარა, მაგრამ ლაღი ცხოვრებანას თამაშს, და თამაშში შექმნის ამ ცხოვრების ეპოპეიას... გახდება... გონჩაროვი" (იხ. ჟურ. „Вестник ком. академ." № 5, 1928 წ.).

ამრიგად, პერევერზევი, განსაზღვრავს რა ლიტერატურას, როგორც ცხოვრებანას თამაშს, ამით იძლევა მისი სოციალური როლის ფორმულაციას, საზღვრავს მის ფუნქციას...

ლიტერატურა პერევერზევისათვის ყოველთვის წარმოადგენდა სახეთა სისტემას. კვლევა-ძიების ობიექტად უნდა გავხადოთ მხოლოდ სახე. მაგრამ ეხლა სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა: რა არის სახე. როგორ ესმის ის პერევერზევს?

როდესაც ამ ცნების ახსნა-განმარტებას იძლევა პერევერზევი, ის ლაპარაკობს, ფსიქოლოგიისა, ხასიათისა და ქცევათა სისტემის შესახებ:

„ქცევის წარმოსახვითი სისტემა, ან, იგივე, წარმოსახული ხასიათი, აი ის, რაც არის სახე. არ შეიძლება წარმოვსახოთ ქცევა, არ შეიძლება თამაში, თუ არ ვიძლევით სახეს. სახე წარმოადგენს თამაშის შინაარსს. თამაში სახის გარეშე, ქცევის, ხასიათის სისტემის წარმოსახვის გარეშე — პირდაპირ უაზრობაა, წარმოუდგენელია".

აქვე აღსანიშნავია, რომ, პერევერზევის გაგების თანახმად სახის ცნება, როგორც ხელოვნების სპეციფიური სახისა, მტკიცედ დაკავშირებულია თამაშის ცნებასთან.

„თამაში ყოველთვის მოქმედებაა. ის სახავს მოცემული ცხოვრების ფორმის დამახასიათებელ ქცევას, რომელსაც სხვაგვარად ფსიქოლოგია, ხასიათი ეწოდება. როდესაც მოცემული ფორმა უშვალო ბრძოლის გარეშე ცხოვრებისათვის წარმოსახავს მისი შესატყვისი

ქცევის სისტემას, მის დამახასიათებელ ხასიათს, მაშინ ის თამაშობს" (ჟურნ. „Литература и марксизм" № 2 — 1929 წ. გვ. 8).

„ხელოვნება-თამაში, ხელოვნება-სახე, — არსებითად ადეკვატური ფორმულებია — განაგრძობს პერეევერზევი, — იმიტომ, რომ თამაში სახიერდება მხოლოდ სახეში, ვინაიდან თამაში ნიშნავს სახის მიცემას. თამაში — სახე შერწყმულია მოთამაშე ორგანიზმთან, არ არსებობს ორგანიზმის გარეშე. სახე კატისა, რომელიც ნადირობს თაგვზე, არის კატა, რომელიც თამაშობს ნაფოტთან ხელოვნებაში. სახე ეყოფა მოთამაშეს, ხდება ობიექტური, არსებობს დამოუკიდებლად ქანდაკების, სურათის, პიესის სახით. ამ ობიექტივიზაციაში მდგომარეობს მხატვრული შემოქმედების აქტი. მხატვარი აობიექტურებს რა თავის თამაშს, განამტკიცებს რა მას გარემოცული ქვეყნის მატერიაში, ამით ჰქმნის სახეს. სოციალური ხასიათი, რომელიც წარმოადგენს თამაშის სუბიექტს ხელოვნებაში, იქცევა ობიექტად, რომელსაც სახე ეწოდება".

პერეევერზევი კიდევ ერთ ორიგინალურ მოსაზრებას აყენებს, რომელიც მწერლის შემოქმედებით შესაძლებლობათა განსაზღვრულობას შეეხება. იგი სწერს: „განსაზღვრულ სოციალურ სინამდვილეში აუცილებლად იქმნება განსაზღვრული სახე — ხასიათი, რომელთა კავშირიც კანონზომიერია. აქედანაა მხატვრულ სტრუქტურათა დეტერმინიზაცია. ერთიან სინამდვილეში დაბადებული სტრუქტურები ჰქმნიან ერთიანობას, იმას, რასაც სტილი ეწოდება. სტილში მეღავნდება დეტერმინიზაცია, განსაზღვრულობა, სურვილია უქონლობა ხელოვნების სფეროში. არავის არ შეუძლია გამოეყოს სტილს, იმიტომ რომ არავის არ აქვს შესაძლებლობა გამოვიდეს დეტერმინიზაციაქმნილ სახეთა წრიდან. სწორედ ამიტომ ყოველი მწერალი ბრუნავს სახეთა მოჯადოებულ წრეში. მწერლის ყველა ნაწარმოების თვისება საერთო ხასიათისაა, ისინი ყველანი ჰქმნიან ერთიან სტილს, ერთიან შემოქმედებას. ამ ერთიანობის საფუძველი არა ავტორის პიროვნებაშია, არაშედ ხასიათის სოციალურ განსაზღვრულობაში, რომელიც თავის თავს ამეღავნებს სახეებში... ავტორის სურვილითა და ჭირვეულობით როდი განისაზღვრება მისი შემოქმედების სახეთა შემადგენლობა, მის ნებაზე როდი არის დამოკიდებული გამოსცილდეს დეტერმინიზაციაქმნილ სახეთა წრეს, ვინაიდან ის და მისი სახეები დაკავშირებული არიან, როგორც სუბიექტი და ობიექტი, ერთიან სოციალურ სინამდვილესთან. საითაც. გინდა გაფრინდეს თავისი შემოქმედებითი წარმოდგენებით ავტორი, — მნათობთა ზევით ეფირში, ეკვატორზე ან პოლუსზე, ძველ რომში ან საშვალო საუკუნოების პარიზში, — ის მი-

ფრინავს გარშემორტყმული თავისი სახეებით, რომელიც ყველგან მიაქვს თან" (იხ. ჟურნ. „Литература и марксизм", 1929 წ. № 2, გვ. 21-22).

გამომდინარე ამ მოსაზრებასთან პერევერზევი სრულიად არ აქცევს ყურადღებას ლიტერატურულ ფაქტთა, ლიტერატურულ მოვლენათა და მწერალთა ერთმანეთზე გავლენის არსებობას. მისი აზრით, გავლენების ძიებას არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა არ აქვს. კითხვაზე: „განიცდიდა თუ არა — გოგოლი მის წინამორბედთა გავლენებს"—პერევერზევი კატეგორიულად აცხადებს: „საიდანღა იღება მხატვრული ხერხი, თუ მას არ უკარნახებს მხატვარს მისი ცხოვრების ობიექტური პირობები, საიდან აქვს გოგოლს კომიკური თხრობა. თუ ის არ არის შთანერგილი მასში მისი შემოქმედების სოციალ-ყოფითი მასალით". („Творчество Гоголя" გვ. 8).

ასეთია პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების თეორიის ძირითადი პრინციპები.

რეზიუმის სახით რომ აღვნიშნოთ, პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების თეორიის დებულებები იქნება:

1) ის უარყოფს იმას, რომ მარქსისტულ მეთოდს ლიტერატურათმეტყველებაში ეწოდოს სოციოლოგიური მეთოდი. ნაცვლად ამისა, მას უნდა ვუწოდოთ ისტორიულ-მატერიალისტური მეთოდი.

2) ლიტერატურა მატერიალისტური ყოფის პროდუქტია, მისი ზედნაშენია. ამიტომ მხატვრული ნაწარმოები უშუალოდ გამოყვანილი უნდა იქნას საწარმოო ურთიერთობიდან.

3) აუცილებელია ამ ზედნაშენის (ე. ი. ლიტერატურა) გამორკვევა თავის სპეციფიურობაში.

4) ეს სპეციფიურობა, პერევერზევის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ლიტერატურა, რომელიც სიტყვიერების ნაწარმოებია, არ წარმოადგენს იდეათა სისტემას, არ წარმოადგენს აზრთა სისტემას, არ წარმოადგენს ლოლიკურ სისტემას. ის ყოველთვის წარმოადგენდა სახეთა სისტემას. ჩვენი კვლევა-ძიების ობიექტად უნდა გავხადოთ მხოლოდ სახე.

5) ლიტერატურის ისტორიკოსების საქმე არ არის იმსჯელონ ფილოსოფოსებისა და ფილოსოფიის შესახებ, არკვიონ მიმართულებები პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში, მათი საქმე არ არის იმსჯელონ კრიტიკისა და კრიტიკოსების შესახებ.

6) სახეთა სისტემის კანონზომიერება წარმოებითი პროცესის კანონზომიერებით განისაზღვრება.

7) მწერლის ბიოგრაფიას არ აქვს მნიშვნელობა ნაწარმოების გაგების საქმეში.

8) ხელოვნება, ლიტერატურა არის ცხოვრებანას თამაში.

9) არავის არ შეუძლია გამოეყოს სტილს, იმიტომ რომ არავის არ აქვს შესაძლებლობა გამოვიდეს დეტერმინიზაციაქმნილ სახეთა წრიდან.

10) არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ლიტერატურათმეტყველებაში გავლენების არსებობის გამორკვევას.

პერევერზევის აქ ჩამოთვლილ დებულებებიდან ბევრი სადაო და მიუღებელია.

მივყვეთ მათ გარკვევას:

პერევერზევს ლიტერატურული მოვლენა, ლიტერატურული ნაწარმოები ყოველთვის გამოჰყავს მთლიანად და უშუალოდ ეკონომიური საფუძვლისაგან, სტოვებს რა განზე მთელ რიგ მოსაშუალო რგოლებს და ზედნაშენებს, რომელიც ეკონომიკასა და ლიტერატურულ ნაწარმოებს შორისაა (კლასობრივი ბრძოლა, პოლიტიკური ფაქტორი და სხვ.). პერევერზევი ლაპარაკობს: „რაში მდგომარეობს სოციალური პროცესის მარქსისტული გაგების მატერიალიზმი?—სოციალური ცხოვრების მარქსისტს დაჰყავს წარმოების პროცესებამდე (იხ. „Родной язык и литература в трудовой школе“ № 1 — 1928 წ. გვ. 84). აქედან: ადამიანი მთელი თავისი მოქმედებით, მთელი თავისი შინაბუნებით სოციალური ყოფის პროდუქტია, პროდუქტია წარმოებითი პროცესის (იქვე, გვ. 87) *) „სოციალური დეტერმინიზაცია დაყვანილია ეკონომიურ აუცილებლობამდე. სოციალური დეტერმინიზაცია მარქსისტულ მსოფლგაგებაში მთლიანად წარმოების პროცესში მდგომარეობს და არსად სხვაგან“ (იქვე, გვ. 90).

ამ დებულების მიხედვით პერევერზევი აღარ სტოვებს ადგილს კლასიური ბრძოლისათვის, რომელიც საზღვრავს საზოგადოებრივ

*) ამ დებულებასთან ერთად პერევერზევი აკრიტიკებს „ურთიერთზეგავლენის“ თეორიასაც: „საზოგადოებრივი ცხოვრება, რასაკვირველია, მეტის-მეტად რთულია, მისი პროცესი მეტის-მეტად მრავალმხრივია, და პროცესის ყველა მხარე დაკავშირებულია ურთიერთზეგავლენით. ცვლილებანი, რომელიც ხდება პროცესის ერთ წყებაში, შესატყვისად ვითარდებიან სხვა წყებებშიაც. მაგრამ სწორედ ამიტომ ერთი წყების ცვალებადობა არავითარ შემთხვევაში არ აიხსნება მეორე წყების ზეგავლენაზე მითითებით, რომელშიაც ხდება იგივე ცვალებადობა“ (Литература и марксизм 1929 წ. წიგ. 1, გვ. 7—8). მაშასადამე, პერევერზევის წარმოდგენით, საზოგადოებრივი პროცესის სხვადასხვა მხარე პარალელურ წყებას წარმოადგენს, რომლებიც ვითარდებიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მხოლოდ საწარმოო ძალებზე დაფუძნებით.

ურთიერთობათა ხასიათს, ფსიქიურ დამოკიდებულებას ადამიანისადმი და ა. შ.

აქ უნდა გავიხსენოთ გ. პლეხანოვის შეხედულებანი, რომლის თანახმადაც კლასიურ საზოგადოებაში იდეოლოგიურ მოვლენათა უშვალოდ და პირდაპირ ეკონომიკიდან გამოყვანა მარქსიზმის ვულგარიზაციაა: „პირველ ყოფილ საზოგადოებაში, რომელმაც არ იცის კლასებად დაყოფა, ადამიანის წარმოებითი მოქმედება უშვალო ზეგავლენას ახდენს მის მსოფლმხედველობაზე და ესთეტიურ გემოვნებაზე... მაგრამ საზოგადოებაში, რომელიც დაყოფილია კლასებად, უშვალო გავლენა არ მოქმედებისა იდეოლოგიაზე გაცილებით უფრო შეუმჩნეველი ხდება“ (იხ. მისი მე-18 ტ., გვ. 223). ან კიდევ: „შეეცადეთ მოგვცეთ უშუალო ეკონომიური ახსნა დავიდის სკოლის წარმოშობის ფაქტისა მე-18 საუკუნის საფრანგეთის მხატვრობაში, და თქვენ არაფერი არ გამოგივათ, გარდა სასაცილო და მოსაწყენი უაზრობისა, მაგრაც შეეცადეთ შეხედოთ ამ სკოლას, როგორც დიდი რევოლიუციის წინადროის საფრანგეთის საზოგადოების კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიურ ასახვას, და მაშინვე საქმე სულ სხვა ხასიათს მიიღებს“... (იქვე).

ამნაირად, პლეხანოვი იმის წინააღმდეგია, — რომ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში იდეოლოგიური მოვლენა უშუალოდ ეკონომიკით იქნას ახსნილ-განმარტებული. აქ მთელ რიგ რთულ პროცესებთან გვაქვს საქმე. აქ უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი კლასობრივი ბრძოლის საკითხებსაც (რომელთაც პერევერზევი ჩქმალავს).

ამავე მიმართულებით უნდა გავიხსენოთ იმავე პლეხანოვის ფორმულა საფუძვლისა და ზედნაშენის შესახებ. პლეხანოვი „მარქსიზმის ძირითად საკითხებში“ სწერს: „მოკლედ რომ გამოვხატოთ მარქსენგელსის შეხედულება დღეს უკვე ცნობილი „საფუძვლის“ და არა ნაკლებ ცნობილი „ზედნაშენის“ ურთიერთულ დამოკიდებულების შესახებ, ჩვენ შემდეგს მივიღებთ:

1) ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ თ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა:

2) ამ მდგომარეობით განსაზღვრული ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა;

3) სოციალურ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წყობილება, აღმოცენებული განსაზღვრულ ეკონომიურ „საფუძველზე“;

4) საზოგადოებრივი ადამიანის ფსიქიკა, რამდენიმედ პირდაპირ ეკონომიკით და რამდენიმედ მასზე აღმოცენებული მთელი სოციალურ-პოლიტიკური წყობილებით განსაზღვრული;

5) სხვადასხვა იდეოლოგია, ამ ფსიქიკის თვისებათა გამომხატველი" (იხ. დას. წიგ., გვ. 85. სახელგამი. 1929 წ.).

პერევერზევის მტკიცება არ შეეფერება არც ფრ. ენგელსის მოსაზრებებს ეკონომიური ურთიერთობისა და იდეოლოგიურ მოვლენათა ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ. 1894 წ. 25 იანვარს ფრ. ენგელსი სწერდა შტარკენტუბრგს: „საქმე მარტო ისე არ არის, რომ მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა წარმოადგენდეს ერთად-ერთ აქტიურ მიზეზს, ხოლო დანარჩენი კი პასიურ ფაქტორებს. არა, აქ ურთიერთ ზეგავლენაა ეკონომიური აუცილებლობის საფუძველზე, რომელიც ბოლოსა და ბოლოს თავს იჩენს".

სხვა ადგილას ენგელსი სწერდა: „ისტორიის მატერიალისტური გაგების თანახმად, ისტორიულ პროცესში განსაზღვრულ მომენტს ბოლოს და ბოლოს წარმოება და ნამდვილი ცხოვრების წარმოსახვა წარმოადგენს. არც მე და არც მარქსი მეტს არ ვამტკიცებდით. თუ ვინმე ამახინჯებს ამ დებულებას იმ აზრით, თითქოს ეკონომიური მომენტი წარმოადგენს ერთად-ერთ განმსაზღვრელ მომენტს, მაშინ ეს მტკიცება არაფრის მთქმელ, აბსტრაქტულ უაზრო ფრაზად იქცევა".

როგორც ვხედავთ, პერევერზევის დებულებები წარმოებითი ურთიერთობისა და იდეოლოგიურ მოვლენათა დამოკიდებულების შესახებ სრულიად არ ეთანხმება მარქსიზმის კლასიკოსების მოსაზრებებს ამავე საკითხის შესახებ.

რა არის ხელოვნება? რაში მდგომარეობს მისი შინაარსი? პლეხანოვი ამის შესახებ ამბობდა: „ხელოვნება იწყება მაშინ, როდესაც ადამიანი იწვევს თავის თავში გრძნობებს და აზრებს, რომელიც განუცდია მას მის გარშემო არსებულ სინამდვილის გავლენით და აძლევს მათ განსაზღვრულ სახეობრივ გამოხატულებას".

პერევერზევი კი სხვაგვარად ფიქრობს. მისი აზრით, მხოლოდ „იდეალისტი, რომელიც ეხებოდა მხატვრულ ნაწარმოებს, ეძებდა მის საფუძველში ჩადებულ იდეას.

პერევერზევი აცხადებს, რომ მხატვრულ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს არა იდეა, არამედ ყოფა, ამიტომ ზედმეტი თავის შეწუხება იქნება, რომ მასში ვეძიოთ ის, რაც არ არის.

„მწერალი, ამბობს პერევერზევი — ჰქმნის ცოცხალ სახეებს, ხასიათს, და არა იდეათა სისტემას, და ამიტომ ანალიზი მხატვრული ნაწარმოებისა უნდა იყოს ანალიზი ცოცხალი სახეების, და არა ძიება იდეათა და შეხედულებათა".

როგორც ვხედავთ, პერევერზევი აშორებს ერთმანეთს სახეს, რომელსაც ჰქმნის მწერალი, და მის მსოფლმხედველობას, მის იდეას შე-

ხედულებებს. მას ვერ შეუგნია, რომ სახე არის მწერლის იდეების და შეხედულებების გამოსახატავი განსაკუთრებული საშვალება;

პერევერზევის მიერ ხელოვნების, ლიტერატურის დამახასიათებელ შემადგენელ ნაწილთაგან იდეების, აზროვნების გამორიცხვა ეწინააღმდეგება ხელოვნება-ლიტერატურის დიალექტიურ გაგებას, რომელსაც იძლევა მარქსიზმი, რის შესახებაც ბევრს სწერდა პლეხანოვი *).

არ შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპიროთ სახე და აზრი, გრძნობა და იდეა ხელოვნების ისეთ გაგებაში, რომელსაც გვაძლევს ორტოდოქსალური მარქსიზმი, მარქს-ენგელსი და ლენინ-პლეხანოვი. ასეთი დაპირისპირება მხოლოდ ხელოვნების მექანისტური გაგების საფუძველზეა შესაძლებელი.

პერევერზევი ამტკიცებს, რომ თავისი განსაზღვრით ხელოვნება — თამაშის შესახებ ის მხოლოდ იმეორებს პლეხანოვს. ვნახოთ, მართლაც შეეფერება თუ არა ეს მისი მტკიცება სინამდვილეს, პლეხანოვის შეხედულებათა არსებით მხარეს? თავის ცნობილ შრომაში ჩერნიშევსკის შესახებ (იხ. მისი მე-5 ტ.) პლეხანოვი მიუთითებს, რომ შეხედულება ხელოვნებაზე, როგორც თამაშზე, დამატებითი შეხედულებით თამაშის, როგორც „შრომის შკოლისა" არკვევს ხელოვნების არსებას და ისტორიას, მაგრამ პლეხანოვი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ აქ ლაპარაკია არა თამაშისა და ხელოვნების გაიგივების, არამედ მათი ნათესაობის შესახებ. იგი სწერს: „თუ ხელოვნების არსებით ნიშანს, — როგორც ამას ამბობს ჩერნიშევსკი — წარმოადგენს ცხოვრების წარმოსახვა, მაშინ ხელოვნება აუცილებლად ცნობილ უნდა იქნას, როგორც თამაშის მონათესავე, რომელიც აგრეთვე სახავს არა მარტო ადამიანების, არამედ ცხოველთა ცხოვრებასაც" (იხ. დასახ. ტ. გვ. 316-317).

შეიძლება ითქვას, რომ მოყვანილი ამონაწერით პლეხანოვი ეთანხმება პერევერზევის გაგებას ხელოვნება-თამაშის შესახებ? — რასაკვირველია, არა. აქ პლეხანოვი გარკვეულად გვეუბნება არა იმის შესახებ, რომ ხელოვნება თამაშია, არამედ იმის შესახებ, რომ „ხელოვნება ცნობილი უნდა იქნას თამაშის მონათესავედ".

---

*) პლეხანოვი ერთ-ერთ წერილში სწერდა: „ვიტყვი მეტსაც, არ შეიძლება იყოს მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მოკლებული იყოს იდეურ შინაარსს. თვით ის ნაწარმოებებიც, რომელთა ავტორებიც მხოლოდ ფორმას აქცევენ ყურადღებას და არ ზრუნავენ შინაარსზე, ასე თუ ისე მაინც გამოხატავენ განსაზღვრულ იდეას" (იხ. მე-14 ტ. გვ. 137).

განსხვავება დიდია. აქ პერევერზევი პირდაპირ შორდება, ეწინააღმდეგება პლეხანოვს. ხელოვნებისა და თამაშის მსგავსება-განსხვავების პრობლემას პერევერზევი სცვლის მათი შესატყვისობით.

პერევერზევი თავისი თეორიით (თამაში — ხელოვნება) რიცხავს ხელოვნებას, როგორც უშვალოდ მოქმედ ძალას, სოციალურ ცხოვრებაში და მეტის მეტად ზღუდავს მისი მოქმედების რადიუსს. არსებითად კი ხელოვნება უფრო ფართე, ღრმა და მაღალია, ვიდრე ცნება—„თამაში".

პერევერზევი ფიქრობს, რომ მწერლის პიროვნება არაფერს გვეუბნება ნაწარმოების გაგების საქმეში, ვინაიდან თვითონ ის გასაგებასახსნელია.

მწერლის ბიოგრაფიის მნიშველობის საკითხი მწერლობაში არსებითად იგივეა, რაც საერთოდ საკითხი პიროვნების როლისა ისტორიაში. მარქსისტები არას დროს არ უარყოფდენ სრულიად პიროვნების როლს. პლეხანოვი ამის შესახებ სწერდა: „გავლენიან პიროვნებებს თავისი ჭკუისა და ხასიათის განსაკუთრებულობის მეოხებით შეუძლიათ შესცვალონ მოვლენათა ინდივიდუალური ფიზიონომია და ზოგიერთი კერძო მისი შედეგები. მაგრამ მათ არ შეუძლიათ შესცვალონ მისი საერთო მიმართულება, რომელიც სხვა ძალებით განისაზღვრება".

რასაკვირველია, ბიოგრაფია არ განსაზღვრავს მწერლის შემოქმედების მიმართულებას, ამას საზოგადოებრივი ყოფა სჩადის, მაგრამ ამ ყოფის საზღვრებში მწერალი მაინც ანარჩუნებს თავის ინდივიდუალობას და არავითარი აუცილებლობა არ მოითხოვს მისთვის გვერდის ახვევას. ნუ თუ შეიძლება იმის თქმა, მაგ. რომ ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების" გაგების საქმეში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მის ყოფნას რუსეთში და ამის ცოდნას? ან კიდევ: გორკიმ მთელი სამხრეთ-რუსეთი მოიარა, რამაც მის ნაწარმოებზე იქონია გავლენა (პეიზაჟი მუსიკალობა, სილამაზე და სხვა).

ზემონათქვამი ბიოგრაფიას, მწერლის პიროვნებას, სრულიად არ აყენებს ცენტრალურ ადგილას ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლის საქმეში, მაგრამ ბიოგრაფიული მომენტის გვერდის ახვევა გაუმართლებელია მეცნიერული თვალსაზრისით.

ლიტერატურათმეტყველმა უნდა გამონახოს მხატვრული ნაწარმოების საფუძველი, ამ გზაზე კი ის იძულებული იქნება შეეხოს ბიოგრაფიასაც, რომელიც მისთვის იქნება დამხმარე მასალა ძირითად ამოცანის გადაწყვეტის საქმეში.

მწერლის ბიოგრაფიის შესწავლა (რასაკვირველია, არა ყველაფრის) ხელს გვიწყობს, გვეხმარება (რასაკვირველია, არა ყოველთვის) კონკრეტიული, მხატვრული ფაქტის გაგებაში.

პერევერზევს შეუძლებლად მიაჩნია, რომ ამა თუ იმ კლასის მწერალმა შესძლოს მეორე კლასის სინამდვილის წარმოსახვა, ის ამტკიცებს: რომელ სოციალურ ჯგუფსაც გინდა ხატავდეს მწერალი, საბოლოოდ ის მაინც გამოხატავს არა იმას, არამედ იმ სოციალურ ხასიათს, რომელმაც შეჰქმნა თვითონ მწერალი. ის გადააცმევს მას მხოლოდ სხვა წრის ტანსაცმელს და მეტი არაფერი. ამიტომ არის მისი აზრით, რომ გოგოლს თავის მხატვრულ ნაწარმოებებში არ ჰყავს არავინ გამოყვანილი, გარდა წვრილი შეძლების მქონე წრისა, დოსტოევსკის — მეშჩანებისა, გონჩაროვს — ბურჟუაზიისა და ა. შ.

ფაქტები კი სულ სხვას გვეუბნება.

კ. მარქსი ბალზაკს უწოდებდა სოციოლოგს, სწორედ იმისათვის, რომ მან გადმოგვცა მემამულეების, ბურჟუების და გლეხების ტიპების მთელი რიგი ობიექტიური თვისებები.

ლენინი კი აღნიშნავდა გორკის შემოქმედების ობიექტურ პროლეტარულ ფუნქციას.

პლეხანოვი სწერდა: „ბალზაკმა ბევრი რამ გააკეთა თავისი დროის საზოგადოების სხვადასხვა კლასის ფსიქოლოგიის გასაგებად“.

ამნაირად, მარქსიზმის კლასიკოსები განსაზღვრულ შემთხვევებში სცნობენ, რომ მწერლისათვის მისაწვდომია სხვადასხვა კლასის ფსიქოლოგია.

პერევერზევის ამ დებულების თანახმად, აგრეთვე იხსნება დღის წესრიგიდან ლიტერატურული თანამგზავრობის პრობლემაც.

შემდეგ ჩვენ უნდა მივუთითოთ პერევერზევის მიერ ურთიერთზეგავლენის არასწორ გაგებას. იგი სწერს: „მხატვრობას არაფრის შექმნა არ შეუძლია ლიტერატურის სახეობრივ სისტემაში; პოლიტიკურ ცხოვრებას არაფრის შექმნა არ შეუძლია ლიტერატურის სახეობრივ სისტემაში; და პირიქით — ლიტერატურას არაფრის შექმნა არ შეუძლია პოლიტიკურ სისტემაში, ან მხატვრობაში. აქ არის თანაარსებობა, აქ არის ურთიერთის მხრის დაჭერა, არის ერთიანობა, არას ჰარმონია, მაგრამ აქ არ არის მიზეზობრივი კავშირი“ („Родной язык и литература в трудовой школе“, № 1, 1928 წ.). ხელმძღვანელობს რა ასეთი მექანისტური გაგებით, პერევერზევი უარყოფს რომელიმე იმ ფაქტორის შესწავლის ყოველგვარ აუცილებლობას, რომელიც პოეტურ ნაწარმოებთა გარეთ იმყოფება.

პერევერზევის მიერ ურთიერთზეგავლენის არსებობის ასეთი გაგება შემცდარია.

ზედნაშენთა შორის არსებობს არა მარტო „თანაარსებობა“ არამედ გარკვეული და ხშირად ძლიერი ურთიერთზეგავლენა. ზედნაშე-

ნები ერთმანეთისაგან ჩინური კედლებით კი არ არიან დაშორებული,— არამედ განსაზღვრულ კავშირსა და ურთიერთმოქმედებას განიცდიან. აქ საქმე არა მარტო „თანაარსებობაშია", არამედ ურთიერთზეგავლენაშიაც. რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია. პერევერზევი ამ დებულებაში, — პირდაპირ უარყოფს პოლიტიკის რაიმე ზეგავლენას ლიტერატურის სახეობრივ სისტემაზე, ეს კი სინამდვილის დამახინჯებაა, არსებულ ფაქტთა გვერდის ახვევაა. ისტორიამ არ იცის ისეთი მაგალითი, რომ პოლიტიკას, ასე თუ ისე, ან პირდაპირ და ან დაფარული სახით, რაიმე გავლენა არ ჰქონებოდეს ლიტერატურაზე, ლიტერატურულ მოვლენაზე.

ამ დებულებით პერევერზევი ცხოვრებაში არსებულ კლასობრივ ბრძოლას „სულსა და გულს" აცლის, და ისე სურს შეისწავლოს ლიტერატურული მოვლენა. მეტი რომ არა ვთქვათ, პერევერზევის მიერ მოვლენათა ასეთი გაგება ისტორიული პროცესის გამარტივება და გაუბრალოებაა.

პერევერზევი მხატვრული ნაწარმოების იდეას ანცალკავებს და აშორებს საზოგადოებრივ შემეცნებას, ცხოვრებას. მისი აზრით, ლიტერატურათმეტყველი, კრიტიკოსი არ უნდა გადასცდეს წმინდა ლიტერატურულ კვლევა-ძიების საზღვრებს („Творчество Гоголя" გვ. 162).

ჩვენის აზრით, საკითხის ასეთი დასმა არ არის სწორი. როგორც ვიცით, მხატვრული ნაწარმოები საზოგადოებრივი შემეცნების ნაწილია. ამიტომ უნდა იქნეს ის გარკვეულ-შეფასებული, როგორც საზოგადოებრივი შემეცნების და ცხოვრების გარკვეული შემადგენელი ნაწილი, როგორც მისი პროდუქტი.

ვისაც ასე არ ესმის ეს მოვლენები, მას ან არ უნდა გაიგოს ისტორიული პროცესი, ანდა არ აქვს უნარი მისი გაგებისა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში ჩვენთვის მიუღებელია ასეთი ლიტერატურათმეტყველი.

ასეთია პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების თეორიის ზოგიერთი დებულების კრიტიკა *).

მარქსისტული აზროვნების, მარქსისტული ლიტერატურათმეტყველების თანამედროვე საფეხურს, სრულიადაც არ შეესაბამება პე-

*) პერევერზევის მრავალი სხვა დებულებაც, რომელთა შესახებაც აქ არ გვილაპარაკია, შემცდარი და მიუღებელია. ასე, მაგ., რუსეთის თვითმპყრობელობის ხასიათის შესახებ ის იზიარებს და იმეორებს პლეხანოვ-ტროცკის მენშევიკურ დებულებებს და სხვ.

რევერზევის შეხედულებები. მრავალი დებულება, რომელიც პერევერზევმა წამოაყენა ლიტერატურის კვლევა ძიების საქმეში, პირდაპირ მიუღებელი და ანტიმარქსისტულია**).

პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების თეორია ისევეა დაშორებული მარქსიზმისაგან, როგორც „ცა დედამიწისაგან". ამიტომ მის წინააღმდეგ მხოლოდ შეუბრალებელი და შეუნელებელი ბრძოლის წარმოება გვმართებს***).

**) აღსანიშნავია, რომ პერევერზევს მთელი წყება მიმდევრებისა ჰყავდა, მათ შორის იყვენ კომუნისტებიც. ხშირად მასწავლებლის დებულებებს მოწაფეები კიდევ უფრო „აღრმავებდენ" და ავულგარულებდენ, რითაც ხელს უწყობდენ, აადვილებდენ პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების ნამდვილი ბუნების გაგებას. პერევერზევის მოწაფეთა პრაქტიკის შესახებ ცალკე წერილში მოვილაპარაკებთ.

***) აღსანიშნავია, რომ პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების თეორიას ჩვენში გამოუჩნდენ აპოლოგეტები, მიმდევრები. ასე, მაგ., 1929 წ. ჟურნ. „На рубеже востока"-ს № 4-ში მოთავსებულია ამხ. გ. ტ ა ტ ი ლ ო ვ ი ს წერილი („На новом этапе марксистического литературоведения") პერევერზევის რედაქციით გამოცემული „Литературоведение"-ს შესახებ ამხ. ტატულოვმა შემდეგი სახის ეპიტეტები მიუძღვნა დასახელებულ წიგნს და მასში მოთავსებულ წერილებს: „Сборник переверзевцев" знаменует собою в этом отношении, безусловно, весьма серьезный, достойный всяческого внимания сдвиг" (!), „Книга дает ряд новых, весьма полезных теоретических идей, развивающих и конкретизирующих наши (!) методологические позиции, хотя вместе с тем и содержит в себе не мало спорных положений". „В основном статья Переверзева, несомненно, ставит вопросы правильно (!). Недостатком ее является только чрезвычайно скупое изложение (!), что порождает неясности", „следующей после статьи Бесалова является весьма интересная работа Г. Поспелова— „к методике историко-литературного исследования". Эта работа представляет исключительный интерес, главным образом, потому, что это первая попытка дать марксистическую (!) трактовку проблемы теоретической поэтики и первая же систематическая разработка методического плана анализа литературно-художественного произведения на основе марксистической (!) методологии" და სხვ. გზადაგზა ამხ. ტატულოვი ცდილობს არ დაეთანხმოს პერევერზევს და მის მოწაფეებს, მაგრამ ეს უმთავრესად შეეხება წვრილმანს, არა არსებითს. პერევერზევის ლიტერატურათმეტყველების ძირითად ხაზს კი ამ წერილის მიხედვით ამხ. ტატულოვი მთლიანად ღებულობს.

უკანასკნელად, ობიექტიურ მოვლენათა მეოხებით ამხ. ტატულოვი იძულებულია უკან დაიხიოს და მობოდიშებით უნდა წარსული შეცდომის გამოსწორება. იგი სწერს მყვირალა სათაურით წერილს („Против вулгаризации марксистического литературоведения") იმავე „На рубеже востока"-ში (1930 წ. № 1, № 2), რომელშიაც ცდილობს წარსული თავისი შეცდომები წყნარად გადაყლაპოს!..

შ. რ.

გ. ნატროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის სერვანტესი

„სერვანტესმა არაჩვეულებრივი ბრწყინვალებით აღწერა რაინდობის და ფეოდალიზმის ნაბოლარი, გახადა იგი უსაზღვროთ სასაცილო. მან ისეთი დარბეული რაინდი გამოიყვანა, რომელსაც სახელოვან საუკუნიდან რაღაც ძონძები შერჩენოდა. მაგრამ განა ამაში მდგომარეობს რომანის სიდიადე? იგი მთლიანად ასამარებდა ფეოდალიზმს, მაგრამ ასამარებდა არა უბრალოთ. იგი ხარხარებდა ამ ფეოდალიზმზე, მაგრამ კიდეც გლოვობდა მას... სარაინდო აღთქმების მიხედვით".

ა. ვ. ლუნაჩარსკი

I

ეს სიტყვები თამამად შეიძლება ითქვას დავით კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების შესახებაც. კლდიაშვილი როგორც მწერალი დიდი ხანია დასრულდა, მან გრძელი შემოქმედებითი გზა გაიარა, წარსულ საუკუნის ლიტერატურაში მის მწერლობას ჰქონდა ერთგვარი ძლიერი საზოგადოებრივი რეზონანსი, ამ მხრივ იგი გახმაურებულ მწერლად უნდა ჩაითვალოს.

ქართულ ლიტერატურის პროზის სექტორი ყოველთვის კრიზისს განიცდიდა, მისი ლიტერატურული ზრდის პროცესს და ჰეგემონიისათვის ბრძოლას ხელს უშლიდა ლირიკული ჟანრის დიქტატურა. ამ შემთხვევაში კლდიაშვილმა სხვა მწერლებთან ერთად საგრძნობლად გააძლიერა ბელეტრისტული დარგი და ამრიგად მხატვრულ სტილზე გადაიტანა სოციოლოგიურ თემების მთელი ციკლი.

ყოველი მწერალი თავისებურობით ხასიათდება, ამ თვისებას მას ანიჭებს მიზეზთა მრავალი სისტემა. აქედანაა შესაძლებელი ლიტერატურის ისტორიის დიალექტიური განხილვის შესაძლებლობა და მწერლის იდეოლოგიურ-ლიტერატურული ადგილის ძიება ეპოქალურ მოვლენათა განვითარების სივრცეზე. ჩვენი წერილის მიზანია შონახულ იქნეს ისტორიული ადგილი, რომელზედაც დგომის უფლე-

ბა კლდიაშვილმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგათ მოიპოვა. აგი რასაკვირველია ეკუთვნის ფეოდალურ ინტელიგენციის პლეადას, რომელის საქმიანობა მხატვრულ სფეროში ავსებს ქართულ ლიტერატურის ისტორიას. საერთოდ ლიტერატურის ისტორიული განვითარების გზები საზოგადოებრივ ცხოვრების პარალელურ უშუალო ზედმოქმედებით წარმოადგენს დიალექტიურ პროცესს, რომელშიაც ერთი ლიტერატურული მიმდინარეობა ავსებს მეორეს, ფარგლავს მის საზღვრებს და იწყებს განვითარების ახალ ეტაპებს. ამ მხრივ მწერალი წარმოუდგენელია პოლიტიკურ-სოციალურ-იდეოლოგიურ ურთიერთობის გარეშე. საკითხის სხვაგვარი დასმა ჩვენ მიგვიყვანს მარქსისტულ მეთოდოლოგიის იდეალისტურ დამახინჯებამდე. კლდიაშვილის მაგალითზე ნათლად მოსჩანს მარქსისტულ პრინციპების უაღრესი სისწორე და სიმახვილე მოვლენათა მიზეზობრივი ახსნის დროს. კლასობრივი ბრძოლა თავისებურ სისტემატიზაციის ფარგლებში აქცევს ლიტერატურულ ეპოქის ყველა წარმომადგენლებს. ნ. ბარათაშვილის უსაზღვრო პესიმიზმი ისევე მჭიდროთაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების განსაზღვრულ საფეხურთან, როგორც კლდიაშვილის ნახევრად იუმორიული ჩივილი აზნაურულ ფენების უკიდურეს დეგრადაციის შესახებ. ასევე ალექსანდრე ჭავჭავაძის პატრიოტული რომანტიზმი, დაბრუნება საშუალო საუკუნეებისაკენ ისევე კლასობრივი ბრძოლის და საერთოდ ეპოქალურ განვითარების მიერ ნაკარნახევი მოვლენაა, როგორც გიორგი წერეთელის მკაცრი სატირა ფეოდალიზმის უბადრუკი ნაშთების წინააღმდეგ. ამ მეორე მაგალითში ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის მთავარ სტიმულს წარმოადგენს ირაკლი მეფის დროინდელი საქართველოს ნგრევა, ხოლო წერეთელს ამოძრავებს ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიული წყობილების ინტერესების დაცვა.

ლიტერატურა ეს არის „ძალა, რომლის იალქნებს უბერავს თვით ისტორიის ქარი". რასაკვირველია სავსებით ყალბია ლიტერატურული სტილის განვითარების შემოფარგვლა ეკონომიკით, ეს იქნებოდა მარქსიზმის ვულგარული დამახინჯება. ასეთი მეთოდი კი დღეს მთლიანად უვარგისია ლიტერატურული ცხოვრების ახსნა-განმარტების საკითხში. ყოველი მწერალი მოქცეულია ერთის მხრივ ეპოქის, კლასობრივი ბრძოლის და მეორეს მხრივ ლიტერატურულ ცხოვრების მძლავრი ზეგავლენის ქვეშ. ასევე ითქმის დავით კლდიაშვილის შესახებაც. მისი ნატურალიზმი ეს არის რეაქცია რომანტიულ-იდილიურ მიმართულებათა წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი ბევრად უფრო რეგრესიულ ფუნქციების მატარებელია, ვიდრე რეალურ ცხოვრების რეალური გადმო-

ცემა. რეალიზმის პირველ ჩასახვას ჰქონდა თავისებური კავშირი პოზიტიურ ფილოსოფიის განვითარებასთან. ეს აშუქებს რეალიზმის სოციალურ-იდეოლოგიურ ბუნებას. ამ შემთხვევაში ყველაფერს ხსნის პლეხანოვის ხუთწევროვანი ფორმულა, რომლის წინააღმდეგ დაწყებული ყოველგვარი ლაშქრობა ვულგარიზატორებისა, სამარცხვინო მარცხით სრულდება. საწარმოო ორგანიზაცია და საერთოდ ეკონომიკა, შემდეგ საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, ტეხნიკის განვითარება, იდეოლოგია და მთელი რიგი ფაქტორებისა ურთიერთ შორის— დიალექტიურ ურთიერთობაში იმყოფებიან. ამავე ურთიერთობაში მიზეზობრივ კანონშეზომილებით ხდება ლიტერატურის განვითარება.

დავით კლდიაშვილმა მწერლობა დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარის მიწურულში. ამ დროს ჯერ კიდევ გაისმოდა რომანტიზმის დაგვიანებული ხმაური. კლასიკური რეალიზმის არსებობამ მთლიანად ვერ გამოაფხიზლა ლიტერატურული ატმოსფერი რომანტიზმის „ზამთრის ხანგრძლივი ძილისაგან". ამ მხრივ საბოლოო სიტყვა კლდიაშვილს ერგო, ამ უკანასკნელმა მოგვცა ძველი საქართველოს უბადრუკი ნაშთების გამანადგურებელი კრიტიკა. დავით კლდიაშვილის მხატვრულ ფაქტებმა პირქვე დაამხო წვრილბურჟუაზიული იდილიის ენერციული ტალღები. მან თავიდანვე კომიკური ტონი აიღო. ფეოდალური კოშკი, ბრწყინვალე ტაძარი, რაინდული ციხე სიმაგრეების და საერთოდ ფეოდალურ ეპოქის ტეხნიკური გარემოს ფანტაზია შესცვალა ღატაკი აზნაურების უღელ გაყრილ ღორების აღწერამ, ჩამტვრეულმა ღობეებმა, მათი ჯახრიკა ცხენებმა და უადგილო ამპარტავნობამ. ამ მხრივ ადვილი შესაჩნევია დავ. კლდიაშვილის ლიტერატურული პროდუქციის სისხლის ნათესაობა გიორგი წერეთელის ზოგიერთ ფაქტებთან.

II

ვისი, რომელი კლასის თვალსაზრისით იბრძოდა დავ. კლდიაშვილი?

ზედმეტი არ იქნება გათვალსწინებული იქნას დავ. კლდიაშვილის ზოგიერთი ბიოგრაფიული შტრიხები. დავითი დაიბადა 1862 წელს, იმერეთის ერთ-ერთ სოფელში. მშობლებმა მას ჰასაკში შესვლისთანავე სწავლა დააწყებინეს და ადგილობრივ განათლების მიღების შემდეგ გაგზავნეს კიევის სამხედრო სასწავლებელში. კიევში დავითმა დაივიწყა ქართული ენა, მაგრამ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს დაბრკოლება ადვილად დაუძლევია. 1882 წელს მან მიიღო სამხედრო ხარისხი და დაიწყო ბათომში ცხოვრება, ამ პერიოდის ამბები კარგად

აქვს აწერილი მას თავის მემუარულ ხასიათის ნაშრომში: „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

ამ ნაწარმოებში დავითი მოგვითხრობს:

„მწერლობა ძალიან ადრე დავიწყე. მეორე კლასში ვიყავი, მოთხრობა რომ დავწერე რუსულად, რადგან ქართული დავიწყებული მქონდა. რამ დამაწერია სრულიად აღარ მახსოვს. მახსოვს კი, რომ მოთხრობის გმირი სისხლში სცურავდა, მარჯვნივ და მარცხნივ ჭკლავდა ყოველ შემხდურს. ნაწარმოები ხელში ჩაუვარდა ალმზრდელს, (კლასის დამრიგებელს) რომელმაც წაიკითხა და სიცილით მითხრა:

— ძალიან გეტყობა აზიელობა! ამდენი სისხლის დაღვრა გაგიგონია?! დაანებე თავი სისულელეა!“.

როგორც თვით მწერალი გვიამბობს ამის შემდეგ მას დროებით მართლაც მიუტოვებია წერა. სამაგიეროთ საქართველოში დაბრუნების შემდეგ შესდგომია იმერეთის ცხოვრების დეტალურ შესწავლას. რეალური ყოფითი ურთიერთობის საფუძვლიანმა გაცნობამ კლდიაშვილი დაარწმუნა აზიურ-ევზოტიურ ფანტაზიების უსაფუძვლობაში. ამ ფაქტმა დიდი გარდატეხა მოახდინა მასში. ჩვენი აზრით დავ. კლდიაშვილის შემოქმედებაში-თემატიური მომენტი ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობს. როგორია მისი თემატიკის რაობა?

დ. კლდიაშვილის მთავარი თემა არის ფეოდალიზმის ნგრევის და მიმავალი იმერეთის ავადმყოფური მხარეების კომიკური კუთხით დალაგება. ეს იყო ლიტერატურულ რეფორმის ბუნებრივი ცდა. სოციოლოგიური თემებისაკენ მიქცეული ყურადღება მწერლისა მთლიანად გაამახვილა ცხოვრების მაშინდელმა კურიოზებმა. სოლომონ მორბელაძის, პლატონ სამანაშვილის და მათი ძმების ცხოვრება ეს ერთი გრძელი კურიოზია, რომელსაც გარშემო დასტრიალებს დავითის შემოქმედებითი უნარიანობა. და მართლაც მწერალმა ამ თემების ღირსეულ დამუშავებას შეალია მთელი თავისი ლიტერატურული ენერგია. მის მოთხრობებში შეგხვდებათ როგორც გლეხობის სოციალურ ფენების წარმომადგენელნი, აგრეთვე გაღატაკებულ აზნაურობის და „მალალი“ წრეების მკვიდრი შვილები. ავტორს ეხერხება ტიპის მოცემა, ამავე დროს იგი სასტიკად ებრძვის „პრაქტიკული სიტყვის ესტეტიზაციას“ და ნაწილობრივ რეალიზმის მარცხენა ფრონტზე გადადის. ერთი სიტყვით დავ. კლდიაშვილი ფრიად საინტერესო მწერალია, მიუხედავათ ამისა ჩვენს ლიტერატურაში მის შესახებ ჯერ არ დაწერილა საფუძვლიანი გამოკვლევა.

დავ. კლდიაშვილის თემატიური სივიწროვე გარკვეულ ობიექტიური მიზეზებით აიხსნება, მან აითვისა მთავარი პროცესი ეკონომიური ცხოვრებისა და ამის შემდეგ მიჰყო ხელი მის გადატანას მხატვრულ პროდუქციაში. ის ილია ჭავჭავაძესავით წინასწარ შემუშავებულ სოციოლოგიური თეორიით არ მისულა არსებულ სოციალურ წყობასთან, მიუხედავათ ამისა იგი იძლეოდა ერთგვარ ობიექტიურ სურათებს, სადაც უკიდურესობამდე შეკვეცილი იყო აზნაურულ ფანტაზიის უკონტროლო თარეში. ჩვენი აზრით დავ. კლდიაშვილი არის კლასიკური რეალიზმის ნატურალისტური სექტორის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა. იგი მაღლა აღარ იხედება, ზის თავისთვის უცქერის ცხოვრების რთულ სხეულს და ყოველ მომენტში თვალს ადევნებს მის უბრალო მოძრაობას. ასე შეიცვალა რომანტიული მთვარის და ოცნების პოეზია რეალური ცხოვრების ეფექტიური მომენტების აღწერით. დავ. კლდიაშვილის მოთხრობებში პირველ რიგში მკითხველს თვალში ეცემა ტიპის გარეგნული ფიგურა, ამის შემდეგ მოქმედების მანძილზე ყოველი მისი მოთხრობის ფაბულარული სისტემა დალაგებულია ისე, რომ მხატვარს მიზნათ რჩება ამოხსნას უბადრუკი ყოფა განსაზღვრული სოციალური წრის წარმომადგენელისა. რღვევა და მის საფუძველზე აღმოცენებული ქცევითი ნორმები იქცევენ მწერლის მთავარ ყურადღებას. მისი გმირები ყველა საცოდავი, ნახევრად ადამიანები არიან, მათ არ აინტერესებთ არაფერი გარდა საკუთარი თავის სიმშილისაგან სიკვდილის უზრუნველყოფისა. აქ კლდიაშვილი გამოდის როგორც სოციოლოგიური ჟანრის მწერალი, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ყოველგვარი რაობა ამოხსნილი აქვს დავითს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი მოთხრობა „შერისხვა". ალექსანდრე ხახანაშვილმა ამ მოთხრობის მთავარ იდეათ ჩასთვალა იმერეთის ეთნოგრაფიის მხატვრული აღწერა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დავით კლდიაშვილის მიერ იმერეთის საერთო თემად ამორჩევა მთლიანად არ განსაზღვრავს მის სოციალურ ორიენტაციას. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ხსენებულ მოთხრობას („შერისხვა") თამამად შეიძლება ითქვას, რომ მასში მთავარი არის არა იმერეთის ხალხის ზნეჩვეულებათა გარეგნული აღწერა, არამედ ავტორი სცდილობს გვიჩვენოს კერძო საკუთრებაზე შეზრდილი გლეხის ფსიქოლოგია. კლდიაშვილი მაშინ ფრიად პროგრესიულ ძალას წარმოადგენდა, მან იცოდა თავისი გმირების მოქმედების გამომწვევი მიზეზები.

ამას ამტკიცებს თვით კლდიაშვილის პირველი მოთხრობა: „შერისხვა", ამ ფაქტით უკვე მოსჩანს ძლიერი მწერალი, რომელიც უცქე-

რის ქვეყანას რეალიზმის შეუნისლავი სათვალეებით. დავ. კლდიაშვილი ნათლად სახავს რელიგიით გაბრუებულ გლეხობის ყოფას. ამასთან ამ მოთხრობაში კარგადაა დაჭერილი ერთი აზრი, რომელიც მთელ მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ვერავინ ვერ გამოსთქვა, იმიტომ, რომ მაშინდელი მწერლები ალბად ნაკლებათ იცნობდენ გლეხის ფსიქოლოგიას, ვიდრე დ. კლდიაშვილი. „შერისხვა" ძლიერ დამუქებულ ტრალიკულ ფერებში იშლება, აქ სრულებით არ მოსჩანს კლდიაშვილის ლიტერატურული იუმორი.

კაცია საგუნაშვილმა (მოთხრობის მთავარი გმირია) ერთი თავისი საყანე ადგილი შესასვენებლად გაუშვა, ღობეც კი აღარ გაუყოლებია მისთვის. სოფლელებმა ამით ისარგებლეს და ამ ადგილზე დაიწყეს სიარული მახლობლად მდებარე ბაზართან ადვილად მისვლის მიზნით. ამ რიგად ახალი გზა კაციას საყანეზე გაითელა, ბოლოს „კაციამ ერთ დღეს მოინდომა გაშვებული საყანის შემოღობვა, მეზობლებმა მოსთხოვეს ერთი ნაწილი გზად დაეტოვებინა. კაცია ავარდა დავარდა ამაზე, ყური არავის ათხოვა, ღობვა დაიწყო, მაგრამ ღობე ისევ მოურღვიეს. დაიწყო მუქარა, რომ მოვკლავ ვისმე იმ ჩემ ადგილზეო, მაგრამ მაინც არავინ შეეპუა". სასამართლომ მიიღო მხედველობაში ძველი სასოფლო გზის მთლიანად წახდენა და დაადგინა კაციას ადგილს ჩამოსჭროდა ერთი ნაწილი ახალი გზისათვის. ბევრი იდავა კაციამ, მაგრამ ამ ქვეყნად სამართალი ვერ ჰპოვა და წმინდა გიორგის ავტორიტეტს მიჰმართა. ხატზე გადასცა მისი მთავარი მტერი ანდრია ჭურაშვილი. ეს უკანასკნელი საშინელმა აღშფოთებამ მოიცვა. გავიდა დრო და ხატის რისხვა არსად მოსჩანდა. აქ დაიწყო რყევა კაციამ, მის შეგნებაში ღმერთის აბსოლუტური იდეა შეირყა და კერძო მესაკუთრე გლეხმა თავის ქონებრივი ინტერესები არჩია რელიგიურ ფანტაზიებს. ესაა მოთხრობის კვინტ-ესენცია. ამის შემდეგ კაცია დარწმუნდა, რომ წმინდა გიორგიმ მას ყურადღება არ მიაქცია და საჯაროთ აღშფოთებულმა ხატი ჰგმო.

აქ მთელი სიგრძე-სიგანით გადაშლილია კერძო მესაკუთრის ბუნება, რომელიც ერთ საჟენ მიწის თაობაზე თვით ღმერთების წინააღმდეგ ბრძოლასაც არ ერიდება. წარმოიდგინეთ რევოლიუციის წინადროინდელი ეპოქა და თქვენთვის ნათელი გახდება მოთხრობის მთავარი იდეა. ეკონომიური ფაქტორი ფუნქციონალურ მდგომარეობაში აყენებს გლეხის შეგნების ყველა გამოვლენას. კაციას მიჯნებზე შეზრ-

დილი იდეოლოგია ერთბაშათ წინააღუდგა ყოველგვარ ცდას, რომელსაც მიზნად ჰქონდა მისი მიწების ნაკვეთების მისაკუთრება. მან არ დაუთმო სოფელს, გაექცა სასამართლოს და რაც მთავარია კერძო საკუთრების დროშით შეებრძოლა მისთვის პატივცემულ თეთრწვერა მოხუცს, „ქვეყნის დამბადებელს", როგორც ეს ბიბლიის იდიოტურ ზღაპრებშია გადმოცემული. ამ მოთხრობით ავტორის გამარჯვება უდავოა; კაცია საგუნაშვილის ფიგურა ავტორმა დიდი ოსტატობით შეაფერადა.

ეს მოთხრობა არ არის დავ. კლდიაშვილის შემოქმედების ცენტრი. კლდიაშვილს აქვს საკუთარი ჟანრი, რომლის პრაქტიკული, ყოველმხრივ გამოყენებით მან ასახა იმერეთის შემოდგომის აზნაურების გაღატაკებული, სიმშილით ნაწამები სახეები. ამ მხრივ ჩვენ უნდა შევეხოთ „სამანაშვილის დედინაცვალს", რომელიც დავითმა დასწერა 1897 წელს. ამ მოთხრობაში ასახულია ფეოდალიზმის ნაბოლარების კომიკური ყოფა. ამავე დროს მოთხრობის პოპულიარობას ზრდის სტილის იშვიათი დახვეწილობა, მკვეთრი გამოთქმები და სამხიარულო აფორიზმები. ეს რასაკვირველია მეორე ხარისხოვანი მხარეა მოთხრობისა, ნაწარმოების მთავარი ფონი ფეოდალიზმის ნგრევის ისტორიულ ასპექტშია გადატეხილი: ავტორი მოთხრობას ერთობ ნატურალისტურად, უფერულად იწყებს, ხოლო რამდენიმე ფურცლის შემდეგ უკვე ამახვილებს სიუჟეტის ძირითად საკითხებს. პირველ რიგში ავტორი აღწერს ბეკინა სამანაშვილის მემკვიდრეობას. ბეკინა ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბი. მიუხედავათ ამისი მისი ტრაბახი აყრუებდა გარემოს. აქ პირველ სტრიქონებიდანვე დავ. კლდიაშვილის ნაწარმოებში ნათლად სჩანს წვრილი მემამულეს ქცევათა ზოგიერთი ელემენტები. ბეკინას შვილი პლატონი „გულმოდგინეთ ურტყამდა თოხს მიწას და ოჯახში სრული კმაყოფილება სუფევდა". ამ მშვიდი მდგომარეობის შესანარჩუნებლად იბრძვის პლატონ სამანაშვილი, მიუხედავათ ამისა იგი ბოლოს მარცხდება და გამოუვალ ჩიხში ჩავარდნილი სწყევლის საკუთარ ბედისწერას. ბეკინამ განიზრახა მეორე ცოლის მოყვანა, ამის გაგებამ თავზარი დასცა მის შვილს, მას თავში გაუელვა იმ აზრმა, რომ დედინაცვალს მოჰყვებოდა მემკვიდრე და ოჯახი შუაზე გაიყოფოდა. ამ ფაქტზე აშენდება მთელი კომიკური სიუჟეტი, მაშვლობას კისრულობს პლატონი, ორნაქმრებ დედაკაცს თაგადადებული დაეძებს. საბოლოოდ მაინც ეყოლება ბეკინას შვილი და ამით იმსხვრევა სამანაშვილის უკანასკნელი იმედები.

მოთხრობის მანძილზე დავ. კლდიაშვილის ყურადღების ცენტრი გადატანილია აზნაურულ ყოფის დეტალურ აღწერაზე. კლდიაშვილი ამასხარავებდა ფეოდალიზმის ნაშთებს, ის, ისე როგორც გიორგი წერეთელი შიგნიდან ანგრევდა თავად-აზნაურულ იდეოლოგიის სიმაგრეებს. კლდიაშვილის მთავარი დამსახურება იმაში გამოიხატება, რომ მან გვიჩვენა აზნაურთა ბუდეების ნამდვილი სახე. ამისათვის პირველ რიგში მწერალი შესდგა ანტირომანტიულ პლატფორმაზე.

იყო დრო როდესაც ჰქუხდა, გრგვინავდა „მაღალი" წოდება. მათი უსაზღვრო ბატონობა ყოველმხრივ ანადგურებდა თავისუფალ აზრის მცირეოდენ განძრევას, თავადაზნაურობას ჰყავდა ფრთოსანი მარცხნივ-მარჯვნივ აელვებულ ხმლებს. სახლში სუფევდა განცხრომა, იდილია, სიმაძღრე და პერმანენტული უდარდელობა. ამ ნიადაგზე შემუშავდა თავისებური ზვიადური ფსიქოლოგია, რაინდული სიამაყის ტრადიციები. იმ დროს როდესაც კლდიაშვილი სწერდა მოთხრობებს ჯერ კიდევ ბევრი ამგვარ ბურუსში იყო გამოხვეული და წარსულისაკენ მიბრეცილი თვალებით ზომავდა მთელ სამყაროს. მხცოვანმა მწერალმა ანგარიში გაუწია ისტორიულ კატასტროფების, გარდატეხების, ცვლილებების შედეგებს და ზემოაღწერილ სურათის ნაცვლად გადაშალა მკითხველის წინაშე ასეთი მხატვრული მომენტები:

„დილა იყო ადრიანი, მეორე დღეს რომ პლატონმა ძალზე გამხდარი, ზურგდაშავებული ცხენი გადმოიყვანა ეზოში, მიაბა სამზარეულო სახლის გვერდით მდგარ კვინცხასთან და კაზმა დაუწყო.

— ამაზე შეჯდომა რავა შეგიძლია? — უთხრა მელანომ.

— პლატონმა, რომ ცხენს უნაგირი შეადგა, ცხენმა სულ კანკალი დაიწყო.

— აბა, ფეხით ვის მივადგე შე ქალო?!

— კი მარა არ მოგჯება ამ საცოდავს ზურგი?

— ფეხ-ფეხა მივყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მივყვები!.. სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა, რა!..

ეს არ ყოფილა ერთეული გამონაკლისი მოვლენა. ეს ქართული როსსინატის გაბრაზებული მხედარი აუარებელ შემთხვევებს გადაეკიდა. აქ ამოწერილ სურათში ყოფითი დეტალის საფუძველზე ავტორი ასწერს აზნაურულ ცხოვრების მიმავალ ფორმებს.

მოთხრობის მთავარი გმირი არის ბეკინა სამანაშვილი. მის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს უსაფუძვლო ტრაბახი. მოხუცი აზნაური მეორე ცოლის შერთვის ნიადაგზე კონფლიქტში ვარდება თავის შვილთან, რომელიც უფრო ჩუმი, ქედმოხრილი და ცხოვრების მიერ

გათელილი შეშინებული ადამიანია. ასეთია პლატონის ფიგურა, ამ ორი აზნაურის ტიპი კლდიაშვილმა საუცხოოდ დაახასიათა; პირველი მათგანი თავისი ბუნებით არსებითად ეწინააღმდეგება — თავისი შვილის „დარბილებულ ხასიათს". რა მიზეზია, რომ პლატონი, როგორც სოციალური ფიგურა ძირითადში განსხვავდება ბეკინასაგან? მიზეზი არის სავაჭრო კაპიტალის ნელინელ ზრდა; მოხუც ბეკინაზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდა ახალი პროცესები, რადგან მას ფაქტიურად ცხოვრება დასრულებული ჰქონდა. პლატონი კი ამ დროის გმირი იყო, მისი აქტიური წევრი. ეს მოვლენა საზღვრავდა პლატონის როგორც ადამიანის სულიერ მღელვარებას; მხოლოდ სიზმარის სცენა საკმარისია პლატონის მთლიანი დახასიათებისათვის, რომელიც სამაგალითოდ შესძლო ავტორმა.

ასეთი ტიპები არავის არა ჰყავდა მთელ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში!! ნ. ბარათაშვილის გმირები („ბედი ქართლისა") რომანტიზმის მიერ შემოსილი იყვნენ ბრწყინვალე შარავანდედით; ილია ჭავჭავაძის არჩილი („ოთარაანთ ქვრივი") ეს არის იდეალიზაციაქმნილი განათლებული თავადი. ასევე ითქმის აკაკი წერეთელის, ორბელიანების და სხვების გმირების შესახებ. დავ. კლდიაშვილის, გ. წერეთელის, ეგ. ნინოშვილის შემოქმედება რადიკალურად განსხვავდებოდა ქართულ მწერლობის საერთო ბანაკიდან.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

მ. კუხალეიშვილი — „პირველი ქარავანი". სახელგამი. 1930.

უსათუოდ შაბლონიურია ის კრიტიკა, რომელიც განსაკუთრებულ მიკერძოებას იჩენს ავტორიტეტულ სახელებისადმი და უცნობი და ხშირად დამწყები მწერლის სახელი — უნიჭობის სინონიმათ მიაჩნია. ასეთ ტენდენციას კი ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში.

ხშირად კრიტიკა საშუალო ხარისხის რომელიმე მწერლის ნაწარმოებზე ძლიერ ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ რომელიმე საჭირო და პერსპექტივის მქონე სახელის შესახებ არაფერს ამბობს.

ბურჟუაზიულ კრიტიკის ერთ საუკეთესო მეთოდათ ითვლებოდა მოწინააღმდეგე მწერალზე გაჩუმება, მისი სიჩუმით მოკვლა და სხვა. მარქსისტულ ლიტერატურულ კრიტიკამაც ხშირად შეიძლება მიმართოს ამ მეთოდსაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა უვლიდეს გვერდს ყოველ ახალ სახელს, ან ისეთ ნაწარმოებს, რომელიც შეიძლება არ ეკუთვნოდეს რომელიმე ცნობილ მწერალს, მაგრამ თავის აქტუალობით და თანამედროვეობით ბევრად უფრო საინტერესო და სასარგებლო წიგნი იყოს, ვიდრე. რომელიმე პროფესიონალური მწერლის ნაწარმოები.

უკვე რამოდენიმე ხანია, რაც გამოვიდა ბაზარზე ამ ბოლო დროს ისეთი ხასიათის ნაწარმოები, რომელთა ავტორები კომუნისტები, რევოლიუციონერებია და ეს ნაწარმოებიც ამ რევოლიუციონურ ბრძოლაში მიხწეული დაკვირვებების და მასალების მხატვრული სისტემატიზაციის ცდებია, მაგრამ ჩვენი კრიტიკა ჯერ კიდევ რეცენზიებითაც არ შეხებია მათ.

ასეთივე ბედი ეწვია რატომღაც ბ. კუპრაშვილის ისეთ ფრიად საინტერესო ნაწარმოებებს, როგორიცაა „ბუში" და „ამბაკო სამანაშვილი", გარდა იმისა, რომ ამ ნაწარმოებებს კრიტიკაში საერთოდ ივიწყებენ, ის სრულიად დავიწყებულია სასკოლო სახელმძღვანელოებში, მაშინ როცა ეს ნაწარმოებები ყოველმხრივ ყურადღების ღირსია.

ისმება კითხვა: თუ ეს ასე ხდება ასეთი ნაწარმოებების და ავტორების მიმართ, რა უნდა ქნას იმ მწერალმა, რომელიც სრულიად უცნობია მკითხველ მასისათვის და პირველად აქვეყნებს წიგნს. აშკარაა ის შემთხვევით ბედზე იქნება დამოკიდებული. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა შევეხოთ ერთ ახალგაზდა მწერლის მ. კუხალეიშვილის მოთხრობას „პირველ ქარავანს". ეს საჭიროა. ხსენებული ავტორი კომუნისტია, კომკავშირის ყოფილი მუშაკი, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ხელი უნდა შეეწყოს ყოველმხრივ, ამას მოითხოვს ლიტერატურაში კომუნისტური კადრების წამოწევაც.

მოთხრობა „პირველი ქარავანი"—პირველი სადებიუტო ცდაა, ამიტომ არ შეიძლება იგი სუსტი არ იყოს, რასაკვირველია, უმთავრესად ფორმალურად.

მოთხრობის მასალა ვერაა ოსტატურად შეკრული და ის საინტერესო საკითხები ჩვენი თანამედროვე სოფლის ცხოვრებიდან, რომელიც ამ მოთხრობის თემათაა აღებული — უფერულია.

მოთხრობა მხატვრულათ სუსტია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ის საარტელო და საკოლმეურნეო საკითხების მხატვრული პროპაგანდაა, მაშინ იგი უსათუოდ დამაკმაყოფილებელია,

მუშურ-გლეხურ მკითხველთა მასის მოთხოვნილების თვალსაზრისით.

მოთხრობის თემად აღებულია სოფლის სოციალისტურად გადაკეთების პროცესი, მაგრამ სწორედ მთლიანი საკოლმეურნეო და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის წინა პერიოდი.

ულარიბესი გლეხების ერთი ჯგუფი, ყოფილი მოჯამაგირეების მეთაურობით, აარსებენ არტელს. არტელი თავდადებული მუშაობით ისეთ შედეგს აღწევს, რომ იძენს სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, აწესრიგებს საზოგადოებრივი კვების საკითხებს. ამიტომ ის „პირველი ქარავანი იყო, რომელმაც არტელის ხორბალი კოოპერაციას ჩააბარა".

მოთხრობის მთლიან განვითარებაში ფართოდაა ჩართული მთელი რიგი გმირების მოქმედებები — კომუნისტი კოტე, ნამოჯამაგირალი ისიდორე — არტელის პირველი სიძე. ამ პერსონაჟების მუშაობასთან დაკავშირებით მოთხრობაში საყოფა-ცხოვრებო ამბები იშლება, ასე, მაგალითად, კოტეს მიერ კულაკის ქალიშვილის ცოლად შერთვა, იმ მიზნით, რომ კულაკის ქონება არტელში შემოეტანა, მაგრამ ეს საინტერესო მომენტები მოთხრობის მთლიან შინაარსთან შეუკავშირებელი ეპიზოდური მომენტებითაა, ასე რომ, ეს ერთი მხრივ მწერლის გაოუცდელობაზე ლაპარაკობს, მეორე მხრივ თვით მასალის სირთულეზე.

მოთხრობაში მხოლოდ აღძრულია კლასიური მტრის გამოყენების, ახალი კომუნისტური ოჯახის, კულაკის ქალთან დამოკიდებულების საკითხები, მაგრამ გადაუჭრელადაა დარჩენილი.

მოთხრობა არაა, რასაკვირველია, მოკლებული საინტერესო მხატვრულ დეტალებს, რაც მწერლის უნარიანობის შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ ავტორს არ აკლია შტამპი, სხემატიურობა, თხრობის პროტოკოლური მანერა, რაც მის მხატვრულ ღირებულებას ძალზე ასუსტებს. მაგრამ უმთავრესი ნაკლია ის, რომ სოციალისტური მშენებლობა და ბრძოლა ცალმხრივადაა ნაჩვენები, ასეთ მოთხრობებიდან რჩება შთაბეჭდილება, თითქოს კლასიური ბრძოლა სოციალიზმის შენების სინამდვილეში უბრალოთ და ადვილათ ხდება, რომ არ აქვს ადგილი ტკივილებს, წინააღმდეგობებს და სხვა. ეს კი უსათუოდ მნიშვნელოვანი ნაკლია და დამახასიათებელია არა თუ ახალგაზდა, არამედ გამოცდილ მწერლებისათვისაც, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ დახელოვნებულან მწერლობაში დიალექტიური მეთოდის სარგებლობით. დიალექტიური მეთოდი ამ შემთხვევაში ის მძლავრი იარაღია, რომელიც მწერალს მისცემს საშუალებას ურთულესი საკითხების სწორ გადაჭრაში.

საჭიროა ამ მეთოდის შესახებ იფიქროს მომავალში „პირველი ქარავანის" ავტორმაც.

ალ. სულავა.

შ. რადიანი — „ლიტერატურის საკითხები". სახელგამი. 1930 წ. ფასი 1 მან. 50 კაპ.

თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაში კლასობრივ ბრძოლის გაღრმავება და ამ ნიადაგზე მთელი რიგი ახალი სოციალური ტენდენციების ფართო ზრდა-განვითარება უდავო ფაქტად უნდა ჩაითვალოს. კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე ჩვენ ვხედავთ მდგომარეობის რადიკალურ გარდატეხას, ამ მოვლენას აქვს თავისი ლიტერატურული რეზონანსი, რაც გამოიხატება პროლეტარულ მწერლობის ზრდის პროცესებში. მხატვრულ ლიტერატურის ბოლშევიკური სექტორი დღეს გარდამწყვეტ ბრძოლას უცხადებს ლიტერატურულ რეაქციის

ყოველგვარ გამოვლენას და ამავე დროს ნაპოსტოველურ მებრძოლ ტრადიციების გამოყენების ნიშან ქვეშ აწარმოებს ენერგიულ, ძლევამოსილ მუშაობას ჰეგემონიის მწვერვალების დასაპყრობათ. პროლეტარულ მწერლობაში სოციოლოგიური ეანრების ზრდის გვერდით ფეხს იკიდებს სოციალისტური შრომის კულტურის საწყისების მოცემა.

მიუხედავათ ყოველივე ამისა შემოქმედებითი ფრონტებზე დღეს ყველაფერი ,რიგზე არ არის. აქ ადგილი აქვს შეცდომებსაც. ამას ამეღავნებს რუსულ პრესაში ატეხილი კამათი შემოქმედებითი გზების გარშემო.

ამხ. შ. რადიანის წიგნი, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა ბაზარზე, ეხება თანამედროვე ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებს. ავტორი სცდილობს მოგვცეს ნათელი სურათი ძალთა ახალი დაჯგუფებისა ლიტერატურულ ფრონტზე. ეს მეტად რთული ამოცანაა. მისი გარკვევის აუცილებლობა კი უთუოდ საგრძნობია მასიურ მკითხველთა ფენებისათვის, რომელნიც ფაბრიკა-ქარხნებიდან თვალს ადევნებენ ახალ ლიტერატურას.

სარეცენზიო წიგნის შესავალი ზოგადათ იძლევა იმ მდგომარეობის სურათს, რომელიც ძირითადში დამახასიათებელია ჩვენი ლიტ. ცხოვრებისათვის. ავტორის აზრით კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ გამოამეღავნა ისეთი მავნე ტენდენცია, როგორიცაა „ახალბურეუაზიულ-რეაქციონურ ლიტერატურის აქტივობა. თუ რამდენიმე წლის წინეთ სერიოზულად არც კი ლაპარაკობდენ ამ ფრონტის მწერლობის შესახებ, დღეს უდავოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ პირობებთან დაკავშირებით ახალ ბურეუაზიულ-რეაქციონური ლიტერატურაც გააქტივდა". (იხ. გვ. 5—6) ეს უთუოდ სწორია. ანტისაბჭოთა ლიტერატურა, რომელიც დღეს აშკარათ რეაქციის ნიშნის ქვეშ სდგას, მხარში ამოუდგა კულაკის, ნეპმანის მოთხოვნილებებს და გახდა მისი ოფიციალური დამცველი. ამ მოვლენამ განსაზღვრა მთლიანად მისი თემატიკაც. ერთი სიტყვით კულაკის აპოლოგია ეს არის ხსენებულ ლიტერატურის მუშაობის პროგრამა—მინიმუმი. ეს არ ესმის ბევრს. ამის გამო ამხ. რადიანს, რომელიც შესავალში აყენებს ამ დებულებას, სხვადასხვა მწერლების გარჩევის დროს (ალ. აბაშელი, მ. ჯავახიშვილი და სხვა) განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვა ზემოდმოყვანილ ზოგადი აზრის პრაქტიკულ დასაბუთების მაჩვენებელ მაგალითებისათვის. ამის ნაცვლად ავტორს აბაშელი წარმოდგენილი ჰყავს ნაზ პეპელად, რომელიც ხანდისხან რევოლუციის ყვავილებზეც ჯდება. „ინტელიგენციის საშუალო ფენა", რომელსაც აკუთვნებს რადიანი ალ. აბაშელს, მეტად გაურკვეველი ამბავია. ალექსანდრე ბლოკის აზრი იმის შესახებ, თუ რა ძნელია სიცოცხლე და სიარული ადამიანთა შორის, ერთ მთავარ ზოლად გასდევს აბაშელის პესიმისტურ ფილოსოფიას. ა. აბაშელი არის მესამე მუხლის ეპიგონი ე. ი. იგი არის მიმბაძველი ფრანგულ სიმვოლიზმის ეპიგონებისა (ბალმონტი, ბრიუსოვი, ბლოკი და სხვა).

აბაშელის გრძელი შემოქმედებითი გზა არის ერთგვარი პარალელი ქართული მენშევიზმის „განვითარების", მისი ნგრევის, ხრწნის და საბოლოო გადაგვარებისა. აბაშელის პოეზია ბევრ რამეში დაუახლოვდა და დაემზგავსა ქართულ ჟირონდის ტრაღიკულ ბედს. ამავე დროს როგორც სიმვოლიზმის ყველა ეპიგონებს, ისე აბაშელსაც აქვს საერთო სოციალური საფუძველი, ეს არის წვრილი ბურეუაზიის სავაჭრო ყაფანი, ნაციონალიზმის იავნანა.

ა. აბაშელი გაეხვია კოსმოსის ნისლებში, დასწერა ლექსები პლანეტის სრბოლაზე, დედამიწის შესაბრალის სიპატარავეზე, მისი ტრაღიკული აღსასრულის

მოახლოვებაზე. რატომ უნდა დაიღუპოს დედამიწა? იმიტომ ხომ არა, რომ მის მკვიდრ მიწაზე ფეხი ვერ მოიკიდა მენშევიზმის ძირმომპალ ყვავილებმა... უსუსური საბუთია. აბაშელმა დემონსტრატიულად დასტოვა რეალური ქვეყანა.

წერილი გამსახურდიას შესახებ საყურადღებოა მით, რომ მასში ამხ. შ. რადიანი ააშკარავებს არამარტო მის არქირეაქციონურ იდეებს, არამედ მხატვრულ სილატაკეს, უსუსურობას და რეტროგრადულ რეგვენობას.

იდეურად ამავე ფარგლებში ნაკაცარების მწუხარების მწერალი, რომელსაც საკმაო დამსახურება მიუძღვის ყოფილი ადამიანების, ობივატელ მკითხველების და ხანგადასული ქალების წინაშე. მას ჰსურს, როგორც ავტორი ამბობს „ნაკაცარი, ზედმეტი ადამიანების, საწყალი პიროვნებების საფარველის ქვეშ შემოგვაპაროს გარკვეული რეაქციონური შეხედულებები". ეს მწერალი რადიანის აზრით რეაქციონურ წარსულის სიმაღლეებიდან უცქერის თანამედროვეობას და იბრძვის ყოველგვარ სიახლის წინააღმდეგ. გივი შადური, ეს თვით მთელი მემარჯვენე მწერლობაა, რომელმაც დაჰკარგა რეალობის შეგრძნობის უნარი და მოექცა აპატიურ მდგომარეობაში.

შ. რადიანი აქვე იხილავს ეპოქიდან გაქცეულ დანგრეული ბუდეების მწერალს ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ პროდუქციას. ეს არის თავადაზნაურულ სექტორის ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენელი. „ის ძველი თავადაზნაურულ საქართველოს უკანასკნელი მოგიკანია".

თანამგზავრულ ლიტერატურის სფეროში მოხდა საგრძნობი ცვლილებები. დღეს ჩვენ თანამგზავრს უფრო მეტს მოვთხოვთ ვიდრე რამდენიმე წლის უკან აღდგენითი პერიოდის საზღვრებთან. „რეკონსტრუქციის პერიოდის თანამგზავრი ძირითადათ განსხვავდება წინა წლების... თანამგზავრისაგან".

რეკონსტრუქციულ პერიოდის თანამგზავრი არის სიმონ ჩიქოვანი, რომელიც თავის იდეურ-ლიტერატურული მუშაობით ყველაზე ძლიერ დაუახლოვდა პროლეტარულ რევოლუციას.

ამათს გარდა ამხ. შ. რადიანის წიგნში განხილულია მემარჯვენე თანამგზავრები, (ნ. მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი) რომელნიც ერთგვარ რყევის პროცესში არიან. ეს მწერლები დღეს ნაყოფიერად მუშაობენ, წვრილბურჟუაზიული სტიქია მათ ნაწილობრივ მამაპაპურ ნაციონალიზმისაკენ მიაქანებს.

ამრიგად წიგნის პირველი განყოფილება ძირითადში (აღნიშნულ სადავო ადგილების გამოკლებით) გამართლებულია.

საერთოდ ჩვენთვის დღევანდელ პირობებში მეტად საინტერესოა „ლიტერატურის საკითხების" მეორე განყოფილება, სადაც გარკვეულია პროლეტ-მწერლობის შემოქმედებითი გზები. ამ საკითხებიდან მთავარია ბრძოლა პროლეტარულ სტილის თეორიული გამორკვევისათვის. კულტურულ რევოლუციის ეპოქა და საერთოდ თანამედროვე პოლიტეკონომიური ცხოვრების განვითარების ფაქტორები მთლიანად საზღვრავენ პროლეტარულ მწერლობის ფორმალურ-სტილიურ პრინციპებს. ეს მოვლენები აწესრიგებენ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მექანიზმის იდეური სისტემის მიხედვით მომავლის შარაგზაზე მიმავალ ლიტერატურას. პროლეტარულ მწერლობას ჰყავს თავისი გმირი. ამის უარყოფა არ შეიძლება. იგი არის არა „დროის სულის საყვირი", არამედ ახალი ცხოვრების ერთი კუთხის რელიეფური მაჩვენებელი. ეს გარემოება თავიდანვე ხსნის რომანტიულ განხრის შესაძლებლობას, ამხ. შ. რადიანიც პროლეტარულ რეალიზმისაკენ მიგვითითებს, მაგრამ აქვე აყენებს სადავო მთელ რიგ თეორიულ საკითხებს.

„ნალიტპოსტუს" დღევანდელი პოზიციები ფსიქოლოგიზმისა და ცოცხალი

ადამიანების დარგში აშკარათ პროლეტარულ მწერლობის გენერალური ხაზიდან აცდენას ნიშნავს. ამხ. ვ. ერმილოვი ძლიერ მარჯვნივ გადაექანა და ეხლა ცდილობს შერყეულ წონასწორობის აღდგენას. მისი მთავარი შეცდომა ის არის, რომ თავის თანამოაზრეებთან ერთად ახალ ფორმალურ პრობლემებს სჭრის არა სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდის ასპექტში, არამედ ლიტერატურულ კლასიციზმის ჭუჭაბანდებში ხეტიალით ნისლში ჰხვევს სამერმისო პერსპექტივებს. არ შეიძლება მთელი ყურადღების ცენტრის გადატანა კლასიკოსების პრობლემის ირგვლივ.

ეხლა შევეხოთ თვით ამხ. შ. რადიანის მიერ წამოყენებულ საკითხებს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ძლიერ შემცდარი წარმოდგენა აქვს პროლეტარულ რეალიზმის შესახებ. იგი სწერს:

„სტილი, რომელსაც პროლეტარული მწერლობა ღებულობს არის რეალისტური. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროლეტარულ მწერლობის რეალიზმი ძირითადათ განსხვავდება ბურჟუაზიული მწერლობის რეალისტური სტილისაგან. პროლეტარულ რეალიზმის სტილისათვის დამახასიათებელია: დინამიურობა, ორგანიზაციულობა, და სახეთა კონკრეტიულობა". (ხაზი ყველგან ჩემია — გ. ნ.).

ჩემი აზრით რადიანს მოუხაზველი რჩება „ძირითადი განსხვავება ბურჟუაზიული რეალიზმის სტილისაგან". რატომ? იმიტომ, რომ დინამიურობა, კონკრეტიულობა და სხვა... ეს იგივე ბურჟუაზიულ რეალიზმის დამახასიათებელი თვისებებია. აქ ამხ. რადიანი ურევს ნატურალიზმს, რომელსაც არ გააჩნია დინამიურობის აჩქარებული ტემპები. „Натурализм отличается от реализма тем, что натурализм статичен, что он недоучитывает движения всего происходящего кругом, не понимает тенденции роста, не схватывает, куда все явления растут". (ლ. ავერბახი)

განსხვავებით ამისა დინამიურობის ტემპი არის უთუოდ ბურჟუაზიულ რეალიზმში, მაშასადამე ეს მუხლი ვერ გამოდგება პროლეტარულ რეალიზმის სპეციფიურ თვისებათ. ასევე შეიძლება ითქვას სახეთა ორგანიზაციულობისა და კონკრეტიულობის შესახებ. ეს თვისებები აშკარათ ეკუთვნის კლასიკურ რეალიზმს. თავის წიგნში ამხ. შ. რადიანს მოჰყავს ერთი ადგილი ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანიდან", ამ პატარა დეტალში მთელი ტიპებია გადმოშლილი. ამაზე მეტი კონკრეტულობა შეუძლებელია. „საერთოდ ამხ. რადიანის ფორმულირება მთლიანად მიუღებელია. უკეთეს შემთხვევაში იგი არ ეხება პროლეტარულ რეალიზმს. იგი იძლევა ძველი მხატვრული ფორმების რესტავრაციის მეთოდებს და მისი მიხედვით აჯგუფებს მთელ მხატვრულ მასალას.

აქ ნათლად მოსჩანს კლასიკებისაგან სწავლის გაფართოებული გაგება, ამხ. რადიანმა თავისებურად წაშალა განსხვავების საზღვარი „ოქროს" ეპოქის რეალიზმისა და პროლეტარულ რეალიზმს შორის. ამ თვალსაზრისით მან თემატიკის ფრონტზე ასეთივე „უხერხულობა" დაუშვა. რადიანი ანვითარებს ერთგვარ თემატიურ ინდიფერენტიზმის თეორიას, რომლის მიხედვით პროლეტარულ თემატიკის აღმოსავლეთი საზღვარი იწყება ანტიურ და საშუალო საუკუნეების მიჯნებთან („ისტორიული თემები") და თავდება წმინდა ფილოსოფიურ პრობლემების რკალთან. („ფილოსოფიური თემები") ჩვენი აზრით ახალი თემატიკა უნდა იყოს პირველ რიგში სოციოლოგიური რკალით შემოფარგლული. ჩვენ გვჭირია არა მარტო ბოლშევიკური იდეები, არამედ ბოლშევიკური თემები და ამ თემების ასახვის კომუნისტური ჟანრები. აქ არ არის არავითარი გადაჭარბება.

წიგნის ამავე ნაწილში მკვეთრადაა ნაჩვენები ცალკეულ მწერალთა შემოქმედებითი ფიგურები (ლორთქიფანიძე, კალაძე, მაშაშვილი, პოლუმორდვინოვი, სამსონიძე, ზომლეთელი, და სხვა) ამხ. რადიანის მეთოდიური პოზიცია მეღავნდება აქ ზოგიერთ ადგილას. სახელდობრ ის ფრიდონ ნაროუშვილის შესახებ არასწორ დებულებას აყენებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნაროუშვილის ასეთი შეფასება გამოწვეულია იმ მეთოდის გაუგებრობით, რომლითაც მუშაობს ნაროუშვილი და რომელსაც ის მიჰყავს აუცილებელ გამარჯვებისაკენ. აბსოლიუტურად არაა მართალი თითქოს ნაროუშვილის რითმები ძველი იყოს, პირიქით მას ამ დარგში დიდი მიღწევები ახასიათებს. მისი პოემები („ორი მისამართი", „ხოლტი ეწევა აგიტაციას", „მას შეიბრალებს ვინმე მწერალი, ვინმე მეძველე", „ახალი მოსახლეობა", „ყოფაცხოვრება საბჭოთა სოფელში", „ტყაჩო", „ზარა" და სხვები) დღეს ქართულ პროლეტარულ პოეზიაში პირველ რიგში სდგას. ეს იმიტომ, რომ ნაროუშვილი სოციოლოგიური ეანრებით მუშაობს. ამას მოითხოვს მთელი პროლეტარულ მწერლობისაგან ჩვენი ეპოქა, ამიტომ არის რომ მთელი რიგი ამხანაგები იცვლიან ეანრებს და ლირიკიდან ნარკვევებისაკენ გადადიან. ნაროუშვილმა კი თავიდანვე სწორი გეზი აიღო. პოემა, როგორც ეანრი, თამამად იტევს ახალი ეპოქის კონკრეტიულ მხარეებს, ამიტომ ფრიდონ ნაროუშვილის მუშაობის ძირითადი ფორმა არის ეპიურ-სოციოლოგიური პოემა.

აქვე მოთავსებულია მთელი რიგი საყურადღებო წერილები. მათში აღსანიშნავია „ლიტერატურული უცოდინარობის წინააღმდეგ". ამხ. რადიანმა მეტად დროულად წამოაყენა ეს საკითხი, დღეს მწერალი ლიტერატურულ უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის გარეშე ვერ შესძლებს ახალი ამოცანების შესრულებას. ამხ. გ. გორბაჩევი ამბობდა ამას წინეთ, რომ „საშუალო დონე პროლეტმწერლისა ჯერ არ ასცილებია პროლეტმკითხველის განვითარების საშუალო დონესაო", ეს რასაკვირველია, ფრიად არანორმალური მდგომარეობაა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად იბრძვის წიგნის ავტორიც. მისი აზრით აუცილებელია სამგვარი ხასიათის სწავლა: საზოგადოებრივი, საერთო საგანმანათლებლო და სპეციფიური ლიტერატურული, ფორმალური.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ „ლიტერატურის საკითხები"—აქტუალური მოვლენაა ქართულ პროლეტარულ კრიტიკაში. მასში დაყენებულია მრავალი საკამათო საკითხები. ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიმუშავებია მთლიანი მხატვრული პლატფორმა.

გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

გ. გუაჩიძე, ვ. ლუარსამიძე, ა. მაშაშვილი, ს. ეული და შ. რადიანი.